საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

David Aghmashenebeli University of Georgia

სამეცნიერო ჟურნალი

სპექტრი

SCIENTIFIC JOURNAL

SPECTRI

N5

თბილისი Tbilisi
2021

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“

სარედაქციო კოლეგია:

მთავარი რედაქტორი - **ნინო მეგრელიშვილი,** პროფესორი

მთავარი რედაქტორის მოადგილე - **ქეთევან ნანობაშვილი**, პროფესორი

პასუხისმგებელი მდივანი - **რუსუდან კავთიაშვილი,** პროფესორი

მედიცინა:

ნანა თევზაძე - პროფესორი
დავით ღვინიაშვილი - პროფესორი
ნუნუ ხეცურიანი - პროფესორი
ნინო ნანობაშვილი - ასოცირებული პროფესორი

სამართალი:

გიორგი გოგიაშვილი - პროფესორი
ციალა ჩქარეული - პროფესორი
პოლიკარპე მონიავა - პროფესორი

ბიზნესი და ტექნოლოგიები:

დავით კბილაძე - პროფესორი

ვახტანგ ანთია - პროფესორი

სოციალური და ჰუმანიტერული მეცნიერებები

გიორგი კალანდია - პროფესორი

მაკა დოლიძე - ასოცირებული პროფესორი

გამოქვეყნებული სტატიის ავტორი არის პასუხისმგებელი სტატიის სიზუსტეზე და შესაძლოა, მისი პოზიცია არ გამოხატავდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

დაუშვებელია აქ გამოქვეყნებული მასალის გავრცელება-გამრავლება კომერციული მიზნებისთვის.

© საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
გამომცემლობა „მერიდიანი“ 2021

ISSN 2587-4810

DAVID AGHMASHENEBELI UNIVERSITY OF GEORGIA
SCIENTIFIC JOURNAL „SPECTRI“

Editorial Board:

Editor-in-chief - **Nino Megrelishvili**, Professor
Deputy Editor-in-chief - **Ketevan Nanobashvili,** Professor
Responsible Secretary **- Rusudan Kavtiashvili,** Professor

Medicine:

Nana Tevzadze - Professor
David Gviniashvili - Professor
Nunu Khetsuriani - Professor
Nino Nanobashvili - Associate Professor

Law:

Giorgi Gogiashvili - Professor
Tsiala Chkareuli - Professor
Polikarpe Moniava - Professor

Business and Technology:

David Kbiladze - Professor
Vakhtang Antia - Professor

Social and Humanitarian Sciences:

Giorgi Kalandia - Professor
Maka Dolidze - Associate Professor

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles and do not necessarily reflect the views of the journals Editorial Board.

Reproduction or distribute on of the materials published in this journal for commercial purposes is prohibited.

© David Aghmashenebeli University of Georgia

Press Publisher „Meridiani“ 2021

ISSN 2587-4810

სარჩევი - CONTENT

მედიცინა MEDICINE

ჯაბა ადამია, მარინე ნიკოლაიშვილი, ნატო მოსემღვდლიშვილი
მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებში პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ახალი მეთოდების ძიების პერსპექტივები. 8
Jaba Adamia, Marine Nikolaishvili, Nato Mosemgvdlishvili
The prospects of searching for new methods of treatment of parodontic diseases in patients with unleash orthopedic structures
გიორგი გოგიშვილი შალვა პეტრიაშვილი, ნინო ნანობაშვილი, ნინო მეგრელიშვილი, იამზე თაბორიძე
Non-HDL ლიპოპროტეინების დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასება გულის იშემური დაავადებების მქონე 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში. 15
Giorgi Gogishvili, Shalva Petriashvili, Nino Nanobashvili, Nino Megrelishvili, Iamze Taboridze
Evaluation of Diagnostic Value of Non-HDL Lipoproteins in Georgian Population Under 45 Years of Age withnCoronary Heart Disease
მიხეილ გორშკოვი, ნუგზარ ელიზბარაშვილი, ლუხუმ ჭანტურია, ოთარი გაფრინდაშვილი იამზე თაბორიძე
ღრმა ოსცილაციის გამოყენება მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდგომ კომპლექსურ რეაბილიტაციასა და მკურნალობაში. 20
Mikhael Gorshkov, Nugzar Elizbarashvili, Lukhum Chanturia, Otari Gaphrindashvili, Iamze Taboridze
Use of deep oscillation in complex rehabilitation and treatment after total pelvic-femoral endoprosthesis
რუსუდან კვანჭახაძე, მანონი ფანჩულიძე, თამარ ბაკურაძე, ეკა ბალანჩივაძე
ნაცნობი და უცნობი ფაქტები ვიტამინ D -ს შესახებ. 25
Rusudan Kvanchakhadze, Manoni Panchulidze, Tamar Bakuradze, Eka Balanchivadze
Familiar and Unknown Facts About Vitamin D
მარინე ნიკოლაიშვილი, თამარ ბაქრაძე, მამუკა გოგიბერიძე, ანა გალოგრე, სალომე ზენაიშვილი
ელექტრომაგნიტური ზემოქმედება მოზარდების პირის ღრუს სითხის მიკრობიოლოგიურ მდგომერეობაზე. 36
Marine Nikolaishvili, Tamar Bakradze, Mamuka Gogiberidze, Anna Galogre, Salome Zenaishvili
Electromagnetic effect on the microbiological state of the oral fluid in adults
დეა პაპასკირი, რუსუდან კვანჭახაძე, მაია გონგაძე
თმის ცვენის ნუტრიციული მიზეზები. 43
Dea Papaskiri, Rusudan Kvanchakhadze, Maia Gongadze
Nutritional causes of hair loss
ლიანა ჯაში, რუსუდან კვანჭახაძე, ქეთევან დუნდუა, ნინო ნიჟარაძე
კარანტინისა და სოციალური იზოლაციის გავლენა შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების მიმდინარეობაზე კოვიდ 19-ის პანდემიის დროს აჭარაში. 54

Liana Jashi,Rusudan Kvanchakhadze, Qetevan Dundua, Nino Nijharadze
Impact of quarantine and social isolation on the course of diabetes mellitus and its complications during Covid 19 in Adjara

სამართალი LAW

დავით გვენეტაძე
აზრის გამოხატვის თავისუფლება და მისი შეზღუდვის ცალკეული წინაპირობები. 59
Davit Gvenetadze
Freedom of Expression and Certain Prerequisites for its Limitation
მირანდა გურგენიძე
მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონისა და სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. 73
Miranda Gurgenidze
Legal Status of the Debtor According to the Law of Georgia on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors and the Law of Georgia on Enforcement Proceedings
მირანდა გურგენიძე, ირაკლი შამათავა
სააღსრულებო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში (მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ახალი „სააღსრულებო კოდექსის“ პროექტის შესაბამისად). 86
Miranda Gurgenidze, Irakli Shamatava
Aspects of enforcement system development in Georgia
(In accordance with the current applicable Law of Georgia “on Enforcement Proceedings” and the new draft “Code of Enforcement”)
პოლიკარპე (თემურ) მონიავა, ჯამბულ ხუროძე
ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი სასამართლო პროცესი. მისი კავშირი სოფელ ხუნწთან, ანუ ისტორიულ ონოგურისთან. ამ სოფლის ტოპონიმები და ჩართულობა სამეგრელოს სამთავროს სამართალწარმოებაში. 97
Polikarpe Moniava, Jambul Khurodze
The First Known Trial in Georgian Reality. Its Connection with the Village of Khuntsi, or Historical Onoguri. Toponyms of this Village and Involvement in the Legal Proceedings of the Samegrelo Principality
პოლიკარპე (თემურ) მონიავა
ლიპარიტ IV ბაღვაში, ვიქტიმიზაციის მსხვერპლი თუ ქვეყნის მოღალატე ფეოდალი. 122
Polikarpe (Temur) Moniava
Liparit IV Baghvashi, Victim of Victimization or CountryTraitor Feudal Lord
ციალა ჩქარეული
ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებანი ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მკურნალობის საქმეებთან დაკავშირებით. . . 137
Tsiala Chqareuli
Peculiarities of Administrative Proceedings in Connection with Cases of Involuntary Isolation and Treatment of Persons with Tuberculosis

ნიკოლოზ წერეთელი
„რთული შემთხვევა“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. 158
Nikoloz Tsereteli
“Hard Case” in Vazha-Pshavela’s creations
ია ხარაზი
ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. 166
Ia Kharazi
Constitutional-legal bases of the European model Georgian Customs Code

ბიზნესი და ტექნოლოგიები Business and Technology

მაია ჭანია
ეკონომიკური უსაფრთხოების პარადიგმა. 175
Maia Chania
The Economic Security Paradigm
მაია ჭანია, ანა ცქვიტარია
ეკონომიკური განვითარება - მახასიათებლები და კონცეპტუალური მიდგომები (საქართველოს მაგალითზე). 180
Maia Chania, Ana Tskvitaria
Economic Development - Characteristics and Conceptual Approaches (On the example of Georgia)

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები Social and Humanitarian Sciences

ნესტან აკობია
ქართული და ინგლისური მოდალური ზმნების სპეციფიკა პოლიტიკურ დისკურსში და მათი თარგმანი. 186
Nestan Akobia
Specifics of the Georgian and English Modal Verbs in the Political Discourse and Their Translation
გიგლა გობეჩია
პრობლემა - პროფესიული გადაღლილობის სინდრომი და მისი აქტუალური საკითხები ჟურნალისტიკაში. 190
Gigla Gobechia
Problem - Occupational Fatigue Syndrome and its Current Issues in Journalism
მაკა დოლიძე
მედია და დიასპორა. 195
Maka Dolidze
Media and Diaspora
მაია თუნგია
თანამედროვე მედიასივრცისა და მედიატექნოლოგიათა ტრენდები. 200

Maya Tungia
Trends in modern media space and media technologies
ნარგიზა კანკია
საქართველო უცხოურ დოკუმენტურ ფილმებში. 205
Nargiza Kankia
Georgia In Foreign Documentary Films
რუსუდან კავთიაშვილი
ავტორის იდივიდუალურობის ერთ-ერთი მახასიათებელი სამეცნიერო პროზაში. 211
Rusudan Kavtiashvili
One of the Characteristics of Author's Individuality in Scientific Prose
თინათინ კურდღელაშვილი
სოციალური, ემოციური და ქცევითი სირთულეების მქონე 11-16 წლის ახალგაზრდების სკოლიდან გარიცხვა ინგლისის კონტექტსში. 214
Tinatin Kurdghelashvili
Exclusions of young people of 11-16 year olds with Social, Emotional and Behavioral Difficulties in England context
ჟანეტა კილასონია
საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. 221
Zhaneta Kilasonia
The role of public relations on raising awareness about inclusive education
მარინე ლომიძე
ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებულის ძირითადი თემატიკა. 227
Marine Lomidze
Basic themes of collection of Otar Chiladze's dialogues

მედიცინა MEDICINE

ჯაბა ადამია, მარინე ნიკოლაიშვილი, ნატო მოსემღვდლიშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia; Ivane Beritashvili's experimental biomedicine center; Tbilisi State Medical University

მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებში პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ახალი მეთოდების ძიების პერსპექტივები

მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებში პაროდონტის ანთებითი დაავადებების მკურნალობის პრობლემა დღესაც აქტუალურია, მიუხედავად მკურნალობის თერაპიული და ქირურგიული მეთოდების დიდი ჩამონათვალისა [1,2]. მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებში პაროდონტის დაავადებების მკურნალობის მიზანია ანთებითი პროცესების შემცირება, პათოლოგიური პროცესების უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა პაროდონტის ქსოვილებში, გართულებების რისკის შემცირება და მკურნალობის შედეგად მიღწეული შედეგის, პაროდონტის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება, ორთოდონტიული კონსტრუქციის გამოყენების ვადისა და ხარისხობრივი რესურსის გაზრდა [6,9]. ამიტომ, პაროდონტის მკურნალობა უნდა მოიცავდეს ზომების კომპლექსს. სტანდარტული კომპლექსური მკურნალობა მოიცავს არა მხოლოდ ერთჯერად ვიზიტს, არამედ რეგულარულ დამხმარე თერაპიას. ცნობილია, რომ პაციენტები იძულებულნი არიან წელიწადში რამდენჯერმე მიაკითხონ სტომატოლოგ-პაროდონტოლოგს.

მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებისათვის სამკურნალო კომპლექსი მოიცავს პაციენტის მომზადებას პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური საშუალებების და კომპლექსური პროფესიული ჰიგიენის თაობაზე, ასევე პირის ღრუს სანაციასა და ფიზიოთერაპიულ მკურნალობაზე. პირის ღრუს სანაცია მოიცავს მკურნალობას და კბილის ექსტრაქციას ჩვენების მიხედვით. პროფესიული ჰიგიენის კომპლექსი მოიცავს რბილი და პიგმენტური ნადების მოცილებას, სუპრაგინგივალური და სუბგინგივალური ქვის მოცილებას და ფესვის ზედაპირის გაპრიალებას (Scaling and Root Planing). თუმცა, ფესვის ცემენტზე ულტრაბგერითი ან ხელის ინსტრუმენტების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერმგრძნობელობა პროცედურის დასრულების შემდეგ [3,10]. პაროდონტის დაავადებების სამკურნალოდ გამოყენებული სამკურნალო საშუალებების არსენალი ძალიან მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ადგილობრივი, ასევე ზოგადი მოქმედების პრეპარატებს. ადგილობრივი პრეპარატები გამოიყენება სავლების, მალამოების, გელების, პასტების, ფირების სახით. ადგილობრივი ანტიმიკრობული თერაპია პაროდონტის დაზიანების კომპლექსური მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილია. პაროდონტიტის კომპლექსური მკურნალობისას იყენებენ ადგილობრივი და სისტემური მოქმედების მედიკამენტებს (მეტროგილ დენტა (Unique Pharmaceutical Laboratories, ინდოეთი), ქოლისალი (Jelfa, პოლონეთი) და ა.შ). ამასთან, ანტიმიკრობული პრეპარატების არაგონივრული გამოყენება იწვევს დისბალანსს მიკრობიოცენოზში და მდგრადი შტამების გაჩენას ანტიმიკრობული თერაპიის მიმართ. ასევე, მედიკამენტების მიღებისას შეიძლება გამოვლინდეს გვერდითი

ეფექტები, კერძოდ, ალერგიული რეაქციები, დისბაქტერიოზის განვითარება, სოკოვანი ინფექციები და სხვა. გარდა ამისა, ანტიბიოტიკოთერაპია შეიძლება არ იყოს ეფექტური პაციენტებში იმუნოდეფიციტური მდგომარეობით [1,3].

მედიკამენტების შეყვანის პარენტერალური გზა, განსაკუთრებით სისტემური ანტიბიოტიკებისა, შეიძლება ჩაითვალოს ფარმაკოთერაპიის ერთ-ერთ სახიფათო სტერეოტიპად. ეს "ენთუზიაზმი" იწვევს ინექციის შემდგომი ჩირქოვანი გართულებების ზრდას. ამჟამად პაროდონტის ქსოვილების ანტისეპტიკური დამუშავებისთვის იყენებენ მედიკამენტებს, როგორიცაა: მირამისტინი (ინფამედი, რუსეთი), რომაზულანი (ბიოფარმი-რომფერკიმი, რუმინეთი), როტოკანი (VIFITECH, რუსეთი), სტომატოფიტი (ფიტოფარმი, პოლონეთი), ტანტუმი ვერდე (ანჯელინი ფრანჩესკო, იტალია), ფურაცილინი (ფარმლენდი, ბელორუსია), ქლორჰექსიდინი (ეკოლაბი, რუსეთი) და სხ. ქლორჰექსიდინის ბიგლუკონატი (0,05% ხსნარი) (სამარამედპრომი, რუსეთი) გამოიყენება პირის ღრუს და პაროდონტული ჯიბეების სავლებად [8]. ქლორჰექსიდინს შეუძლია გაანადგუროს გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმები - აერობები და ანაერობები, აგრეთვე კანდიდას სოკოები, მიემაგროს მათ გარსებს და დაარღვიოს ოსმოსური ბალანსი, გაზარდოს უჯრედის მემბრანის გამტარიანობა. პრეპარატის უარყოფით თვისებებად შეიძლება ჩაითვალოს კბილების შეღებვა, ეპითელიუმის აქერცვლა, ალერგიული რეაქციები, უსიამოვნო გემო [10].

ასევე საინტერესოა ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, როგორიცაა ნიმესულიდი (Replekpharm, მაკედონია). ნიმესულიდი არის ციკლოოქსიგენაზის ინჰიბიტორი, რომელიც მონაწილეობს პროსტაგლანდინების სინთეზში. შექცევადად აფერხებს პროსტაგლანდინ E2- ის წარმოქმნას. პროსტაგლანდინების E2 კონცენტრაციის შემცირება იწვევს ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. სამწუხაროდ, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების თერაპიული პოტენციალი შემოიფარგლება წამლის გართულებების (გასტროპათია, კარდიოვასკულარული, ალერგიული რეაქციები) რისკით. პაროდონტის დაავადებების კომპლექსური თერაპია მოიცავს ანტიოქსიდანტებს და ქსოვილების მეტაბოლიზმის ბიორეგულატორებს. ანტიოქსიდანტებს გააჩნიათ უნარი, ხელი შეუშალონ თავისუფალი რადიკალური რეაქციების გააქტიურებას სიჩქარის შენელების გზით. გარდა ამისა, იმუნომასტიმულირებელი თვისებების არსებობა ანტიოქსიდანტებში ხელს უწყობს ზედმეტი თავისუფალი რადიკალებით გამოწვეული ზიანის ნაწილობრივ აღმოფხვრას [7-8].

ამიტომ რეკომენდებულია ისეთი ახალი მეთოდების ძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევაჩეროთ ანთებითი პროცესი და დავასტაბილუროთ პირის ღრუს მიკროფლორა. ანტიოქსიდანტების და სხვა ენდოგენური დანამატების მუდმივი მიღება იწვევს უჯრედების მიერ საკუთარი ანტიოქსიდანტური თავდაცვის სინთეზის შეჩერებას, ხოლო სხეული აჩერებს რეპარაციული კომპონენტების სინთეზს, რომლებიც აღადგენენ დაზიანებული მოლეკულების სტრუქტურას [11]. ამიტომ პაროდონტის ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ გამოვიყენეთ წყალტუბოს მინერალური წყალი, რომელიც შეიცავს მიკროელემენტებს. წყალტუბოს მინერალური წყალი დიდი დებეტისაა და ითვლება ქლორიდ-ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმ შემცველ წყლად [9], ხასიათდება სტაბილურობით და დროის მიხედვით არ განიცდის ცვლილებას. ამავე წყალში ნაპოვნია ისეთი მიკროელემენტებიც, როგორიცაა იოდი, ბრომი, მაგნიუმი, ლითიუმი, თუთია და სპილენძი. მიუხედავად იმისა, რომ წყალში ამ მიკროელემენტების შემცველობა ძალზე მცირეა, ინჰალაციისას მათი აქტივობა მნიშვნელოვნად მატულობს [15-16]. რადონის შემცველობის გამო, წყალტუბოს წყალი საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელი თერაპიის მიზნით, პერიფერიული ნერვული

სისტემის მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, მასში არსებული რადონი, რომლის შემცველობა არის მხოლოდ 1 ნკ., იწვევს ამ ელემენტების გააქტიურებს და ორგანიზმში შეღწევადობის მატებას, რომლებიც დადებითად მოქმედებენ სხვადასხვა დაავადებებზე და ყველაზე მეტად კი ანთებით პროცესებზე [7,15]. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატებით მკურნალობისას უარყოფითი მიკროფლორის დარეგულირება წყალტუბოს წყლის სავლებად გამოყენებით დღეში სამჯერ 10 დღის განმავლობაში, დასაწყისში ყოველ 6 თვეში ერთხელ. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ორთოდონტიული ანომალიის მქონე 19-24 წლის ასაკის 135 პაციენტის კომპლექსური სტომატოლოგიური გამოკვლევა. მათ შორის 73 ქალი, 62 მამაკაცი. ავადმყოფები განაწილებულ იქნენ ასაკისა და სქესის მიხედვით.

135 პაციენტს ჩაუტარდა კლინიკო-იმუნური გამოკვლევა მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატის ფიქსაციამდე და ფიქსაციიდან 3 თვის შემდეგ.

პაციენტების ორთოდონტიული მკურნალობის ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ციტოლოგიური და იმუნოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდების განვითარებაზე. პირის ღრუს ჰიგიენის ციტოლოგიური შეფასება საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ მჭიდრო კორელაცია მის დარღვევებსა და პაროდონტის ქსოვილებში ანთებითი პროცესის განვითარებას შორის ბრეკეტ სისტემით მკურნალობის დროს. წამყვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ანთების სიმძიმეს და პაროდონტში მისი მიმდინარეობის თავისებურებებს, წარმოადგენს იმუნური რეგულირების მექანიზმების დარღვევა როგორც სისტემურ, ასევე ლოკალურ დონეებზე.

დადგენილია, რომ ბრეკეტ-სისტემით მკურნალობის პროცესში ვითარდება იმუნოდეფიციტური მდგომარეობა. ის გამოიხატება CD3 ლიმფოციტების დონის დაქვეითებით, იმუნორეგულატორული ინდექსის ცვლილებით, სეკრეტორული იმუნოგლობულინ A-ს მაჩვენებლების შემცირებით [8,11,14], ყბა-კბილთა ანომალიების მქონე პაციენტებში ორთოდონტიული მკურნალობის ეტაპებზე სეკრეტორული IgA-ს (sIgA-ს) დონის ცვლილება გულისხმობს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დამცავი ფუნქციების დაქვეითებას. ჰუმორალური იმუნიტეტის დონის დაქვეითება წარმოადგენს ქრონიკული გინგივიტის განვითარების ერთ-ერთ პირობას, ხოლო sIgA შესაძლოა წარმოადგენდეს პაროდონტის ქსოვილებში მიმდინარე ანთებითი პროცესის სიმძიმის შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს. ამიტომ გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა მკურნალობის პროცესში სისხლში მიმდინარე ჰორმონალურ-იმუნოლოგიური კვლევები [4-6,12].

მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატის მქონე პაციენტებში იმუნიტეტისა და პროსტაგლანდინი E-ს მონაცემთა დინამიკა კომპლექსური მკურნალობის კურსის დასაწყისში და ბოლოს ნაჩვენებია ცხრილში 1.

ცხრილი 1. იმუნიტეტის მაჩვენებლის დინამიკა და პროსტაგლანდინი E-ს მნიშვნელობა მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატის მქონე პაციენტებში.

კვლევის ეტაპები	lgA g/l	lgM g/l	lgG g/l	slgA1 g/l	PGE /ng/l
საკონტროლო ჯგ.	0,23±0.02	0.12±0,0,01	12,89±0.1	32±0,5	1,05±0.01
წყალტუბოს წყლით მკურნალობამდე	0,17±0,01	0,10±0,01	10,87±0.1	58±0,6	2.78±0.23
მკურნალობის შემდეგ	0,22±0.02	0,12±0.01	12,24±0,1	43±0,6	0,89±0,14



გრ 1. იმუნიტეტის მაჩვენებლის დინამიკა მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატის 3 თვიანი გამოყენების დროს (lgA, lgM)



გრ. 2. იმუნიტეტის მაჩვენებლის დინამიკა slgA1 და lgG მნიშვნელობა მოუხსნელი ორთოდონტული აპარატის 3 თვიანი გამოყენების დროს



გრ. 3. იმუნიტეტის მაჩვენებლის დინამიკა და პროსტაგლანდინი E-ს მნიშვნელობა მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატის 3 თვიანი გამოყენების დროს

როგორც ცხრილებში 1 და 2 ჩანს, მოუხსნელი ორთოდონტიული მკურნალობის დროს 3 თვის შემდეგ პაციენტებს აღენიშნებოდათ სისხლში იმუნოგლობულინების **A, M, G** -ს (დისიმუნოგლობულინემია) მაჩვენებლების დაწევა და ნერწყვში სეკრეტორული იმუნოგლობულინ **A**-ს და სისხლში პროსტაგლანდინი E-ს შემცველობის მატება. ხოლო რადონის 7 დღიანი დღეში სამჯერ სავლების შემდეგ და საუნაში 10-20 წუთიანი ინჰალაციის შემდეგ ადგილობრივი იმუნიტეტის დაძაბულობა შემცირდა (სეკრეტორული იმუნოგლობულინისა **sIgA1** ნერწყვში), ასევე შემცირდა პროსტაგლანდინი E კონცენტრაცია და რეოლოგიური ცვლილებები ცხრ1.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატებით მკურნალობის დროს უარყოფითად იცვლება იმუნიტეტის მაჩვენებლების დინამიკა და პროსტაგლანდინი E-ს მნიშვნელობა, მაგრამ წყალტუბოს წყლით მკურნალობა, რომელიც გამოიხატება 7-10 დღიანი სავლებითა და ინჰალაციით, იწვევს პირველ სამ თვეში პაროდონტის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების შემცირებას და შემდგომ ჩაქრობას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბრეკეტ-სისტემით 3-თვიანი მკურნალობის შედეგად სისხლში გამოვლინდა პროსტაგლანდინი E-ს დაახლოება საკონტროლო მონაცემებთან, რაც უნდა გულისხმომდეს წყალტუბოს წყლის დადებით გავლენას. დადგინდა, რომ იმუნურ, ჰორმონალურ და ბიოქიმიურ დარღვევებს აქვთ მეორადი კომპენსატორულ-ადაპტაციური ხასიათი, ხოლო წყალტუბოს წყლით მკურნალობა იწვევს ამ პროცესების ნიველირებას.

ლიტერატურა

1. ივერიელი მ, აბაშიძე ნ, პაროდონტის დაავადებათა ფარმაკოთერაპია//თბ,1998.
2. ნემსაძე ო, ამირიძე ზ, პაროდონტის დაავადებები //თბ,1989.
3. შიშნიაშვილი თ. სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა. თბილისი 2004
4. ნიკოლაიშვილი მ, თამასიძე ნ, მოსემღვდლიშვილი ნ, ლიზოციმის შემცველობის მაჩვენებლების კვლევა შერეულ ნერწყვში, პაციენტების მოუხსნელი ტექნიკით ორთოდონტული მკურნალობის ეტაპზე. ჟ.ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა. N2, 41-45, 2015.
5. ნიკოლაიშვილი მ, თამასიძე ნ, მოსემღვდლიშვილი ნ, პირის ღრუს ადგილობრივი იმუნიტეტის მდგომარეობის შეფასება და სეკრეტორული იმუნოგლობულინ LGA-ს,

რაოდენობრივი შემცველობა პაციენტებში ორთოდონტული მკურნალობის დროს.ჟ.ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა. N2, 53-56, 2015.
6. Aren, G. Clinical and immunological findings of two siblings in a family with generalized aggressive periodontitis / G. Aren, N. Gurel, F. Yalcin, E. Firatli // J. Dent. Child. – 2003. – Vol.70, № 3. – P.266—271.
7. Bollen, A.M. The effects of orthodontic therapy on periodontal health: a systematic review of controlled evidence / A.M. Bollen, J. Cunha-Cruz, D.W. Bakko [et al.] // J. Am. Dent. Assoc. – 2008. – Vol.139, № 4. – P.413—422.
8. Gamonal, J. Levels of interleukin-beta, -8, and -10 and RANTES in gingival reticular fluid and cell populations in adult periodontitis patients and the effect of periodontal treatment / J. Gamonal, A. Acevedo, A. Bascones [et al.] // J. Periodontol. – 2000. – Vol.71, № 10. – P.1535—1545.
9. Gelashvili GK., Vepkhvadze N., Xazaradze R., at all. Current radiation safety issues in Georgia. 1 National Conference 2001. Tbilisi pp 146-156
10. Christopher, W. Cutler, Ravi Jotwani Antigen-presentation and the role of dendritic cells in periodontitis / W. Christopher // Periodontology. – 2000. – Vol.35. – P.135—157.
11. Смердина, Л.Н. Использование ортодонтических методов в комплексном лечении больных с заболеваниями пародонта / Л.Н. Смердина, Ю.Г. Смердина // Институт стоматологии. – 2002. – № 2. – С.20—21.
12. Трезубов, В.Н. Влияние несъемных ортодонтических мостовидных и дуговых протезов на антиоксидантную емкость ротовой жидкости. Способ коррекции биофенолами зеленого чая / В.Н. Трезубов, Л.В. Галебская, Р.А. Фадеев, С.А. Кузнецов // Институт Стоматологии. – 2004. – № 2. – С.28.
13. Тамасидзе Н, Мосемгдвлишвили Н, Гогиверидзе М, Чикобава С, Куфарадзе М, Николаишвили М, Необходимость определения альфа-аденозина у пациентов находящихся на ортодонтичеком личении. “Novation» N3, июнь, 2016 часть 2, 102-104
14. Franke A, Reiner L, Pratzel HG, et al. Long-term efficacy of radon spa therapy in rheumatoid arthritis: a randomized, sham-controlled study and follow-up. Rheumatology. 2000;39:894–902.
15. Kataoka T, Teraoka J, Sakoda A, et al. Protective effects of radon inhalation on carrageenan-induced inflammatory paw edema in mice. Inflammation. 2012;35:713–722
16. Nishiyama Y, Kataoka T, Yamato K, et al. Suppression of dextran sulfate sodium-induced colitis in mice by radon inhalation. Mediators Inflamm. 2012;2012: 239617.

რეზიუმე

მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებში პაროდონტის ანთებითი დაავადებების მკურნალობის პრობლემა დღესაც აქტუალურია, მიუხედავად მკურნალობის თერაპიული და ქირურგიული მეთოდების დიდი ჩამონათვალისა. მოუხსნელი ორთოდონტიული კონსტრუქციების მქონე პაციენტებში პაროდონტის დაავადებების მკურნალობის მიზანია ანთებითი პროცესების შემცირება, პათოლოგიური პროცესების უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა პაროდონტის ქსოვილებში, გართულებების რისკის შემცირება და მკურნალობის შედეგად მიღწეული შედეგის, პაროდონტის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება, ორთოდონტიული კონსტრუქციის გამოყენების ვადისა და ხარისხობრივი რესურსის გაზრდა. მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატებით მკურნალობის დროს უარყოფითად იცვლება იმუნიტეტის მაჩვენებლის დინამიკა და პროსტაგლანდინი E-ს მნიშვნელობა, მაგრამ წყალტუბოს წყლით მკურნალობა, რომელიც გამოიხატება 7-10 დღიანი სავლებითა და ინჰალაციით, იწვევს პირველ სამ თვეში პაროდონტის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების შემცირებას და შემდგომ ჩაქრობას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ

ბრეკეტ-სისტემით 3-თვიანი მკურნალობის შედეგად სისხლში გამოვლინდა პროსტაგლანდინი E-ს დაახლოება საკონტროლო მონაცემებთან, რაც უნდა გულისხმომდეს წყალტუბოს წყლის დადებით გავლენას. დადგინდა, რომ იმუნურ, ჰორმონალურ და ბიოქიმიურ დარღვევებს აქვთ მეორადი კომპენსატორულ-ადაპტაციური ხასიათი, ხოლო წყალტუბოს წყლით მკურნალობა იწვევს ამ პროცესების ნიველირებას.

Jaba Adamia, Marine Nikolaishvili, Nato Mosemgvdlishvili

The prospects of searching for new methods of treatment of parodontic diseases in patients with unleash orthopedic structures

Summary

The problem of treating periodontic diseases in patients with orthodontic union structures is still relevant today, despite the large list of treatment of therapeutic and surgical methods. The purpose of the treatment of periodontal diseases in patients with orthodontic structures is to reduce inflammatory processes, eliminating the negative effects of pathological processes in periodontice tissues, reduced complications and maintain the results achieved as a result of treatment. The dynamics of immunity and prostaglandin E negatively changes during treatment with unpaid orthodontic machines, but as a result of the treatment of Cskalturo water, which is conducted for 7-10 days, the rinse with cascalum water and inhalation causes a decrease in inflammatory processes in the box fabric in the first place. three months. In the treatment of water purification, Cskalturo Prostlavdan has been closer to control data, which should be intended for the positive effects of Cskalturo water, 3 months after installed ordinary devices. It has been established that immune, hormonal and biochemical disorders have a secondary compensatory adaptive character, and the treatment of water Cskalturo causes the level of these processes.

[1]გიორგი გოგიშვილი [2]შალვა პეტრიაშვილი, [3]ნინო ნანობაშვილი,
[4]ნინო მეგრელიშვილი, [5]იამზე თაბორიძე
[1,3,4,5]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
[2]აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი
[1,3,4,5]David Aghmashenebeli University of Georgia;
[2]East-West Teaching University

Non-HDL ლიპოპროტეინების დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასება გულის იშემური დაავადებების მქონე 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში

გულის იშემიური დაავადების ქოლესტერინთან დაკავშირებული რისკი მეტწილად განპირობებულია ცალკეული ლიპიდური მახასიათებლებით, როგორიცაა ტოტალური ქოლესტერინი (TC), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (LDL) ქოლესტერინი და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებით (HDL)[1].

საერთო ქოლესტერინის (TC), ტრიგლიცერიდის (TG) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინის (LDL-C) კონცენტრაციების გაზრდა აღიარებულია, როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ფაქტორები, ხოლო მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინული ქოლესტერინის კონცენტრაცია (HDL) ითვლება კარდიოპროტექტორულად [2]. თუმცა, ქოლესტერინის ეროვნული სასწავლო პროგრამის მოზრდილთა სამკურნალო ჯგუფმა რეკომენდაცია მისცა სადიაგნოსტიკოდ არა-მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინის (non-HDL-C) გამოყენებას, რამდენადაც კვლევამ აჩვენა, რომ non-HDL-C სხვა ლიპიდურ პარამეტრებთან შედარებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული CVD– სთან[3].

არა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (non-HDL-C) ქოლესტერინის დონე არის ერთგვარი ინტეგრირებული მახასიათებელი, რომელიც იზომება მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (HDL) კომპონენტის გამოყოფით ქოლესტერინის საერთო კონცენტრაციიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, non--HDL-C შედგება ათეროგენული ნარჩენებისგან, მათ შორის ლიპოპროტეინი (ა), ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (VLDL), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (LDL) და შუალედური სიმკვრივის ლიპოპროტეინები (IDL). ეს მაჩვენებელი ცნობილია, როგორც ნაადრევი ათეროსკლეროზის, მიოკარდიუმის ინფარქტის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი პროგნოზული მახასიათებელი[1].

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო იზრდება მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ non-HDL-C-ის როლს გულსისხლძარღვთა რისკის შეფასების ეფექტურობაში. ჰიპოთეზის მიხედვით ითვლება, რომ non-HDL-C-ის დონემ შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ასახოს გულის იშემიური დაავადების რისკი, ვიდრე დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინის - (LDL-C)-ის დონემ. გარდა ამისა, non-HDL-C ფრაქციის დასადგენად, სისხლის აღების პირობებს არ აქვს მნიშვნელობა და გავლენას არ ახდენს მისი გაზომვის მაღალ სიზუსტეზე, კერძოდ, (ჩატარდა თუ არა ეს პროცედურა უზმოზე). უფრო მეტიც, მოზრდილთა დიდ რაოდენობას მაღალი non-HDL-C დონის დროს ნორმალური LDL-C-ის დონე აქვს. ამის მიუხედავად, ბევრი მათგანი აღნიშნავს კორონარული გულის განვითარების რისკის ისეთ ექვივალენტებს, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი და მეტაბოლური სინდრომი[4].

კვლევის მიზანია non-HDL-C-ის დონის დიაგნოსტიკური ღირებულების შესწავლა 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში.

მასალა და მეთოდები

კვლევაში მონაწილეობდა 107 ახალგაზრდა პაციენტი (18-დან 44 წლამდე), გულის იშემიური დაავადებით, რომლებიც მკურნალობდნენ წმინდა იოანე მოწყალეს პრივატ კლინიკის კარდიოლოგიურ განყოფილებაში. საშუალო ასაკი იყო (34,68± 6,2) წელი. საკონტროლო ჯგუფი იყო 199 ჯანმრთელი მოხალისე, გულსისხლძარღვთა დაავადებების გარეშე, 18-დან 44 წლამდე ასაკში, საშუალო ასაკი - (35,9 ± 5,2) წელი. ყველა პაციენტში შეფასდა ტრადიციული რისკფაქტორები, ჩატარდა სტანდარტული ზოგადი კლინიკური და ბიოქიმიური კვლევები. ავადმყოფებს უტარდებოდათ სისხლში ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების - საერთო ქოლესტერინი (TC), მაღალი სიმკვრივის ლიპიპროტეინების (HDL-C), დაბალი სიმკვრივის ლიპიპროტეინების ქოლესტერინის (LDL-C) და ტრიგლიცერიდების (TG), mmol/L გამოკვლევა შევისწავლეთ non-HDL-C =TC-HDL-C ინდექსის დიაგნოსტიკური ღირებულება

სტატისტიკური ანალიზი:

რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისას ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას. ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნობას რაოდენობრივი მაჩვენებლების შემთხვევაში ვადგენდით სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით, შედარებისას ვახდენდით დისპერსიების ტოლობის შეფასებას ლევენის მიხედვით (Levene's Test), მიღებული შედეგების მიხედვით ხდებოდა შესაბამისი t-კრიტერიუმის შერჩევა. Non-HDL-C ინდექსის მგრძნობელობა და სპეციფიურობა დადგინდა როკ-ანალიზის გამოყენებით

განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც $p<0.05$. მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 23–ის გამოყენებით.

შედეგები

ეტაპზე შევადარეთ ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები გიდით დაავადებულ პაციენტებსა და ჯანმრთელ მოხალისეებს შორის.(ცხრილი 1)

ცხრილი 1

ლიპიდური სპექტრის შეფასება გიდ-ით დაავადებულ პაციენტებსა და ჯანმრთელ მოხალისეებს შორის

	გიდ(107)	გიდის გარეშე (199)	t	p
TC mmol/L	5.21 ±1.28	4.65 ±1.23	3.73	0.0002
TG mmol/L	3.52 ±1.43	2.84 ±0.87	5.15	0.0000
LDL_C mmol/L	3.10 ±1.23	2.64 ±0.43	4.74	0.0000
HDL_C mmol/L	1.23 ±0.42	1.60 ±0.36	-7.81	0.0000
TC-HDL_C	3.99 ±1.25	3.05 ±1.30	6.20	0.0000

კვლევამ აჩვენა, რომ გიდ-ით დაავადებულ პაციენტებში, საკონტროლოსთნ შედრებით სარწმუნოდ არის მომატებული საერთო ქოლესტერინი Tchol და LDL და სარწმუნოდ ნაკლებია HDL.

აგრეთვე გიდ-ით დაავადებულ პაციენტებში, საკონტროლოსთნ შედრებით სარწმუნოდ არის მომატებული Non-HDL, რამაც საშუალება მოგვცა როკ ანალიზის საშუალებით შეგვედარებინა ამ ინდექსის მგძნობელობა და სპეციფიურობა (დიაგრამა1 და ცხრილი2)

დიაგრამაზე ჰორიზონტალურად იზომება მგძნობელობა, ხოლო ვერტიკალურად 1-სპეციფიურობა. რაც მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით მეტია ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულება.



დიაგრამა 1.

მრუდის ქვემოთ ფართობი=0.696±0.031, რაც გვიჩვენებს, რომ ტესტის ღირებულება დამაკმაყოფილებელია.

Non-HDL-ის ზღვრული მნიშვნელობა Cut of =2.89

Non-HDL -ის, როგორც სადიაგნოსტიკო ტესტის დიაგნოსტიკური მახასიათებლები მოცემულია 2 ცხრილში

ცხრილი 2

	მგრძნობელობა	სპეციფიურობა	დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულება	უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულება	დიაგნოსტიკური სიზუსტე
ფაქტორი	0.832	0.513	0.478	0.850	0.624
95%CI	0.761	0.443	0.407	0.786	0.570
	0.903	0.582	0.550	0.914	0.678

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვენს მიერ შესწავლილ პოპულაციაში ტესტი გამოირჩევა ძალიან კარგი მგრძნობელობით და დაბალი სპეციფიურობით, დაბალი დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულებით და ძალიან კარგი უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულებით, ხოლო დიაგნოსტიკური სიზუსტე დამაკმაყოფილებელია.

განხილვა:

ლიტერატურის მიხედვით non-HDL ქოლესტერინი ძლიერ ასოცირდება ასიმპტომურ პირებში კორონარული არტერიის კალციფიკაციასთან[5].

non – HDL ქოლესტერინი აჩვენებს გაუმჯობესებულ სიზუსტეს გულსისხლძარღვთა რისკის შეფასებისათვის დისლიპიდემიურ პოპულაციაში პირდაპირი ან გამოთვლილი LDL ქოლესტერინთან შედარებით[6]. უფრო მეტიც, non-HDL ქოლესტერინის კონცენტრაცია სისხლში მკაცრად ასოცირდება ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გრძელვადიან რისკთან[7] და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ASCVD მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ადრეული იდენტიფიკაციისთვის[8].

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში ტესტი აჩვენებს დამაკმაყოფილებელ დიაგნოსტიკურ ღირებულებას,

შესაბამისად, non-HDL-C გავლენა კლინიკურ პრაქტიკაში შეიძლება იყოს გიდ-ის რისკის დამატებითი მაჩვენებელი ახალგაზრდა პირებში.

დასკვნა:

45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში non-HDL ქოლესტერინი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც რისკის დამატებითი მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელი დიაგნოსტიკური სიზუსტით.

ლიტერატურა

1. Grundy SM, Stone NJ, Bailey AL, et al. AHA/ACC/ AACVPR/AAPA/ABC/ACPM/ADA/AGS/APhA/ ASPC/NLA/PCNA Guideline on the management of blood cholesterol: executive summary. Circulation 2018; 139(25): 1046–1081.
2. Nagao, M., Nakajima, H., Toh, R., Hirata, K. I., & Ishida, T. Cardioprotective effects of high-density lipoprotein beyond its anti-atherogenic action. *Journal of atherosclerosis and thrombosis*, 2018: RV17025.
3. Blaha MJ, Blumenthal RS, Brinton EA, et al. The importance of non-HDL cholesterol reporting in lipid management. J Clin Lipidol. 2008: 2:267-273.
4. Ghodsi, S., Meysamie, A., Abbasi, M., Ghalehtaki, R., Esteghamati, A., Malekzadeh, M. M., ... & Gouya, M. M. Non–high-density lipoprotein fractions are strongly associated with the presence of

metabolic syndrome independent of obesity and diabetes: a population-based study among Iranian adults. *Journal of Diabetes & Metabolic Disorders*, 2017:*16*(1), 1-13.

5. Orakzai, S. H., Nasir, K., Blaha, M., Blumenthal, R. S., & Raggi, P. Non-HDL cholesterol is strongly associated with coronary artery calcification in asymptomatic individuals. *Atherosclerosis*, 2009: *202*(1), 289-295.
6. van Deventer, H. E., Miller, W. G., Myers, G. L., Sakurabayashi, I., Bachmann, L. M., Caudill, S. P., ... & Remaley, A. T. Non–HDL cholesterol shows improved accuracy for cardiovascular risk score classification compared to direct or calculated LDL cholesterol in a dyslipidemic population. *Clinical chemistry*, 2011: *57*(3), 490-501.
7. Brunner, F. J., Waldeyer, C., Ojeda, F., Salomaa, V., Kee, F., Sans, S., ... & Koenig, W. Application of non-HDL cholesterol for population-based cardiovascular risk stratification: results from the Multinational Cardiovascular Risk Consortium. *The Lancet*, 2019: *394*(10215), 2173-2183.
8. Bermúdez, V., Torres, W., Salazar, J., Martínez, M. S., Rojas, E., Olivar, L. C., ... & Rojas-Quintero, J. Non-HDL cholesterol is better than LDL-c at predicting atherosclerotic cardiovascular disease risk factors clustering, even in subjects with near-to-normal triglycerides: A report from a Venezuelan population. *F1000Research*, 2019: *7*(504), 504.

რეზიუმე

გულის იშემიური დაავადების ქოლესტერინთან დაკავშირებული რისკი მეტწილად განპირობებულია ცალკეული ლიპიდური მახასიათებლებით, თუმცა, კვლევებმა აჩვენა, რომ non-HDL-C სხვა ლიპიდურ პარამეტრებთან შედარებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული გულის იშემიურ დაავადებასთან. არა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (non-HDL-C) ქოლესტერინის დონე არის ერთგვარი ინტეგრირებული მახასიათებელი, რომელიც იზომება მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (HDL) კომპონენტის გამოყოფით ქოლესტერინის საერთო კონცენტრაციიდან. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში non-HDL ქოლესტერინი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც რისკის დამატებითი მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელი დიაგნოსტიკური სიზუსტით.

საკვანძო სიტყვები: non-HDL ქოლესტერინი, მგრძნობელობა, სპეციფიურობა, დიაგნოსტიკური ღირებულება.

Giorgi Gogishvili, Shalva Petriashvili, Nino Nanobashvili, Nino Megrelishvili, Iamze Taboridze

Evaluation of Diagnostic Value of Non-HDL Lipoproteins in Georgian Population Under 45 Years of Age withnCoronary Heart Disease.

Summary

The risk of cholesterol-related ischemic heart disease is largely due to individual lipid profiles, however, studies have shown that non-HDL-C is more closely associated with ischemic heart disease than other lipid parameters. Non-high-density lipoprotein (non-HDL-C) cholesterol levels are a kind of integrated characteristic, measured by the separation of the high-density lipoprotein (HDL) component from the total cholesterol concentration. Our study showed that non-HDL cholesterol can be used in the Georgian population under the age of 45 as an additional risk factor with satisfactory diagnostic accuracy.

Keywords: Non-HDL Cholesterol, Sensitivity, Specificity, Diagnostic Value.

[1]მიხეილ გორშკოვი, [2]ნუგზარ ელიზბარაშვილი, [3]ლუხუმ ჭანტურია,
[4]ოთარი გაფრინდაშვილი [5]იამზე თაბორიძე
[1,2,5] საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
[3]ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი; [4]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
[1,2,5]David Aghmashenebeli University of Georgia; [3]New Vision University;
[4]Tbilisi State Medical University

ღრმა ოსცილაციის გამოყენება მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდგომ კომპლექსურ რეაბილიტაციასა და მკურნალობაში

კოკსართროზი წარმოადგენს ერთ – ერთი ძირითად ქრონიკულ დაავადებას და ტკივილისა და ინვალიდობის ძირითად მიზეზს მოზრდილებში [1]. ქართულ პოპულაციაში მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიური პათოლოგია წარმოადგენს სამხარეო პათოლოგიას[2], რაც იწვევს უფროს ასაკში კოკსართროზის მაღალ სიხშირეს. კოკსართროზის მქონე ადამიანებს უჭირთ ფუნქციონალური საქმიანობა, აგრეთვე ახასიათებთ დეპრესიისა და შფოთვის მაღალი ხარისხი[3]. მძიმე შემთხვევებში - II-III ხარისხის კოკსართროზის დროს არჩევის მეთოდს წარმოადგენს ტოტალური ენდოპროტეზირება [4.5]. ტოტალური ართროპლასტიკა ასევე ჩვეულებრივი ორთოპედიული პროცედურაა ბარძაყის ყელის მოტეხილობის დროს ხანდაზმულ პაციენტებში [6]. ტოტალური ართროპლასტიკის შემდეგ რეაბილიტაციის დაწყება რეკომენდებულია 24 საათის შემდეგ [7].

სისტემურმა მიმოხილვებმა შეაფასეს ფიზიოთერაპიის ჩარევის ეფექტურობა THR– ის შემდეგ; თუმცა მცირეა იმ ნაშრომთა რაოდენობა, რომლებიც განიხილავენ ღრმა ოსცილაციის როლს მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდეგ.

კოკსართროზის პროგრესირებასთან ერთად პაციენტს უყალიბდება კომპენსაციური მექანიზმები, რაც გამოიხატება მყესების, იოგების ახალ ფუნქციურ რეჟიმში გადართვაში, იცვლება ადამიანის ორთოსტატიკური მდგომარეობა, რაც კომპენსაციურ ხასიათს ატარებს, ენდოპროთეზირების შემდეგ საჭირო ხდება ამ კომპენსაციის დარღვევა და ახალი მოტორულ-ვისცერალური რეფლექსების გამომუშავება, ახალი სტერეოტიპების ჩამოყალიბება. პროთეზის სტაბილური ფიქსაციისას, როგორც ცემენტიანი, ისე უცემენტო პროთეზირების შემთხვევაში, კიდურის სრულად დატვირთვა შესაძლებელია უშუალოდ ოპერაციის შემდეგაც, მაგრამ პაციენტთა უმრავლესობას არ აქვს საჭირო სტაბილურობა, კუნთოვანი ტონუსი, სწორად სიარულისათვის [8].

ართროსკოპიის შემდეგ რეაბილიტაცია პროცედურის კლინიკური შედეგის განუყოფელი კომპონენტია [9]. პოსტოპერაციული რეაბილიტაციის მიზანია სახსრის უმტკივნეულო ფუნქციის დაბრუნება [10].

DEEP Oscillation® (ღრმა ვიბრაცია) არის ელექტრომექანიკური პროცედურა ღრმა თერაპიის ინსტრუმენტებით OSCILLATION® EVIDENT და DEEP OSCILLATION® PERSONAL (Physiomed, გერმანია), რომელიც საშუალებას იძლევა შექმნათ პულსირებადი ელექტროსტატიკური ველი ხელის აპლიკატორსა და დასამუშავებელ ქსოვილს შორის.

ელექტროსტატიკური ველი, შემაერთებელი ქსოვილის დონეზე, წარმოქმნის ინტენსიურ რეზონანსულ ვიბრაციას და ამ ფენომენის განმეორება სწრაფად თანმიმდევრულად იწვევს ქსოვილის (კანის, შემაერთებელ და კუნთების) რიტმულ დეფორმაციას. შედეგად მიღებული

ეფექტი მოიცავს მიკროცირკულაციის გაუმჯობესებას, ქსოვილების უკეთეს კვებას, უჯრედული მეტაბოლიზმის გაძლიერებას, უფრო სწრაფად შეხორცებას. გააჩნია შეშუპების საწინააღმდეგო, ლიმფური დრენაჟის, ანტიფიბროზული და დეტოქსიკაციური თვისებები, ხელს უწყობს ღია ჭრილობების სწრაფ შეხორცებას, ტკივილის შემსუბუქებას და შეშუპების შემცირებას, კოლაგენის სტიმულირებას და ქსოვილების რეგენერაციას [11,12].

კვლევის მიზანია მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდეგ ფიზიოთერაპიის ჩარევის კლინიკური ეფექტურობის შესწავლა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას კლინიკური პრაქტიკისა და პაციენტის გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მასალა და მეთოდები: შესწავლილ იქნა 85 პაციენტი სარეაბილიტაციო ცენტრის "არენა 2-ის" კონტინგენტიდან ენდოპროტეზირების შემგომი რეაბილიტაციის პერიოდში, რომელთაც ჩაუტარდათ კომპლექსური მკურნალობა ჩვენს მიერ შემუშავებული სქემით - ტრადიციულ მკურნალობაში ღრმა ოსცილაციის ჩართვით. საკონტროლოდ გამოყენებულ იქნა 80 პაციენტის კლინიკური მასალა, რომელთაც რეაბილიტაცია ჩაუტარდათ ტრადიციული მეთოდებით.

მკურნალობის სპექტრი მოიცავდა: ანესთეზიის პროცედურებს, თეძოს სახსრის კუნთების ძალის ვარჯიშს, საკოორდინაციო ვარჯიშებს, ერგომეტრზე ვარჯიშს, სამედიცინო ფიზკულტურას და ფიზიოთერაპიას.

ექსპერიმენტულ ჯგუფში ჩატარდა დამატებითი ღრმა ოსცილაციით მკურნალობა პორტატული DEEP OSCILLATION® PERSONAL მოწყობილობების გამოყენებით. ინდივიდუალური მკურნალობა გრძელდებოდა 18 წუთის მანძილზე და ტარდებოდა დღეში ერთხელ - ყოველდღიურად, 15-დან 20 ერთეულამდე. გამოიყენებოდა სამკურნალო პროგრამა, რომელიც წინასწარ იყო დაპროგრამებული სპეციალურ სამკურნალო ბარათებზე. სიხშირე შეადგენდა 160 ჰერცს (8 წუთი) და 60 ჰც (10 წუთი), ნაოპერაციები ფეხის სტანდარტიზებული მკურნალობა ჩატარდა ლიმფური დრენაჟის მოძრაობის მიმართულებით.

კინეზოთერაპიის პროგრამა მოიცავდა ნაოპერაციები ფეხის მკურნალობას შეშუპების საწინააღმდეგოდ, კუნთოვანი სისტემის პასიური და აქტიური ვარჯიშებისა და სახსრების მობილიზაციის მეთოდებით, კუნთების გასაძლიერებლად, აგრეთვე თეძოს სახსარში მოძრაობის დიაპაზონის გასაზრდელად.

მკურნალობის შედეგები შეფასდა ჰარისის სკალის 100 ბალიანი სისტემით, ხოლო კვლევის შედეგები - მტკიცებითი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ შეფასდა გამოსავლის ფარდობითი რისკი (RR), არაკეთილსაიმედო შედეგის ფარდობითი(RRR) და ატრიბუტული რისკის (ARR) შემცირება, იმ ავადმყოფთა რაოდენობა, რომელთაც უნდა ვუმკურნალოთ, ერთი დადებითი შედეგის მისაღებად (NNT). ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასება მოხდა χ^2 კრიტერიუმით.

შედეგები:

ჩვენმა კვლევამ აჩვენა სარწმუნო განსხვავება მკურნალობის შედეგებს შორის საკონტროლო და საკვლევ ჯგუფს შორის (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მკურნალობის შედეგების შეფასება ჰარისის სკალის მიხედვით

		საკვლევი ჯგუფი		საკონტროლო ჯგუფი			
შეფასება	**ქულა**	n	%	n	%	χ^2	p
ცუდი	<70	1	1.18	13	16.25	12.06	<0.005
საშუალო	70-79	6	7.06	15	18.75	5.07	<0.05
კარგი	80-90	14	16.47	20	25.00	1.83	>0.05
ძალიან კარგი	>90	64	75.29	32	40.00	21.10	<0.0001

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკვლევ ჯგუფში სარწმუნოდ ნაკლებია ცუდი და საშუალო შედეგის სიხშირე და სარწმუნოდ მეტია ძალიან კარგი შედეგის სიხშირე.

მკურნალობიდან 6 თვის შემდეგ ცუდი შედეგი - ჰარისის სკალით 70 ქულაზე ნაკლები აღენიშნეოდა 1 პაციენტს, მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფში ასეთი იყო 12 შემთხვევა.

ცუდი შედეგის ფარდობითი რისკის შეფასება მოცემულია 2 ცხრილში

ცხრილი 2

ცუდი შედეგის ფარდობითი რისკის შეფასება

	ფარდობითი რიკი	ფარდობითი რიკის შემცირება	აბსოლუტური რიკის შემცირება	პაციენტთა რაოდენობა, რომელთა მკურნალობა საჭიროა 1 დადებითი შედეგის მისაღებად
	RR	RRR	ARR	NNT
შეფასება	0.07	0.94	0.15	6.63
95%CI	0.01	0.46	0.07	4.26
	0.54	0.99	0.23	14.99

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, ღრმა ოსცილაციის ჩართვა ენდოპროტეზირების შემდგომი რეაბილიტაციის კურსში აუმჯობესებს მკურნალობის შედეგებს, ამცირებს ცუდი შედეგის ფარდობით რისკს.

განხილვა

ართროპლასტიკის შემდგომი რეაბილტაცია წარმოადგენს მკურნალობის განუყოფელ კომპონენტს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი ლიტერატურული წყარო, რომელიც მიუთითებს ოპერაციის შემდგომი რეაბილტაციის აუცილებლობაზე მენჯ-ბარძაყის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდეგ, მწირია ინფორმაცია ამ მიზნით ღრმა ოსცილაციის მეთოდის გამოყენების შესახებ. ქართულ სამეცნიერო სივრცეში ასეთი ინფორმაცია არ იძებნება.

ჩატარებული კვლევები აჩვენებენ ღრმა ოსცილაციის მნიშვნელოვან ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს. ამასთან, ღრმა ოსცილაციის ზემოქმედების ზუსტი ფიზიოლოგიური ეფექტები ჯერ კიდევ ბოლომდე გააზრებული არ არის [13].

ჩვენს მიერ ენდოპროტაზირების შემდგომ პერიოდში რეაბილიტაციის პროგრამაში ღრმა ოსცილაციის ჩართვამ აჩვენა რეაბილიტაციის ხანგრძლივობის შემცირება და სახსარში მოძრაობის პარამეტრების გაუმჯობესება [14].

წინამდებარე კვლევის მიხედვით, ენდოპროტაზირების შემდგომ რეაბილიტაციის პროგრამაში ღრმა ოსცილაციის ჩართვა აუმჯობესებს სახსრის ფუნქციას, მცირდება ცუდი შედეგის ფარდობითი და ატრიბუტული რისკი და იმ პაციენტთა რაოდენობა, რომელღა მკურნალობა საჭიროა ერთი დადებითი შედეგის მისაღებად

დასკვნა

ენდოპროტაზირების შემდგომ პერიოდში რეაბილიტაციის პროგრამაში ღრმა ოსცილაციის ჩართვა ამუჯობესებს მკურნალობის შედეგებს.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია გაღრმავდეს კვლევები ტოტალური ართროპლასტიკის შემდგომ კომპლექსურ რეაბილიტაციაში ღრმა ოსცილაციის მეთოდის ჩართვის გამოყენების შესახებ.

ლიტერატურა

1. Johnson VL, Hunter DJ (2014) The epidemiology of osteoarthritis. Best Pract Res Clin Rheumatol 28(1):5–15
2. Лордкипанидзе Э., Какауридзе М., Аладашвили Л., Таборидзе И.Гудушаури М. Шенгелия М.Этиология и патогенез диспластической патологии тазобедренного сустава. Монография.Тбилиси1998. 275 с.
3. Murphy LB, Sacks JJ, Brady TJ, Hootman JM, Chapman DP (2012) Anxiety and depression among US adults with arthritis: prevalence and correlates. Arthritis Care Res 64(7):968–976
4. Kremers HM, Larson DR, Crowson CS, Kremers WK, Washington RE, Steiner CA, Berry DJ (2015) Prevalence of total hip and knee replacement in the United States. J Bone Jt Surg (American volume) 97(17):1386
5. Ferguson, R. J., Palmer, A. J., Taylor, A., Porter, M. L., Malchau, H., & Glyn-Jones, S. (2018). Hip replacement. *The Lancet*, *392*(10158), 1662-1671.
6. Wolf, O., Sjöholm, P., Hailer, N. P., Möller, M., & Mukka, S. (2020). Study protocol: HipSTHeR-a register-based randomised controlled trial–hip screws or (total) hip replacement for undisplaced femoral neck fractures in older patients. *BMC geriatrics*, *20* (1), 19.
7. Labraca, N.S., Castro-Sánchez, A.M., Matarán-Penarrocha, G.A., Arroyo-Morales, M., Sánchez-Joya, M.D.M. and Moreno-Lorenzo, C., 2011. Benefits of starting rehabilitation within 24 hours of primary total knee arthroplasty: randomized clinical trial. *Clinical rehabilitation*, *25*(6), pp.557-566.
8. ნოზაძე თ., კაციტაზე თ. კოკსართროზი. თბილისი. 2009. 634 გვ.
9. Grzybowski, J. S., Malloy, P., Stegemann, C., Bush-Joseph, C., Harris, J. D., & Nho, S. J. (2015). Rehabilitation following hip arthroscopy–a systematic review. *Frontiers in surgery*, *2*, 21.
10. Voight, M. L., Robinson, K., Gill, L., & Griffin, K. (2010). Postoperative rehabilitation guidelines for hip arthroscopy in an active population. *Sports Health*, *2*(3), 222-230
11. Gasbarro V, Bartoletti R., TsolakiE. et al. Ruolodell`oscilazioneprofonda (HIVAMAT® 200) neltrattamentofi sicodellinfedemadegliarti. La medicinaestetica, 30, 2006, 473-478.
12. Kraft, K., Kanter, S., & Janik, H. (2013). Safety and effectiveness of vibration massage by deep oscillations: a prospective observational study. *Evidence-Based Complementary and Alternative Medicine*, *2013*.
13. Aliyev, R., Mikus, E., & Reinhold, J. (2008). Hochsignifikante Therapieerfolge mit DEEP OSCILLATION in der orthopädischen Rehabilitation. *Orthopädische Praxis*, *44*, 448-453.
14. Gorshkov[1] M., Elizbarashvili N., Chanturia L., Taboridze I. Assessment of movement in the joint after hip replacement with the including of deep oscillation in postoperative rehabilitation Gulustan black sea scientific journal of academic research 2020. 55(4). 4-9

რეზიუმე

კოკსართროზი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ქრონიკულ დაავადებას და ტკივილისა და ინვალიდობის ძირითად მიზეზს მოზრდილებში. II-III ხარისხის კოკსართროზის დროს არჩევის მეთოდს წარმოადგენს ტოტალური ენდოპროტეზირება. ტოტალური ართროპლასტიკის შემდეგ რეკომენდებულია რეაბილიტაციის დაწყება ჩვენს მიერ მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების შემდეგ ღრმა ოსცილაციის გამოყენების

კლინიკური ეფექტურობის შესწავლამ აჩვენა, რომ რეაბილიტაციაში ღრმა ოსცილაციის ჩართვა ამცირებს ცუდი შედეგის ფარდობით რისკს და აუმჯობესებს მკურნალობის შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: ღრმა ოსცილაცია, მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირება, ჰარისის სკალა.

Mikhael Gorshkov, Nugzar Elizbarashvili, Lukhum Chanturia, Otari Gaphrindashvili, Iamze Taboridze

Use of deep oscillation in complex rehabilitation and treatment after total pelvic-femoral endoprosthesis

Summary

Coxarthrosis is one of the major chronic diseases and a major cause of pain and disability in adults. Total endoprosthesis is the method of choice for II-III degree coxarthrosis. It is recommended to start rehabilitation after total arthroplasty. A study of the clinical efficacy of using deep oscillation after total pelvic-femoral endoprosthesis by us has shown that the involvement of deep oscillation in rehabilitation reduces the relative risk of poor outcome and improves treatment outcomes.

Key words: deep oscillation, hip arthroplasty, Harris scale, RR, NNT.

[1]რუსუდან კვანჭახაძე, [2]მანონი ფანჩულიძე, [3]თამარ ბაკურაძე, [4]ეკა ბალანჩივაძე
[1]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, [2]საქართველოს უნივერსიტეტი, [3,4]საქართველოს დიაბეტური ნეიროპათიის ასოციაცია
[1]David Aghmashenebeli University of Georgia, University of Georgia,
[3,4]Georgian Diabetic Neuropathy Association

ნაცნობი და უცნობი ფაქტები ვიტამინ D -ს შესახებ

D ვიტამინის უკმარისობასთან დაკავშირებით არსებობს დინოზავრების გადაშენების იუმორისტული ვერსია, რომლის თანახმადაც, დინოზავრების სიკვდილს რაქიტი იწვევდა, რომელიც გამოწვეული იყო მზის სხივების ნაკლებობით, შესამაბისად, D ვიტამინის უკმარისობით. ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ჰეროდოტე (484-425 წ.წ. ძვ. წ-ით) მოგვითხრობს: ძველ დროს ომებში დახოცილი ეგვიპტელი მეომრების თავის ქალის სიმკვრივე უფრო მკაფიო იყო, D ვიტამინის შესწავლის ისტორია იწყება უძველესი პერიოდიდან, როდესაც ისტორიულ წყაროებში აღიწერებოდა ბავშვებში რაქიტის დაავადება, დაკავშირებული ვიდრე სპარსელი მეომრებისა, რაც აიხსნებოდა იმით, რომ იმ პერიოდში ეგვიპტელები, განსხვავებით სპარსელებისაგან, არ ატარებდნენ თავსაბურავს მზის სხივებისაგან დასაცავად. აღნიშნული ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს მზის სხივების დადებით გავლენას ძვლის სიმკვრივეზე.

რაქიტის შესახებ ცნობები შემონახულია რომაელი ფილოსოფოსისა და ექიმის, გალენის (131-201 წ.წ.) ნაშრომებში, რომელთა თანახმად, ძველ რომში ბავშვების უმრავლესობას ჰქონდა ფეხებისა და ხერხემლის დეფორმაცია, რაც თითქოს უკავშირდებოდა სიარულის ნაადრევად დაწყებას, თუმცა აღნიშნული მოვლენა, შესაძლოა, სწორედ D ვიტამინის დეფიციტთან ყოფილიყო დაკავშირებული, გარდა ამისა, გალენის ისტორიულ ნარკვევებში პირველად იყო აღწერილი რაქიტული ფორმის ძვლები. რაქიტით იყვნენ დაავადებულნი ფლორენციის მმართველი მედიჩების შვილები. სიმდიდრე და ძალუფლება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დაეცვათ შვილები ამ დაავადებისაგან. ძვლების დეფორმაცია და მასთან დაკავშირებული გართულებები შუა საუკუნეებში ითვლებოდა ღარიბების დაავადებად, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გავლენიანი ფლორენციელი დისტანციის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მათი შთამომავლობა ჯანმრთელი ყოფილიყო, რაქიტი დიდ განსაცდელად მოევლინათ, მიზეზი კი მარტივი იყო: კარჩაკეტილობა და მზის სხივების დეფიციტი (5).

რაქიტი პირველად ფ. გლისონმა აღწერა 1650 წელს. მე -18 საუკუნეში მსოფლიო ჩონჩხის დეფორმაციებს სხვადასხვა ხელსაწყოთი ებრძოდა, მე-19 საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ფრანგმა ექიმმა ტრუსომ თავის მონოგრაფიაში მადეფორმირებელ რაქიტთან ბრძოლა თევზის ქონით შემოგვთავაზა. ტრუსოს რეცეპტს მე-20 საუკუნეშიც არ დაუკარგავს აქტულობა. პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ბრიტანელი ჯარისკაცების ყოველდღიურ რაციონში, რომელსაც ხუმრობით „თხრილის“ რაციონს უწოდებდნენ, შედიოდა თევზი და თევზის ქონი. ამერიკელმა მკვლევრებმა ელმერ მაკ-კოლუმ და მარგარიტ დევისმა 1914 წელს ვირთევზას ღვიძლის ქონში აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც შემდგომში A ვიტამინად იწოდებოდა. ბრიტანელმა ექიმმა ედუარდ მელანბიმ შეამჩნია, რომ ძაღლებს, რომლებიც ვირთევზას ღვიძლის ქონით იკვებებოდნენ არ უვითარდებოდათ რაქიტი და ივარაუდა A ვიტამინის

კავშირი ამ ფაქტთან. 1922 წელს ტესტი ჩაუტარა A ვიტამინ გამოცლილ ვირთევზას ქონს. მოდიფიცირებულმა ქონმა განკურნა დაავადებული ძაღლები, რის საფუძველზეც მაკ-კოლუმ დაასკვნა, რომ რაქიტისგან ძაღლებს არა A ვიტამინი, არამედ სხვა ნივთიერება იცავდა. მან ამ ნივთიერებას D ვიტამინი უწოდა, რადგან მეოთხე იყო აღმოჩენილ ვიტამინებს შორის. მალევე გახდა ცნობილი, რომ D ვიტამინის სინთეზი ადამიანს შეუძლია ულტრაიისფერი გამოსხივების დახმარებით. 1936 ვინდაუსის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ვიტამინი D და ამ მიღწევის გამო ნობელის პრემია მიიღო.

მსოფლიოში დაახლოებით 1 მილიარდ ადამიანს აქვს ვიტამინ D-ს დეფიციტი და ძირითადად აღინიშნება მოხუც, სიმსუქნის პრობლემით და ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში. ვიტამინ D-ს დეფიციტი ასაკის მიუხედავად სიმსუქნით პაციენტებში 35%-ით მაღალია ჯანმრთელებთან შედარებით. აშშ-ში მოხუცებულთა სახლებისა და ჰოსპიტალიზირებული პაციენტების 60%-ს აქვს აღნიშნული პრობლემა. ვიტამინ D-ს დეფიციტის მაღალი გავრცლებაა ირანში, თურქეთში და ინდოეთში (90%), პალესტინაში, ბანგლადეშში (80%), აშშ-ში აფროამერიკელი წარმოშობის (47%) და კავკასიაში (56%) მცხოვრებ ბავშვებში. გენდერული თვალსაზრისით ქალებს უფრო მეტად აქვთ აღნიშნული პათოლოგია, განსაკუთრებით კლიმაქსის პერიოდში და მის შემდეგ.

დღესდღეობით საქართველოში D-ის დეფიციტის შესახებ არ არის ჩატარებული პოპულაციური კვლევა, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაჯამდეს მონაცემები D ვიტამინის დეფიციტის შესახებ გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში, თუმცა 2018-2019 წლებში საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში აშშ-ის ატლანტის დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად მიმდინარეობდა კოლაბორაციული პროექტი „მიკრონუტრიენტთა დეფიციტის ზედამხედველობის გაძლიერება საქართველოში". პროექტის მიზანი იყო ნუტრიციული ზედამხედველობის ეფექტური სისტემის ფორმირება და მიკრონუტრიენტთა დეფიციტის შესახებ საბაზისო ინფორმაციის მოპოვება. შერჩეულ 4 რეგიონში: თბილისი, კახეთი (ლაგოდეხი), აჭარა (ბათუმი) და სამეგრელო (მარტვილი), შესწავლილი იყო 5 ნუტრიციული სტატუსის ინდიკატორი: რკინა, კალციუმი, ვიტამინი D, ფოლატი და იოდი. D ვიტამინის ნაკლებობა დაფიქსირდა გამოკვლეულ ბავშვთა დაახლოებით 32%-ში, კალციუმის დეფიციტი დაახლოებით 18%-ში. რაქიტის ნიშნები გამოვლინდა 1 დან 2 წლამდე ასაკის ბავშვთა 32%-ში.

D ვიტამინი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ „მზის ვიტამინს", მზის ულტრაიისფერი სხივების დახმარებით წარმოიქმნება კანში, D ვიტამინი შედის ადამიანის ორგანიზმში სხეულის ზედაპირიდან და ღვიძლსა და თირკმელებში გარდაიქმნება აქტიურ ფორმაში. ცნობილია, რომ კვირაში ორჯერ-სამჯერ 5-10 წუთით მზის აბაზანების მიღება საკმარისია იმისათვის, რომ ორგანიზმმა გამოიმუშავოს D ვიტამინის ადეკვატური რაოდენობა. თუმცა ვიტამინ D-ს მარაგი ძალიან მალე იწურება, განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე. ვიტამინი D წარმოადგენს არა მარტო ვიტამინს, ის ასევე არის პროჰორმონი. მზის სხივების ზემოქმედების გარდა, ორგანიზმში ვიტამინი D ასევე ხვდება საკვების გზით. D ვიტამინის საუკეთესო საკვები საშუალებებია: ცხიმიანი ქაშაყი, გველთევზა, სკუმბრია, თინუსი, ორაგული, ღვიძლი, ხბოს ხორცი, ავოკადო, კვერცხი, სოკო და სხვ.

D ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ფუნქციონირებაში. კერძოდ: მონაწილეობს კალციუმისა და ფოსფორის ცვლაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ნორმალურ მუშაობაში. ვიტამინ D-ს ნაკლებობა რჩება რაქიტის მთავარ მიზეზად ბავშვებში, რადგან დედის რძე შეიცავს მცირე

რაოდენობით D ვიტამინს და ზოგ შემთხვევაში, ამას ემატება კლიმატური თავისებურებების გამო ბავშვების შემცირებული ექსპოზიცია მზეზე.

მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში ვიტამინი D-ს დეფიციტმა შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული დაავადებები. აღნიშნული ვიტამინის ნაკლებობისა და მისი მეტაბოლიზმის დარღვევის შედეგად ძვლები რბილი და მტვრევადი ხდება, ვითარდება პარათირეოიდული ჯირკვლების ჰიპერფუნქცია, რის გამოც შესაძლებელია ოსტეოკლასტების აქტივობის გაზრდა, ძვლის ქსოვილის განლევა და ოსტეოპოროზის განვითარება. D ვიტამინის ნაკლებობით გამოწვეულ ერთ-ერთ საყურადღებო დაავადებას წარმოადგენს ოსტეომალაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვლების დარბილება, რაც განაპირობებს ხერხემლის შესამჩნევ მოდრეკვას, პროქსიმალური კუნთების სისუსტეს, ძვლის მსხვრევადობას და მოტეხილობების გაზრდილ რისკს. ოსტეომალაციისას შემცირებულია კალციუმის შეთვისება და გაზრდილია მისი გამოთავისუფლება ძვლებიდან, სწორედ ამიტომ იზრდება მოტეხილობების რისკი. ეს მდგომარეობა ხშირად მაშინ აღინიშნება, როდესაც 25-ჰიდროქსიქოლეკალციფეროლის კონცენტრაცია სისხლში 10 ნგ/მლ-ზე ნაკლებია. ფიქრობენ, რომ ოსტეომალაცია ხელს უწყობს ქრონიკული ძვალკუნთოვანი ტკივილების განვითარებას.

დღეს სულ უფრო დიდი ყურადრება ექცევა ვიტამინი D-ს არაძვლოვანი ეფექტების შესწავლას, კერძოდ ბოლოდროინდელი რეიტინგული პუბლიკაციების მიხედვით აღწერილია D ვიტამინის ბიოლოგიური თვისებები, თუ როგორ მონაწილეობს აღნიშნული ვიტამინი და ჰორმონი მრავალი მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური და პათფიზიოლოგიური ფუნქციების რეგულირებაში.

ბოლო წლების ობსერვაციულმა და ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სიმსივნით გამოწვეული დაავადებები იზრდება ეკვატორთან პაციენტების საცხოვრებელი ადგილის დაშორებასთან ერთად. სხვადასხვა სახის კიბოს მკურნალობის საუკეთესო შედეგები ზაფხულში უფრო მაღალია, ვიდრე ზამთარში, ცნობილია, რომ D ვიტამინი ბირთვული ტრანსკრიფციული ფაქტორია, რომელიც არეგულირებს უჯრედების ზრდას, დიფერენცირებას, აპოპტოზს, დადგინდა, რომ 25(OH)D ჰიდროქსილირდება მრავალ უჯრედში აქტიური ფორმით 1,25(OH)2D, რომელიც მოქმედებს ლოკალურად, აინდუცირებს უჯრედების დიფერენცირებას და ანგიოგენეზს, და ამავდროულად ახშობს უჯრედების ინვაზიურ ზრდას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მიმოხილვა D ვიტამინის და კიბოს დაავადებათა შორის კორელაციის შესახებ. მიღებულია შედეგები მიხედვით, ძუძუს, კუჭის, საშარდე გზების, შარდის ბუშტის, თირკმელის, მსხვილი ნაწლავის, ენდომეტრიუმის, საკვერცხეების, საყლაპავის კიბოს და ხოჩკინის და არახოჩკინის ლიმპომების განვითარებაში ერთ-ერთ რისკის ფაქტორს წარმოადგენს ვიტამინი D-ს დეფიციტი.

ასევე მრავალრიცხოვანი კვლევებით ნაჩვენებია D ვიტამინის უკმარისობის უარყოფითი გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზეც. დადგინდა კავშირი 25(OH)D-სა და ჰიპერტენზიას, კორონარული არტერიების კალციფიკაციას, გულის დაავადებების ახალ შემთხვევებსა და სიხშირეს შორის. ასევე მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების სიხშირესა და პლაზმის 25(OH)D-ის დონეს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულების არსებობა.

D ვიტამინის ნორმალური კონცენტრაცია ამცირებს დიაბეტის განვითარების რისკს. კერძოდ, კუჭქვეშა ჯირკვლის ბეტა უჯრედების ზედაპირზე არსებობს ადგილები, რომელთაც უკავშირდება ვიტამინი D-ს აქტიური ფორმა და შემდეგ უზრუნველყოფს ინსულინის გამოყოფას. როდესაც საკვები შეიცავს დიდი რაოდენობით ნახშირწყლებს, ვიტამინი D არ მოქმედებს ე.წ. ბაზალურ ინსულინზე. ინსულინის გამოყოფის პროცესი დამოკიდებულია Ca-

ზე, რომლის ცვლაც შეუძლებელია ვიტამინ D-ს გარეშე. იმისათვის რომ საკვებში არსებული Ca შეიწოვოს კუჭსა და წვრილ ნაწლავში, საჭიროა საკმარისი რაოდენობით ვიტამინ D-ს არსებობა. ვიტამინი D აუმჯობესებს ქსოვილების (მაგ. კუნთოვანი და ცხიმოვანი) მგრძნობელობას ინსულინის მიმართ როგორც დამოუკიდებლად, ისე Ca-ის მონაწილეობით. შესაბამისად გლუკოზის დონე მაღალი კონცენტრაციით ნარჩუნდება უფრო ხანმოკლე დროით და დიაბეტის კომპენსაციის მაჩვენებლები უმჯობესდება. ვიტამინ D-ს საკმარისი რაოდენობა ორგანიზმში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეხმარება წონის კლებას, ის მოქმედებს ჰორმონ ლეპტინის დონეზე, აუმჯობესებს გაძღომის გრძნობას და აკონტროლებს ცხიმის დაგროვებას. ვიტამინ D-ს დეფიციტი კორელირდება სისტოლური წნევის, წელის გარშემოწერილობის მომატებასთან და მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინის დაქვეითებასთან. 25(OH)D-ს არასაკმარისი რაოდენობა (50 ნმოლ/ლ-ზე ქვევით) ორსულებში ზრდის გლიკირებული ჰემოგლობინის (HbA1c), პარათჰორმონის, უზმოზე გლუკოზის, ინსულინის დონეს.

ვიტამინ D-ს დეფიციტი ზრდის აუტოიმუნური დაავადებების (მათ შორის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1) რისკს. პათოგენეზში წამყვანს წარმოადგენს ბეტა-უჯრედების დესტრუქცია, ვიტამინ D აინჰიბირებს T უჯრედების პროლიფერაციას და აქვეითებს ციტოკინების, T ჰელპერების წარმოქმნას, შესაბამისად ამცირებს აუტოიმუნურ პროცესებს. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დებიუტის სიხშირის ანალიზმა გამოავლინა, რომ ბავშვები ახლად დასმული დიაგნოზით სტაციონარში ხვდებოდნენ გაზაფხულზე, როდესაც სისხლის შრატში 25(OH)D მინიმალური იყო. ბავშვებში დიაბეტური კეტოაციდოზის სიმძიმის ხარისხი დამოკიდებულია ვიტამინ D-ს კონცენტრაციაზე. ფინეთში ჩატარებულ კოჰორტულ კვლევაში მონაწილეობდა 10 821 ბავშვი. მათ აძლევდნენ ვიტამინ D დოზით 2000 IU/d და ამით შემცირდა ტიპი 1 დიაბეტის რისკი დაახლოებით 78%-ით, მაშინ როდესაც ბავშვებში, რომელთაც ემუქრებათ რაქიტი, დიაბეტი ტიპი 1-ის განვითარების რისკი 3-ჯერ უფრო მაღალი იყო.

აღმოჩენილია, რომ D ვიტამინის რეცეპტორების დიდი რაოდენობა არის თავის ტვინში და ითვლება, რომ სწორედ მისი მაღალი დონეა აუცილებელი ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, ზოგიერთი კვლევის თანახმად არსებობს გარკვეული კავშირი დიჰიდროქსივიტამინ D-ს (25(OH)D) დონესა და დეპრესიას შორის ჭარბწონიან სუბიექტებში, კერძოდ, ინდივიდები, რომელთაც D ვიტამინის დონე ნაკლები აქვთ, უფრო მეტად დეპრესიულები არიან სისხლში D ვიტამინის მაღალი კონცენტრაციის შემცველ ინდივიდებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, მაღალი დოზებით D ვიტამინის ხელოვნურად მიწოდებამ შეამსუბუქა ინდივიდების დეპრესიული მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ ფიბრომიალგიით დაავადებულ ინდივიდებს, რომელთაც ასევე აქვთ D ვიტამინის ნაკლებობაც, უფრო მეტად ახასიათებთ დეპრესია და შფოთვა, ვიდრე D ვიტამინის ნორმალური შემცველობის მქონე ფიბრომიალგიან პაციენტებს.

საინტერესოა D ვიტამინის გავლენა ტვინის განვითარებაზე: მისი მეშვეობით ხდება უჯრედების ზრდა, ნეირონური დიფერენცირება, აქსონალური კავშირების, ნეიროტრანსმისიული ფუნქციის, ტვინის სტრუქტურის, სწავლის უნარის, მეხსიერების გაუმჯობესება. ასევე ახდენს ნეიროპროტექციის და ნეიროპლასტიურობის პროცესების გააქტიურებას, არეგულირებს კატექოლამინების დონეს, ხელს უწყობს აცეტილქოლინის, სეროტონინის და დოფამინის სინთეზს. D ჰიპოვიტამინოზი შეიძლება იყოს რისკ-ფაქტორი გაფანტული სკლეროზის განვითარებისთვის, თუმცა არ არსებობს მონაცემები D ვიტამინის კლინიკურად ღირებული სამკურნალო ეფექტის შესახებ (6,7). საჭიროა დამატებითი კვლევების წარმოება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად. გამოქვეყნებულია, მრავალი კვლევა D

ვიტამინის როლის შესახებ ისეთი დაავადებების მკურნალობაში, როგორიცაა ალცჰაიმერის დაავადება, შაკიკი, პარკინსონის დაავადება, მიოპათია, ინსულტი.

D ვიტამინის დეფიციტი იწვევს კრუნჩხვებს, მოუსვენარი ფეხების სინდრომს, ძილის დარღვევას. დადგინდა, რომ სისხლში D ვიტამინის დაბალი დონე კორელაციაშია ძილის დარღვევის უფრო მაღალ რისკთან, ძილის უარესობის ხარისხთან და ძილის ხანმოკლე ხანგრძლივობასთან. ამის საპირისპიროდ, D ვიტამინის უფრო მაღალი დონე შეიძლება ასოცირებული იყოს მელატონინის დაბალ დონესთან, რომელიც პასუხისმგებელია ძილის ციკლის რეგულირებაზე გაფანტული სკლეროზის მქონე ადამიანებში.

ვიტამინ D-ს დეფიციტის არსებობა სარწმუნოდ ზრდის **ასთმის** რისკს ბავშვებში. ასთმის მქონე ბავშვების უმრავლესობას აღენიშნება სისხლში ვიტამინ D-ს დეფიციტი, ასევე სარწმუნო კორელაციურ კავშირშია წლამდე ასაკის ბავშვის კვებით და ასთმის მემკვიდრეობით წინასწარგანწყობასთან, ატოპიურ დერმატიტთან, ალერგიულ რინიტთან და ურტიკარიასთან.

ვიტამინ D მონაწილეობს ყველა ორგანოსა და ქსოვილების (მათ შორის სისხლის) უჯრედების დიფერენციაციასა და პროლიფერიაციის რეგულაციაში, აღნიშნულ ვიტამინს და მის ანალოგებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ **ფსორიაზის** მკურნალობაში, რაც ხდება კერატინოციტების პროლიფერაციის შესუსტებით, დიფერენცირების გაზრდით, ანთების საწინააღმდეგო ციტოკინებისა და სხვა გენების ექსპრესიის შემცირებით.

ცნობილია, რომ ვიტამინი D მონაწილეობს იმუნური სისტემის რეგულაციაში. ბევრი ანთებითი დაავადების, მათ შორის რევმატოიდული ართრიტის დროს აღინიშნება ვიტამინ D-ს დეფიციტი. ერთ-ერთი ევროპული კვლევის მეტაანალიზმა აჩვენა (215 757- გამოკვლეული პირიდან 874-ს ჰქონდა რევმატოიდული ართრიტი), რომ ვიტამინ D-ს ნორმალური კონცენტრაციის დროს კვლევაში მონაწილე ადამიანებს რევმატოიდული ართრიტის განვითარების რისკი ჰქონდათ 24,2%-ით დაბალი იმ ადამიანებთან შედარებით, რომელთაც სისხლში დაქვეითებული ჰქონდათ აღნიშნული ვიტამინი. 2015 წლის CARMA-ს კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა ვიტამინ D-ს დეფიციტის პირობებში რევმატიული დაავადებების სხვადასხვა ფორმების განვითარება. სავარაუდოდ კალციტრიოლი (ვიტამინ D-ს ყველაზე აქტიური ფორმა) ახდენს იმუნომოდულირებულ მოქმედებას ანტიგენურ უჯრედებზე, აქტივირებულ T და B ლიმფოციტებზე ვიტამინ D-ს რეცეპტორების მეშვეობით, რომელიც მოთავსებულია თითოეულ ამ უჯრედზე.

ბოლო წლებში საინტერესო კვლევები გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ პაციენტებში ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადებით D ვიტამინის დამატების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გლიკემიური და ლიპიდური პროფილი, ინსულინის მიმართ მგრძნობელობა, ანთების მედიატორები, ზოგიერთ შემთხვევაში კი D ვიტამინის კალციუმის კარბონატთან კომბინაციამ შეამცირა ღვიძლის ფერმენტების გაზრდილი დონეც. შესაბამისად კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ D ვიტამინი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც დამხმარე საშუალება ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დროს (2,4).

ადამიანის ორგანიზმში D ვიტამინი მრავალ ფუნქციაზეა პასუხიმგებელი, მათ შორის ორსულობის ნორმალურ მიმდინარეობაზე, სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული პოპულაციური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მისი დეფიციტი აღენიშნება ორსულთა თითქმის მესამედს. ორსულობის პერიოდში D ვიტამინის დაბალი მაჩვენებლები დაკავშირებულია ორსულობის დროს განვითარებულ დიაბეტთან, პრეეკლამფსიასა და მცირე ზომის ნაყოფთან. ორსულობის პერიოდში D ვიტამინის ადეკვატური რაოდენობით მიღება დადებითად მოქმედებს ნაყოფისა და დედის იმუნურ სტატუსზე. აღსანიშნავია, რომ ორსულობის პერიოდში

D ვიტამინის ექსტრარენალური აქტივაცია მიმდინარეობს პლაცენტაში, ორსული ქალები ხშირად არ იღებენ D ვიტამინის რეკომენდებულ დოზას, რაც ნაყოფზე უარყოფითად მოქმედებს. D ვიტამინის ნაკლებობისთვის რისკს წარმოადგენს სიმსუქნე. ქალები, ორსულებიც და არაორსულებიც, რომელთა BMI (სხეულის მასის ინდექსი) >30-ზე, იმყოფებიან D ვიტამინის ნაკლებობის გაზრდილი რისკის ქვეშ, გამომდინარე იქიდან, რომ ცხიმოვან ქსოვილში ხდება D ვიტამინის დეპონირება და მისი ცირკულაცია სისხლში აღარ მიმდინარეობს. ამგვარად, D ვიტამინი ხელს უწყობს ორსულობის ფიზიოლოგიურად მიმდინარეობას, ნაყოფის ნორმალურ ზრდას კალციუმის ადეკვატურად მიწოდების ხარჯზე, აკონტროლებს პლაცენტარულ ჰორმონებს და თრგუნავს ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების სინთეზს.

საინტერესო შედეგები დადგინდა ვიტამინ D-სა და ქალებში მენოპაუზის პერიოდში განვითარებულ სიმპტომების განვითარების კავშირის შესახებ, უროგენიტალური დარღვევები მენოპაუზაში აღენიშნებათ ქალთა 30-40%-ს. ამერიკაში ჩატარებულმა რამოდენიმე კვლევამ აჩვენა კორელაცია D ვიტამინის დონესა და შორისის კუნთების, აგრეთვე მცირე მენჯის ღრუს ორგანოების პათოლოგიებს შორის. აღმოჩნდა, რომ D ვიტამინის მცირე დოზა იწვევს მათ მოდუნებას და შემდეგ ცვლილებებს (დაწევა, თიაქარი). ასევე გამოიკვეთა D ვიტამინის დეფიციტსა და კანდიდა ალბიკონის განვითარებას შორის კავშირი. დადგინდა, რომ ანტიმიკოზური მექანიზმი დაკავშირებულია D ვიტამინის ცხიმში ხსნადი თვისებით შეცვალოს უჯრედის მემბრანის მთლიანობა.

D ვიტამინი დადებით გავლენას ახდენს კანის მდგომარეობაზე, იცავს კანს გარემო მავნე ფაქტორებისგან, მათ შორის ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, რითაც ანელებს დაბერების პროცესებს. აუმჯობესებს ასევე ფრჩხილების, თმის სტრუქტურას. მის დეფიციტის დროს ვითარდება პირის ღრუში ცვლილებები, კერძოდ კარიესი, მაგარი ქსოვილების დაშლა.

D ვიტამინის მკურნალობის პროცესში ჩართვის შედეგად უმჯობესდება მხედველობა, ის განაპირობებს გლაუკომის, რეტინოპათიის განვითარების პრევენციას, ანელებს თვალის ბადურის დეგენერაციული ცვლილებების განვითარებას.

D ვიტამინის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ეფექტებს შორის აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის ამცირებს ვირუსული ინფექციით დასნებოვნების რისკს. უხსოვარი დროიდან ცნობილია მზის სხივების დადებითი გავლენა ისეთი ვერაგი დაავადების მიმდინარეობაზე, როგორიცაა ტუბერკულოზი. ჯერ კიდევ 1849 წელს ვილიამსის კვლევების შედეგად დადგინდა, რომ D ვიტამინის უნიკალური წყაროს-თევზის ქონის მიღებამ შეიძლება განაპირობოს ტუბერკულოზის სიმპტომების შემცირება. მრავალი ეპიდემიოლოგიური კვლევის მიხედვით, ტუბერკულოზის მძიმე მიმდინარეობა დაკავშირებულია D ვიტამინის უკმარისობასთან (3). დიდი ბრიტანეთის დედოფალ მარიას სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებბმა შეაფასეს D ვიტამინის როლი ტუბერკულოზის როგორც მკურნალობაში, ასევე პრევენციაში. დადგინდა, რომ იმ პაციენტებში, რომლებიც იღებდნენ ანტიბიოტიკებს ვიტამინ D-თან ერთად 36%-ით უფრო სწრაფად დგებოდა გამოჯანმრთელების პროცესი იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც მკურნალობდნენ მხოლოდ ანტიბიოტიკებით. აღნიშნული აიხსნებოდა იმით, რომ ვიტამინი ასუსტებს ანთებით რეაქციებს, ამცირებს მათ არსებობას ფილტვებში, გარდა ამისა ეხმარება ორგანიზმს ბუნებრივი გზით გაუმკლავდეს ტუბერკულოზს, ამცირებს ინფექციის მიმდინარეობის დროს 36 დღიდან 23 დღემდე.

აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს სისხლის ლეიკოციტების თვისებები ადამიანებში D ვიტამინის ნორმალური და დაქვეითებული დონით. პირველ შემთხვევაში ლეიკოციტებმა დაიწყეს ანტიბაქტერიული პეპტიდების გამოყოფა, რომლებიც

სწრაფად ანადგურებდნენ ტუბერკულოზის გამომწვევ კოხის ჩხირს, მეორე შემთხვევაში, D ვიტამინის დაბალი დონის დროს, ლეიკოციტები არ გამოყოფდნენ მსგავსს პეპტიდებს, გამომწვევი განაგრძობდა გამრავლებას და პათოლოგიურ მოქმედებას. ამავე უნივერსიტეტის მეცნიერების ჯგუფის მიერ ასევე დადგინდა, რომ ბავშვები დაბადებული დედებისაგან, რომელთაც ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში ჰქონდათ ვიტამინ D-ს ნორმალური დონე უფრო იშვიათად ავადდებოდნენ ისეთი აუტოიმუნური დაავადებებით, როგორიცაა დიაბეტი ტიპი 1, წითელი მგლურა და სხვ.

რეტროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს ვიტამინ D-ს მნიშვნელობას ინფექციური აგენტების წინააღმდეგ, კვლევები ადასტურებენ, რომ ვიტამინ D-ს რეგულარული მიღება ხელს უწყობს სხვადასხვა ვირუსით (გრიპის, ჰეპატიტი B-ს, ჰერპესის და სხვ.) გამოწვეული ინფექციების პრევენციას.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში შექმნილმა გამოწვევამ კორონა ვირუსთან დაკავშირებით გამოავლინა ის, რომ D ვიტამინის დეფიციტი SARS-CoV-2-ით ინფიცირებულ პირებში ხელს უწყობს იმუნოდეფიციტს, მეტიც ინგლისელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სიკვდილიანობა D ვიტამინის დეფიციტით კოვიდ 19-ით დაავადებულ პირებში უფრო მაღალია, და დაავადების მიმდინარეობაც მძიმდება. საფრანგეთში კოვიდ 19-ის გამო ჰოსპიტალიზირებულ 77 ხანდაზმულ ადამიანზე კვლევებმა დაადასტურა, რომ D ვიტამინის მთელი წლის განმავლობაში რეგულარული მიღების შედეგად გადარჩენის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო იმ პირებთან შედარებით, რომელთაც ჰქონდათ D ვიტამინის დაბალი დონე, ხოლო ესპანეთში პილოტურმა რანდომიზებულმა კლინიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ D ვიტამინის მაღალი დოზების მიღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ჰოსპიტალიზაციის რისკი ინტენსიური მკურნალობის განყოფილებაში, მეორე მხრივ ჩრდილოეთ იტალიაში მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ D ვიტამინის დაბალი სტატუსი დაკავშირებული SARS-CoV-2-ით დაინფიცირების მაღალ რისკთან, მაგრამ ასაკი, სქესი, თანმხლები ქრონიკული დაავადებები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კოვიდ -19-ით დაავადებული პაციენტების გართულებების განვითარებასა და სიკვდილობაში.

„მედიცინის ასოციაციის“ ეროვნულ ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, სადაც გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ D ვიტამინის დეფიციტი წარმოადგენს აშშ-ში კოვიდ-19-ით დაავადებულ შავკანიან და ლათინოამერიკული მოსახლეობაში გარდაცვალების მნიშვნელოვან რისკის ფაქტორს და ზრდის შემთხვევების რიცხვს, აშშ-ში 4962 ჩატარებულ პირზე კვლევამ აჩვენა, რომ 1981-ს (39,92%) ჰქონდა D ვიტამინის დეფიციტი (20 ნგ/ / მლ-ზე ქვევით), ასევე იმ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ დიაბეტი ტიპი 1 და 2, სიმსუქნე, დაბალი ჰქონდათ სისხლში D ვიტამინის დონე და გაცილებით ცუდი გამოსავალი კოვიდ 19-ის გართულებების თვალსაზრისით.

გერმანიაში ჩატარებულ მაშტაბურ კვლევაში მონაწილე 11000 პაციენტში 0-95 წლამდე გამოვლინდა საკმაოდ საინტერესო თავისებურებანი: მწვავე რესპირატორული ინფექციების რისკი 19%-ით მცირდება D ვიტამინის ნორმალური მაჩვენებლების შენარჩუნების ფონზე. გამოვლინდა, რომ რაც უფრო დაბალია D ვიტამინის დონე, მით უფრო ეფექტური აღმოჩნდა D ვიტამინით მწვავე რესპირატორული ინფექციების მკურნალობა. ჩინეთში 21000 პაციენტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, პნევმონიების განვითარების რისკი დაახლოებით 64 %-ით იკლებდა იმ პირებში, სადაც პრევენციულად უტარდებათ D ვიტამინის დამატება, ამ მდგომარეობის მექანიზმი იმაშია, რომ D ვიტამინს შეუძლია ააგოს ბარიერი ვირუსებისადმი, რის გამოც უფრო ნაკლები რაოდენობით ვირუსი აღწევს უჯრედში. ასევე D ვიტამინს შეუძლია

დაბლოკოს მნიშვნელოვანი გართულება კოვიდ 19-ით ინფიცირებულ პაციენტებში - ეს არის სიკვდილიანობის გამომწვევი ციტოკინური შტორმი (8,9).

D ვიტამინის **დეფიციტის ნიშნებია:** გამოფიტვა, სისუსტე, ნევროზულობა, კონცენტრირების დეფიციტი, მსხვრევადი თეთრი ლაქებით ფრჩხილები, ქუთუთოების თრთოლვა, კუნთების ტკივილი, სპაზმი და დაჭიმულობა განსაკუთრებით კისრის და წელის არეში, კუნთების ატროფია, ძვლების ტკივილი, ინფექციებისადმი მომატებული მგრძნობელობა, თავბრუ, ძილის დარღვევა, ფიზიკური დაძაბვის თავის ტკივილი, ოსტეომალაცია.

ვიტამინი D-ს **შეწოვის დარღვევები** შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი მიზეზებით: მზის ზემოქმედების დაქვეითება, ცხიმოვანი მალაბსორბციის მდგომარეობა, ღვიძლსა და თირკმლებში 25-OHD-მდე ჰიდროქსილირების, სამიზნე ორგანოების ვიტამინ D-ის მეტაბოლიტების მიმართ მგრძნობელობის დარღვევები, მემკვიდრეობითი ვიტამინ D-ს რეზისტენტული რაქიტი, გლუკოკორტიკოიდების ხანგრძლივი მიღება.

25(OH)D–ის განსაზღვრის ჩვენებებია: რაქიტი, ოსტეომალაცია, ოსტეოპოროზი, ფოსფორის და კალციუმის ნაწლავებში აბსორბციის დარღვევა, მეორადი ჰიპერპარათირეოზი, ძვლების დემინერალიზაცია და ქრონიკული დაავადებები, ღვიძლის უკმარისობა, მალაბსორბციის სინდრომები, მუკოვისციდოზი, ნაწლავის ანთებითი დავადებები, კრონის დაავადება, ბარიატრიული ქირურგია, რადიაციული ენტერიტი; სარკოიდოზი, ტუბერკულოზი, ჰისტოპლაზმოზი, კოქციდიომიკოზი, ბერილიოზი, ანტიკონვულსანტების, გლუკოკორტიკოიდების, აივ/შიდსის საწინააღმდეგო, ანტიფუნგალური მედიკამენტების ხანგრძლივი მიღება;

აფრო-ამერიკელი და ლათინო-ამერიკელი ბავშვები და ზრდასრულები, ორსული და მეძუძური ქალები, ხანდაზმული პირები წაქცევის და პათოლოგიური (არატრავმული) მოტეხილობის ანამნეზით, ბავშვები და ზრდასრულები სიმსუქნით (სმი >30გკ/მ2);

D ვიტამინის ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ფაქტორებმა: საკმარისი რაოდენობის თევზეულის და ღვიძლის არ მიღებამ, მზის ულტრაიისფერი სხივების დაბალმა ექსპოზიციამ, მზის დამცავი საშუალებების მოხმარებამ, 65 წლის ასაკის შემდეგ კანის გათხელებამ.

მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს კვლევები D ვიტამინის სტატუსის დასადგენად. ამისთვის ხდება სისხლის შრატში 25(OH)D-ს რაოდენობის განსაზღვრა. სისხლის შრატში ვიტამინ D-ს რაოდენობა დიფერენცირდება შემდეგნაირად: ვიტამინ D-ს ნორმალური რაოდენობა - 30 – 100 ng/ml, ვიტამინ D-ს ნაკლებობა - 20 – 30 ng/ml, ვიტამინ D-ს დეფიციტი - < 20.0 ng/ml . თუ ვიტამინ D-ს რაოდენობა მეტია >100 ნგ/მლ-ზე, მაშინ ადგილი აქვს ვიტამინ D-ს სიჭარბეს, ანუ ჰიპერ D ვიტამინოზს. D ჰიპოვიტამინოზი კლინიკურად ვლინდება მაშინ, როდესაც სისხლის შრატში ვიტამინ D-ს რაოდენობა ნაკლებია 20 ნგ/მლ-ზე. მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე რომ ვიტამინი D (<17.8 ng/mL) დაბალი დონე, დამოუკიდებლად ასოცირდება საერთო პოპულაციის სიკვდილობის ზრდასთან.

D ვიტამინის შემცველ პრეპარატებს შორის აღსანიშნავია **ვიტაგამა D3 2.000 ს.ე,** რომელიც შედგება 2.000 საერთაშორისო ერთეული (ქოლეკალციფეროლი) D3 ვიტამინისგან და **ვიტაგამა D3 5.600 ს.ე,** რომელიც შედგება 5.600 საერთაშორისო ერთეული (ქოლეკალციფეროლი) D3 ვიტამინისგან. გარდა ამისა, კომბინირებული პრეპარატი **ვიტაგამა D3 დუო,** რომელიც არის ვიტამინო-მინერალური კომპლექსი, შედგება 1.000 საერთაშორისო ერთეული

(ქოლეკალციფეროლი) D3 ვიტამინისგან და 150მგ მაგნიუმისგან. ამ პრეპარატების მწარმოებელი კომპანია: **WORWAG Pharma,** ხოლო მწარმოებელი ქვეყანა: გერმანია.

ვიტაგამას მიღება რეკომენდირებულია მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ბუნებრივი გზით D ვიტამინის მიღება, მაგ. გარკვეული მიზეზების გამო ვერ იღებთ მზის სხივებს და შესაბამის საკვებს. რაც შეეხება ვიტაგამა D3 დუოს, მის შემადგენლობაში შემავალი D ვიტამინი და მაგნიუმი ორგანიზმში ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებას ახდენენ: მაგნიუმის ბალანსირებული მიღება ხელს უწყობს D ვიტამინის საჭირო დონის შენარჩუნებას და D ვიტამინის საკმარისი დონით მომარაგება, თავის მხრივ აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ მაგნიუმის ათვისებას. აქედან გამომდინარე ორივე ბიოფაქტორი ხელს უწყობს გულისა და სისხლძარღვების მუსკულატურის ჯანსაღ ფუნქციონირებას. გული წარმოადგენს მაგნიუმის მაღალი კონცენტრაციის ორგანოს, აქედან გამომდინარე მაგნიუმი უზრუნველყოფს გულის რითმის და გულ-სისხლძარღვთა სისხლის მიმოქცევის სისტემის სტაბილურობას.

აღნიშნული სამივე ფორმის ვიტაგამა D3-ის მოხმარების წესი შემდეგნაირია: დღეში ერთი ტაბლეტი სითხესთან ერთად ჭამის დროს, გადაყლაპეთ მთლიანად, არ დაღეჭოთ. იმისათვის, რომ ხანგრძლივი ვადით უზრუნველყოფილი იყოს ორგანიზმი D ვიტამინით, რეკომენდირებულია ვიტაგამა D3 2.000 ს.ე-ის, ვიტაგამა D3 5.600 ს.ე-ის, ვიტაგამა D3 დუო-ის რეგულარული მიღება წელიწადის დროისა და მზის აბაზანების მიუხედავად.

ამგვარად, D ვიტამინი, ანუ ე.წ. მზის ვიტამინი, ყოველთვის იყო კაცობრიობის ყურადღების ცენტრში, ხოლო მისი გამოყენება პრიორიტეტული იყო მიკრონუტრიენტებს შორის. ინტერესი მის მიმართ განსაკუთრებით გაღრმავდა კოვიდ 19-ის პანდემიის დროს. ის ამცირებს SARS-CoV-2-ით დასნებოვნების რისკს, თუმცა მეცნიერები თანხმდებიან, რომ მომავალში აუცილებელია D ვიტამინის ეფექტიანობის შესახებ კვლევების უფრო მასშტაბიანი ჩატარება და დამატებითი მონაცემების მოძიება მკურნალობის პროცესში D ვიტამინის დოზირების ოპტიმალური სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული რისკების დასაზუსტებლად.

ლიტერატურა

1. Badalian S. S., Rosenbaum P.F. Urgent urinary incontinence reduced about 40% by 50,000 IU Vitamin D weekly – RCT April 2018
2. Barchetta I, Cimini FA, Cavallo MG., Vitamin D and Metabolic Dysfunction-Associated Fatty Liver Disease (MAFLD): An Update. Nutrients. 2020 Oct 28;12(11):3302. doi: 10.3390/nu12113302.
3. Ganmaa D, Uyanga B, Zhou X, Gantsetseg G, Delgerekh B, Enkhmaa D, Khulan D, Ariunzaya S, Sumiya E, Bolortuya B, Yanjmaa J, Enkhtsetseg T, Munkhzaya A, Tunsag M, Khudyakov P, Seddon JA, Marais BJ, Batbayar O, Erdenetuya G, Amarsaikhan B, Spiegelman D, Tsolmon J, Martineau AR. Vitamin D Supplements for Prevention of Tuberculosis Infection and Disease, N Engl J Med. 2020 Jul 23;383(4):359-368. doi: 10.1056/NEJMoa1915176
4. Guo XF, Wang C, Yang T, Li S, Li KL, Li D. Vitamin D and non-alcoholic fatty liver disease: a meta-analysis of randomized controlled trials. Food Funct. 2020 Sep 23;11(9):7389-7399. doi: 10.1039/d0fo01095b. D Marshall Brinkley 1, Omair M Ali 1, Sandip K Zalawadiya 1, Thomas J Wang 2 Vitamin D and Heart Failure Affiliations expand, PMID: 28808858 DOI: 10.1007/s11897-017-0355-7

5. Martins e Silva J „Brief history of rickets and of the discovery of vitamin D „RICKETS IN CHILDREN - pediatrie.usmf.mdActa Reumatol Port. Jul-Sep 2007;32(3):205-29
6. Pierrot-Deseilligny C, Souberbielle JC (Jul 2010). "Is hypovitaminosis D one of the environmental risk factors for multiple sclerosis?". Brain: a journal of neurology 133 (Pt 7): 1869–88. . PMID 20584945.
7. Pozuelo-Moyano B, Benito-León J, Mitchell AJ, Hernández-Gallego J (2013). "A systematic review of randomized, double-blind, placebo-controlled trials examining the clinical efficacy of vitamin D in multiple sclerosis". Neuroepidemiology 40 (3): 147–53. . PMC 3649517. PMID 23257784. //www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3649517/. "the available evidence substantiates neither clinically significant benefit nor harm from vitamin D in the treatment of patients with MS"
8. Rita Rubin, MA, Sorting Out Whether Vitamin D Deficiency Raises COVID-19 Risk JAMA. January 2021 Medical News Summary; 325(4):329-330. doi:10.1001/jama.2020.24127, COVID-19 Resource Center
9. Zemb P, Bergman P, Camargo CA Jr, Cavalier E, Cormier C, Courbebaisse M, Hollis B, Joulia F, Minisola S, Pilz S, Pludowski P, Schmitt F, Zdrenghea M, Souberbielle JC. Vitamin D deficiency and the COVID-19 pandemic, Glob Antimicrob Resist. 2020 Sep;22:133-134. doi: 10.1016/j.jgar.2020.05.006. Epub 2020 May 29.

რეზიუმე

D ვიტამინის შესწავლის ისტორია იწყება უძვლესი პერიოდიდან, როდესაც ისტორიულ წყაროებში აღწერდნენ ბავშვებში დაავადებას-რაქიტს, რომელიც დაკავშირებულია D ვიტამინის უკმარისობასთან. მსოფლიოში დაახლოებით 1 მილიარდ ადამიანს აქვს ვიტამინ D-ის დეფიციტი და ძირითადად აღინიშნება მოხუც, სიმსუქნის პრობლემით და ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში. D ვიტამინი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ „მზის ვიტამინს“ მზის ულტრაიისფერი სხივების დახმარებით წარმოიქმნება კანში, D ვიტამინი შედის ადამიანის ორგანიზმში სხეულის ზედაპირიდან და ღვიძლსა და თირკმელებში გარდაიქმნება აქტიურ ფორმაში, ის მონაწილეობს კალციუმისა და ფოსფორის ცვლაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფუნქციონირებაში, თუმცა ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი დაავადებების მკურნალობასა და პრევენციაში, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი, ტუბერკულოზი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, აუტოიმინური დაავადებები, ბოლო პერიოდში მსოფლიოში პანდემიით შექმნილმა გამოწვევამ გამოავლინა ის, რომ D ვიტამინის დეფიციტი SARS-CoV-2-ით ინფიცირებულ პირებში ხელს უწყობს იმუნოდეფიციტს, და ასევე სიკვდილიანობა D - ვიტამინის დეფიციტით კოვიდ 19-ით დაავადებულ პირებში უფრო მაღალია, და დაავადების მიმდინარეობაც მძიმდება. შესაბამისად ბევრ ქვეყანაში ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევები D ვიტამინის დეფიციტისა და კოვიდ 19-ით დაავადებულ პაციენტებში გართულებების განვითარებასა და სიკვდილობის მაღალ რისკის განვითარების შესახებ. D ვიტამინის შემცველ პრეპარატებს შორის აღსანიშნავია ვიტაგამა D3 2.000 ს.ე, ვიტაგამა D3 5.600 ს.ე, და კომბინირებული პრეპარატი ვიტაგამა D3 დუო VITAGAMMA® DUO, რომელიც არის ვიტამინო-მინერალური კომპლექსი, და 1.000 საერთაშორისო ერთეული D3 ვიტამინისგან და 150მგ მაგნიუმისგან. მწარმოებელი კომპანია: WORWAG Pharma, მწარმოებელი ქვეყანა: გერმანია. აღნიშნული პრეპარატების მიღება

რეკომენდებულია მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ბუნებრივი გზით D ვიტამინის მიღება, მაგ.: გარკვეული მიზეზების გამო ვერ იღებთ მზის სხივებს და შესაბამის საკვებს.

Rusudan Kvanchakhadze, Manoni Panchulidze, Tamar Bakuradze, Eka Balanchivadze

Familiar and Unknown Facts About Vitamin D

Summary

The history of vitamin D studies dates back to ancient times when historical sources described a disease in children - rickets associated with vitamin D deficiency. Approximately 1 billion people have vitamin D deficiency worldwide, and it is mainly reported in the elderly, obese, and hospitalized patients. Vitamin D, also called "Sunshine Vitamin" is produced in the skin by the sun's ultraviolet rays. It enters the human body's surface and is converted into the active form in the liver and kidneys; it participates in the metabolism of calcium and phosphorus, plays a crucial role in the musculoskeletal system's functioning. However, in recent years, particular importance has been attached to treating and preventing diseases such as diabetes, tuberculosis, cardiovascular, nervous, autoimmune diseases. A recent global challenge to the coronavirus has revealed that vitamin D deficiency contributes to immunodeficiency in people infected with SARS-CoV-2, and mortality is also higher in COVID 19-infected people who have vitamin D deficiency. The course of the disease is getting worse. Consequently, large-scale studies have been conducted in many countries on developing complications and a higher risk of death in patients with vitamin D deficiency and COVID 19. Vitamin D drugs include Vitagamma D3 2,000, I.E., Vitagamma D3 5,600, I.E., and the combined drug Vitagamma D3 Duo VITAGAMMA® DUO, which is a vitamin-mineral complex, and consists of 1,000 international units of vitamin D3 and 150 mg of magnesium. Manufacturer Company: WORWAG Pharma, Manufacturer Country: Germany. It is recommended to take these drugs when it is not possible to take vitamin D naturally, e.g., for some reason, when a person can not get sunlight and proper food.

[1]მარინე ნიკოლაიშვილი, [2]თამარ ბაქრაძე, [3]მამუკა გოგიბერიძე,
[4]ანა გალოგრე, [5]სალომე ზენაიშვილი
[1]ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიოსამედიცინო ცენტრი,
[2,3,5]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
[4]გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
[1]Ivane Beritashvili Experimental Biomedical Center, [2,3,5]David Aghmashenebeli University of Georgia
[4]Grigol Robakidze University

ელექტრომაგნიტური ზემოქმედება მოზარდების პირის ღრუს სითხის მიკრობიოლოგიურ მდგომარეობაზე

კვლევათა რიგის საფუძველზე შეფასდა ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედება მოზარდებში ემვ მომხმარებლების პირის ღრუს სითხეზე, თუმცა, კომპიუტერის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირის ღრუს სითხის მიკრობიოლოგიურ მდგომარეობას ექცევა არასაკმარისი ყურადღება [10]. ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შეუძლია შეცვალოს მიკროორგანიზმების გამრავლების სიჩქარე, გავლენა მოახდინოს მათ ენერგეტიკულ პოტენციალზე [1,3,5] პირველი ეკოლოგიური ნიშა, რომელიც ხვდება მოზარდების სხეულში მობინადრე მიკროორგანიზმებს არის პირის ღრუ. ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებით, Candida albicans – ის კოლონიების ზრდა ფერხდება (შენელებულია), და სტიმულირდება Staphylococcus aureus– ის კოლონიების ზრდა [6-8,10]. პირის ღრუს მიკრობიოცენოზს ახასიათებს მრავალფეროვანი წარმომადგენლები (სოკოები, ვირუსები, ბაქტერიები), რომლებიც ობლიგატური და ტრანზიტული (პათოგენური და პირობითად პათოგენური) სახეობებია [11,13]. ამიტომ ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოზარდებზე (18-25წ) საკომუნიკაციო სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის მოქმედების შედეგად განვითარებული ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოზარდების პირის ღრუს სითხის მიკრო- და მიკობიოტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ცვლილებების შესწავლა. პრობლემა აქტუალურია, იქედან გამომდინარე, რომ კვლევები ამ საკითხის გარშემო თითქმის არ ჩატარებულა. ასევე არ ჩატარებულა კვლევები მოზარდებზე, რომლებიც პაროდონტიტის განვითარების რისკის ჯგუფში მოიაზრებიან. რა თქმა უნდა ჩვენ ცივილიზაციას წინ ვერ აღვუდგებით, მაგრამ აუცილებელია დაინერგოს მოზარდებში ემვ-ის ხანგრძლივი ზემოქმედებისაგან „გონივრული მორიდების“ პრაქტიკა.

მასალა და მეთოდები

ამ პრობლემის გამოსარკვევად გამოკვლევის ჯგუფში შედიოდა 135 გამოსაკვლევიდან 90 მოზარდი. გამოკითხულთა ასაკია 18-25 წელი, ვაჟი და გოგონა - 40% და 60%, შესაბამისად. ჩართულობის კრიტერიუმები: ასაკი 18-დან 25 წლამდე, სომატური პათოლოგიის არარსებობა დეკომპენსირებული ფორმით, პირის ღრუს სანაცია, კვლევაში მონაწილეობის სურვილი, ინფორმირებულობის დამადასტურებელი თანხმობა. გამორიცხვის კრიტერიუმები: ყბა – სახის არის ონკოპათოლოგია, პაროდონტიტი დეკომპენსირებულ ეტაპზე, ანტისეპტიკების ან / და

ანტიბიოტიკების ადგილობრივი გამოყენება შესწავლის დაწყებამდე 1 თვის განმავლობაში, აგრეთვე ზედა სასუნთქი გზების დაავადებების მწვავე და / ან ქრონიკული მიმდინარეობა.

ემვ მუშაობის ხანგრძლივობა იყო 6 სთ და მეტი, კვლევის მონაწილეებს შესთავაზეს შესასრულებლად Word პროგრამაში ტექსტის აკრეფა, შესრულებული მოქმედებების სტანდარტიზაციის მიზნით. ოპერაციული რეჟიმი პერსონალურ კომპიუტერთან შეესაბამებოდა SanPin 2.2.2 / 2.4.1340-03. ვიდეო ტერმინალისა და ელექტრონული გამოთვლითი კომპიუტერის ელექტრომაგნიტური ველის გაზომვისა და შეფასების ოქმის შესაბამისად განისაზღვრა შემდეგი ფაქტობრივი მნიშვნელობები: ელექტროსტატიკური ველის სიძლიერე 3 კვ / მ, ელექტრო ველის სიძლიერე 15 ვ / მ (დიაპაზონი 5 ჰც - 2 კჰც) და დიაპაზონში 2 კჰც - 400 კჰც - 0.94; მაგნიტური ნაკადის სიმკვრივე 5 Hz - 2 kHz დიაპაზონში არის 137 nT და დიაპაზონში 2 kHz- დან 400 kHz - 10 nT.

კვლევის საგანი: პირის ღრუს სითხე პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის დაწყებამდე და შემდეგ (მონიტორი LGs / n 007RABX15717, 2010). პირის ღრუს სითხის ასაღებად იყო გამოყენებული შემდეგი მეთოდიკა - დილით, ჭამის წინ და კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ. მასალა გადაეცა ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას აღების მომენტიდან არა უგვიანეს 2 საათისა.

პირის ღრუს სითხის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა შედგებოდა ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდისგან. მომზადდა პირის ღრუს სითხის ორმაგი თანმიმდევრული განზავების სერია და დაითესა მკვებავ გარემოზე აერობული, ფაკულტატურ-აერობული და ანაერობული მიკროორგანიზმების იდენტიფიცირების მიზნით. სტაფილოკოკების იდენტიფიკაციისთვის გამოიყენეს კვერცხის გულისა და მარილის აგარის გარემო; სტრეპტოკოკების დასადგენად გამოიყენეს 5% სისხლის აგარი ნატრიუმის აზიდთან ერთად, აგრეთვე შერჩევითი დიფერენციალური mitis-salivarius აგარი (ფირმა Himedia). ენტერობაქტერიების დასადგენად გამოვიყენეთ ენდოს და ლევინის გარემო. ხოლო შოკოლადის აგარზე კი განხორციელდა დატესვა, Haemophilus spp სახეობის წარმომადგენლების დასადგენად. კლოსტრიდია განისაზღვრა ვილსონ-ბლერის გარემოზე, ლაქტობაცქტერიები - ლაქტობაგარზე, ბიფიდობაქტერია - ბლაუროკის გარემოზე.

მიკროორგანიზმების იზოლირებული სუფთა კულტურების სახეობათა იდენტიფიკაცია განხორციელდა მორფოლოგიური, ტინქტორული, კულტურული, ბიოქიმიური და ანტიგენური თვისებების შესწავლის საფუძველზე ბერჯის დეტერმინანტის შესაბამისად. პირის სითხეში მიკროორგანიზმების არსებობის რაოდენობრივი მახასიათებელი დადგინდა კოლონიის წარმომქმნელ ერთეულებში (CFU/ მლ). Candida სხის საფუარის მსგავსი სოკოები იზოლირებულ იქნა როგორც საბუროს გარემოზე, ასევე CandiSelect 4 გარემოზე (BioRad, საფრანგეთი). სოკოების ბიოქიმიური თვისებები შეისწავლეს Auxacolor 2 გარემოს გამოყენებით (BioRad, საფრანგეთი). ანტიმიკოზური პრეპარატებისადმი მგრძნობელობა შეისწავლეს Fungitest- ის (BioRad, საფრანგეთი) გამოყენებით და ასევე, გამოიყენეს ანტიმიკოტიკებიანი დისკები: ნისტატინი, ამფოტერიცინი B, კლოტრიმაზოლი, ფლუკონაზოლი, კეტოკონაზოლი, იტრაკონაზოლი. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა MedCalc პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით c2 კრიტერიუმისა და ნიშნების კრიტერიუმების (SignTest) გამოყენებით [12].

შედეგები და დისკუსია

ემვ მომხმარებლების პირის ღრუს სითხის მიკრო და მიკობიოტის ჩატარებულმა გამოკვლევებმა, აჩვენა შემდეგი შედეგები. ელექტრომაგნიტური ველის მუშაობიდან 8 საათის

შემდეგ, საწყის ინდიკატორებთან შედარებით, გამოვლინდა პირის ღრუდან დათესილი მიკროორგანიზმების კოლონიების შემადგენლობისა და ზრდის ინტესიობაში ცვლილებები. ექსპერიმენტული ზემოქმედების დაწყებამდე და მის შემდეგ პაციენტებში პირის ღრუს მიკრობული შემადგენლობის სპექტრის შედარებითი ანალიზი აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობას. ეს დადასტურდა კრიტერიუმების ტესტის (SignTest) გამოყენებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

პირის ღრუს მიკრობული სპექტრის შედარებითი მახასიათებლები პაციენტებში ექსპერიმენტულ ზემოქმედებამდე და მის შემდეგ (კომპიუტერზე მუშაობა)

მიკროორგანიზმები	დათესვა	
	-მდე	შემდეგ
A. calcoaceticus	1	–
Bacillus spp	–	1
Actinomyces spp.	1	1
Bifidobacterium spp.	1	2
C. albicans	3	2
Clostridium spp.	8	8
Corynebacterium spp.	6	6
E. faecalis	1	1
E. faecium	1	1
H. influenzae	1	0
Lactobacterium spp.	4	4
Micrococcus spp.	2	3
N. subflava	1	1
S. aureus	1	1
S. epidermidis	1	1
S. intermedius	–	1
S. oralis	1	–
S. salivarius	2	4
S. sanguis	1	1
S. saprophyticus	2	1
S. xylosis	1	1
Sarcinae	1	1
საერთო მაჩვენებელი (n=22)	40	41

გარდა ამისა, c2 კრიტერიუმის გამოყენებით შესაძლებელი გახდა დათესილ სტრუქტურაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობა მიკრობული სხეულების სიმკვრივის მიხედვით ($c2 = 6.13$, $df = 2$, $p = 0.047$) (ნახ. 1). დათესვის შედეგად პერსონალური კომპიუტერის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებამდე შესაძლებელი გახდა მიკრობიოტის 20

სახეობის წარმომადგენლის იზოლირება დიაგნოსტიკის ბაქტერიოლოგიური მეთოდით. თითოეულ პაციენტს გამოუვლინდა რამდენიმე ტიპის მიკროორგანიზმები საწყისი კონცენტრაციით 10^4 და 10^6 CFU / მლ პირის ღრუს სითხეში, ხოლო კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ მიკროორგანიზმების შემცველობა იყო 10^4, 10^6 და 10^8 CFU / მლ (ნახ. 1) ამავდროულად, მიკროორგანიზმების დათესვა მოხდა პირის ღრუს სითხეში 10^4 CFU / მლ კონცენტრაციაში მუშაობის დაწყებამდე 32 შემთხვევეაში და მუშაობის შემდეგ - 23 შემთხვევაში. 10^6 CFU / მლ კონცენტრაციაში დაითესილი მიკროორგანიზმები ძირითადად კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ 16 შემთხვევაში (42,9%), ხოლო მუშაობამდე - მხოლოდ 8 შემთხვევაში (25%) (ნახ. 1) მიკროორგანიზმების იზოლირება სუფთა კულტურაში 10^8 CFU / მლ პირის ღრუს სითხეში კონცენტრაციაში აღინიშნა მხოლოდ 2 შემთხვევაში კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ.



ნახ: 1. კონცენტრაცია CFU / მლ

გამოვლენილია პირის ღრუს მიკროორგანიზმების კონცენტრაციის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობა (კრიტერიუმი c2 = 6.13, df = 2, p = 0.047). მიღებული მონაცემები მიუთითებს ელექტრომაგნიტური გამოსხივების სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენაზე პაციენტების პირის ღრუს მიკროფლორაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მიკროორგანიზმების უპირატესი გამოყოფა, სპეციფიკური მორფოლოგიის გათვალისწინებით, დადგენილი არ არის [2,4,9]. შემდეგი ჯგუფების (მაგალითად, კოკები, ჩხირები, კანდიდები, სპორების ფორმირება) წარმომადგენლების შემადგენლობის შესწავლამ არ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები (c2 = 0.55, df = 3, p = 0.91) ამასთან, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: წარმოდგენილი იყო გრამდადებითი კოკალური მიკრობიოტა (ნახ .2) 4,7 lg CFU / ml კონცენტრაციით PC- ზე მუშაობამდე, პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ კონცენტრაცია გაიზარდა 5,3 lg CFU / ml-ამდე. გრამდადებითი ჩხირისებრი მიკრობიოტა დაფიქსირდა იმავე კონცენტრაციაში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის დაწყებამდე და შემდეგ - 4 lg CFU / ml. გრამუარყოფითი ჩხირისებრი მიკრობიოტა წარმოდგენილი იყო Haemophilus influenzae (H. influenzae) მიერ კონცენტრაციით 4 lg CFU / ml პირის ღრუს სითხეში მხოლოდ მუშაობის დაწყებამდე, რაც მიუთითებს პირის ღრუს მიკრობიცენოზის ამ მგრძნობიარე წარმომადგენლის გამოდევნაზე. Candida გვარის საფუარისებრი სოკოები აღმოჩენილია ინდივიდების 30% -ში 4 lg CFU / ml კონცენტრაციით და წარმოდგენილი იყო Candida albicans (C. albicans) სახეობით.

გრამდადებითი კოკური მიკრობიოტის სპექტრი საკმაოდ ფართო აღმოჩნდა, შემდეგი გვარის ჩათვლით: Micrococcus spp., Staphylococcus spp., Streptococcus spp., Enterococcus spp. ამ წარმომადგენლების საშუალო კონცენტრაცია პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობამდე იყო 4.7 lg CFU /ml. გამოყოფილი იქნა ძირითადად სტაფილოკოკები, რომლებიც მიეკუთვნება შემდეგ სახეობებს: Staphylococcus saprophyticus (S. saprophyticus), Staphylococcus epidermidis (S. epidermidis), Staphylococcus aureus (S. aureus), Staphylococcus xylosis (S. xylosis). ასევე გამოვლენილია შემდეგი მიკროორგანიზმები: Micrococcus spp. 5 lg CFU / ml კონცენტრაციით, Streptococcus salivarius (S. salivarius) 6 lg CFU / ml კონცენტრაციით, S. saprophyticus 4 lg CFU / ml კონცენტრაციით. Enterococcus გვარის მიკრობიოტა წარმოდგენილი იყო Enterococcus faecalis (E. faecalis) და Enterococcus faecium (E. faecium) სახეობებით, რომლებიც დათესეს 10 შემთხვევაში, კომპიუტერზე მუშაობამდე, საშუალო კონცენტრაციით 6 lg CFU / ml და 4 lg CFU / ml, შესაბამისად და 6 lg CFU / ml კვლევის საბოლოო ეტაპზე. პირის ღრუს სტრეპტოკოკი Streptococcus sanguis (S. sanguis) გამოვლინდა 10 შემთხვევაში იმავე კონცენტრაციით, კომპიუტერთან მუშაობის დაწყებამდე და მუშაობის შემდეგ, რაც იყო 6 lg CFU/ml. Streptococcus oralis (S. oralis) აღმოაჩინეს მხოლოდ კომპიუტერთან მუშაობის დაწყებამდე. მუშაობის მსვლელობისას აღინიშნა ამ მიკროორგანიზმის ელიმინაცია.

კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ, S. saprophyticus და S. epidermidis დათესეს 6 lg CFU/ml კონცენტრაციით. ყველაზე ხშირად გამოვლენილი Micrococcus spp. კონცენტრაციით 4, lg CFU/ml და S. salivarius შეუცვლელი კონცენტრაციით. კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ აღინიშნა Streptococcus oralis (S. oralis) ელიმინაცია და Staphylococcus intermedius (S. intermedius) გაჩენა 4 lg CFU/ml კონცენტრაციაში. გრამუარყოფითი მიკრობიოტის (Neisseria subflava (N. subfava)) გამოვლენა აღინიშნა კომპიუტერზე მუშაობამდე 3 შემთხვევაში, მუშაობის შემდეგ - 1 შემთხვევაში. მიკროორგანიზმების რაოდენობრივი მახასიათებელი იყო 4.6 lg CFU/ml კომპიუტერზე მუშაობამდე. ნორმალური ფლორის წარმომადგენლები გამოვლინდნენ კომპიუტერთან მუშაობის 5 შემთხვევაში, ლაქტობაქტერიები - 4 შემთხვევაში, 4 lg CFU/ml კონცენტრაციაში. მუშაობის შემდეგ კონცენტრაცია იგივე დარჩა, მაგრამ ლაქტობაცილები მხოლოდ 3 შემთხვევაში დაფიქსირდა. გამოკვლეული პირების პირის ღრუს სითხეში ბიფიდობაქტერიები გამოვლინდა უმნიშვნელო კონცენტრაციით კომპიუტერზე მუშაობის დაწყებამდე და მის შემდეგ. კომპიუტერზე მუშაობამდე, Clostridia და Corynebacteria იზოლირებული იქნა სუფთა კულტურაში 10 შემთხვევიდან 8 შემთხვევაში (საშუალო კონცენტრაცია იყო, შესაბამისად, 4,5 lg CFU/ml და 4 lg CFU/ml). კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ, 10 – დან 8 შემთხვევაში გამოვლინდა კლოსტრიდია, საშუალო კონცენტრაცია იყო 6 lg CFU/ml. კომპიუტერზე მუშაობის შემდეგ კორინებაქტერიები დაფიქსირდა 10 შემთხვევიდან 6 შემთხვევაში, საშუალო კონცენტრაციით 4 lg CFU/ml.

დასკვნა

აღინიშნა გრამდადებითი კოკური ფლორის დომინირება პირის ღრუს სითხეში, რაც რჩება კომპიუტერთან მუშაობის პროცესში. ყველაზე მაღალი კონცენტრაციით, რომელიც აღემატება ნორმალურ მნიშვნელობებს (6 lg CFU/ml), კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ გამოვლენილია შემდეგი სახეობები: Staphylococcus saprophyticus, Staphylococcus epidermidis, Streptococcus sanguis, Enterococcus faecalis, Enterococcus faecium, Staphylococcus xylosis, Streptococcus salivarius. H. Influenzae- ის გრამუარყოფითი ჩხირისებრი მიკრობიოტა ჩანაცვლებული იქნა სხვა ასოციანტების მიერ კომპიუტერთან მუშაობის პროცესში. შემცირდა ნორმალური ფლორის Lactobacterium spp წარმომადგენლების დათესვის სიჩქარე კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ.

კლასტრიდიუმის (Clostridium) გვარის მიკროორგანიზმები გაიზარდა რაოდენობრივი შემცველობით კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ (მუშაობის დაწყებამდე 4,5 lg CFU/ml, შემდეგ - 6 lg CFU/ml). გამოვლინდა კომპიუტერიდან ელექტრომაგნიტური გამოსხივების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოზარდების პირის ღრუს მიკროფლორაზე.

ლიტერატურა

1. Ayari S, Dussault D, Millette M, Hamdi M, Lacroix M. Changes in membrane fatty acids and murein composition of Bacillus cereus and Salmonella typhi induced by gamma irradiation treatment. *Int J Food Microbiol*. 2009;135(1):1–6.
2. Akbal A, Balik HH. Investigation of antibacterial effects of electromagnetic waves emitted by mobile phones. *Pol J Environ Stud*. 2013;22(6):1589–1594.
3. Balmori A. Radiotelemetry and wildlife: highlighting a gap in the knowledge on radiofrequency radiation effects. *Sci Total Environ*. 2016;543(pt A):662–669.
4. Oncul S, Cuce EM, Aksu B, Inhan Garip A. Effect of extremely low frequency electromagnetic fields on bacterial membrane. *Int J Radiat Biol*. 2016;92(1):42–49.
5. Ibraheim MH, El-Din Darwish D. 50 Hz frequency magnetic field effects on Pseudomonas aeruginosa and Bacillus subtilis bacteria. *IOSR J Appl Phys*. 2013;5(3):2278–4861.
6. Kushpal S, Anup N, Asif Y, Shravani G, Sonia P, Preeti V. Effect of electromagnetic radiations from mobile phone base stations on general health and salivary function. J Int Soc Prev Community Dent 2016, 6 (1):54-59.
7. Kıvrak E, Yurt K, Kaplan A, Alkan I, Altun G. Effects of electromagnetic fields exposure on the antioxidant defense system. J Microsc Ultrastruct. 2017;5(4):167-176.
8. Lantos F, Hernyik O, Madacsy H, Tóth E. Effect of hexagon field energy on the microbiological infected irrigation and drinking water. *Lucrări Ştiinţifice Management Agricol*. 2015;17(1):120. 2
9. Lomiashvili, L. M. Evaluation of the influence of electromagnetic radiation of a personal computer on the state of the oral fluid of operators (in vitro study) / L. M. Lomiashvili, V. V. Sedelnikov, A. N. Pitaeva, M. B. Elendo, N A. Vasilieva // Institute of Dentistry. 2015 No. 2. - S. 58-60.
10. Mortazavi SM, Motamedifar M, Namdari G, Taheri M, Mortazavi AR, Shokrpour N. Non-linear adaptive phenomena which decrease the risk of infection after pre-exposure to radiofrequency radiation. *Dose Response*. 2014;12(2):233–245. doi:10.2203/dose-response. 12-055.
11. Paknahad M, Shahidi S, Mortazavi SMJ, Mortazavi G, Moghadam MS, Nazhvani AD. The effect of pulsed electromagnetic fields on microleakage of amalgam restorations: an in vitro study. *Shiraz E-Med J*. 2016;17(2):e32329.
12. Schoonjans F Zalata,A, Depuydt C, Comhaire F, MedCalc: a new computer program for medical statistics, PMID: 8925653, DOI: 10.1016/0169-2607(95)01703-8.
13. Walker DK. Listeria monocytogenes and Clostridium perfringens Bacteremia complicated by brain abscess and cerebral venous sinus thrombosis: a case report. *Infect Dis Clin Pract*. 2015;23(6):330–332.

რეზიუმე

კომპიუტერის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის პირის ღრუს სითხის მიკრობიოლოგიურ მდგომარეობას არასაკმარისი ყურადღება ექცევა. ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შეუძლია შეცვალოს მიკროორგანიზმების გამრავლების სიჩქარე, გავლენა მოახდინოს მათ ენერგეტიკულ პოტენციალზე პირის ღრუში. ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოზარდებზე (18-25წ) საკომუნიკაციო სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის მოქმედების შედეგად პირის ღრუს სითხის მიკრო-მიკობიოტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ცვლილებების შესწავლა. პრობლემა აქტუალურია, ვინაიდან ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების შედეგად, 6-8 სთ მეტ ხანს, კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ გამოვლენილია შემდეგი სახეობები: Staphylococcus saprophyticus, Staphylococcus epidermidis, Streptococcus sanguis, Enterococcus faecalis, Enterococcus faecium, Staphylococcus xylosis, Streptococcus salivarius. H. Influenzae- ის გრამუარყოფითი ჩხირისებრი მიკრობიოტა ჩანაცვლებული იქნა სხვა ასოციანტების მიერ. ამდენად აუცილებელია დაინერგოს მოზარდებში ემვ-ის ხანგრძლივი ზემოქმედებისაგან „გონივრული მორიდების“ პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: ემვ, მიკრობიოლოგიური მდგომარეობა, მოზარდები.

Marine Nikolaishvili, Tamar Bakradze, Mamuka Gogiberidze, Anna Galogre, Salome Zenaishvili

Electromagnetic effect on the microbiological state of the oral fluid in adults

Summary

On the basis of a number of studies, the effect of electromagnetic radiation on the oral fluid of EMV users in adults has been assessed. However, the microbiological state of the oral fluid exposed to computer electromagnetic radiation is insufficient. Electromagnetic radiation can change the growth rate of microorganisms. Therefore, the main goal of our study is to study changes in the qualitative and quantitative composition of the microbiota of the oral fluid of adolescents exposed to electromagnetic radiation as a result of exposure to electromagnetic fields of the communication frequency (18-25 p.). The problem is urgent, since as a result of exposure to an electromagnetic field for more than 6-8 hours after working with a computer, the following species were identified: Staphylococcus saprophyticus, Staphylococcus epidermidis, Streptococcus sanguis, Enterococcus faecalis, Enterococcus faecium. Stochococcus aeurus. The gram-negative bacilli of the H. influenzae microbiota were replaced by other associated ones during computer use. So it is necessary to introduce the practice of "reasonable avoidance" of prolonged exposure to EMW in adults.

Keywords: EMV, microbiological condition, adults.

[1]დეა პაპასკირი, [2,3] რუსუდან კვანჭახაძე, [1]მაია გონგაძე
[1]კლინიკა "დეამედი"; [2] საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
[3] საქართველოს ნუტრიციოლოგიური ასოციაცია
[1] Clinic "DeaMedi", [2] David Aghmashenebeli University of Georgia; [3] Georgian Nutrition Association

თმის ცვენის ნუტრიციული მიზეზები

თმა (ლათ. unguis) ერთი შეხედვით არის მარტივი, მაგრამ ჩვენი ორგანიზმის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. თმა იზრდება კანზე, გვხვდება უპირატესად ძუძუმწოვრებში და წარმოადგენს სხეულის დამცავი სისტემის ნაწილს. თმა, კანის რქოვანი დანამატია, რომელსაც უძველესი ცივილიზაციები საკრალურ, იდუმალებით აღსავსე მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბევრი მეცნიერის აზრით, ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების ანარეკლს წარმოადგენს თმის სტრუქტურის ცვლილება, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თმას 30-მდე დაავადების დიაგნოსტიკისთვის იყენებდნენ. თმა მთელ სხეულს მოიცავს, ტუჩებისა, ხელის და ფეხის გულების გარდა. ადამიანის ორგანიზმში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს - სიცივეში ხელს უწყობს სითბოს შენარჩუნებას, სიცხეში კი, ოფლიანობისას, კანიდან იწოვს ტენს და ამით სხეულს აგრილებს. თმების ფორმირება ხდება კანის ქვეშ ფოლიკულებისაგან, რომელშიც მიმდინარეობს რთული ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ თმის სიჯანსაღეს.

თმის ცვენა არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს თმა სცვივა თმის ფოლიკულის დაზიანების შედეგად. თმის ცვენა შესაძლოა ლოკალიზებული იყოს თავის თმიან ნაწილზე, სახეზე, სხეულზე. სამედიცინო ტერმინით აღნიშნულ მდგომარეობას ალოპეცია ეწოდება. ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და სიტყვა სიტყვით სიმელოტეს ნიშნავს. ალოპეციის შედარებით გავრცელებული ფორმებია: ანდროგენეტიკური, დიფუზური და სიმპტომური, ნაწიბუროვანი და ბუდობრივი (კეროვანი). ყოველდღიურად 150 ღერის დაკარგვა თმიდან ითვლება ნორმად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სტატისტიკის თანახმად, დაახლოებით ყოველი მეორე ადამიანი, მამაკაცთა 60% და ქალების 58%, ამჩნევს თმის ცვენას. ალოპეცია, სამწუხაროდ, მრავალი ქალის მწარე ხვედრია და მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სტატისტიკამ ასევე დაადგინა, რომ მელოტი კაცები 35% –ით ნაკლებ წარმატებას აღწევენ მუშაობაში, 64%–ით ნაკლებს - პირად ცხოვრებაში. ჩრდილოეთ ამერიკელები ყოველწლიურად 7 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავენ თმის ცვენის სამკურნალოდ - მედიკამენტებზე, ოპერაციებზე, კოსმეტიკურ საშუალებებზე, თმის ქირურგიულ რესტავრაციაზე. ყოველწლიურად თმის გადანერგვის ღირებულება დაახლოებით 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

თმის ხარისხის გაუარესებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- დაბინძურებული გარემო;
- არაჯანსაღი ცხოვრების წესი-თამბაქოს, ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მოხმარება, ფიზიკური ინაქტივაცია;
- სტრესი, ქრონიკული დაღლილობა, უძილობა, შრომისა და დასვენების რეჟიმის დარღვევა;

როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში გენეტიკური დაავადებები; თმის საფარის დაკარგვისაკენ მიდრეკილება 73-75 შემთხვევაში მემკვიდრეობით დედის ხაზით გადაეცემა, 20-ში - მამის ხაზით, დანარჩენი 5-7% კი გვარში პირველია და ანდროგენეტიკური ალოპეციისკენ მიდრეკილებას მომდევნო თაობებს გადასცემს.

ულტარაიისფერი სხივების ხანგრძლივი და ინტენსიური ზემოქმედება; ანტიბიოტიკების, ნეიროლეპტიკების, ანტიდეპრესანტებისა და სხვა პრეპარატების ხანგრძლივმა გამოყენება, ქიმიოთერაპია; ენდოკრინული ჯირკვლების დისფუნქცია; ჰორმონალური ცვლილებები, რაც დამახასიათებელია ქალებისთვის ორსულობის, ლაქტაციის და მენოპაუზის პერიოდში. თმის ცვენა ძლიერდება მშობიარობის შემდგომ პერიოდშიც. ორსულობისას თმა ინტენსიურად იზრდება და 10-15%-ით კიდეც ხშირდება, რადგანაც პლაცენტა დამატებით გამოყოფს ესტროგენებს - ქალის სასქესო ჰორმონებს, რომლებიც თმის ზრდისა და სიცოცხლის ციკლს ახანგრძლივებს. 9 თვის შემდეგ კი ეს "პლაცენტური დოპინგი" იწურება და მეძუძური დედა პრობლემის წინაშე დგება. მშობიარობიდან 7-8 თვის განმავლობაში გაძლიერებული თმის ცვენა ფიზიოლოგიურია.

თმის ცვენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზთა შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნუტრიციოლოგიულ დარღვევებს. თმის სტრუქტურის გაუარესება შეიძლება განპირობებული იყოს არა მარტო მაკრო და მიკრონუტრიენტების, ვიტამინების უკმარისობით, არამედ ზოგიერთი საკვები ნივთიერების სიჭარბითაც. მაგალითად, საკვებში ცხიმისა და ნახშირწყლების სიჭარბე იწვევს სიმსუქნეს, შაქრიან დიაბეტს, რასაც ხშირად მოჰყვება თმის ცვენა, შესაბამისად თმა ხშირად წარმოადგენს მთელი ორგანიზმის მდგომარეობის ინდიკატორს.

თმის ხარისხის გაუარესების (მტვრევადობა, სიმშრალე, ბზვინვარების კარგვა) ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს საკვებში **ცილის** უკმარისობა. თმის ღერის შემადგენლობაში 80% ცილაა, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ცილა **ცისტეინი**. კვების რაციონი უნდა შეიცავდეს ცილის საკმარისს რაოდენობას აღნიშნული საშენი მასალით ფოლიკულის უზრუნველყოფისათვის. უპირატესობა ეძლევა ცხიმოვანი წარმოშობის ცილებს - ისინი შეიცავენ შეუნაცვლად ამინომჟავებს, რომლებიც არ სინთეზირდებიან ადამიანის ორგანიზმში და დიდი რაოდენობითაა საქონლისა და ღორის ხორცში, ქათმისა და ინდაურის მკერდში, თევზეულში (განსაკუთრებით – ორაგულსა და თინუსში), რძეში, ხაჭოსა და ყველში გარდა ამისა, ცილის უნიკალური წყაროა **ჟელატინი** (ხილისაგან დამზადებული ჟელეს სახით), რომლის მოხმარება აუცილებელი კვირაში ერთხელ მაინც თმის, ძვლების, ფრჩხილების სიმტკიცისათვის. **L-ლიზინი** აუცილებელი ესენციური ამინომჟავაა კოლაგენის ფორმირებისთვის, ის არ გამომუშავდება ორგანიზმის მიერ, ამიტომ აუცილებელია მისი საკვებ დანამატად მიღება. დადგენილია, რომ ლიზინის ნაკლებობა იწვევს მკვეთრად გამოხატულ თმის ცვენას, თმის სტრუქტურის დაზიანებას, ანდროგენულ ალოპეციას. მის უნიკალურ წყაროს წარმოადგენს ცხვრისა და ღორის ხორცი, ყველი პარმეზანი, წიწიბურა, სოიო, პარკოსნები და სხვ. აქედან გამომდინარე, საგრძნობლად გამოხატული თმის ღეროების მტვრევადობის, ელასტიურობისა და დრეკადობის შემცირებისას, საჭიროა კვების რაციონში ცილების უპირატესობა და ამინომჟავებით კოსმეტიური საშუალებების გამდიდრება. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ პროტეინებით მდიდარ კოსმეტიკას აქვს ცილების დაგროვების უნარი. დროთა განმავლობაში თმებში ამინომჟავები გროვდება დიდი რაოდენობით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო ეფექტი: თმა ხდება უსიცოცხლო, სუსტი, მტვრევადი. საინტერესოა, რომ ცილების ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის -

გლუტენის საკვებ რაციონიდან ამოღება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნაწლავის ლორწოვანს, სხვადასხვა ორგანოების მომარაგებას საკვები ნივთიერებებით, ხელს უწყობს თმის ფოლიკულის სტრუქტურის გაუმჯობესებას და გაჭაღარავების შემცირებას. თმის ცვენის თავიდან აცილების მიზნით, არ არის აუცილებელი ჯანმრთელი თმისათვის პროტეინების სპეციალურად დამატება. არ არის ასევე მიზანშეწონილი **კერატინით** მდიდარი ნიღბების მუდმივი გამოყენება, შესაძლებელია მათი ჩანაცვლება თმის მოვლის სხვა საშუალებებით.

თავის კანისა და თმისათვის ასევე აუცილებელია **პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები**, რომლებიც დიდი რაოდენობით არიან თევზის ქონში (ცხიმიანი თევზი - ორაგული, ჰალიბუტი), ესენციური ცხიმოვანი მჟავის დეფიციტს მნიშვნელოვანი როლი უკავია თავის თმიანი ნაწილის დერმატიტებისა და თმის ცვენის განვითარებაში. აღნიშნული ცხიმოვანი მჟავების დეფიციტის შედეგად თმის ცვენა ვითარდება თავის კანის მთელი ზედაპირიდან (დიფუზური ცვენა), თმის ღერი ხდება მშრალი და თხელი, ზოგიერთ შემთხვევაში იცვლება თმის ფერი, ვინაიდან მელანოციტები ასევე განიცდიან პოლიუჯერი ცხომოვანი მჟავების დეფიციტს. ამ მაკრონუტრიენტების დისბალანსი ხშირად ატარებს ალიმენტურ ხასიათს და ძირითადად გავრცელებულია იმ პირებში, რომელთა საკვებში არასაკმარისი რაოდენობითაა წითელი ხორცი და თევზის ქონი. ყველაზე მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით **ომეგა 3 ცხიმოვანი მჟავები** (ლინოლწარმოებულები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა წითელ ხორცსა და ზოგიერთ ბოსტნეულში), ასევე **ომეგა-6 ცხიმოვანი მჟავები** (მდიდარია ცხიმოვანი თევზი და ზღვის პროდუქტები), ომეგა-3 და ომეგა-6-ის მიღება განაპირობებს თმის ცვენის დროს გამოხატულ ეფექტს. საკვებით ასევე აუცილებელია მინიმალური რაოდენობით ქოლესტერინის მიღებაც, რომელიც შედის უჯრედული მემბრანის შემადგენლობაში და ხელს უწყობს უჯრედების დაყოფას.

მაკრონუტრინეტებს შორის თმის ხარისხის გაუმჯობესებაზე ნაკლები გავლენა აქვს **ნახშირწყლებს,** რაფინირებული ანუ „უბრალო“ ნახშირწყლებს საკვებ რაციონში დიდი რაოდენობით ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს თმის ცხიმიანობა. დაბინძურებული ჰაერის ნაწილაკების, თმის მოვლის ზოგიერთი საშუალების დაგროვება ცხიმიანი თმის ზედაპირზე განაპირობებს ბზვინვარებისა და მიმზიდველობის კარგვას, რაფინირებული ნახშირწყლების მოხმარებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ინსულინრეზისტენტობისა და მეტაბოლური სინდრომის განვითარებას, რომლის ერთ-ერთ ჩივილს სებორეის ფონზე განვითარებული ქერტლი წარმოადგენს.

ჯანმრთელი თმისათვის მნიშვნელოვანია ესენციური მაკრო და მიკროელემენტების (კერძოდ: რკინა, კალიუმი, გოგირდი, კალციუმი, მაგნიუმი, სელენი, თუთია, ქრომი, სპილენძი, მანგანუმი, კრემნიუმი და სხვ.) ნორმალური ბალანსი.

ერთ-ერთ ელემენტს, რომლის დეფიციტმაც შეიძლება გამოიწვიოს თმის სტრუქტურის ცვლილება, არის **რკინა**. ამ ელემენტის უკმარისობის დროს ვითარდება თმის გაყოფა (განშრევება), სიმშრალე, ჭიმვადობის, ბზვინვარების კარგვა და ცვენა. რკინადეფიციტი ძირითადად ვითარდება ქალებში, რადგან ქალი რკინას კარგავს ყოველთვიურად მენსტრუაციული ციკლის დროს, რკინის გაძლიერებული ხარჯვა ხდება ორსულობისა და მშობიარობის პერიოდებშიც. უკონტროლო დიეტები და ასევე ვეგეტარიანელობა შეიძლება გახდეს რკინის დეფიციტის და შესამაბისად ანემის მიზეზი, უნდა აღინიშნოს, რომ რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოსტიკა, განსაკუთრებით ფარულის, ყოველთვის არ არის ადვილი - მისი სიმპტომები არ არის სპეციფიური, ხშირად რკინის დონის განსაზღვრაზე აუცილებლობას სწორედ თმის ცვენა მიანიშნებს. რკინის წყაროს ძირითადად წარმოადგენს

ცხოველური წარმოშობის პროდუქტები-ღვიძლი, წითელი ხორცი, თირკმელი. ამ პროდუქტებში შემავალი რკინის სახელწოდებაა „ჰემური რკინა“, რადგან თავისი შენებით ჰემოგლობინის შემადგენლობაში არსებული რკინის მსგავსია. „არაჰემური რკინა“ ადამიანის ორგანიზმს მიეწოდება ბრინჯიდან, პურიდან, ბროკოლიდან, ლობიოდან, ისპანახიდან და შეიწოვება გაცილებით ცუდად, ამიტომ ვეგეტარიელები რკინადეფიციტის რისკ-ჯგუფში შედიან. რკინის შეთვისება დამოკიდებულია ასევე კვების რაციონის სხვა კომპონენტებზეც, ვიტამინი C ხელს უწყობს რკინის აბსორბციას, ხოლო კალციუმი (რძის პროდუქტები), ასევე ქატო ამცირებენ მის შეწოვას. რკინადეფიციტურ ჯგუფში შედიან ის ადამიანებიც, რომლებიც დიდი რაოდენობით იღებენ ყავას, ჩაის და კოფეინის შემცველ სხვა სასმელებს. კოფეინი აუარესებს რკინის შეწოვას და შეიძლება ხელს უწყობდეს ან ამძიმებდეს უკვე არსებულ რკინადეფიციტს. შესაბამისად, აღნიშნული კვების რაციონი გავლენას ახდენს თმის სტრუქტურაზე.

რკინის შეთვისებისათვის აუცილებელ ესენციურ მიკროელემენტს წარმოადგენს **სპილენძი,** რომლის უკმარისობამ შეიძლება არაპირდაპირი გზით განაპირობოს თმების დიფუზური ცვენა რკინის ათვისების შემცირების ხარჯზე. ამ მიკროელემენტის დეფიციტმა კვების რაციონში შეიძლება პირდაპირი გავლენაც მოახდინოს თმის ხარისხზე, თმის ბოჭკო უფრო თხელი და მტვრევადი გახდეს, თმის ზრდის სტადიამ კი დაიკლოს. სპილენძის უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს გაჭაღარავება ბავშვთა ასაკშიც. სპილენძი თავისებურად მოქმედებს ჰორმონთა ფუნქციონირებაზე, ზოგიერთი მათგანის მოქმედებას აძლიერებს, ზოგისას კი აფერხებს; მაგალითად, აძლიერებს ინსულინის, აფერხებს ადრენალინის მოქმედებას. ცნობილია აგრეთვე სპილენძის კავშირი სასქესო, ჰიპოფიზურ და ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებთან, შესაბამისად მისი დეფიციტის დროს დარღვეულმა ჰორმონალურმა სტატუსმა შეიძლება თავისებურად იმოქმედოს თმის სტრუქტურის ცვლილებაზე. სპილენძის ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს თხილეული, პარკოსნები, საქონლის ღვიძლი, უმი კვერცხის ცილა, მაწონი და სხვ.

გოგირდი აქტიურად მონაწილეობს კოლაგენის გამომუშავებაში, რომელიც ბოჭკოვანი ქსოვილების საფუძველს ქმნის. გოგირდის უკმარისობისას თმის სტრუქტურა შესუსტებულია, ვითარდება მშრალი სებორეა, თმის ცვენა ქავილით და წვით, კარგავს ბზვინვარებას, ხდება შეწებებული, დაუმორჩილებელი. გოგირდის ძირითად წყაროს წარმოადგენს მზესუმზირის თესლი, კვერცხის გული, ცილით მდიდარი საკვები. გოგირდის შემცველი ორგანული პროდუქტს წარმოადგენს მეთილსულფონილმეთანი, რომელიც მონაწილეობს კოლაგენის ბოჭკოვანი სტრუქტურის წარმოქნაში, რაც ხელს უწყობს ხრტილებისა და ძვლის ქსოვილების სწორ ფორმირებას. იგი განმსაზღვრელ როლს თამაშობს კუნთების, იოგების, ხრტილების, ფრჩხილების, თმების, კანისა და სხვა შემაერთებელი ქსოვილების ჩამოყალიბებაში, ასევე მოქმედებს, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი და ხელს უშლის თავისუფალი პრეოქსიდების რადიკალების წარმოებას, რაც მნიშვნელოვანია გარემო მავნე ფაქტორების ზემოქმედების გამო თმის დაზიანების დროს. მეთილსულფონილმეთანი მნიშვნელოვანი კომპონენტია თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალებების შემადგენლობაში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მონაწილეობს თმის ნორმალური სტრუქტურის ფორმირებაში, არის **ფოსფორი.** მისი დეფიციტის დროს ვითარდება თმის დიფუზური ცვენა, მტვრევადობა, დრეკადობის შემცირება, ასევე ბუდობრივი ალოპეცია, წვრილი, გაიშვიათებული თმით; მკაცრი დიეტების დროს სისხლში არ იცვლება ფოსფორის რაოდენობა, რადგან ორგანიზმი მოიხმარს მას ქსოვილებიდან, შესაბამისად ვითარდება თმის

ცვენის ზემოთაღნიშნული ცვლილებები. ფოსფორის უნიკალურ წყაროს წარმოადგენს კვერცხი, რძის პროდუქტები, თევზი, პური და სხვ.

კალიუმის დეფიციტს იწვევს შარმდენი საშუალებები, რომელსაც თან ახლავს აპათია და ძილიანობა, არტერიული წნევის დაწევა. თმებს განსაკუთრებით ცუდად გადააქვთ კალიუმის დეფიციტი: თხელდება, კარგავს ბზინვარებას, კალიუმი კვებას თმის ბოლქვებს და ამ გზით იცავს თმას გაიშვიათებისაგან. კალიუმით მდიდარია ყველა მცენარეული საკვები: პარკოსნები, ბოსტნეული, ხმელი გარგარი და ქლიავი, შავი მოცხარი. იგი ასევე გვხვდება თევზში, საქონლის ხორცში.

როგორც უკვე აღინიშნა, თმის ცვენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზთა შორის განიხილება სტრესი (ფსიქიკური, ფიზიკური), რაც ზრდის მაგნიუმის მოთხოვნილებას და უჯრედებში **მაგნიუმის** უკმარისობის მიზეზი ხდება. მაგნიუმი (განსაკუთრებით, ვიტამინ B6-თან კომბინაციაში) ნერვული სისტემის უმაღლესი დანაყოფების მდგომარეობაზე ახდენს მარეგულირებელ გავლენას ემოციური დაძაბულობის, დეპრესიისა და ნევროზის დროს. მაგნიუმის უკმარისობა აისახება თმის სტრუქტურის გაუარესებაზეც: იწყება თმის ცვენა, გამოფიტვა, ელასტიურობის, დრეკადობის კარგვა, გაჭაღარავება. გარდა ამისა მისი „მოქმედება“ პირდაპირ აისახება თმის სტრუქტურის მარეგულირებელ სხვა მიკრონუტრიენტების (კალციუმი, ფოსფორი, ვიტამინები B6, B1, E) ფუნქციაზე. ორგანიზმში მაგნიუმის დონის ნორმალიზების შემთხვევაში 1-1,5 თვის შემდეგ თმის ცვენა ჩერდება.

თმის სტრუქტურის გაუარესების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს **კალციუმის** დონეს სისხლში, მისი უკმარისობა ნეგატიურად აისახება თმისა და ფრჩხილების ზრდაზე, იწყება თმის გამოფიტვა, ცვენა, რომლის კორექცია შეუძლებელია კოსმეტიური საშუალებებით, საუკეთესო პრევენციას წარმოადგენს კალციუმით მდიდარი საკვები. კალციუმის საუკეთესოდ ათვისებისთვის საჭიროა ფოსფორი და მაგნიუმი, რომლებსაც შეიცავს თევზი, პარკოსნები, კაკაო და მარცვლეულის პური. ასევე, კალციუმის მიღება შეგვიძლია ლობიოს, ბარდის, ოსპის, ისპანახისა და კომბოსტოს ნებისმიერი სახეობისგან. მიკროელემენტს საკმარისი რაოდენობით შეიცავს გოგრა, ასკილი და თხილის ნებისმიერი სახეობა.

ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილის ფუნქციაზე მოქმედებს ესენციური მიკროელემენტი **თუთია**. ის აუცილებელია თმის ბოჭკოს წარმოქმნისათვის, ხოლო მისი დეფიციტი იწვევს როგორც თავიდან, ისე სხეულიდან თმის დიფუზურ ცვენას. ვეგეტარიანელებს განსაკუთრებით აქვთ თუთიის დეფიციტი, ვინაიდან აღნიშნული მიკროელემენტის ძირითადად წყაროს წარმოადგენს ხორცი და თევზი. მისი უკმარისობა აღინიშნება იმ ადამიანებშიც, რომელთაც აქვთ კუჭ-ნაწლავის დაავადებები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუთიის ხელატური ნაერთები აითვისება და გადაიტანებიან გაცილებით უკეთესად, ვიდრე მისი არაორგანული ნაერთები, მაგალითადად თუთიის სულფატი.

მანგანუმის დეფიციტი იწვევს თმის ბოჭკოების გათხელებას, ბოლოების გახლეჩას, ზრდის დაქვეითებას, ბზინვის დაკარგვას, ადრეულ გაჭაღარავებას. მანგანუმის კარგი წყაროა: ხორბალი, ქერი, ქატო, ჭვავი, პური, ყავისფერი ბრინჯი, ტყის კენკრა, მოცვი, , ყავა, ჩაი, კაკაო. ახალი ბოსტნეული განსაკუთრებით პომიდორი, სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი, ისპანახი, ოხრახუში, კომბოსტო.

კრემნიუმი (სილიციუმი) კალციუმთან ერთად მონაწილეობს შემაერთებელი ქსოვილების (სახსრები, ძვლები, ხრტილი, სისხლძარღვები, კანი, თმები) შენებაში. თმებში კრემნიუმი კონცენტრირდება ძირებში, ხელს უწყობს მათ სიმტკიცეს და გამძლეობას. ასტიმულირებს თმის ფოლიკულის სისხლისმიმოქცევას. სხეულში სილიციუმის

უკმარისობისას შეიმჩნევა თმის ხარისხის გაუარესება: უსიცოცხლო ღერები, გაყოფილი ბოლოები, ცვენა. კრემნიუმის ძირითადი წყაროა შემდეგი საკვები: ფერმენტირებული რძის პროდუქტები (კეფირი, ხაჭო, არაჟანი, იოგურტი, დადუღებული გამომცხვარი რძე, აირანი, იოგურტი), მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, პროპოლი, თაფლის ფუტკარი, მტვერი, ფუტკრის პური, მუმია, სამეფო ჟელე), ჭვავი, ხორბალი, საზამთრო, კარტოფილი (განსაკუთრებით ქერქი), შვრია, კიტრი, ქერი, მზესუმზირის თესლი, თხილი.

სელენი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია თმისთვის. ის წარმოადგენს ანტიოქსიდანტს, ეწინააღმდეგება უჯრედების დაშლას და აფერხებს დაბერების პროცესს, სელენი კანს ხდის უფრო ელასტიურს, ხელს უწყობს ნაკაწრების შეხორცებას. სელენის პრეპარატებს აქვთ დადებითი ეფექტი ნეიროდერმიტების, ფსორიაზის, ქატოსებრი ლიქენის მკურნალობისას. სელენი აჩქარებს ფრჩხილებისა და თმის ზრდას. სელენი აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს თმის ცვენას, ქერტლის წარმოქმნის გაძლიერებას, ნაადრევ გაჭაღარავებასა და თმის ზრდის შეფერხებას. სელენის პრეპარატების მიღების შემდეგ თავის თმიან ნაწილში ხდება სოკოს ერთ-ერთი სახეობის - Malassezia-ის მოსპობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია თუთიასთან ერთად სელენი ჩართული იყოს თმის ცვენისა და ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნების შედგენილობაში. ადამიანის ორგანიზმში სელენის რაოდენობა სხვა ორგანოებთან შედარებით მეტად კონცენტრირებულია ფარისებ ჯირკვალში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ჰორმონოგენეზში. თირეოიდული ჰორმონები თავის მხრივ არეგულირებენ თმის ცვენის პროცესებს. შესაბამისად, ფჯ-ის დაავადებების დროს თმის ცვენის განვითარებისას მიზანშეწონილია მკურნალობაში სელენის პრეპარატების ჩართვა. სელენი დიდი რაოდენობითაა საქონლის და ქათმის ხორცში, პურ-ფუნთუშეულში, ლუდის საფუარში, ბრაზილიურ კაკალში, ამარანტში. ასევე მის უნიკალურ ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს ნიორი, უხსოვარი დროიდან შემორჩენილი ისტორიული ფაქტები ნიორის გამოყენების შესახებ სხვადასხვა დაავადებების დროს, ასევე თმის ცვენის საწინააღმდეგოდ, მასში სელენის გარდა შედის ვიტამინი C და A, რომლებიც სინერგისტულ დამოკიდებულებაში არიან სელენთან და ამ სამი უნიკალური „ტრიოს“ მოქმედების შედეგად, თმა ინარჩუნებს ბზინვას და სიმტკიცეს (2,5).

იოდი წარმოადგენს საკვანძო ელემენტს მრავალი ორგანოსა და ქსოვილის ნორმალური განვითარებისა და ზრდისათვის. იოდი ითვლება საუკეთესო საშუალებად თმის ნორმალური ხარისხის შენარჩუნებისათვის. ისტორიულად ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ფერმერები აფიქსირებენ კავშირს იოდის რაოდენობასა და ცხოველის ბეწვის ხარისხის შორის, იოდით ღარიბ მიწებზე იზრდებიან ამ მინერალით გაღარიბებული მცენარეები, შესაბამისად ცხვრებს, რომლებიც იკვებებიან ამ მცენარეებით უვითარდებათ იოდდეფიციტური მდგომარეობა და მათი ბეწვი მეჩხერი ხდება. იოდს სელენის მსგავსად აქვს ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებები. მას შეუძლია ზოგიერთი ისეთი ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ვითარდებიან თმის ფოლიკულის გარშემო და იწვევენ თმის ცვენას. იოდის როლი მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემების დაძლევაში, როგორიცაა თმის ცვენა, თმის საფარის გამეჩხერება და მტვრევადობა, ასევე ნაადრევი გაჭაღარავება. იოდის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სინთეზი, ამიტომ მისი დეფიციტის შედეგად განვითარებული ჰიპოთირეოზის შემთხვევაში მნიშვნელოვან ჩივილს წარმოადგენს შემდეგი ჩივილები: თმის ძველი ბოლქვები კვდება, ხოლო ახლები არ წარმოიქმნება, თმის გამეჩხერება აღინიშნება არა მარტო თავზე, არამედ კიდურებზე, იღლიებში და წარბის გარე მესამედში, ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეტად სპეციფიურ სიმპტომს იოდდეფიციტით გამოწვეული

ჰიპოთირეოზის დროს. ამ შემთხვევაში სასწრაფოდ კვების რაციონში საჭირო ჩაირთოს იოდით მდიდარი პროდუქტები: ზღვის კომბოსტო, თევზი, განსაკუთრებით ოკეანის და ზღვის, თევზის ქონი, ხიზილალა, ყველი, კარაქი, ხაჭო, ყავა, ფეიჰოა, ლიმონი, თაფლი, გოგრა და სხვა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სინთეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამინომჟავა თიროზინი, რომელიც არის პიგმენტ მელანინის პრეკურსორი, მელანოციტები ჭაღარა თმებში აქტივირდებიან მხოლოდ თმის ზრდის ფაზაში (ანაგენეზში). თიროზინით მდიდარმა პროდუქტებმა, კვებითმა დანამატებმა შეიძლება შეაჩეროს არამარტო ჰიპოთირეოზის განვითარება, არამედ თავისი ბიოლოგიური თვისებების გამო აღადგინოს რეგენირებულ თმებში თავისი ბუნებრივი ფერი. თმის სტუქტურის შეცვლას ადგილი აქვს ჰიპერთირეოზის დროსაც, კერძოდ ვითარდება თმის ძირების სიმტკიცის შემცირება, რასაც ხშირად მოჰყვება ალოპეცია.

კობალტი მონაწილეობს ყველა ბიოქიმიურ პროცესებში, ის აუცილებელია B12 ვიტამინის ბიოსინთეზისათვის, ნერვული ბოჭკოს მინერალიზაციისთვის, ინსულინის გამომუშავებაში, ძვლის სტრუქტურის შენარჩუნებაში, სპილენძთან ერთად კობალტი ხელს უშლის ადრეულ ასაკში გაჭაღარავებას და გამელოტებას. კობალტის წყაროა: ზღვისა და მდინარის თევზი, ყველი და რძის პროდუქტები, ცხოველების ღვიძლი და თირკმელები, კვერცხი, ბურღულეული, ქატო, უმი ბოსტნეული და ხილი, შავი შოკოლადი და სხვ.

დარიშხანმა შეიძლება გამოიწვიოს დიფუზური ან ბუდობრივი ალოპეცია, თმის კანის ქავილი, ქერტლი, ღამის საათებში წვა, თავის კანის მომატებული მგრძნობელობა (პაციენტი ვერ იტანს თმის ვარცხნას ვერც სავარცხლით, ვერც ჯაგრისით)

ბარიუმისა და მისი მარილების ქრონიკული ინტოქსიკაციის დროს საერთო სიმპტომებთან ერთად ადგილი აქვს თმისა და წარბების ცვენას.

დღენაკლი ბავშვების თმებში **ქრომის** კონცენტრაცია 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე მათ დედებში. მშობიარობა, დიაბეტი, ათეროსკლეროზი იწვევს ამ მიკროელემენტის დაქვეითებას თმებში, ჭარბი მოხმარება განსაკუთრებით ექსვალენტიანი ქრომის, კი ალერგიული ეფექტს (ალერგიული დერმატიტი, ეგზემა, ასთმური ბრონქიტი).

დამტკიცებულია, რომ **ტალიუმი** წარმოადგენს სელექტიულ შხამს თმის ფოლიკულებისთვის; დოზა 8 მგ/კგ საკმარისია თმის ცვენის განვითარებისათვის 2-3 კვირის განმავლობაში. ტალოტოქსიკოზს თან ახლავს კანის და კანქვესა ცხიმოვანი ატროფიული ცვლილებები. ჰისტოლოგიურად ვლინდება თმის ძირის გასქელება შავი პიგმენტის მასიური დეპონირებით. ეს პიგმენტი ინახება დერმაში თმის ბოლქვის მახლობლად, რაც თალიუმით მოწამვლის პათოგნომონურ ნიშნად ითვლება.

ტრიქოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **ვიტამინებს** (3,6). ნებისმიერ ადამიანს, თმის ნორმალური განვითარებისა და სტუქტურისათვის განურჩევლად სქესისა და ასაკისა, სჭირდება შემდეგი ვიტამინები:

ვიტამინი A - რეტინოლი - შეიცავს ცილა კერატინს - ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს თმის ფორმირებისთვის, გარდა ამისა, ის ახდენს ქერტლისა და ცვენის კანის ნაადრევი დაბერების პრევენციას, თმას ხდის ელასტიურს, არეგულირებს ცხიმის წარმოქმნას, ხელს უწყობს დაზიანებული თმის აღდგენას, ანიჭებს მას ბზინვას და ზოგადად აჯანსაღებს მას. ვიტამინი A-ს დეფიციტის შემთხვევაში, თმები ხდება გამოფიტული, უფერული და გაყოფილი დაბოლოებებით. აღსანიშნავია, რომ მას აქვს სხეულში კუმულირების უნარი, ამიტომ სიჭარბემ შეიძლება ზიანი მიაყენოს და გამოიწვიოს თმის ცვენა. A ვიტამინის ყოველდღიური მიღება მამაკაცებისთვის 900 მკგ, ქალებისთვის - 700 მკგ. მცენარეულ A ვიტამინზე მოთხოვნილება

შესაძლოა დაკმაყოფილებული იყოს იმ მცენარეული საკვებითაც, რომლებიც პიგმენტ კაროტინს შეიცავს. ადამიანის ორგანიმში კაროტინი A ვიტამინად გარდაიქმნება, ვიტამინი A შემდეგ მცენარეულ საკვებშია: სტაფილო, პომიდორი, ბულგარული, წითელი წიწაკა, გოგრა, ქაცვი, ბარდა, ისპანახი. ვიტამინი A განსაკუთრებით ბევრია ზღვის ცხოველებსა და თევზის ღვიძლში, ასევე თევზის ქონში, კარაქში, ყველში, ხაჭოში, კვერცხში, რძეში და სხვ.

ვიტამინი E (ტოკოფეროლი) - ძლიერი ანტიოქსიდანტი, რომელიც ებრძვის თავისუფალ რადიკალებს, აუმჯობესებს ფრჩხილებისა და თმის სტრუქტურას, აუმჯობესებს სისხლის მომარაგებას, ასტიმულირებს თმის ბოლქვების აქტიურ კვებას, ვიტამინი E უზრუნველყოფს თმის ბზინვარებას და ხელს უწყობს მის სწრაფ ზრდას. გარდა ამისა, იგი იცავს თმას გარემოს ნეგატიური ფაქტორებისგან. ვიტამინი E-ს დეფიციტის შემთხვევაში, თმები ხდება მტვრევადი და ადგილი აქვს მის გაძლიერებულ ცვენას. ვიტამინი E-ს შემცველი პროდუქტებია: კაკალი, გოგრის თესლი, მცენარეული ზეთები, ბროკოლი, ბრიუსელის ყლორტები, ღვიძლი, კვერცხი, ლობიო, მწვანე სალათი, სხვადასხვა სახის მწვანილი, ვაშლი, პომიდორი, ჟოჟობას ზეთი, ეს უკანასკნელი თმის ზრდის მასტიმულირებელი ეფექტური საშუალება, რომლის შეზელვა შეიძლება კანის დაზიანებულ არეებში.

ვიტამინი D არის ცხიმში ხსნადი ვიტამინი, რომელიც სინთეზირებულია ეპიდერმისულ კერატინოციტებში, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კალციუმისა და ფოსფორის ადექვატური დონის შენარჩუნებაში. სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად ვიტამინი D არეგულირებს კერატინოციტების ზრდას და დიფერენცირებას ბირთვული ვიტამინის D რეცეპტორთან (VDR) შეერთების გზით. თმის ფოლიკულის კერატინოციტები იმუნორეაქტიურია VDR–სთვის, ყველაზე მაღალი აქტივობა ანაგენის სტადიაშია. D ვიტამინის როლი თმის ფოლიკულში დასტურდება D ტიპის ვიტამინზე დამოკიდებული რაქიტის მქონე პაციენტებში თმის ცვენით. ამ პაციენტებს აქვთ მუტაცია VDR გენში, რის შედეგადაც ხდება D ვიტამინის რეზისტენტობა და სხეულის იშვიათი თმები, რაც ხშირად მოიცავს თხემის და სხეულის მთელ ალოპეციას (1).

ვიტამინი C - (ასკორბინის მჟავა) - ხელს უწყობს თმის სწრაფი ზრდის პროცესს, ახდენს თმის ცვენის პროფილაქტიკას თმის ბოლქვების სისხლით მომარაგების გაუმჯობესების ხარჯზე. ამას გარდა, ვიტამინი C წარმოადგენს ანტიოქსიდანტს და შესაბამისად იცავს თმას სხვადასხვა თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისაგან, რომლებიც ჭარბადაა გარემომცველ სამყაროში. ვიტამინი C-ს დეფიციტის შემთხვევაში, თმა ხდება მშრალი და ადვილად ცვივა. ვიტამინი C ორგანიზმში საკვების საშუალებით ხვდება. ის დიდი რაოდენობით არის ციტრუსებში, ასკილში, შავ მოცხარში, მწვანე ბოსტნეულში, კენკრაში, პომიდორში, ყვავილოვან კომბოსტოში, ტკბილ კარტოფილში და სხვ.

ვიტამინი B1 - (თიამინი)- აძლიერებს თმის სწრაფად ზრდის პროცესს და ახდენს კანის მიერ ცხიმის გამომუშავების ნორმალიზებას - ხელს უწყობს ჭარბი ცხიმებისა და ქერტლის მოცილებას. ვიტამინი B1-ს დეფიციტი იწვევს სებორეას, რასაც ხშირად თან ახლავს თმის ცვენა. გარდა ამისა, თიამინის დეფიციტის გამო თმები ხდება უფერული და უსიცოცხლო. **ვიტამინი B2** - (რიბოფლავინი) - აუმჯობესებს თმის ზრდის პროცესს. ხელს უწყობს კანის ცხიმოვანი უჯრედების ნორმალურ ფუნქციონირებას. ვიტამინი B2-ის დეფიციტის დროს თმა სწრაფად ცხიმიანდება ძირებში, ხოლო ბოლოებში ხდება მშრალი და მტვრევადი. **ვიტამინი B5** (პანტოთენის მჟავა) აუმჯობესებს თმის ბოლქვების კვებას, რითაც ამაგრებს თმის სტრუქტურას. მისი გავლენით თმა მოცულობითი, ბზინვარე და ელასტიური ხდება. ვიტამინი B5 განსაკუთრებით კარგად აღადგენს თმებს მისი დაზიანების შემდგომ, რომელიც გამოწვეულია

ქიმიური დახვევით, შეღებვით, თმის ფენის ხშირი გამოყენებით და ა.შ. ვიტამინი B5-ის დეფიციტის დროს თმები ხდება უსიცოცხლო, მკრთალი, მტვრევადი და ცხიმიანი. **ვიტამინი B6** (პირიდოქსინი) ხელს უწყობს თავის კანს ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებას. ახდენს დერმატიტისა და დერმატოზის პროფილაქტიკას. **ვიტამინი B7,** მეტად ცნობილი, როგორც ბიოტინი, ეხმარება თმასა და ფრჩილებს ზრდაში, ასევე, ზრუნავს ნერვული სისტემის სიჯანსაღეზე და ნივთიერებათა ცვლის პროცესს არეგულირებს. ვიტამინი B7-ის დეფიციტი იწვევს ქერტლის გაჩენას და თავის კანის ქავილს. ბიოტინებით მდიდარია კვერცხი, უცხიმო წითელი ხორცი, ბანანი, მუქი მწვანე ბოსტნეული და ტკბილი კარტოფილი. **ვიტამინი B8** (ინოზიტოლი) ხელს უწყობს თმის ბოლქვების ნორმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ახდენს მათი რღვევისა და თმის ცვენის პროფილაქტიკას. ვიტამინი B8-ს დეფიციტის დროს, ადგილი აქვს თმის გაძლიერებულ ცვენას. **ვიტამინი B9** (ფოლიუმის მჟავა) აუცილებელია თმის ბოჭკოების ახალი სტრუქტურული ერთეულების ფორმირებისთვის. ფოლიუმის მჟავა ხელს უწყობს თმის სწრაფ ზრდასა და უნარჩუნებს მას პიგმენტაციას, აჩქარებს მეტაბოლიზმს, სისხლძარღვების ნორმალურ მუშაობას. მეორე მხრივ, ის აუმჯობესებს ჰორმონალურ ფონს, რომელიც უშუალოდ მოქმედებს თმის ხარისხზე და ბოლოს აძლიერებს ნერვულ სისტემას, შესაბამისად ცნობილია, რომ სტრესი არის თმის ცვენის ერთ-ერთი ხშირი მიზეზი. ვიტამინი B9-ის დეფიციტის შემთხვევაში, თმები სწრაფად ჭაღარავდება, ნელა იზრდება და მალე ცვივა. **ვიტამინი B12** - ციანკობალამინი ამაგრებს თმის თითოეულ ღერს და საგრძნობლად აჩქარებს მისი ზრდის სიჩქარეს. ვიტამინი B12-ის დეფიციტის დროს, თმები ხდება მტვრევადი, ძალიან ნელა იზრდება და ზომიერად ცვივა.

ვიტამინი H - (ბიოტინი) აუმჯობესებს თმის სტრუქტურას და ხელს უწყობს კანქვეშა ცხიმის გამომუშავების ნორმალიზებას. იგი თმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვიტამინია, რადგან გადამწყვეტ როლს თამაშობს თმის სილამაზისა და სწრაფად ზრდის პროცესში. ვიტამინი H-ის დეფიციტის შემთხვევაში, თმა სწრაფად ცხიმინდება და თანდათანობით იწყებს ცვენას.

ვიტამინი PP (ნიაცინი, ნიკოტინამიდი) ახდენს თმების დანოტივებას და კვებავს მას თმის ბოლქვების ნორმალური სტრუქტურის შენარჩუნების ხარჯზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს თმის ნორმალურ პიგმენტაციას, რითაც ახდენს თმის გაჭაღარავების პროფილაქტიკას.

ვიტამინი F ხელს უწყობს ცხიმოვანი ჯირკვლების ნორმალურ ფუნქციონირებას, თმების სწრაფად გაცხიმიანების პროფილაქტიკას, ხელს უწყობს თმის ძირების გამაგრებას, აფერხებს თმის ცვენას, სებორეის განვითარებას.

თმის ცვენის ნუტრიციული მიზეზების განხილვისას, ხაზი უნდა გაესვას, რომ ვიტამინების მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ ცხოველური და მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა პროდუქტიდან, კაფსულების, აბების, ფხვნილის და სხვა მედიკამენტური ფორმის სახით, არამედ მისი გამოყენება შეიძლება თმის ნიღბებში, შამპუნებსა და თმის მოვლის სხვა საშუალებებში დამატების გზით. ნიღბების დასამზადებლად, ვიტამინების გამოყენების დროს, ნიღბის ერთ შემადგენლობაში, შესაძლებელია ერთმანეთთან შეთავსებადი მაქსიმუმ ორი ვიტამინის დამატება. მაგალითად, A და E ვიტამინების კომბინირება, რომელიც თავსებადია მხოლოდ ერთმანეთთან. A და E ვიტამინების შერევა რომელიმე სხვა სახის ვიტამინთან არ შეიძლება. ხოლო B, C, F და PP ჯგუფის ვიტამინების ერთმანეთთან კომბინირება შესაძლებელია ერთმანეთთან დაჯგუფებული ორ-ორი ნებისმიერი ფორმით, რადგან ისინი სრულიად თავსებადია ერთმანეთთან.

ამგვარად, თმის ცვენის რისკ-ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი როლი ნუტრიციოლოგიურ დარღვევებს უჭირავთ. ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების დისბალანსმა, ესენციური მიკრო და მაკროლემენტების, ვიტამინების დეფიციტმა, მძიმე მეტალების სიჭარბემ, სინერგიზმის პრინციპების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს თმის სხვადასხვა სახის დაზინებები, აღნიშნული ფაქტორები უნდა გათვალისწინებულიი იყოს თმის ცვენის ისეთი თანამედროვე მეთოდების, როგორია თმის გადანერგვა, ჩატარებისასაც. შესამისად ბალანსირებული კვება, მაკრო და მიკრონუტრიენტების ნორმალური სტატუსი ჯანსაღი და ლამაზი თმის საწინდარია.

ლიტერატურა

1. Banihashemi M, Nahidi Y, Meibodi NT, Jarahi L,
2. Dolatkhah M. Serum vitamin D3 level in patients
3. with female pattern hair loss. Int J Trichol.
4. 2016;8(3):116–20
1. Banihashemi M, Nahidi Y, Meibodi NT, Jarahi L,Dolatkhah M. Serum vitamin D3 level in patientswith female pattern hair loss. Int J Trichol.2016;8(3):116–20
2. Kipp A.P., Strohm D., Brigelius-Flohe R. et al. Revised reference values for selenium intake / Journal of Trace Elements in Medicine and Biology. – 2015. – N. 32. – P. 195–199
3. Mason JB. Vitamins, trace minerals, and othermicronutrients. In: Goldman L., Schafer AI, editors.Goldman-Cecil Medicine. 25 ed. Philadelphia, PA:Saunders, an imprint of Elsevier Inc.; 2016,p. 1445–1455.e1441
4. Portnov Alexey, Hair and microelements medical exper Last reviewed: 15.05.2018
5. Rayman M.P. Selenium and human health / Lancet. – –N. 379. – Vol. 9822 – P. 1256–1268. –doi: 10.1016/S0140-6736(11)61452-9.
6. Hind M. Azhar A. Ahmed,2 John P. Tsatalis,3 and Antonella Tosti 32019 Mar; 9(1): 51–70. The Role of Vitamins and Minerals in Hair Loss: 2018 Dec 13. doi: 10.1007/s13555-018-0278-6б PMCID: PMC63809796 PMID: 30547302

რეზიუმე

თმის ცვენა არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს თმა სცვივა თმის ფოლიკულის დაზიანების შედეგად. თმის ცვენის რისკ-ფაქტორებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნუტრიციოლოგიური დარღვევები. ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების დისბალანსმა, ესენციური მიკრო და მაკროლემენტების, ვიტამინების დეფიციტმა, მძიმე მეტალების სიჭარბემ, სინერგიზმის პრინციპების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს თმის სხვადასხვა სახის დაზაინებები (თმის გაყოფა, განშრევება, სიმშრალე, ჭიმვადობის, ბზინვარების კარგვა, ცვენა, ქერტლი, სებორეა და სხვ.) აღნიშნული ფაქტორები გათვალისწინებული უნდა იყოს თმის გადანერგვისას. შესამისად ბალანსირებული კვება, მაკრო და მიკრონუტრიენტების ნორმალური სტატუსი ჯანსაღი და ლამაზი თმის საწინდარია.

საკვანძო სიტყვები: ნუტრიციოლოგიური დარღვევები, თმის ცვენა.

Dea Papaskiri, Rusudan Kvanchakhadze, Maia Gongadze

Nutritional causes of hair loss

Summary

Hair loss is a condition in which a person loses hair as a result of damage to the hair follicle. Nutritional disorders play an important role among the risk factors for hair loss. Imbalance of proteins, fats, carbohydrates, deficiency of essential micro and macronutrients, vitamins, excess of heavy metals. Violation of the principles of synergy can lead to various types of hair damage (hair splitting, thinning, dryness, tightness, loss of shine, hair loss, etc.). These factors must be taken into account when performing such modern hair loss methods as hair transplantation. A well-balanced diet, normal status of macro and micronutrients is a prerequisite for healthy and beautiful hair.

Keywords: Nuturitional disorders, Hair loss.

[1]ლიანა ჯაში, [2]რუსუდან კვანჭახაძე, [3]ქეთევან დუნდუა, [4]ნინო ნიჟარაძე
[1,2,3]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
[4]ბათუმის ენდოკრინოლოგიის ცენტრი
[1,2,3]David Aghmashenebeli University of Georgia; [4]Batumi Endocrinology Center

კარანტინისა და სოციალური იზოლაციის გავლენა შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების მიმდინარეობაზე კოვიდ 19-ის პანდემიის დროს აჭარაში

დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა 2019 წლის დეკემბერში ქალაქ ვუჰანში (ჰუბეის პროვინცია, ჩინეთი) წარმოშობილი მწვავე, მძიმე რესპირატორულ სინდრომთან დაკავშირებული კორონავირუსი 2, იგივე SARS-CoV-2, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) თავდაპირველად 2019-nCoV-ად მოიხსენია, (1,2.4.) ხოლო მოგვიანებით ოფიციალურად COVID-19 უწოდა(4). ვირუსი სწრაფად გავრცელდა ჩინეთის საზღვრებს გარეთ. ჯანმო-მ აღნიშნული ვითარება 2020 წლის 30 იანვარს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობა (Public Health Emergency International Concern),(1,2,4) ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა(4). 2021 წლის 22 მარტის მონაცემებით, მსოფლიოს 216 ქვეყანაში ინფიცირებულია 123 623 396 ადამიანი, დაფიქსირებულია გარდაცვალების 2 722 167 შემთხვევა(1,3,4). ეს XXI საუკუნის მესამე ზოონოზური კორონავირუსული აფეთქებაა, როდესაც ინფექციის ადამიანიდან-ადამიანზე გადაცემა მოხდა და ჯანმრთელობის გლობალური პრობლემა წარმოიქმნა (1,2,4).

დაინფიცირებიდგან ადამიანების ძირითადი თავდაცვის საშუალებები არის სოციალური დისტანცირება, ხელის პირადი ჰიგიენა და ნიღაბის ტარება(1,4). განსაკუთრებული სიფრთხილე საჭიროა ხანდაზმული ადამიანების დასაცავად. კოვიდ 19-ის პანდემიამ მიგვიყვანა „სოციალური დისტანცირების“ უპრეცენდენტო სტრატეგიამდე, რასაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ვირუსის გავრცელების შეზღუდვისთვის. კარანტინისა და იზოლაციის (დაინფიცირებულებისთვის ან კონტაქტირებული პირისთვის) გარდა შემოღებულ იქნა სოციალური დისტანცირება ვირუსის გადაცემის შემცირების მიზნით (1,2,4). კოვიდ 19-ით დაინფიცირების, დაავადების მძიმედ მიმდინარეობის, ინტენსიურ თერაპიაში მოხვედრის და ლეტალობის რისკი მაღალია 60 წელზე მეტი ასაკის პირებში (US CDC,2020). მტკიცებითი მედიცინის ცენტრის მონაცემებით ლეტალობის კოეფიციენტი 60 წელზე ზემოთ პაციენტებში შეადგენს დაახლოებით 4%-ს, 70 წლის ზემოთ - 8%-ს, ხოლო 80 წ. -ის ზემოთ - 15%-ს (Oxford COVID-19 Evidence Service, 2020) და 0.0026-0.3%-ს 45 წლამდე ახალგაზრდა პირებში. ასევე ერთ-ერთი პირველი ჩინური კვლევის მიხედვით გამოიკვეთა ქრონიკულ დაავადებათა სპექტრი, რაც ასოცირებულია ინფიცირების შემთხვევაში მაღალ ლეტალობასთან და შეადგენდა: არტერიული ჰიპერტენზია - 17.1%, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები - 16 %, შაქრიანი დიაბეტი - 9,7%,. ასევე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დიაბეტით და ჰიპერტენზიით პაციენტებში, ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა 2-ჯერ, ხოლო გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტებში - 3-ჯერ გაიზარდა [5,6,7,8].

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, ბოლო წლებში ასაკობრივი ჩარჩოს 18-დან 99 წლამდე გაზრდის შემთხვევაში, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი 451 მლნ-ს აღწევდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2045 წლისათვის 18-99 წ.წ ასაკში 693 მლნ-ს და 20-79 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში 629 მლნ ადამიანს ექნება შაქრიანი დიაბეტი. 2018 წლისათვის 374 მილიონ ადამიანს ჰქონდა გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა და 21,3 მილიონ ქალს, რომელთაც ორსულობის გამოსავალი ცოცხლადშობილი იყო, ორსულობის პერიოდში ჰქონდა ამა თუ იმ ფორმის ჰიპერგლიკემია [5,6,7].

დიაბეტის მქონე ხანდაზმულებს, სხვა ასაკობრივ პირებთან შედარებით, ასევე აქვთ სხვადასხვა გერიატრიული სინდრომის განვითარების მაღალი რისკი, რაც განაპირობებს ამ ჯგუფში შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობის 60%-ს [5,6].

ზოგადად სოციალურმა და დემოგრაფიულმა ცვლილებებმა განაპირობა მარტოობის და სოციალური იზოლაციის გავრცელების ზრდა თანამედროვე საზოგადოებაში.(9,11) სოციალური იზოლაცია გულისხმობს სხვებისგან ობიექტურ ფიზიკურ განცალკევებას და განსხვავდება მარტოობისგან, რაც გათიშვის სუბიექტური განცდაა (Cacioppo & Patrick, 2008). ცნობილია, რომ სოციალური გათიშვის მოკლევადიანმა ფორმებმა შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ემოციები (როგორიცაა სიბრაზე და მწუხარება), შეამციროს ძირითადი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (მაგალითად, თვითშეფასება) და შემეცნებითი შესაძლებლობები(10,11,12). მეორეს მხრივ, სოციალური გათიშვის გრძელვადიანი გამოცდილება უკავშირდება დეპრესიის, სუიციდური იდეებისა და ადრეული სიკვდილიანობის რისკის ზრდას (Baumeister & Leary, 1995; Holt-Lunstad et al., 2010).
ორივე ეს ფაქტორი აშკარად ასოცირდება გულსისხლძარღვთა დაავადებების (CVD) განვითარების სიხშირის მატებასთან (12,16).

გამოითქვა ვარაუდი, რომ მარტოობა და სოციალური სტრესი დაკავშირებულია ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარული სისტემის აქტივაციასთან, რაც იწვევს ადრენოკორტიკალური და სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურებას(13,15). კერძოდ, ქრონიკული სოციალური იზოლაცია ზრდის გლუკოკორტიკოიდების სეკრეციას, რაც აძლიერებს მიელოპოეზს, პროანთებითი გენების ექსპრესიას და ჟანგვით სტრესს (14). ჰიპერგლიკემია და ინსულინრეზისტენტობა ზრდის გლიკოზილირების (AGE) და ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების საბოლოო პროდუქტების სინთეზს, ჟანგვითი სტრესი ასევე ასტიმულირებს ადჰეზიური მოლეკულების წარმოებას, რომლებიც შუამავლობენ ქსოვილების ანთებას. ეს აღნიშნული ანთებითი პროცესი შეიძლება შეადგენდეს მთავარ მექანიზმს, რომელიც იწვევს ინფექციებისადმი უფრო მაღალ მგრძნობელობას განსაკუთრებით დიაბეტის მქონე პაციენტებში [5,6,15].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა: შეგვესწავლა სოციალური იზოლაციის და კარანტინის გავლენა შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობაზე და მისი გართულებების პროგრესირებაზე.

მასალა და მეთოდები: შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი ონლაინ გოგლ ფორმის საშუალებით. კვლევაში მონაწილეობდა აჭარის სხვადასხვა კლინიკაში დასაქმებული 15 ენდოკრინოლოგი და 28 ოჯახის ექიმი. ჩართვა იყო ნებაყოფლობითი, დაიწყო 2020 წლის აპრილში, კვლევაში მონაწილე პირებს ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნათ კითხვარი.

შედეგები და განხილვა: მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი: პაციენტების მომართვიანობა სამუშაო ადგილზე შემცირდა 79,9%-ით; პაციენტებთან კომუნიკაცისთვის გამოიყენებოდა მობილური ტელეფონი და სოციალური ქსელები 64.8%; დიაბეტის ახალი შემთხვევების მანიფესტაცია იყო 58,4%; გლიკოზირებული ჰემოგლობინი

(HbA1c) 6% აღენიშნებოდა პაციენტების 23,5%-ს, 7% პაციენტების 26,5%-ს 8% პაციენტების 41.2%-ს 9% და მეტი დაფიქსირდა 8,8% გლიკემიური პროფილი მერყეობდა 180მგ%-დან 250მგ%- მდე პაციენტების 52.9%-ს, კეტოაციდოზი-4%;-ს. პაციენტების ემოციურ ფონთან მიმართებაში 82%-ში აღინიშნებოდა შფოთვა და შიში; პრეპარატის დოზის დამატება საჭირო გახდა -24.5%-ში, შემცირება- 18,3%-ში, პაციენტის ინსულინზე გადაყვანა ბინის პირობებში დასჭირდა 11.5%-ს; სტენოკარდიულმა შეტევამ მოიმატა პაციენტების 35,3%-ში, მიოკარდიუმის ინფარქტის გამო ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა 41.2%-ს, არტერიული წნევის მომატება დაფიქსირდა 88,2%-ში, კრიზით ჰოსპიტალიზაცია კი 50%-ში, გულის უკმარისობიათ ჰოპიტალიზაცია-35.3%-ში, ქვედა კიდურების ტკივილმა მოიმატა შემთხვევათა 41.2%-ში, ნეფროპათიის გამწვავება აღენიშნებოდა 4.9%-ს, მხედველობის გაუარესება კომპიუტერის და მობილურის გამოყენების გამო-55.9% -ს, წონაში მოიმატა პაციენტების 97.1%-მა, სიგარეტის მოხმარება გაიზარდა 35.3%-ში; ალკოჰოლის კი 29.4% -ში, ფიზიკური აქტივობა შემცირდა 29.8%-ით.

დასკვნა: ჩატარებული კვლევის მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგი შედეგები:

დიაბეტის დროს სოციალური იზოლაცია და კარანტინი ამცირებს სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას, იმატებს პაციენტის წონა და არტერიულ წნევა, იწვევს მავნე ჩვევების - სიგარეტის, ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებას, რაც აუარესებს უკვე არსებული კარდიოლოგიური პათოლოგიის პროგრესირებას და ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადების ახლად განვითარების რისკს.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე აღნიშნული კვლევა გაფართოვდა, გრძელდება და იგეგმება არა მარტო სამედიცინო პერსონალის, არამედ პაციენტების გამოკითხვა.

ლიტერატურა

1. https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=fbe9d198-2788-42ed-93ab-7d8109609acc
2. https://www.nih.gov/coronavirushttps:
3. https://www.coronavirus.gov/
4. https://www.who.int/
5. https://www.ese-hormones.org/
6. https://www.easd.org/
7. https://idf.org/
8. Xiao Y, Torok ME. Taking the right measures to control COVID-19. Lancet Infect Dis. 2020. pii: S1473-3099(20)30152-3. 10.1016/S1473-3099(20)30152-3.
9. Sutin AR, Stephan Y, Luchetti M, Terracciano A. Loneliness and risk of dementia. J Gerontol B Psychol. 2018. 10.1093/geronb/gby112.
10. Saglietto A, D'Ascenzo F, Zoccai GB, De Ferrari GM COVID-19 in Europe: the Italian lesson..Lancet. 2020 Apr 4;395(10230):1110-1111. doi: 10.1016/S0140-6736(20)30690-5. Epub 2020 Mar 24.
11. Shankar A, Hamer M, McMunn A, Steptoe A.Psychosom Social isolation and loneliness: relationships with cognitive function during 4 years of follow-up in the English Longitudinal Study of Ageing. Med. 2013 Feb;75(2):161-70. doi: 10.1097/PSY.0b013e31827f09cd. Epub 2013 Jan 29.PMID: 23362501

12. Shankar A, Rafnsson SB, Steptoe A.Longitudinal associations between social connections and subjective wellbeing in the English Longitudinal Study of Ageing. Psychol Health. 2015;30(6):686-98. doi: 10.1080/08870446.2014.979823. Epub 2014 Dec .PMID: 25350585
13. McHugh JE, Kenny RA, Lawlor BA, Steptoe A, Kee F.Int J The discrepancy between social isolation and loneliness as a clinically meaningful metric: findings from the Irish and English longitudinal studies of ageing (TILDA and ELSA).Geriatr Psychiatry. 2017 Jun;32(6):664-674. doi: 10.1002/gps.4509. Epub 2016 Jun 1.PMID: 27246181
14. Alzheimer's Disease International (2020). *ADI offers advice and support during COVID-19 May 1, 2020* Available at: https://www.alz.co.uk/news/adi-offers-advice-and-support-during-covid-19; accessed May 15, 2020.
15. Fässberg, M. M. et al. (2012). A systematic review of social factors and suicidal behavior in older adulthood. International Journal of Environmental Research and Public Health, 9, 722–745. doi: 10.3390/ijerph9030722.
16. Hawryluck, L., Gold, W. L., Robinson, S., Pogorski, S., Galea, S. and Styra, R. (2004). SARS control and psychological effects of quarantine, Toronto, Canada. Emerging Infectious Diseases, 10, 1206–1212. doi: 10.3201/eid1007.030703.
17. Heffner, K. L., Waring, M. E., Roberts, M. B., Eaton, C. B. and Gramling, R. (2011). Social isolation, C-reactive protein, and coronary heart disease mortality among community-dwelling adults. Social Science & Medicine, 72, 1482–1488. doi: 10.1016/j.socscimed.2011.03.016.

რეზიუმე

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წელს გამოცხადებული პანდემია-დაავადება COVID-19 -ის დროს შაქრიანი დიაბეტის თანაარსებობა წარმოადგენს პაციენტის სიკვდილობის მნიშნელოვან ფაქტორს. ინფიცირებიდან ადამიანების ძირითადი თავდაცვის საშუალებები არის სოციალური დისტანცირება, ხელის ჰიგიენა და ნიღაბის ტარება. ქვეყნები დაავადების გავრცელების შენელებისთვის იბრძვიან - პაციენტების ტესტირებით, დაინფიცირებული პაციენტების კონტაქტების კვლევით, მოგზაურობის შეზღუდვით, მოქალაქეების იზოლაციითა და მასშტაბური შეკრებების, სპორტული ღონისძიებების, კონცერტებისა და სკოლების გაუქმების გზით. ქალაქების და მოქალაქეების კარანტინის და კომენდანტის საათის რეჟიმში გადაყვანით. ჩატარებული კვლევით გამოვლინდა, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს სოციალური იზოლაცია და კარანტინი ამცირებს სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას, იმატებს პაციენტის წონა და არტერიული წნევა, ხელს უწყობს თამბაქოსა და ალკოჰოლი ჭარბად მოხმარებას, რაც აუარესებს უკვე არსებული კარდიოლოგიურ პათოლოგიას და ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადების ახლად განვითარების რისკს.

საკვანძო სიტყვები: შაქრიანი დიაბეტი, SARS-COV-2, კოვიდ 19, მარტოობა, სოციალური იზოლაცია, კარანტინი.

Liana Jashi,Rusudan Kvanchakhadze, Qetevan Dundua, Nino Nijharadze

Impact of quarantine and social isolation on the course of diabetes mellitus and its complications during Covid 19 in Adjara

Summary

The coexistence of diabetes during COVID-19, a pandemic declared by the World Health Organization in 2020 yaer, is an important factor in patient mortality. The main means of protecting people from infection are social distance, hand hygiene, and wearing a mask. Countries are fighting to slow the spread of the disease - by testing patients, studying contacts of infected patients, restricting travel, isolating citizens and canceling mass gatherings and sports, events, concerts and schools. Quarantine and curfew for cities and townspeople. Our research have shown that social isolation and quarantine during diabetes reduces access to medical care, increases patient weight, blood pressure, induces bad habits, increases cigarette and alcohol consumption, which worsens the course of already diagnosed and increases the risk of newly developing cardiovascular diseases.

Keywords: Diabetes, SARS-COV-2, Covid 19, Loneliness, Social Isolation, quarantine.

Davit Gvenetadze
Senior Specialist of the Secretariat of Education and Culture
Commission at Tbilisi City Municipality Assembly

Freedom of Expression and Certain Prerequisites for its Limitation

Introduction

Human rights are inseparable and interdependent. Every right is based on or derives from other human rights. For example, the protection of social rights also includes freedom of expression,[1] which is internationally recognized as one of the fundamental human rights. It is protected by the Universal Declaration of Human Rights,[2] the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms,[3] International Covenant on Civil and Political Rights, the Recommendation of the EU Parliamentary Assembly on Freedom of Expression and Freedom of Information in the European Media,[4] its Resolution on Freedom of Expression and Respect for Religious Beliefs,[5] and several other international, regional,[6] or national legislation. Generally, the term "expression" is not limited to the

---

[1] Human Rights, Handbook for Parliamentarians N° 26, United Nations, Human Rights, Office of the High Commissioner, Inter-Parliamentary Union, Courand et Associés, 2016, p. 22.

[2] According to article 19 of the Declaration, everyone has the right to freedom of opinion and expression. This freedom includes the right to hold opinions without limitation and to seek, receive, and impart information and opinions freely through all means. Article 19, The Universal Declaration of Human Rights, United Nations, <https://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/>, [15.12.2019].

It is noteworthy that, because of the abstract content of article 19 of the Declaration, it applies freely to modern technologies, including the Internet. This indicates that the Universal Declaration of Human Rights is a living document. See Gordon Brown (ed.), *The Universal Declaration of Human Rights in the 21st Century: A Living Document in a Changing World.* Cambridge, UK: Open Book Publishers, 2016. http://dx.doi.org/10.11647/OBP.0091, p. 53.

[3] According to article 10.1 of the Convention, everyone has the right to freedom of opinion, which includes freedom to hold opinions, to receive or impart information or ideas without interference by public authority. Article 10, Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Rome 1950, <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>, [15.12.2019].

The first paragraph of the article covers three constituent parts of freedom of expression: freedom of opinion; Freedom of receiving Information and Freedom of disseminating Information. See "Freedom of Expression and Religion", edition prepared by the Union for the 21st Century under the project "Challenges on the Road to Association Agreement Implementation and European Integration", supported by Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2016, p. 5, <http://century21.ge/geo/gamoxatvisa-da-religiis-tavisufleba/>, [15.12.2019].

[4] Freedom of expression and information in the media in Europe, Recommendation 1506 (2001), Parliamentary Assembly, Council of Europe, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-en.asp?FileID=16888&lang=en>, [20.12.2019].

[5] Freedom of expression and respect for religious beliefs, Resolution 1510 (2006), Parliamentary Assembly, Council of Europe, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-en.asp?FileID=17457&lang=en>, [20.12.2019].

[6] These include the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, the Elimination of All Forms of Racial Discrimination, and the International Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, Convention No 135 on Workers' Representatives.

Among the standards of regional importance is the American Convention on Human Rights, Declaration on Principles of Freedom of Expression, the Amsterdam Recommendation (Organization for Security and Cooperation in Europe) and the Bishkek Declaration (OSCE).

written and oral forms of views, and opinions. It involves any means of expressing ideas or conveying information. Means of obtaining, processing, transmitting, and disseminating information - print materials, radio broadcasts, artifacts, films, electronic information systems are protected by article 10 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms [7]. The person should be free to receive information. He/she should be able to discuss, consider, and analyze different issues. This applies not only to information that is acceptable to the government or any majority but also to information that may not be desirable for them.

Freedom of receiving information and the freedom of idea is particularly important for media representatives, as this is essential for informing the public on issues that are of major concern to them. The public, as well as, groups of individuals are equipped with the right to receive information on topics that interest them. Freedom of information prohibits the government from restricting access to information that is public. It is also urgent and necessary to protect freedom of expression during the creative process. In his/her work, the creator expresses not only a personal outlook but also a view towards the world in which he/she lives. In this sense, art also helps to shape public opinion. However, everyone who enjoys the freedom of expression must obey certain obligations - as far as possible, one should avoid expressions or reasoning that is offensive to others and violates their rights. Accordingly, the freedom to receive and impart information is not absolute. The state has the right to intervene lawfully in the expression of any opinion, information, or idea.[8]

Article 10.2 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms indicates that the exercise of freedom of expression may be subjected to such formalities, conditions, restrictions, or penalties that are necessary for public safety, for the prevention of public disorder, for protecting morals, or the rights and dignity of others[9]. In its turn, the Constitution of Georgia relates to the Convention, which, following the first and second parts of article 17, protects freedom of thought and expression; the persecution of a person for thought or expression is inadmissible; Everyone has the right to freely receive and impart information. Paragraph 5 of the article states that these rights may be limited only by law to ensure state and public security or territorial integrity, as well as, protection of the rights of others...[10] The preconditions for restricting freedom of expression are also given in the Law of Georgia on Freedom of Speech and Expression, which sets a standard that must be observed in such restrictions. According to article 8 of the law, any restriction of the rights recognized and protected with this law may be imposed only if it is provided by a clear and unambiguous, narrowly purposeful law, and the legal goodness protected by the restriction exceeds the damage caused by the restriction. In its turn

---

See Freedom of Opinion and Expression - International standards, <https://www.ohchr.org/EN/Issues/FreedomOpinion/Pages/Standards.aspx>, [24.12.2019];
Rules of the Game, Brief Introduction to International Labor Standards, International Labor Organization, Revised Edition, Switzerland, 2009, p. 27.

[7] "Freedom of Expression and Religion", edition prepared by the Union for the 21st Century under the project "Challenges on the Road to Association Agreement Implementation and European Integration", supported by Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2016, p. 7, <http://century21.ge/geo/gamoxatvisa-da-religiis-tavisufleba/>, [27.12.2019].

[8] Ibid, p. 6, 8.

[9] Article 10.2., Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Rome 1950, <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>, [31.01.2020].

[10] Article 17, the Constitution of Georgia, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.htm>, [07.02.2020].

article 9 clarifies that the law may establish the substantive regulation of speech and expression if it refers to defamation, obscenity, face-to-face insult, incitement to commit a crime, etc.[11]

In terms of protecting the rights of others, it is also important to respect the dignity of the people about whom the view is expressed. Naturally, a person who expresses an opinion has the right to sharply criticize a person or a group of individuals for specific reasons, although his or her task should not be to violate dignity, which extremely humiliates the addressee in the eyes of the public. An in-depth assessment of human dignity was made by the Constitutional Court of Georgia, which noted that "the legal scale of liberty is created by human dignity, so the society of free people is an advantage in states where human dignity is the basis of a system of values. Dignity is the basis of each person's identity and an equal guarantee; Respect for human dignity implies the personal recognition of every person, whose deprivation and restriction are inadmissible. For the state, the human being is the primary goal, the object of respect, the core value, and not the mean to achieve the goal..." [12]

For a democratic society, any restriction of freedom of expression must serve a legitimate purpose. Goals are lawful if they serve the interests of national security; the prevention of public disorder and crime; the protection of morals, the reputation of others; and so on. Since there are no unified European standards of morality and ethics, each state defines these concepts based on its own cultural and historical values. Accordingly, different states set different criteria, and therefore, the degree of restriction varies. National courts must take into account the fact that a general and/or permanent prohibition of freedom of expression is banned even in such sensitive areas as morality. National courts are instructed to uphold the principle of proportionality: the target group of expression is important, including children and young people; Measures to limit access to the form of expression for reasons of reducing "immoral" impact should also be considered.[13] Thus, the restriction of freedom of expression should be exercised cautiously during which the court, the various regulatory or administrative bodies should maintain proportionality, achieve the necessary and more valuable legitimate goals, thus protecting the requirements and standards of law, and avoiding the violation of the rights and interests of others. This would justify the restriction of freedom of expression.

I. Limitation of Freedom of Expression in the Mass Media

In general, when evaluating restrictions on freedom of expression, it is important to distinguish between the notions of thought and fact. The fact is objectively existent, and opinion is subjective. The fact, in its essence, is not causally related to beliefs and thus it may be false or correct.[14] "Obviously, false facts are not protected by freedom of thought, but it is not excluded that rumors or facts may be transmitted and defended in cases where they do not appear to be true or false." It is fair to say that

---

[11] Articles 8-9, Law of Georgia on Freedom of Speech and Expression, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>, [07.02.2020].

[12] The decision of the Constitutional Court of Georgia of 24 October 2015 №1/4/592 on the case "Citizen of Georgia Beka Tsikarishvili v. Parliament of Georgia", II-11;
Constitutional Court of Georgia, Decision No. 2/2-389 of 26 October 2007, in Case Citizen of Georgia Maya Natadze and Others v. Parliament of Georgia and the President of Georgia, II-30.

[13] "Freedom of Expression and Religion", edition prepared by the Union for the 21st Century under the project "Challenges on the Road to Association Agreement Implementation and European Integration", supported by Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2016, p. 9, 10, 11, <http://century21.ge/geo/gamoxatvisa-da-religiis-tavisufleba/>, [08.02.2020].

[14] Commentary on the Constitution of Georgia, Authors' Collective, Publishing House "Petite", Tbilisi 2013, p. 258, 259.

when it comes to asserting false or unconfirmed facts, the right to freedom of expression rests on the protection of one's rights[15]. In the information age, great attention is paid to the forms of expression and the means of transmitting the information. Particular caution is needed when mass media disseminates information, as data transmitted by television and radio extends to a larger audience. Accordingly, this information requires careful verification[16]. Paragraphs 3 and 4 of article 17 of the Constitution of Georgia, guarantees the freedom of the media, the prevention of censorship, and the right to access the internet and use it freely.[17] As for freedom of the press, it protects the freedom of those employed in the field of communication; also those who ensure freedom of thought and expression through communications.[18]

It is, of course, not always possible to thoroughly verify the information found in journalistic work and present it to the viewer, listener, or reader with complete accuracy, but the primary objective of the journalist should be to obtain the correct information within the existing opportunities[19]. Moreover, the press should not disseminate false information and data[20] that can mislead the general public and infringe legitimate interests. This is why the European Court considers that the misrepresentation of information by journalists and misleading the public is a breach of professional duties, which may limit freedom of expression[21]. The ECHR on case Şener v. Turkey (no. 26680/95, 2000) drew attention to the possible consequences of journalists' work and explained that information,

---

[15] Constitutional Court Decisions, Tbilisi, 2005, p. 27.

[16] "Freedom of Expression and Religion", edition prepared by the Union for the 21st Century under the project "Challenges on the Road to Association Agreement Implementation and European Integration", supported by Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2016, p. 10, <http://century21.ge/geo/gamoxatvisa-da-religiis-tavisufleba/>, [08.02.2020].

[17] Article 17, the Constitution of Georgia, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.htm>, [17.02.2020].

In the Constitutional Court's view, "pluralism of opinions and a constant struggle of different views are the vital element of the ongoing democratic process in a country. Pluralism and the tolerance of different standpoints are the hallmarks of a democratic society and its seat." The decision of the Constitutional Court of Georgia №1/1/477 of 22 December 2011 on the case "Public Defender of Georgia v. Parliament of Georgia", II-43;

The foregoing position emphasizes the particular value of freedom of expression, but the court also notes that "freedom of expression may be restricted when expression crosses the line between freedom of expression and the right of others." The decision of the Constitutional Court of Georgia №1/3/421,422 of November 10, 2009, on the Case "Citizens of Georgia Giorgi Kipiani and Avtandil Ungiadze v. the Parliament of Georgia", II-6;

The court persuasively explains the importance of freedom of expression and its connection to other legal virtues when emphasizing that: "despite the paramount importance of freedom of expression for the development of individual and society, it does not enjoy an inherent advantage over any other constitutional virtue. While the exercise of this right without prejudice may jeopardize any actual violation, the right to freedom of expression may also be restricted and this is one of the main rules of democracy.''

The decision of the Constitutional Court of Georgia №2 / 482,483,487,502 of April 18, 2011, on the case "Citizens' Political Union" Movement for United Georgia ", Citizens' Union" Conservative Party of Georgia ", Citizens of Georgia - Zviad Dzidziguri and Kakha Kukava, Georgian Young Lawyers' Association, Citizens Dachi Tsaguria, and Jaba Jishkariani, the Ombudsman v. the Parliament of Georgia, II-25, 26.

[18] Commentary on the Constitution of Georgia, Authors' Collective, Publishing House "Petite", Tbilisi 2013, p. 258, 264.

[19] McGonagle, T., "Fake News": False Fears or Real Concerns? Netherlands Quarterly of Human Rights 2017, Vol. 35(4), p. 208, <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0924051917738685>, [19.02.2020].

[20] Kublashvili K., Comments on the Constitution of Georgia, Tbilisi, 2005, p. 203.

[21] Gotsiridze E., Freedom of Expression in the Context of Fair Balance of Conflicting Values, (Dissertation), Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), 2006, p. 147-148.

including calls for violence against the state, should be circulated with caution, to keep the media from being used as a tool for hate speech and violence.[22]

The statement of the Georgian National Communications Commission on November 9, 2015, is also noteworthy that refers to the dispute about ownership of "Rustavi 2 Broadcasting Company". The commission stated that according to the court ruling, the company director and all persons acting under his authorization had been suspended; Also, the provisional managers, registered in the Registry of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial Legal Entities, did not exercise representational powers, which according to the commission estimation, created a real threat to delaying or suspending, the relationship of the broadcaster, which could lead to non-compliance with the broadcaster's legal obligations. Therefore, the commission applied to the disputing parties of the broadcasting company Rustavi 2 Ltd, to take all measures to prevent the company from not being represented by an agent at any stage of the trial and to avoid interruption of the broadcasting activity. On November 11, 2015, the Public Council for the Protection of Broadcasting Company Rustavi 2 issued a distorted statement to Kibar Khalvashi, circulating a lie, misleading the public about the commission's position, and damaging the commission's business reputation and image. Accordingly, the commission requested the Public Council for Protection of the Broadcasting Company Rustavi 2 to apologize publicly for spreading false information to the commission and the public.[23]

Considering the cases discussed, we believe that the goal of the court and media regulator was not to unduly restrict freedom of expression, especially to interfere with the professional activity of the journalists and to lock them with an artificial barrier. On the contrary, the judiciary and regulatory authorities have sought to balance legitimate interests by protecting the freedom of expression of journalists on one hand, and to prevent widespread media reports of violence on the other hand; also, cancellation of broadcasting.

II. Limitation of Freedom of Expression in Creative Work

Innovative processes in the cultural, political, socio-economic and legal spheres, automatically lead to a deficit of regulating the intellectual property[24], the elimination of which is one of the concerns of states. Effective and productive protection of the intellectual property is essential to prevent the infringement of intellectual property rights in modern societies[25]. Therefore, it is no coincidence that the EU, as a coalition of advanced countries, operates many regulations to protect intellectual rights. The sources of copyright here are international treaties, union law, and national laws. Many directives set out the obligations of the Berne and Rome Conventions. The source of copyright is the World Trade Organization's Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS) and

---

[22] Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, Dominika Bychawska-Siniarska, A handbook for legal practitioners, Council of Europe, 2017, p. 98. <https://rm.coe.int/handbook-freedom-of-expression-eng/1680732814>, [19.02.2020].

[23] National Communications Commission of Georgia, <https://www.comcom.ge/ge/news/press-releases/saqartvelos-komunikaciebis-erovnuli-komisia-cru-sazogadoebis-shecdomashi-shemyvani-komisiis-reputaciis-shemlaxavi-informaciis-gavrcelebis-gamo-rustavi-2-is-dacvis-sazogadoebrivi-sabchosgan-bodishis-sadjarod-moxdas-moitxovs.page>, [19.02.2020].

[24] Светлана Юрьевна Казаченок, Право Интеллектуальной Собственности Объединенной Европы, «Вестник Волгоградского государственного университета. Серия 5. Юриспруденция», 2015. № 3 (28), Волгоград, p. 37

[25] Enforcement of intellectual property rights, European Commission, <https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement_en> [21.02.2020].

agreements of the World Intellectual Property Organization (WIPO)[26]. The purpose of these regulations is to safeguard creative freedom, to ensure free international access to copyrighted works, and their continued use during the protection of education, research, and cultural heritage[27]. Besides, the EU has been monitoring the proper implementation of copyright, and in recent years the European Court of Justice has introduced the practice of interpreting European directives.[28]

The realization of intellectual rights is one of the key guarantors of freedom of expression, which enables people to freely express their opinions, ideas, or beliefs in many forms; create, and distribute works. Accordingly, the aforementioned international and national legislation is crucial in protecting freedom of expression. Naturally, the European Union countries are in the vanguard in this regard and set an example for developing states. Therefore, Georgia, which is actively aspiring to the European family, protects the freedom of human creativity at the constitutional level and reinforces the non-participation in the creative process and censorship under article 20.[29] No one, first of all, the state, has the right to interfere in any creative activity, to dictate to the creator the conditions or standards of the creature. Intervention implies "formalities", "conditions", "restrictions" or "sanctions" which do not fall within the scope of freedom of the creative process. Such interference may take place within the scope of article 20, paragraph 3 of the Constitution, which implies not the creation of the work but the legality of their use and dissemination.[30]

Despite the special value of intellectual rights and creative freedom as a source of culture and education, they are subject to limitations. However, such a restriction should not be perceived as prejudicial to culture and education, nor as a measure directed against freedom of expression. Such a standpoint is reinforced by the explanations given by the Council of Europe and the European Court of Justice. For instance, in a 2008 Report, the Venice Commission of the Council of Europe stated: “in a democratic society there can be no restriction of creative, intellectual and/or other means of expression, but the conditions and scope of circulation of intellectual or artistic production may be limited (including the expression of ideas, the dissemination of books, articles, etc.). The author of the statement/work and those who have directly or indirectly contributed to the dissemination of such work (namely: publisher, editor, broadcaster, journalist...) are responsible for inciting hatred or religious abuse.''[31]

Concerning creative work, the position of the German Constitutional Court is important, which preferred public safety to freedom of expression on the case (1BvR 2150/08, 2009). Individuals wanted to

---

[26] Martine Hebette, Lora Velikova-Maldzhanska and Orlin Denkov, Dorota Rodriguez-Szurman, Ulrik Spliid, Eva Ulbrich and Michael Schonger, et l., *Copyright Law in the EU: Salient Features of Copyright Law across the EU Member States,* European Parliamentary Research Service (EPRS), Comparative Law Library Unit, Brussels, 2018, p. 2

[27] Modernisation of the EU copyright rules, European Commission, <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/modernisation-eu-copyright-rules>, [24.02.2020].

[28] The EU Copyright Legislation, European Commission, <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/eu-copyright-legislation>, [24.02.2020].

[29] Article 20, the Constitution of Georgia, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.htm>, [24.02.2020].

[30] Commentary on the Constitution of Georgia, Authors' Collective, Publishing House "Petite", Tbilisi 2013, p. 245.

[31] Report on The Relationship Between Freedom of Expression and Freedom of Religion: the Issue of Regulation and Prosecution of Blasphemy, Religious Insult and Incitement to Religious Hatred, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), 2008, p. 13 (Sec. 53, 54, 55), <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e>, [28.02.2020].

organize meetings in the German city to commemorate Adolf Hitler's representative in 1939-41, Rudolf Hess. However, they were prohibited from doing so under local law and article 130.4 of the German Criminal Code. As a result, the initiator of the arrangement argued that article 130.4 (Incitement of Hatred)[32] of the German Criminal Code conformed with article 5 of the German Basic Law (Freedom of Expression, Creativity, and Science)[33]. According to the Constitutional Court, "Freedom of thought means that the law is not directed against the purely intellectual side of an expression, but the purpose of public order is to safeguard legal interests at an early stage.[34]" Finally, the court held that article 130.4 of the German Criminal Code conformed with the basic German law and the plaintiff's claim was not satisfied. The case Handyside v. the United Kingdom (no. *5493/72, 1976)* is important regarding the State's restriction of article 10 of the Convention based on morality. In this case, the government of the United Kingdom relied on the protection of morals to enforce a ban on a textbook on a child's sexual education. Despite the English publisher's assertion that the textbook ban breached article 10 of the European Convention, the European Court disagreed and held that the respondent state could legitimately restrict article 10 of the convention on grounds of morality. The European court noted: "because of their direct and constant contact with the vital principles of their countries, the state authorities are in a better position than the international judge to express its position on the precise content of these requirements, as well as the "necessity" or "restriction" of their satisfaction, and the "punishment". It follows from this provision that the European Court of Justice leaves states with the "scope of free evaluation", that is, the freedom to assess whether the restriction of a particular human right is necessary for a democratic society or not.[35]

In the context of creative activity, freedom of expression implies the artist's independence, at own discretion, to convey, represent and disseminate it via different mechanisms (whether audio, visual, photography, installation, painting, or other means). Obviously freedom of expression is essential for developing the creative industry, introducing and realizing the creative ideas of artists and groups, creating a competitive environment, and for establishing international standards. However, the abovementioned court interpretations allow us to conclude that the protection of intellectual property and freedom of expression should not be exercised at the expense of vital legal rights or their ignorance and that artists, despite the specificity of their daily activities, are subject to legitimate restrictions.

---

[32] Inciting of hatred is punishable by up to three years in prison or a fine under Article 130 of the German Criminal Code; German Criminal Code promulgated on 13 November 1998, p. 67, <https://publicofficialsfinancialdisclosure.worldbank.org/sites/fdl/files/assets/law-library-files/Germany_Criminal%20Code_1998%20amended%202009_en.pdf>, [28.02.2020].

[33] According to Article 5 of the Basic Law of the Federal Republic of Germany, freedom of expression, creativity, and science can be restricted to protect others and their dignity.''; Basic Law for the Federal Republic of Germany, Deutscher Bundestag, last amended on 23 December 2014, p. 16, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/englisch_gg.pdf>, [28.02.2020].

[34] § 130.4 of the Criminal Code is Compatible with Article 5.1 and 5.2 of the Basic Law, The Federal Constitutional Court, <http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2009/bvg09-129.html>, [28.02.2020].

[35] Korkelia K., Towards European Integration: The European Convention on Human Rights and Georgia's Experience, Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Petiti Ltd, Tbilisi, 2007, p. 20, 22.

III. The Boundary between Freedom of Expression and the Hate Speech

Hate speech is very closely linked to freedom of expression[36]; it promotes a markedly negative attitude towards several groups distinguished by different signs; Also justifies or promotes hatred, discrimination, and hostility towards them. These groups usually include people of different nationalities, ethnicities, religions, cultures, orientations, and beliefs. There is no universally recognized legal definition of hate speech, but in 1997 the Committee of Ministers of the Council of Europe adopted Recommendation #R (97) where it is defined as follows: Hate speech encompasses all forms of expression that spread, promote, provoke or justify xenophobia and racial hatred, as well as, assist to demonstrate intolerance via other forms - ethnocentrism, nationalism, discrimination, hostility toward minorities or migrants[37]. For its part, the UN defines hate speech as a threat to democratic values, social stability, and peace. Accordingly, the UN declares to always principally oppose hate speech, as its ignorance will promote intolerance and increase the number of victims.[38]

Due to the growing dangers of hate speech, the international community is struggling to combat it effectively and has legal mechanisms in place. In particular, the Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination obliges signatory states to declare dissemination of ideas on racism and hatred as a punitive action. Article 20 of the International Covenant on Civil and Political Rights requires that states must prohibit any speech directed at inciting national, racial, or religious hatred and aimed at encouraging discrimination, hostility, or violence within their jurisdiction.[39] " The EU Council Framework Decision on Combating Certain Forms and Expressions of Racism and Xenophobia by Means of Criminal Law (2008/913/JHA) obliges states to punish racism and xenophobia with effective, proportionate and severe criminal penalties[40]. Today norms are regulating hate speech in Denmark; expressing and disseminating racist hatred is punishable under the Criminal Code. French law punishes incitement to racial discrimination, hatred, or violence. The same approach is established in the Netherlands, the UK, and other European countries. As for the approach of the European Court of Human Rights, in various cases, the court has identified forms of expression which it considers to be offensive and contrary to the European Convention on Human Rights[41]. The court considers that, in case of necessity and when proportionate legitimate aim exists, forms of freedom of expression may be restricted/prohibited (once they create, disseminate, promote or justify intolerance and hatred).[42] The judgment of the European Court of Human Rights on the case of Erbakan v. Turkey (59405/00, 2006) is significant. In 1994, a member of the Welfare Party in Turkey, Necmettin Erbakan, publicly addressed

---

[36] Hate Speech (legal framework for Georgia), the study is prepared by a project funded by the Government of the Netherlands within the framework of "Supporting the Strengthening of Human Rights in Georgia", Georgia Democratic Initiative, Tbilisi, 2014, p. 3.

[37] Hate Speech, Issue Prepared by the 21st Century Union within the project "Hate Speech Problem and Support in Overcoming it in Georgia", with the support of Friedrich Ebert Stiftung, Tbilisi 2017, p. 3.

[38] Strategy and Plan of Action on Hate Speech, United Nations, p. 1, <https://www.un.org/en/genocideprevention/documents/UN%20Strategy%20and%20Plan%20of%20Action%20on%20Hate%20Speech%2018%20June%20SYNOPSIS.pdf>, [08.03.2020].

[39] Hate Speech, Issue prepared by the 21st Century Union within the project "Hate Speech Problem and Support in Overcoming it in Georgia", with the support of Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2017, p. 4.

[40] Responding To 'hate Speech': Comparative Overview of Six EU Countries, Free Word Center, London, 2018, p. 12, <https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/ECA-hate-speech-compilation-report_March-2018.pdf>, [09.03.2020].

[41] Hate Speech, Issue prepared by the 21st Century Union within the project "Hate Speech Problem and Support in Overcoming it in Georgia", with the support of Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2017, p. 4.

[42] Factsheet-Hate Speech, European Court of Human Rights, Press Unit, 2017, p. 1.

voters during the pre-election period, using hate speech. Later criminal prosecution began against him for making hateful and hostile statements, focusing on differentiating people according to their religion, race, and region of residence. Turkey's first-instance court has sentenced Erbakan to one year and fined him. The decision was upheld by the Court of Appeal, and the case was not even received by the supreme court. As a result, Erbakan appealed to the European Court of Human Rights, which explained that combating all forms of intolerance is an integral part of human rights, so politicians are obliged not to use hate speech.[43]

Based on the above-mentioned international trends, preventive legislative mechanisms that counter hate crime are important for Georgia as a guarantor of mutual solidarity and public consolidation; Also, for the protection of the dignity and reputation of individuals and groups. Exactly that is the purpose of article 142[1] of the Criminal Code of Georgia, which criminalizes racial discrimination. This crime includes directly or indirectly restricting human rights, encouraging national or racial animosity or rift, humiliating national honor and dignity, as well as preferring individuals on the same basis which substantially infringes the victim's right."[44] Depending on the composition of the crime, it is obvious that racial discrimination can be made verbally, within the expression of opinion. Discrimination based on nationality may be completed by a public statement that one or another nation or ethnic group is distinguished by mental stupidity. As for the objects protected by this article, these are the freedom and equality of members of different nations and races, guaranteed by the Constitution of Georgia and the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (ICERD), which Georgia joined in 1999.[45]

It is clear that, Georgian lawmakers, who consider international legal standards, strive to strike a balance between freedom of expression and the protection of human rights/legitimate interests. The purpose of the legislature is to differentiate free introduction and dissemination of personal opinions, assessments, ideas, or facts, from hate speech or other forms of interaction that substantially infringe the rights of others, derogate their dignity and reputation, endanger public order, the safety of the state and stir-up feuds between individuals and groups. Naturally, this legitimate aim of the legislator justifies a proportionate restriction of freedom of expression.

Conclusion

A democratic society cannot exist without freedom of expression, which is a self-sufficient human right. It ensures the full formation and development of the personality, the exchange of views and ideas, the open discussion on actual issues, the promotion of equality and peace. Freedom of expression is also vital during creative work; to represent the artist; create valuable works in cultural, educational, scientific, and technological terms. Herewith, as it has been shown, in the modern era the mass media is a powerful mechanism for the expression and dissemination of opinion, which increases their capacity and responsibility towards society. Journalism is not just about finding, processing, and disseminating facts, but it also serves to form a common opinion. Naturally, it is difficult to mark off subjective and objective information or opinions in this process, especially in Georgian journalism,

---

[43] European Court of Human Rights: Case of Erbakan v. Turkey, <https://www.researchgate.net/publication/294262619_European_Court_of_Human_Rights_Case_of_Erbakan_v_Turkey>, [09.03.2020].

[44] Law of Georgia - Criminal Code of Georgia, CC, 41 (48), 13/08/1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=232>, [09.03.2020].

[45] Authors' Collective, Commentary on Private Section of Criminal Law of Georgia, Book I, Tbilisi 2011, Publishing House "Meridiani", Fourth Edition, p. 200.

which is extremely polarized and some journalists frequently perceive that freedom of expression is the right to say anything about anybody[46], or interpret facts subjectively, which serves the interests of particular groups, not the society's needs. The difficulty of dissociating a free expression of thought and the dissemination of opinions/views (that offend others, infringe their legal rights and freedoms, incite violence, and result in harm) is still a severe legal challenge today. Therefore, despite the high standard of protection of freedom of expression, European law and court practice unambiguously restrict the scope of expression when it contains the aforementioned marks and endangers a democratic society. Unfortunately, the freedom of expression in Georgia is often abused and, despite the relevant legal regulations, the state cannot ensure its proportional and immediate restriction. This problem is most clearly evident in Georgian political life, where representatives of opposing parties insult each other without hindrance, swear allegations, and even spread calls for violence and disorder,[47] which is rarely followed by effective legal action. As far as these actions have been frequently tolerated, such expressions have become irreversible and a trend. This, of course, points to serious shortcomings in the enforcement of national legislation and harms the country's regional or international image.

To overcome this challenge, consistent and coordinated actions between legislative and executive bodies are needed. Particular attention should be paid to close cooperation with international partners, a better understanding of foreign legislation and standards, analysis of relevant cases by national courts and the European Court of Human Rights. Besides, large-scale interactive measures must be taken to provide the public with complete information about the freedom of expression and the conditions for its proportionate restriction.

Bibliography

1. Authors' Collective, Commentary on Private Section of Criminal Law of Georgia, Book I, Tbilisi 2011, Publishing House "Meridiani", Fourth Edition, p. 200.
2. Commentary on the Constitution of Georgia, Authors' Collective, Publishing House "Petite", Tbilisi 2013, p. 245, 258, 259, 264.
3. Constitutional Court Decisions, Tbilisi, 2005, p. 27.

---

[46] For example, Giorgi Gabunia, presenter of Rustavi 2 TV's Postscriptum program, made insulting and unethical statements against Russian President Vladimir Putin on July 7, 2019. The management of the channel apologized and suspended Giorgi Gabunia for 2 months. The Ministry of Foreign Affairs of Georgia condemned this fact and noted that the statements made were a provocation aimed at further aggravating the already difficult situation in Georgian-Russian relations. The Ministry also called on the international community and all international organizations working for freedom of the press to make an appropriate assessment of the behavior of the television company, and in particular, this journalist.
See: <http://ajaratv.ge/article/45642>, [10.03.2020]; <https://1tv.ge/news/saqartvelos-sagareo-uwyeba-rustavi-2-is-gamonatqvamebi-aris-wminda-wylis-provokacia-romelic-mimartulia-saqartvelo-rusetis-urtiertobebshi-arsebuli-isedac-rtuli-vitarebis-kidev-ufro/?fbclid=IwAR0KWfvRp3GHF78byexIlJWzaiVQv-b2_BBBEty9U1_Fa923siA6nIEpAw4>, [10.03.2020].

[47] Deputy of Russian Duma, Sergei Gavrilov, who views Abkhazia and Ossetia as independent states, took up the chair of the Georgian parliament during his visit to Georgia and led the Orthodox Assembly. This was followed by protests by specific groups, which turned into a protest action near Parliament on June 20-21, 2019. Some of the protesters went beyond the freedom of expression and started violent calls and actions that led to their prosecution (including Member of Parliament Nikanor Melia, who was accused of leading and participating in group violence). See:<http://go.on.ge/14xz>, [01.04.2020];
<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-20-21-ivnisis-ghames-djgufur-dzaladobashi-monatsileobistvis-mosamartlis-ganchinebis-safudzvelze-3-piri-daakava/12843>, [01.04.2020].

4. Factsheet-Hate Speech, European Court of Human Rights, Press Unit, 2017, p. 1.
5. Gotsiridze E., Freedom of Expression in the Context of Fair Balance of Conflicting Values, (Dissertation), Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), 2006, p. 147-148.
6. Gordon Brown (ed.), *The Universal Declaration of Human Rights in the 21st Century: A Living Document in a Changing World.* Cambridge, UK: Open Book Publishers, 2016. http://dx.doi.org/10.11647/OBP.0091, p. 53.
7. Hate Speech (legal framework for Georgia), the study is prepared by a project funded by the Government of the Netherlands within the framework of "Supporting the Strengthening of Human Rights in Georgia", Georgia Democratic Initiative, Tbilisi, 2014, p. 3.
8. Hate Speech, Issue prepared by the 21st Century Union within the project "Hate Speech Problem and Support in Overcoming it in Georgia", with the support of Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2017, p. 3, 4.
9. Human Rights, Handbook for Parliamentarians N° 26, United Nations, Human Rights, Office of the High Commissioner, Inter-Parliamentary Union, Courand et Associés, 2016, p. 22.
10. Korkelia K., Towards European Integration: The European Convention on Human Rights and Georgia's Experience, Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Petiti Ltd, Tbilisi, 2007, p. 20, 22.
11. Kublashvili K., Comments on the Constitution of Georgia, Tbilisi, 2005, p. 203.
12. Martine Hebette, Lora Velikova-Maldzhanska and Orlin Denkov, Dorota Rodriguez-Szurman, Ulrik Spliid, Eva Ulbrich and Michael Schonger, et l., *Copyright Law in the EU: Salient Features of Copyright Law across the EU Member States,* European Parliamentary Research Service (EPRS), Comparative Law Library Unit, Brussels, 2018, p. 2
13. Rules of the Game, Brief Introduction to International Labor Standards, International Labor Organization, Revised Edition, Switzerland, 2009, p. 27.
14. Светлана Юрьевна Казаченок, Право Интеллектуальной Собственности Объединенной Европы, «Вестник Волгоградского государственного университета. Серия 5. Юриспруденция», 2015. № 3 (28), Волгоград, p. 37.
15. Enforcement of intellectual property rights, European Commission, <https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement_en> [21.02.2020].
16. "Freedom of Expression and Religion", edition prepared by the Union for the 21st Century under the project "Challenges on the Road to Association Agreement Implementation and European Integration", supported by Friedrich Ebert Fund, Tbilisi 2016, p. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11,
17. <http://century21.ge/geo/gamoxatvisa-da-religiis-tavisufleba/>, [15.12.2019].
18. Article 130, the German Criminal Code promulgated on 13 November 1998, p. 67,
19. <https://publicofficialsfinancialdisclosure.worldbank.org/sites/fdl/files/assets/law-library-files/Germany_Criminal%20Code_1998%20amended%202009_en.pdf>, [28.02.2020].
20. McGonagle, T., "Fake News": False Fears or Real Concerns? Netherlands Quarterly of Human Rights 2017, Vol. 35(4), p. 208,
21. <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0924051917738685>, [19.02.2020].
22. Modernisation of the EU copyright rules, European Commission,
23. <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/modernisation-eu-copyright-rules>, [24.02.2020].

24. Protecting The Right to Freedom Of Expression under the European Convention on Human Rights, Dominika Bychawska-Siniarska, A handbook for legal practitioners, Council of Europe, 2017, p. 98.
25. <https://rm.coe.int/handbook-freedom-of-expression-eng/1680732814>, [19.02.2020].
26. Report on the Relationship between Freedom of Expression and Freedom of Religion: the Issue of Regulation and Prosecution of Blasphemy, Religious Insult and Incitement to Religious Hatred, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), 2008, p. 13 (Sec. 53, 54, 55),
27. <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e>, [28.02.2020].
28. Responding To 'hate Speech': Comparative Overview of Six EU Countries, Free Word Center, London, 2018, p. 12,
29. <https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/ECA-hate-speech-compilation-report_March-2018.pdf>, [09.03.2020].
30. Strategy and Plan of Action on Hate Speech, United Nations, p. 1, <https://www.un.org/en/genocideprevention/documents/UN%20Strategy%20and%20Plan%20of%20Action%20on%20Hate%20Speech%2018%20June%20SYNOPSIS.pdf>, [08.03.2020].
31. The EU Copyright Legislation, European Commission,
32. <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/eu-copyright-legislation>, [24.02.2020].
33. Article 17, 20, the Constitution of Georgia, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.htm>, [07.02.2020]; [17.02.2020.]; [24.02.2020]
34. Articles 8-9, Law of Georgia on Freedom of Speech and Expression, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>, [07.02.2020].
35. Article 142[1], Law of Georgia - Criminal Code of Georgia, CC, 41 (48), 13/08/1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=232>, [09.03.2020].
36. Article 5, the Basic Law for the Federal Republic of Germany, Deutscher Bundestag, last amended on 23 December 2014, p. 16, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/englisch_gg.pdf>, [28.02.2020].
37. Article 10, Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Rome 1950,<https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>, [15.12.2019].
38. Article 19, The Universal Declaration of Human Rights, United Nations, <https://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/>, [15.12.2019].
39. Freedom of Opinion and Expression - International standards, <https://www.ohchr.org/EN/Issues/FreedomOpinion/Pages/Standards.aspx>, [24.12.2019];
40. Freedom of expression and information in the media in Europe, Recommendation 1506 (2001), Parliamentary Assembly, Council of Europe, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-en.asp?FileID=16888&lang=en>, [20.12.2019].
41. Freedom of expression and respect for religious beliefs, Resolution 1510 (2006), Parliamentary Assembly, Council of Europe <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-en.asp?FileID=17457&lang=en>, [20.12.2019].

42. The decision of the Constitutional Court of Georgia of 24 October 2015 №1/4/592 on the case "Citizen of Georgia Beka Tsikarishvili v. Parliament of Georgia", II-11;
43. Constitutional Court of Georgia, Decision No. 2/2-389 of 26 October 2007, in Case Citizen of Georgia Maya Natadze and Others v. Parliament of Georgia and the President of Georgia, II-30.
44. The decision of the Constitutional Court of Georgia №1/1/477 of 22 December 2011 on the case "Public Defender of Georgia v. Parliament of Georgia", II-43;
45. The decision of the Constitutional Court of Georgia №1/3/421,422 of November 10, 2009, on the Case "Citizens of Georgia Giorgi Kipiani and Avtandil Ungiadze v. Parliament of Georgia", II-6;
46. The decision of the Constitutional Court of Georgia №2 / 482,483,487,502 of April 18, 2011, on the case "Citizens' Political Union" Movement for United Georgia", Citizens' Union" Conservative Party of Georgia", Citizens of Georgia - Zviad Dzidziguri and Kakha Kukava, Georgian Young Lawyers' Association, Citizens Dachi Tsaguria, and Jaba Jishkariani, the Ombudsman v. Parliament of Georgia, II-25, 26.
47. National Communications Commission of Georgia, <https://www.comcom.ge/ge/news/press-releases/saqartvelos-komunikaciebis-erovnuli-komisia-cru-sazogadoebis-shecdomashi-shemyvani-komisiis-reputaciis-shemlaxavi-informaciis-gavrcelebis-gamo-rustavi-2-is-dacvis-sazogadoebrivi-sabchosgan-bodishis-sadjarod-moxdas-moitxovs.page>, [19.02.2020].
48. The Federal Constitutional Court, <http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2009/bvg09-129.html>, [28.02.2020].
49. European Court of Human Rights: Case of Erbakan v. Turkey, <https://www.researchgate.net/publication/294262619_European_Court_of_Human_Rights_Case_of_Erbakan_v_Turkey>, [09.03.2020].
50. <http://ajaratv.ge/article/45642>, [10.03.2020];
51. <https://1tv.ge/news/saqartvelos-sagareo-uwyeba-rustavi-2-is-gamonatqvamebi-aris-wminda-wylis-provokacia-romelic-mimartulia-saqartvelo-rusetis-urtiertobebshi-arsebuli-isedac-rtuli-vitarebis-kidev-ufro/?fbclid=IwAR0KWfvRp3GHF78byexIlJWzaiVQv-b2_BBBEty9U1_Fa923siA6nIEpAw4>, [10.03.2020].
52. <http://go.on.ge/14xz>, [01.04.2020];
53. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-20-21-ivnisis-ghames-djgufur-dzaladobashi-monatsileobistvis-mosamartlis-ganchinebis-safudzvelze-3-piri-daakava/12843>, [01.04.2020].

Summary

Freedom of expression is a cornerstone of a democratic society. Democracy cannot be established without the free exchange of ideas and information, the holding of meetings and discussions, the expression of critical opinions, and the protection of various interests and positions. Therefore, this right is of particular value to the international community. However, in the jural state, the expression of opinion must conform to moral and legal norms and not violate public order. The state must protect freedom of expression; at the same time, ensure public safety, respect for human dignity, and morality. So, freedom of expression and the preconditions for its restriction is a subject of constant debate and an actual legal issue. Therefore, the purpose of the article was to analytically review related national and international legislation, court judgments, interpretations, and established practices, which now become

accessible to legal circles, and any readers through the scientific journal "Spectri", and hopefully will help to deepen the discourse on this topic.

Key Words: Freedom of Expression, Human Dignity, Creative Freedom, Hate Speech.

დავით გვენეტაძე

აზრის გამოხატვის თავისუფლება და მისი შეზღუდვის ცალკეული წინაპირობები

რეზიუმე

აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. დემოკრატია ვერ დამკვიდრდება იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლის, შეკრებებისა და დისკუსიების, კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის, თუ სხვადასხვა ინტერესისა და პოზიციის დაცვის გარეშე. ამიტომ, ხსენებული უფლება იძენს განსაკუთრებულ ღირებულებას საერთაშორისო საზოგადოებისთვის. თუმცა სამართლებრივ სახელმწიფოში, აზრის გამოხატვა ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს და არ არღვევდეს საჯარო წესრიგს. სახელმწიფომ უნდა უნდა დაიცვას აზრის გამოხატვის თავისუფლება; ამასთანავე, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, მორალისა და ადამიანების ღირსების პატივისცემა. ამდენად, აზრის გამოხატვის თავისუფლება და მისი შეზღუდვის წინაპირობები მუდმივად მწვავე განსჯის საგანი და აქტუალური სამართლებრივი საკითხია. ამიტომაც, სტატიის მიზანი გახლდათ მასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, სასამართლო გადაწყვეტილებების, განმარტებებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიტიკური მიმოხილვა, რომელიც სამეცნიერო ჟურნალ „სპექტრი“-ს მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდა იურიდიული წრეებისა, თუ ნებისმიერი მკითხველსთვის და იმედია, ხელს შეუწყობს საკითხზე მსჯელობის გაღმავებას.

საკვანძო სიტყვები: აზრის გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის ღირსება, შემოქმედებითი თავისუფლება, სიძულვილის ენა.

მირანდა გურგენიძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონისა და სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით

გადახდისუუნარობასა და სააღსრულებლო სამართალწარმოების პროცესში ცენტრალურ ფიგურანტად **მოვალე** გვევლინება, როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, კრედიტორთა დაკმაყოფილება, ხორციელდება მოვალე პირის ქონების რეალიზაციის ხარჯზე, ცალსახაა, რომ გადახდისუუნარობის ეფექტიანი პროცედურები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ფინანსური სირთულეების პერიოდში მოვალის საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

რაც შეეხება იძულებით აღსრულების მექანიზმებს, მისი მიზანია, შექმნას ისეთი ქმედითი სამართლებრივი ჩარჩო (მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება, მოვალეთა რეესტრი, იძულებითი აუქციონი, იძულებითი იპოთეკა და სხვა), რომლის შედეგადაც სააღსრულებლო ფურცელში მითითებული მოვალის ქონების იძულებით გაყიდვის შემდეგ მოხდება კრედიტორის დაკმაყოფილება.

სამართლის ამ დარგებს ბევრი ურთიერთმსგავსება გააჩნიათ, რომელიც აკუმულირდება ერთ პრაქტიკულ, საკვანძო ასპექტში, რასაც **მოვალის ქონების რეალიზაცია** ეწოდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესის განმავლობაში მაქსიმალურად მოხდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვა, რომელიც ერთის მხრივ **(სააღსრულებლო წარმოება)** არ გამოიწვევს მოვალის იმაზე მეტად სამართლებრივად შეზღუდვას, ვიდრე ამას კრედიტორის ინტერესი მოითხოვს და მეორეს მხრივ, **(გადახდისუუნარობის პროცესი)** მაქსიმალურად მოხერხდეს მოვალე საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება.

2. მოვალე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად

2021 წლის 1 აპრილიდან ძალაშია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც განსხვავებულად არეგულირებს გადახდისუუნარობის სამართალურთიერთობებს. კერძოდ, კანონი ითვალისწინებს:

- ✓ კრედიტორთა ინტერესების დაცვას;
- ✓ რეაბილიტაციის წამახალისებელი მექანიზმების შემოღებას;
- ✓ საქმის წარმოების პროცესში სასამართლოს როლის გაზრდას;
- ✓ მოვალის უფლება-მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას;
- ✓ ე.წ **„სასამართლოს მიღმა“** პროცედურას, როგორც ფინანსური სირთულეების გადალახვის ალტერნატიულ გზას და სხვა.

ახალი კანონის მიზანი, მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაბარზომიერი დაცვის ნაცვლად, კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილებაა, თუმცა ამ ფონზე, აქტუალობას არ კარგავს მოვალის როლის, ადგილის, მისი ქონებრივი მდგომარეობის

მნიშვნელობისა და საწარმოს გადარჩენის ფუნდამენტური საკითხების განსაზღვრა გადახდისუუნარობის სამართალურთიერთობებში.

წარმოდგენილ სტატიაში საუბარია, კანონის იმ სიახლეებზე, რომლითაც ახლებურად დარეგულირდა მოვალის უფლებრივი მდგომარეობა გადახდისუუნარობის პროცესში. სიახლე მოვალის სტატუსთან მიმართებით მდგომარეობს იმაში, რომ ყველა საპროცესო - სამართლებრივი ღონისძიება მიმართული მოვალის ქონების რეალიზაციისკენ მიზნად ისახავს:

- მოვალის, როგორც მეწარმე სუბიექტის გადარჩენას;
- კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების მაქსიმალური შესაძლებლობას.

2. 1 რეგულირებული შეთანხმება, როგორც „სასამართლოსმიღმა პროცესი“

რეგულირებული შეთანხმება ნოვაციაა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და წარმოადგენს საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეულ მოლაპარაკებებს მოვალესა და კრედიტორს შორის. ეს არის ალტერნატიული პროცედურა, რომელიც მოვალეს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს არსებითი ჩარევის გარეშე და ნაკლები დანახარჯებით გამონახოს ფინანსური სირთულეების დაძლევის გზები და მიაღწიოს შეთანხმებას კრედიტორებთან.

რეგულირებული შეთანხმება საკმაოდ გავრცელებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. მისი დაწყების აუცილებელი წინაპირობაა მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.

რეგულირებული შეთანხმების ერთადერთი უშუალო მიზანი მოვალე სუბიექტის გადარჩენაა, რაც გამორიცხავს მის ლიკვიდაციას. სამართლებრივად, რომ შევაფასოთ აღნიშნული მოვლენა, ეს გარკვეულწილად კომპრომისია კრედიტორების მხრიდან, რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორები თავიანთი მოთხოვნების ერჯერადად დაკმაყოფილებას, კონკრეტული სუბიექტის (ანუ მოვალის) ბაზარზე შენარჩუნებას ამჯობინებენ.

2.2 მორატორიუმი, როგორც მოვალის ქონების შენარჩუნებისა და დაცვის ღონისძიება

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავი ეხება მორატორიუმის ღონისძიებებს.[1] 55-ე მუხლით გაწერილია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს:

- მოვალის ქონების წინააღმდეგ მიმდინარე იძულებითი აღსრულების ღონისძიებების შეჩერებას;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების (გირავნობა, იპოთეკა და სხვა), ასევე ჯარიმისა და საურავის დარიცხვა/გადახდის შეჩერებას,

ამასთან, ჩერდება და არ დაიშვება:

- კრედიტორის დაკმაყოფილება უზრუნველყოფის საგნიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- გადაწყვეტილების მიღება დივიდენდის განაწილებაზე, საწარმოს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე;
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება, ახალი ვალდებულებების აღება, გადახდის ახალ პირობებზე შეთანხმება და უზრუნველყოფა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

[1] კანონის მესამე მუხლში განმარტებულია: ,, მორატორიუმი – ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან მეტი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს გადახდისუუნარობის მასის დაცვას“

- პროცენტის გადახდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე წარმოშობილ ვალდებულებებზე. ამასთან, მორატორიუმით არ ჩერდება პროცენტის დარიცხვა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს კრედიტორთა მოთხოვნებში;
- პირგასამტეხლოს დარიცხვა და გადახდის შეჩერება;
- ახალი საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მორატორიუმი გამოიყენება საერთო წესით, როგორც რეაბილიტაციის, ისე გაკოტრების რეჟიმის დროს.[2] როგორც აღინიშნა, კანონი ეფუძნება კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც გულისხმობს კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების დაცვას მოვალის და განსაკუთრებით, ცალკეული კრედიტორების ინდივიდუალური ქმედებებისაგან. ამავდროულად, მორატორიუმის გამოყენებით მოვალეს ეძლევა საშუალება, გაიუმჯობესოს ლიკვიდურობა, მათ შორის, ვადამოსული ვალდებულებების შესრულების გადავადებით, რაც, თავის მხრივ, ზრდის მის რეაბილიტაციაუნარიანობას და წარმატებული რეაბილიტაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

2.3 მოვალის ქონება - გადახდისუუნარობის მასა

კანონის VI თავი განსაზრავს იმ ქონების ნუსხას, რომლის განკარგვაც კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება და ნაცვლად სამეურვეო ქონებისა, როგორც ეს მანამდე იყო განსაზღვრული, აღნიშნული ქონება **„გადახდისუუნარობის მასად“** იწოდება, რომელიც მოიცავს მოვალის მთელ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შეძენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას. აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის მასაში არ შედის ქონება, რომელზეც, არ დაიშვება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იძულებითი აღსრულება.

2.4 მოვალე რეაბილიტაციის რეჟიმში

კანონის მიხედვით, რეაბილიტაცია შეეხება როგორც მოვალეს, ასევე მის ბიზნესს იმ აუცილებელი პირობით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი რეაბილიტაცია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილების ან მათი ინტერესების პრიორიტეტული დაცვისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ახალი კანონით, რეაბილიტაციის რეჟიმს ცალსახა და უპირობო პრიორიტეტი ენიჭება, რაც გამოიხატება, როგორც გაცხადებული მიზნებისა და პრინციპების დონეზე, ასევე რეაბილიტაციის წამახალისებელი არაერთი მექანიზმის გათვალისწინებით, როგორიცაა **მოვალის მართვაში დატოვება, გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციაში კონვერსიის შესაძლებლობა და სხვ.** აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის გეგმა უპირატესად მიმართულია მოვალე-სუბიექტის გადარჩენისკენ, რა დროსაც კრედიტორული მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს კრედიტორული მოთხოვნების იმგვარ დაკმაყოფილებას, რომლის დროსაც თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა (ფულადი ვალდებულებების შესრულების ხანგრძლივობასთან მიმართებით ინტერესის გათვალისწინებით); ამასთან, კრედიტორთა უმრავლესობისათვის რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე მოვალის გაკოტრებისას დადგებოდა. ამ შემთხვევაში

[2] კანონის II თავი დამატებით განსაზღვრავს მორატორიუმის გამოყენების წინაპირობებს რეგულირებულ შეთანხმებასთან მიმართებით. იხ. ზემოაღნიშნული კანონის 31-ე მუხლი

რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნესის, გადარჩენას, ასევე მოვალის მთლიანი/არსებითად მთლიანი ბიზნესის/ქონების გასხვისებას, საქმიანობის გაგრძელებას კრედიტორების გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით და სხვ.

კანონით აგრეევ გათვალისწინებულია რეაბილიტაციის რეჟიმში მართვის ახალი ინსტრუმენტი – **„მოვალე მართვაში“** – რა დროსაც არსებული მენეჯმენტი, რომელიც კეთილსინდისიერად ახორციელებდა საქმიანობას, აგრძელებს მართვას და ზედამხედველთან ერთად მონაწილეობს კრედიტორებთან მოლაპარაკებაში რეაბილიტაციის რეჟიმის წარმატებით დასრულების მიზნით.

2.5 მოვალის მიმართ არსებული გაკოტრების ახალი რეგულაციები

ცალსახაა, რომ მოვალის გაკოტრების პროცედურები მთლიანად მიმართული უნდა იყოს კრდიტორთა მაქსიმალურად ეფექტიანად დაკმაყოფილებისაკენ. ამ მიზნით, ახალი კანონით ყურადღება ექცევა ისეთი მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა და მოქნილი პროცედურების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოვალის ქონების მაქსიმალურად მაღალი ღირებულებით რეალიზაციას, ამ ჭრილში გაზრდილია თავად გაკოტრების მმართველის როლი, რომელიც უფლებამოსილია გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციისათვის კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ფორმით, მოქმედი ბიზნესის სახით, გადახდისუუნარობის მასის ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ. ფორმის შერჩევისას გაკოტრების მმართველმა უნდა მოახდინოს ქონების იმ გზით რეალიზაცია, რომლიდანაც მოსალოდნელია უფრო მეტი თანხის ამოღება. გაკოტრების მმართველს აქვს რეალიზაციისათვის ნებისმიერი დასაშვები ფორმის გამოყენების შესაძლებლობა, რაც განაპირობებს ქონებიდან მაქსიმალური თანხის ამოღებას და კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

2.6 სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალე

ახალი კანონით ჩნდება სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ცნება. თუ მოვალის საქმიანობის შეჩერება/შეწყვეტა არსებით ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს, სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს მინიჭოს სპეციალური რეჟიმის მქონე მოვალის სტატუსი. ასეთი მოვალის ქონების რეალიზაცია ხორციელდება ერთიანი კომპლექსის სახით ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც ხელს არ შეუშლის მისი საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებას. დაუშვებელია შემძენის მიერ აღნიშნული მოვალის პროფილის შეცვლა. შემძენი იღებს ვალდებულებას, რომ გააგრძელებს იმავე საქმიანობას, რასაც ეწეოდა - გაკოტრებული მოვალე.

აღსანიშნავია, რომ კანონით ახლებურადაა დარეგულირებული მოვალის საერთაშორისო გადახდისუუნარობის საკითხებიც, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ელემენტის შემცველ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საზღვარგარეთ გახსნილი გადახდისუუნარობის წარმოების ცნობა, უცხოური საწარმოს გაკოტრება, კრედიტორთა ორმაგი დაკმაყოფილების თავიდან აცილება, შრომითი ურთიერთობები, უძრავ ნივთთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და გაქვითვები.

3. მოვალე სააღსრულებლო სამართალწარმოებაში

3.1 მოვალის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია, როგორც სამართლებრივი შეზღუდვის სახე

საქართველოს კანონით ,,სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ მოწესრიგებულია, ისეთი სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების პროცესში, სააღსრულებლო პროცესის მხარეებს შორის, კანონით განსაზღვრულია, რომ მოვალე გახლავთ ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად,

სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომლებსაც გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილება ავალდებულებს, შეასრულონ განსაზღვრული მოქმედებები ან თავი შეიკავონ განსაზღვრული მოქმედებების შესრულებისაგან. შესაბამისად, აღსრულების მიზანს წარმოადგენს მოვალის კანონისმიერი საშუალებებით იმდაგვარად შეზღუდვა, რომ იძულებითი ღონისძიებათა გამოყენების შედეგად, შესაძლებელი გახდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. სწორედ ეს გახლავთ, ის სამართლებრივი მიჯნა, რომელიც არსებობს ორ მოცემულობას შორის, ერთი მხრივ უნდა აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება მოვალის ქონების რეალიზაციის ხარჯზე და მეორე მხრივ, მოვალე არ უნდა შეიზღუდოს სამართლებრივად იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა სააღსრულებლო ფურცლის აღსასრულებლად და კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.[3]

სააღსრულებლო კანონმდებლობა არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გარკვეულწილად, მოვალის უფლებების ,,ხელყოფას" გულისხმობს. ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც აღსრულების დასაწყისშივე გამოიყენება მოვალის მიმართ, გახლავთ მისი რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში.

მოვალეთა რეესტრი ითვალისწინებს მოვალისთვის სამართლებრივად ისეთი შემზღუდავი გარემოს შექმნას, რომ მან ვერ შეძლოს ქონების განკარგვა/გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. პირს მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციისთანავე ეზღუდება შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვის) უფლება, (სააღსრულებლო კანონის 193-ე მუხლი), ამ უფლებების შეზღუდვა ემსახურება მოვალის იძულებას, მოახდინოს ფულადი ვალდებულების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მისი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია. მოვალეთა რეესტრი ამ მხრივ მოვალეთა გაფრთხილების ფუნქციას ატარებს. მარეგისტრირებელ ორგანოებს კი ევალებათ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაუყოვნებლივი ინფორმირება მოვალის მიერ ამა თუ იმ ქონების გაფორმებისას.[4]

მოვალეთა რეესტრი დღემდე რჩება ყველაზე ეფექტურ საშუალებად მოვალის ქონებრივი უფლებების შეზღუდვისა, თუმცა არა პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, რადგან სააღსრულებლო კანონის შესაბამისად, კონკრეტული საფასურის გადახდის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეუძლია მოიპოვოს მოვალის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად გახადოს საჯარო, რაც ვფიქრობ, უსამართლოა, რადგან ის ინფორმაცია, რომელიც ინახება მოვალეთა რეესტრში აშკარად სცილდება დასაშვებ და აღსრულებისათვის აუცილებელ ფარგლებს. მსგავსი დებულება წარმოადგენს მოვალის ფინანსური მდგომარეობის დისკრიმინაციასა და სამომავლოდ აფერხებს მისი ფინანსური გაჯანსაღების პროცესს.[5]

---

[3] მ. გურგენიძე, თ ურთმელიძე ,,მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში" სტუ-ის შრომები №3 (517), 2020. გვ.156-157.

[4] ,,საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში, დამმობილების პროექტი სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისთვის BESTT. თბილისი, 2013. გვ. 188

[5] შუშკე ვ. ,,სააღსრულებლო სამართალი", მოკლე კონსპექტები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), სიესტა, თბილისი, 2011 გვ.48

3.2 მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივი საფუძვლები

ყადაღა სააღსრულებლო სამართალში, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ქმედით ღონისძიებას მოვალის ქონების წინააღმდეგ. ყადაღა შეიძლება დაედოს მოვალის როგორც უძრავ-მოძრავ ქონებას, ისე მოთხოვნებსაც. ყადაღის საფუძველზე, მესაკუთრეს ეკრძალება ქონების განკარგვა - ნებისმიერი ფორმით გასხვისება, დაგირავება, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადება. დაყადაღებულ ქონებაზე დადებული ყველა გარიგება ჩაითვლება ბათილად. ყადაღის დადებისას აღმასრულებელი ადგენს ყადაღის აქტს, სადაც უთითებს ქონების დასახელებას და მის ზუსტ აღწერილობას, აგრეთვე ყადაღის აქტის შედგენის დროს და ადგილს. ყადაღის აქტს ხელს აწერს აღმასრულებელი, კრედიტორი, მოვალე, ქონების შემნახველი და ის პირები, რომლებიც ესწრებიან ყადაღის დადებას.

აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელი აყადაღებს ყველა იმ მოძრავ ნივთს, რომელიც იმყოფება მოვალესთან მიუხედავად მესამე პირების პრეტენზიისა და ამასთან დაკავშირებით აკეთებს სპეციალურ ჩანაწერს ყადაღის აქტში. იმავდროულად განუმარტავს პირს უფლებას მიმართოს სასამართლოს სარჩელით ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. მათი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღნიშნულ ნივთებს მოეხსნებათ ყადაღა. თუ მესამე პირი წარმოადგენს ქონებაზე თავისი საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, აღმასრულებელი, კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ქონება ამორიცხოს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან. როგორც აღინიშნა, ყადაღას ექვემდებარება მოვალის ყველა ქონება გარდა იმ ქონებისა, რომელიც ჩამოთვლილია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში. თუ მოთხოვნას ყადაღა უნდა დაედოს, აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოსცემს განკარგულებას მასზე ყადაღის დადების შესახებ. განკარგულებაში აღნიშნული უნდა იყოს კრედიტორის პრეტენზიის საფუძველი, მის მიერ შესასრულებელი მოთხოვნები და ის, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული მოვალის მოთხოვნა (დავალებული პირი). ყადაღის დადებასთან ერთად გამოცემული უნდა იქნეს განკარგულება კრედიტორისათვის გადახდის თაობაზე. ყადაღის დადების განკარგულება უნდა გადაეცეს დავალებულ პირს (პირი, რომელსაც იძულების წესით აღეწერება მასთან შენახული მოპასუხის ქონება). განკარგულება უნდა გაეგზავნოს კრედიტორსა და მოვალეს. დავალებული პირისათვის განკარგულების გადაცემით ყადაღა ქმედითი ხდება კრედიტორის პრეტენზიის ფარგლებში. მოვალეს აღარ აქვს უფლება, განკარგოს მოთხოვნები, დავალებულ პირს კი აღარ აქვს უფლება, შეასრულოს მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს. მან ყადაღადადებული თანხა უნდა გადაუხადოს კრედიტორს. სხვა მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს, უნდა შეასრულოს აღმასრულებელმა. აღსანიშნავია, რომ დაყადაღების საერთო წესიდან გამონაკლისს არ წამოადგენს მოვალის სახელფასო, საპენსიო, საკრედიტო, საანაბრე თუ სხვა ნებისმიერი სახის ანგარიში. შესაბამისად, აღმასრულებელი მიმართავს საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დაწესებულებას იქ არსებული მოვალის საბანკო ანგარიშების დაყადაღების შესახებ.

3.3 სეკვესტრი (ქონების იძულებით მართვა)

მოვალის წინააღმდეგ წარმოებულ სააღსრულებლო პროცედურებში ვხვდებით ისეთ სამართლებრივ მექანიზმს, როგორიცაა სეკვესტრი ანუ ქონების იძულებითი მართვა, რომელიც აღსრულების ერთ-ერთი სახეა. კრედიტორს უფლება აქვს წარადგინოს განცხადება და მოითხოვოს, რომ აღსრულების საგანი სამართავად გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს, შესაბამისად, სასამართლო ადგენს ნივთის იძულებით მართვას (სეკვესტრს)

იძულებითი აღსრულებისთვის უფლებამოსილი კრედიტორის განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ უნდა მოუსმინოს იმ პირებს, რომელთა უფლებებიც შეიძლება შეილახოს იძულებითი მართვით. პირველ რიგში ეს არის მოვალე პირი, რადგან სწორედ მისი ქონების იძულებით მართვზეა საუბარი.

იძულებითი მართვის გამოყენება დაუშვებელია, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია, ან, თუ ის არ უზრუნველყოფს იმ პირობების შექმნას, რომლებიც აუცილებელია იძულებითი მართვის ნორმალურ პირობებში განსახორციელებლად. იძულებითი მართვა წყდება და აღსრულება ზოგადი წესის შესაბამისად გრძელდება, თუ: იძულებითი მართვის შედეგად არ დაიფარა ვალდებულება და, იმავდროულად, არ არსებობს იძულებითი მართვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი; - დაირღვა იძულებითი მართვის პირობები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია დარღვევის მცირე დროში, იძულებითი მართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტამდე, აღმოფხვრა); - იძულებითი მართვის პერიოდში გამოვლინდა სხვა გარემოება, რომელიც სამართლებრივი ან ფაქტობრივი თვალსაზრისით გამორიცხავს იძულებითი მართვის გამოყენებას[6]. აღსანიშნავია, რომ სეკვესტრი არ გამოიყენება იმ ქონების მიმართ, რომელიც ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის თანახმად არ ექვემდებარება ყადაღას.

3.4 იძულებითი იპოთეკა

იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია არ იგივდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ იპოთეკასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოიშობა მხარეთა ორმხრივი ნების თანხვედრის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. ხოლო სააღსრულებლო წარმოებაში გათვალისწინებული იპოთეკის დროს მხარეთა ორმხრივი ნება სახეზე არ გვაქვს. იძულებითი იპოთეკა იწყება რეგისტრაციით. უძრავი ქონება ასევე წარმოადგენს იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციის ხარჯების გარანტიას, რომელიც ეკისრება მოვალეს. იძულებითი იპოთეკით შეიძლება დაიტვირთოს მოვალის რამდენიმე უძრავი ქონება. ვფიქრობთ, ერთმანეთისგან გასამიჯნია სახელშეკრულებო იპოთეკა გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით და იძულებითი იპოთეკა გათვალისწინებული სააღსრულებლო კანონის მიხედვით, პირველ რიგში ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ პირველ შემთხვევაში სახეზეა მხარეთა გაცხადებული ნება გააფორმონ იპოთეკის ხელშეკრულება და მას ,,იძულებასთან" საერთო არაფერი აქვს, რაც შეეხება იძულებით იპოთეკას, იგი დაკავშირებულია მხოლოდ არაუზრუნველყოფილ მოთხოვნასთან, რომელიც მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში არ ყოფილა უზრუნველყოფილი იპოთეკით. იძულებითი იპოთეკის საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესს, მთლიანად კრედიტორი წარმართავს. მის შეხედულებაზეა დამოკიდებული თუ მოვალის საკუთრებაში არსებული რომელ უძრავ ქონებაზე მიაქცევს მოთხოვნას. შესაძლებელია მოთხოვნის ოდენობიდან გამომდინარე იძულებითი იპოთეკით დაიტვირთოს მოვალის რამდენიმე უძრავი ქონება, მაშინ მოთხოვნის თანხა უნდა განაწილდეს შესაბამის უძრავ ქონებაზე. განაწილების მოცულობას განსაზღვრავს კრედიტორი[7]. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ იძულებითი იპოთეკა ეს არის ერთმნიშვნელოვნად იძულებითი აღსრულების ინსტიტუტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი გამოყენება ხორციელდება იძულებითი აღსრულების პროცესში, და არ წარმოადგენს, სარჩელის

---

[6] ჭეჭელაშვილი ზ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედაქ.) თბილისი. 2018. გვ.595-596.

[7] მ. გურგენიძე, თ ურთმელიძე ,,მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში" სტუ-ის შრომები №3 (517), 2020. გვ.165

უზრუნველყოფის ღონისძიების ერთერთ სახეს. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 თებერვლის (საქმე №ას-1707-1601-2012) გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: **„იძულებითი იპოთეკა** ის საპროცესო სამართლებრივი ბერკეტია, რომელსაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს და რომელიც აღსრულების პროცესში აღმასრულებლის მიერ გამოიყენება და იგი რეგულირდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 64-ე მუხლის პირველი პუნქტით. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, უზრუნველყოფის აღნიშნული სახე სამართალწარმოების ეტაპზე ისევე ვერ გამოიყენება, როგორც აღსრულების სხვა სახეები, კერძოდ, **იძულებითი** აუქციონი და სეკვესტრი. აღნიშნული ღონისძიებანი მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული, აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნებისათვის გამოიყენება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე და 64-ე მუხლების კონტექსტში.

3.5 იძულებითი აუქციონი და აუქციონი გათვალისწინებული „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად

აუქციონი, გახლავთ საბოლოო ეტაპი, როგორც სააღსრულებლო სამართალწარმოებაში, ასევე გადახდისუუნარობის პროცესში, რადგან, როგორც ერთ ასევე მეორე შემთხვევაში ხორციელდება მოვალის ქონების გაყიდვა საჯაროდ და ამონაგები თანხით კრედიტორების დაკმაყოფილება, მათ შორის დიდია სამართლებრივი მსგავსება, ორივე შემთხვევაში აუქციონს ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო, იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესითა და პირობებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს სააუქციონო მომსახურების საფასურის ოდენობა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება. მომსახურების საფასური გადახდისუუნარობის მასიდან ანაზღაურდება, ხოლო იძულებითი აუქციონის შემთხვევაში ამონაგები თანხიდან.

აღსანიშნავია, რომ **„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“** ახალი კანონის მიხედვით გათვალისწინებულია აუქციონის შემდეგი პროცედურები:

პირველი აუქციონი, სადაც საწყისი ფასი განისაზღვრება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ქონების საბაზრო ღირებულების 75%-ით. თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია და ქონების საწყისი ფასი კრედიტორთა მოთხოვნებზე ნაკლებია, ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნასაც ფარავს, მაგრამ არ აღემატება პირველ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების საწყისი ფასი, უფლება აქვს, პირველი აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მიმართოს გაკოტრების მმართველს ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია დაფაროს წინა და იმავე რიგების კრედიტორთა მოთხოვნები და მიმართვას დაურთოს აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის საბანკო ანგარიშზე წინა და იმავე რიგების კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის მიზნით თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი. ერთზე მეტი მიმართვის არსებობისას ქონების საკუთრებაში მიღების უფლება წარმოეშობა იმ კრედიტორს, რომლის მიმართვასაც თან ერთვის ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია და სხვა კრედიტორთა მიმართვაზე უფრო ადრეა რეგისტრირებული.

მეორე აუქციონი თუ პირველ აუქციონზე გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონება ვერ გაიყიდა, პირველი აუქციონის ჩატარებიდან არანაკლებ 10 და არაუმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მეორე აუქციონი. მეორე აუქციონზე გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების საწყისი ფასი ამ ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ს შეადგენს.

მესამე აუქციონი თუ მეორე აუქციონზე გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონება ვერ გაიყიდა, მეორე აუქციონის ჩატარებიდან არანაკლებ 10 და არაუმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მესამე აუქციონი. მესამე აუქციონზე გადახდისუუნარობის მასაში შემევალი ქონების საწყისი ფასი შეადგენს მეორე აუქციონის საწყისი ფასის ნახევარს.

თუ მესამე აუქციონზე გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონება ვერ გაიყიდა, სასამართლო აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ელექტრონულ სისტემაში გამოაქვეყნებს შეთავაზებას ამ ქონების კრედიტორებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.ქონება საკუთრებაში გადაეცემა იმ კრედიტორებს, რომლებიც შეთავაზების გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგენენ განცხადებას ამ ქონების საკუთრებაში მიღების თაობაზე. კრედიტორების წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრება მათი მოთხოვნების პროპორციულად. იმ კრედიტორების წილი, რომლებიც არ გამოთქვამენ ქონების საკუთრებაში მიღების სურვილს, თანაბრად გადანაწილდება სხვა კრედიტორებზე. თუ დადგენილ ვადაში ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ განცხადებას არცერთი კრედიტორი არ წარადგენს, ქონება გადაეცემა პარტნიორებს მათი წილის პროპორციულად, ხოლო კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – კომანდიტური საზო-გადოების კომპლემენტარებს, მათი წილის პროპორციულად.

აღსანიშნავია, რომ იძულებითი აუქციონის ჩატარების პროცედურები გაწერილია საქართველოს კანონში ,,სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვარის №21-ე ბრძანებაში ,,იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ".

იძულებითი აუქციონი, სააღსრულებლო წარმოების თითქმის საბოლოო ეტაპია, რომელსაც პროცედურულად წინ უსწრებს შემდეგი სააღსრულებო ღონისძიებების გატარება მოვალის მიმართ:

- წინადადების გაგზავნა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ;
- მოვალეთა რეესტრში მოვალის აღრიცხვა (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში);
- მოვალის ქონების მოძიება;
- მოვალის ქონების დაყადაღება;
- მოვალის ქონების შეფასება;

შესაბამისად, იძულებით აუქციონი ლოგიკური დასასრულია იმ სააღსრულებლო ღონისძიებებისა, რომელსაც კანონმდებელი ეფექტურად იყენებს არაკეთილსინდისიერი მოვალის მიმართ, რომელიც ნებაყოფლობით არ აღასრულებს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, იძულებითი აუქციონი ის ქმედითი ინსტრუმენტია, სახელმწიფოს ხელში, რომელიც მართლმსაჯულების აღსრულებას უწყობს ხელს. თვალი რომ გადავავლოთ სააღსრულებლო პროცესს მთლიანობაში, დაგვრჩება განცდა, რომ მოვალე შესაძლოა იმაზე მეტად იზღუდებოდეს სამართლებრივად, ვიდრე ეს საჭიროა სააღსრულებლო კანონის მიზნებისთვის და კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მეორეს მხრივ, კანონით გაწერილი ყველა სააღსრულებლო ღონისძიება ლოგიკურ კავშირშია მომდევნო სააღსრულებლო ეტაპთან, ამასთან სააღსრულებო სამართლის საპროცესო ნორმებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ იძულებითი აღსრულების განხორციელება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ფარგლებში. კრედიტორმა უნდა მოახერხოს საჭიროებისას ყველა სააღსრულებო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში მისი აღსასრულებელი მოთხოვნის აღსრულება. მოვალემ, თავის მხრივ, უნდა შეძლოს თავის დაცვა,

თუ სააღსრულებო მოქმედებებმა დაარღვია მისი უფლებები[8]. ეს ის ოქროს შუალედია, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს მოვალის უსაფუძვლო შეზღუდვას და კრედიტორიც შეძლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გაკოტრების წარმოება, რომელიც სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ევროპაში, გამოირჩევა შესაბამისი გადახდისუუნარო საწარმოს გადარჩენის მცდელობით, საქართველოს შემთხვევაში, ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია, ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" ახალი კანონის ამოქმედება, რომლითაც ახლებურადაა მოწესრიგებული, მოვალის ქონების დაცვის, რეალიზაციის, მართვის, კრედიტორთა დაკმაყოფილების, რეაბილიტაციისა და გაკოტრების პროცედურები, თუმცა აღსანიშნავია, ყველა ზემოთმითითებულ სამართლებრივ მექანიზმს სარჩულად უდევს, მოვალე საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და ამ ფონზე კრედიტორთა ინტერესის მაქსიმალური დაკმაყოფილება.

აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვანია აგრეთვე, სააღსრულებლო წარმოებისთვის, მაშინაც კი, როდესაც მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიებებია გატარებული და მაშინაც კი, თუ სააღსრულებლო ფურცელში მითითებული მოვალე, არა იურიდიული, არამედ ფიზიკური პირია.[9]

სააღსრულებლო წარმოებაშიც მოვალე, რომლის მიმართაც ხორციელდება ცალკეული კრედიტორის მოთხოვნის იძულებითი აღსრულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ უნდა გამოეთიშოს ეკონომიკურ ცხოვრებას, რათა მან შეძლოს საქმიანობის გაგრძელება, ახალი საქმეების წამოწყება, მიიღოს შემოსავლები, რომლებიც იქნება მის კრედიტორთა დაკმაყოფილების წყარო. აქ იგი თავად რჩება თავისი ქონების ,,მენეჯერი". შესაბამისად, ცალკეული კრედიტორის ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულება ყოველთვის უნდა შემოიფარგლებოდეს იმით, რაც აუცილებელია კონკრეტული კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.[10]

ანალოგიური ითქმის გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფი მოვალის მიმართაც, ბუნებრივია, როდესაც საუბარია სააღსრულებლო **,,იძულებაზე"** ყოველთვის აქტიურია საკითხი, იმასთან დაკავშირებით, რომ გატარებული იძულებითი ღონისძიებების შედეგად, უსაფუძვლოდ არ შეილახოს მოვალის საკუთრების უფლება, რადგან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთერთი გზა, სწორედ მოვალის ქონების რეალიზაციაა, ამის საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ კრედიტორისთვის მნიშვნელოვანია, იმ ფუნდამენტური უფლების გამოყენება, რასაც ,,სასამართლიანი სასამართლოს" უფლება ეწოდება, რაც თავის თავში მოიცავს

---

[8] შუშკე ვ. ,,სააღსრულებლო სამართალი", მოკლე კონსპექტები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), სიესტა, თბილისი, 2011 გვ 56

[9] აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება კანონით დასაშვებია მხოლოდ, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ სამეწარმეო სუბიექტების არასამეწარმეო იურიდიული პირების, აგრეთვე არარეგისტრირებული კავშირებისა და ამხანაგობების მიმართ, აგრეთვე, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირებისა და მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას და რომელთა მთავარი ინტერესების ცენტრი საქართველოშია. ამასთან, ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების სფერო ფიზიკურ პირებზე არ ვრცელდება, განსხვავებით სააღსრულებლო წარმოებისგან, როდესაც იძულებითი აღსრულების მხარე შესაძლოა იყოს სააღსრულებლო ფურცელში მითითებული, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

[10] შუშკე ვ. ,,სააღსრულებლო სამართალი", მოკლე კონსპექტები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), სიესტა, თბილისი, 2011 გვ.41

აგრეთვე სააღსრულებლო წარმოების პროცედურებსაც[11]. რაც შეეხება ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად აქტორს - მოვალეს, აქაც აქცენტირება დიდწილად საწარმოს გადარჩენისკენ და დაცვისკენაა მიმართული, რაც უდავო სტიმული იქნება მოვალე საწარმოს რეაბილიტაციისათვის, და მეტი გარანტიები გაჩნდება კრედიტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ,,სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ https://matsne.gov.ge
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი https://matsne.gov.ge/
3. საქართველოს კანონი ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ https://matsne.gov.ge/
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვარის №21 ბრძანება https://matsne.gov.ge/
5. ,,საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში,“ დაძმობილების პროექტი სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისთვის BESTT. თბილისი 2013,
6. ა. ნათაძე; თ. სურგულაძე; ნ. ღონღაძე; ნ. ცორიკიშვილი; ი. უიტდეჰააგი. აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო თბილისი, 2020 http://lawlibrary.info/…/2020giz-ge-agsrulebis-samartali)
7. მ. გურგენიძე ,,ყადაღა სააღსრულებო სამართალში“ მართლმსაჯულება და კანონი, #2(66) თბილისი, 2020.
8. მ. გურგენიძე ,,იძულებითი აუქციონის სამართლებრივი ასპექტები“ #3(67) თბილისი, 2020.
9. მ. გურგენიძე, თ ურთმელიძე ,,მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში“ სტუ-ის შრომები №3 (517) თბილისი, 2020
10. რ. მიგრიაული „ქართული კერძო სამართლის საკითხები“ (გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვა პუბლიკაციები), „იურისტების სამყარო “, თბილისი, 2016.
11. რ. მიგრიაული ,,შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“ „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017.
12. ქავთარაძე ს. იძულებითი აუქციონის როლი სამართლის სისტემაში და მისი განხორციელების პირობები (ქართული და გერმანული სამართლის შედარებით სამართლებრივი ანალიზი) დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, ზურაბ ახვლედიანი 80, საიუბილეო გამოცემა, თბილისი, 2013.
13. შუშკე ვ. ,,სააღსრულებლო სამართალი, მოკლე კონსპექტები“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), სიესტა, თბილისი, 2011.
14. ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი (დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან), თბილისი, 2011.
15. ჭანტურია ლ. ,,კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“ სამართალი, თბილისი, 2012.
16. ჭეჭელაშვილი ზ. ,,სანივთო სამართალი“, ბონა კაუზა, თბილისი, 2014.

[11] მ. გურგენიძე, თ ურთმელიძე ,,მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებლო სამართალში“ სტუ-ის შრომები №3 (517), 2020. გვ.170.

17. აღსრულების ეროვნული ბიურო, ვებ-ბვერდი http://nbe.gov.ge/
18. ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება. საბოლოო ანგარიში.თბილისი, 2019 https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/27794
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 თებერვლის (საქმე №ას-1707-1601-2012) საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე.www.supremecourt.ge.

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია **,,მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონისა და სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით"** ეხება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა მოვალის სტატუსი გადახდისუუნარობასა და სააღსრულებლო სამართალურთიერთობაში. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში სამართალწარმოების ცენტრალურ ფიგურად მოვალე გვევლინება, რადგან სწორედ მისი ქონების რეალიზაციის შედეგად ხორციელდება კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის ახალი მიდგომების შესაბამისად, ამოსავალი წერტილი მოვალის სიცოცხლისუნარიანი საწარმოს შენარჩუნება და გადარჩენაა, ხოლო არასიცოცხლისუნარიანი საწარმოსთვის მოქნილი საგაკოტრეგო მექანიზმის შემოღებაა. რაც შეეხება მოვალეს სააღსრულებლო სამართალწარმოებაში, ავტორის მოსაზრებით მოვალე სამართლებრივად არ უნდა შეიზღუდოს იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ამასვე ეფუძნება თანაზომიერების პრინციპი სააღსრულებლო სამართალში. სტატია იმდაგვარადაა სტრუქტუირებული, რომ წინა პლანზე წამოწეულია მოვალე პირის სამართლებრივი მდგომარეობა, აქცენტირება გაკეთებულია მისი კუთვნილი ქონების რეალიზაციის წესზე, გაანალიზებულია **,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის“** სიახლეები როგორიცაა: რეგულირებული შეთანხმება, მოვალე მართვაში, მორატორიუმის საფუძვლები და სხვა. გარდა ამისა მოცემულია სამართლებრივი შედარება სააღსრულებლო წარმოებაში მყოფი მოვალის წინააღმდეგ გატარებული იძულებითი ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, განხილულია: ყადაღის დადების, მოვალეთა რეესტრის, იძულებითი იპოთეკის, სეკვესტრის, იძულებითი აუქციონის სამართლებრივი ინსტიტუტები და მოვალეზე მათი ზემოქმედების ფარგლები.

საკვანძო სიტყვები: რეგულირებული შეთანხმება, მოვალე მართვაში, მორატორიუმის საფუძვლები, აუქციონი, იძულებითი აუქციონი, ყადაღა.

Miranda Gurgenidze

Legal Status of the Debtor According to the Law of Georgia on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors and the Law of Georgia on Enforcement Proceedings

Summary

The presented article "**Legal status of the debtor according to the Law of Georgia on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors and the Law of Georgia on Enforcement Proceedings**" deals with topical issues such as the status of the debtor in insolvency and enforcement proceedings. In one as well

as in the other case, the debtor turns out to be a central figure As a result of sale of his (her) property, the interests of creditors are being satisfied. It should be noted that under the new approaches to insolvency, the starting point is to maintain and save the debtor's viable enterprise, while introducing a flexible bankruptcy mechanism for non-viable enterprise. As for the debtor in enforcement proceedings, in the opinion of the author, the debtor should not be legally restricted more than is necessary to satisfy the creditor's interests, the principle of proportionality is also based on the law of enforcement. The article is structured in such a way that the legal status of the debtor is brought to the fore, the emphasis is on the rules of sale of his/her property, the news of the **„Law of Georgia on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors**" is analyzed as follows: regulated agreement, debtor in management, moratorium basics and the others. In addition, a legal comparison is given with regard to enforcement measures against the debtor in enforcement proceedings, in particular, the Legal institutions of foreclosure, debtors' register, compulsory mortgage, sequestration, compulsory auction and the scope of their impact on debtor.

Key words: Regulated agreement, Debtor in management, Moratorium basics, Auction, Compulsory Auction, Seizure.

მირანდა გურგენიძე, ირაკლი შამათავა
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; კავკასიის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia; Caucasus's University

სააღსრულებო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში (მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ახალი „სააღსრულებო კოდექსის“ პროექტის შესაბამისად)

შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა, სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს გამოხატულებას.[1]

კანონის უზენაესობის პრინციპის რეალიზება, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების თაობაზე. მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ცენტრალური ადგილი სააღსრულებო წარმოებას უკავია, აღნიშნული დებულება განმტკიცებულია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის კანონმდებლობით.[2]

„სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნას უფლების აღიარება, არამედ მოიცავს მართებულ მოლოდინს, რომ ეს გადაწყვეტილება აღსრულდება“.[3,4]

ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გააზრებას, რომ მხარისთვის საბოლოო იურიდიული შედეგის მატერიალურ ხორცშესხმას, ანუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, გააჩნია განუზომლად დიდი დატვირთვა,

---

[1] შმიტი/რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ, 2013, 3.

[2] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს 1997 წლის საქმე “Hornsby v. Greece”, სადაც ანალოგიურად აღნიშნულია, რომ „სამართლებრივი პროცესი უნდა ფოკუსირდებოდეს არა მხოლოდ სასამართლოზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე, არამედ აგრეთვე ეფექტიანი და ეფექტური აღსრულების სისტემის განვითარებაზე: სამართლებრივი პროცესი არ სრულდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გადაწყვეტილება მიჩნეულია სამართლიანად. ის აგრეთვე გულისხმობს, რომ ეს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი.“ <http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-58020&filename=001-58020.pdf>., ვრცლად. უიტდეჰააგი ი., აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, თბ, 2017, 4.

[3] Apostol v. Georgia, 28 თებერვალი 2007, განცხადება no. 40765/02. მართალია, აღნიშნული საქმე სააღსრულებო მოსაკრებლის წინასწარ გადახდას უკავშირდება, თუმცა სასამართლოს ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი წვდომის უფლება, ასევე მოიცავს გადაწყვეტილების აღსრულების მოლოდინსაც. < https://www.legal-tools.org/doc/43104d/pdf/> [06.05.2021].

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება (№ ას-856-1142-09).

რადგან: „**Ubi ius, ibi remedium – არ არსებობს უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების გარეშე".**[5,6]

„პირს, რომელიც სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილია განახორციელოს სააღსრულებო წარმოება, აღმასრულებელი ეწოდება".[7]

აღმასრულებელი – ეს არის პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის უფლებამოსილი, განახორციელოს აღსრულება, დამოუკიდებლად იმისა, იგი სახელმწიფოს მიერ არის დაქირავებული თუ არა. შესაბამისად, ევროპის საბჭო არ ადგენს აღმასრულებლების პროფესიულ თუ ინსტიტუციურ სტატუსს. პირიქით: აღმასრულებლის სახით სააღსრულებო წარმოების პროცესში მონაწილე სხვადასხვა პირი მოიაზრება (მაგალითად: მოსამართლეები, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოხელეები, კერძო აღმასრულებლები ან ზემოხსენებული სტატუსების კომბინაციის საფუძველზე მოქმედი პირები). სხვადასხვა სახელმწიფოში ამ პირების პასუხისმგებლობა, ორგანიზაციული და პროფესიული სტატუსები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.[8] თუმცა, სამი დომინანტური მოდელი შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

1. მოდელი, სადაც აღსრულების პროფესიონალები არიან სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც მოქმედებენ მოსამართლის მითითებების შესაბამისად და სააღსრულებო საქმიანობა წარიმართება ძირითადად სასამართლოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის გარეშე;

2. მოდელი, სადაც აღსრულების პროფესიონალები არიან საჯარო მოსამსახურეები და სააღსრულებო საქმიანობის ორგანიზება ხდება სასამართლოს გარეთ, მაგალითად იუსტიციის სამინისტროს მიერ;

3. ალტერნატიული მოდელია, როდესაც აღსრულების პროფესიონალები დამოუკიდებლები არიან და სააღსრულებო საქმიანობა ხორციელდება სასამართლოს გარეთ, სამეწარმეო და კონკურენტული ბაზრის დონეზე.[9]

ევროპაში მკაფიო ტენდენცია თვითდასაქმებული აღმასრულებლების სასარგებლოდაა. ეს მოდელი შემოღებულ იქნა საქართველოშიც.[10]

წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში შევეხებით, როგორც ქართული სააღსრულებო სისტემის ისტორიულ მიმოხილვას, ასევე დღეს მოქმედი და ახალი სააღსრულებო კოდექსით გათვალისწინებული სააღსრულებო სისტემის აქტუალურ საკითხებს.

2. ქართული სააღსრულებო სისტემის ისტორიული მიმოხილვა

1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის და ქართული სახელმწიფოსთვის მძიმე ისტორიული მოვლენების ფონზე, ნიშანდობლივია, რომ მაინც

---

[5] კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ., ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, ჭანტურია ლ., ტაბიძე მ. (რედ.), თბ., 2008, 86.

[6] სააღსრულებო წარმოების მექანიზმებსა და კრიტიკაზე იხ. ვრლად., შამათავა ი., პირგასამტეხლოს რეგულირების გერმანულ-ქართული მოდელი, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო", N17(2021), 20, <https://lawandworld.ge/wp-content/uploads/2021/04/7-irakli-shamatava-new.pdf> [08.05.2021].

[7] საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა - ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში., დაძმობილების პროექტი სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისთვის BESTT. თბ, 2013, 151. აგრეთვე: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 17 (2003).

[8] ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, თბ, 2020, 56. <http://lawlibrary.info/…/2020giz-ge-agsrulebis-samartali> [06.05.2021].

[9] უიტდეჰააგი ი., აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, თბ, 2017, 57.

[10] იქვე.

ფუნქციონირებდა ვახტანგ VI სამართლის წიგნი და ჩვეულებითი სამართალი. თუმცა, აღნიშნული მდგომარეობა დიდხანს არ შენარჩუნებულა და საქართველო საკანონმდებლო აქტების თვალსაზრისით, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფო, მალევე მოექცა იმპერიალისტური საკანონმდებლო აქტების მოქმედების ქვეშ.

1864 წლის რუსეთში განხორციელებული რეფორმის შემდეგ, არსებითად შეიცვალა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემა, სააღსრულებო წარმოება კვლავ არაეფექტიანი იყო. სააღსრულებო ფუნქციები გადაეცა სასამართლოსთან არსებულ განსაკუთრებულ თანამდებობის პირებს, აღმასრულებლებს, რომელთაც „პრისტავები“ ეწოდებოდათ. დადგინდა სასამართლოს მიერ ამ თანამდებობის პირების უწყებრივი კონტროლის ზოგიერთი ელემენტები. სასამართლო პრისტავები ირიცხებოდნენ სასამართლოს შტატში. აღნიშნული წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო გამოცდის ჩაბარება სასამართლოში და მათ სასამართლოს თავმჯდომარე ნიშნავდა. თუმცა, ამ თანამდებობის პირების რეალური კონტროლის უფლება სასამართლოს არ გააჩნდა. მას შეეძლო გაეუქმებინა სასამართლო პრისტავის ესა თუ ის მოქმედება მხოლოდ მხარეთა მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ.[11]

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს, სამეცნიერო ლიტერატურაში, ხშირად ვხვდებით მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, ატარებდა თუ არა 1918-1921 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლო რეფორმის ხასიათს. ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში მართლმსაჯულება ჯერ კიდევ წარმოებდა სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესდებათა და სასამართლო დაწესებულებათა დებულების მიხედვით, რაც რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის სამართლებრივი დანატოვარი იყო, მაინც ცალსახაა, რომ ყველა კანონი მიღებული სასამართლოებთან მიმართებით, გახლდათ სწორედ სასამართლოს სისტემაში მიმდინარე რეფორმის ნაწილი, და არა უბრალო ცვლილება განხორციელებული ცარიზმის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაში; ამას ცხადყოფს, არამარტო ის საკანონმდებლო ბაზა, რაც მიღებულ იქნა 1918-1921 წლებში, სასამართლოს სისტემის სრულყოფის კუთხით, არამედ ის განწყობა და სულისკვეთება, რაც იკითხება იმდროინდელი მთავრობის, საკონსტიტუციო კომისიის წევრების სხვადასხვა საჯარო გამოსვლებში, საგაზეთო სტატიებსა თუ საკუთრივ კონსტიტუციის კომენტარებში. ამდენად, ***1918-1921 წლების სასამართლო რეფორმა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად*** *დავყოთ: 1.* სასამართლო ორგანოების ახალი ინსტანციური სისტემის ჩამოყალიბება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება და სენატის სამართლებრივი სტატუსისა და უფლებამოსილების განსაზღვრა(*1918-1920 წლები).* 2. სასამართლოს რეფორმის მეორე და საბოლოო ეტაპი კონსტიტუციის მიღება და მასში მეექვსე თავად სასამართლოსთან დაკავშირებული დებულებების განსაზღვრა. (1921 წელი), მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებებმა მხოლოდ რამდენიმე დღე იარსება და რომ არა რუსული ოკუპაცია, საქართველოს მთავრობა მოკლე ხანში შეძლებდა, შეექმნა გამართული, სრულყოფილი, უცხო ქვეყნების გავლენებისგან თავისუფალი სასამართლო და სააღსრულებო სისტემა.

საბჭოთა ხელისუფლება ანექსიისთანავე შეუდგა საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის უზურპაციას და ამ მიზნით რევკომმა გააუქმა დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო ხელისუფლება. 1923 წელს მიღებულ იქნა დებულება სასამართლო წყობილების შესახებ, ხოლო 1924 წელს კი, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. რაც შეეხება სააღსრულებო წარმოებას, პროცესის თანახმად, აღსრულებას ძირითადად, სასამართლო

[11] ჭყონია ზ., სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(27)10, 93.

აღმასრულებლები ახდენდნენ, თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებით აღსრულების მოვალეობა შეიძლებოდა დაკისრებოდა მილიციას და რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს. ისინი აღსრულებისას ხელმძღვანელობდნენ სასამართლო აღმასრულებლისათვის განსაზღვრული წესებით.[12]

1931 წელს მიღებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით, სააღსრულებო წარმოებას არეგულირებდა კოდექსის მეხუთე ნაწილი. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-80 მუხლით სასამართლოს განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების აღსრულებასთან დაკავშირებით სასამართლო აღმასრულებლის მიერ წარდგენილი მოთხოვნა სავალდებულო იყო ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. სასამართლო აღმასრულებელს გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავდა აღმასრულებელი ფურცლით, რომელსაც როგორც წესი, გასცემდა სასამართლო, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.[13]

მოგვიანებით, სააღსრულებო წარმოება დარეგულირდა 1964 წლის რედაქციის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით. ამავე კოდექსის 362-ე მუხლით „სასამართლოებისა და სხვა ორგანოების დადგენილებათა აღსრულებას აწარმოებდნენ სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებთან არიან.“ 363-ე მუხლით კვლავ „გადაწყვეტილებათა დროულად და სწორად აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს მოსამართლე.“ შემდგომში სასამართლო აღმასრულებლები აღმოჩნდნენ ორმაგ დაქვემდებარებაში, კერძოდ, მათ ნიშნავდა და ათავისუფლებდა იუსტიციის მინისტრი. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააღსრულებო წარმოება რეგულირდებოდა 1985 წლის 15 ნოემბრის სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.[14]

3. სააღსრულებო დაწესებულებები საქართველოში 1999-2021 წლებში

ქართული სააღსრულებო სისტემის შემდგომი, პოსტკომუნისტური განვითარება გარკვეულწილად უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის მიღებას და მოგვიანებით სასამართლოში გატარებულ რეფორმებს.

აღსანიშნავია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ისტორია 2000 წლიდან აითვლება, მანამდე არსებობდნენ სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ სასამართლოს შენობაში. სააღსრულებო ბიუროს, როგორც ცალკე სამსახურის შექმნა, 1999 წლის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამ განაპირობა. სააღსრულებო დეპარტამენტს კონტროლს უწევდა იუსტიციის სამინისტრო. რაც შეეხება აღმასრულებლებს, ისინი კვლავ სასამართლო აღმასრულებლად იწოდებოდნენ. აღმასრულებლის საქმეები ცალკე კატეგორიებად არ იყო დაყოფილი. დღევანდელი სიტუაციისგან განსხვავებით, თითოეულ აღმასრულებელს წარმოებაში ყველა კატეგორიის საქმე ჰქონდა. სააღსრულებო დეპარტამენტთან ერთად არსებობა დაიწყო აღსრულების პოლიციამაც, რომელიც აღმასრულებელთან ერთად გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას უწყობდა ხელს.

---

[12] ჭყონია ზ., სამოქალაქო სააღსრულებლო სამართლის ევოლუცია საქართველოში“, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(41) 14, 93.

[13] ჭყონია ზ., სამოქალაქო სააღსრულებლო სამართლის ევოლუცია საქართველოში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(41) 14, 127.

[14] ჭყონია ზ., სამოქალაქო სააღსრულებლო სამართლის ევოლუცია საქართველოში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(41) 14, 128-129.

2008 წლის პირველი ოქტომბრიდან იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი აღსრულების ეროვნულ ბიუროდ ჩამოყალიბდა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა. 2009 წლის ივნისიდან ფუნქციონირება დაიწყო კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტმა.

3.1. აღსრულების ეროვნული ბიურო

აღსრულების ეროვნული ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტია. „აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით და აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულების პროცედურებს ახორციელებს. აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით აღსრულების ქვემდებარე აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი ხორციელდება არსებულ რეალობაში".[15] ზემოხსენებული კანონის მესამე მუხლში განსაზღვრულია, რომ: დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, ამასთან, უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაფუძნებულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, მისი წესდება (დებულება) უნდა შეესაბამებოდეს იმ კანონის მოთხოვნებს, რომლის საფუძველზედაც ადმინისტრაციული აქტი იქნა მიღებული.[16]

აღსრულების ეროვნული ბიუროს მთავარი ფუნქციაა იძულებითი ღონისძიებების განხორციელება, თუმცა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია, საკმაოდ ფართო სპექტრი მისი უფლებამოსილებებისა, ბოლოდროინდელი, 2020 წლის 18 სექტემბრის, ცვლილების შესაბამისად აღსრულების ეროვნული ბიურო გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ახორციელებს სააუქციონო მომსახურებას „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული აუქციონი, შინაარსობრივად განსხვავდება იძულებითი აუქციონისგან, რომლის ჩატარების წესი და პირობები გათვალისწინებულია სააღსრულებო კანონმდებლობით.
კანონით გათვალისწინებულია სააღსრულებო ბიუროების ორგანიზაციული მოწყობა, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – **სააღსრულებო ბიუროების** მეშვეობით. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. ბიუროს

---

[15] ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ., „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I (1-48 მუხლები), სდასუ, თბ, 2018, 76 <https://elfiles.emis.ge/uploads/2754/4835.pdf> [08.05.2021].

[16] (შენიშვ). აღსრულების ბიუროს შემთხვევაში, იგულისხმება იუსტიციის მინისტრის №220 ბრძანება, რომელიც ძალადაკარგულია.

უფლებამოსილებაში შედის აწარმოოს სააღსრულებო წარმოებათა აღრიცხვა, სტატისტიკა და ანალიზი. აგრეთვე განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

მოქმედი კანონმდებლობით, **აღსრულების პოლიცია** წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს, აღსრულების პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. კანონით აგრეთვე გათვალისწინებულია აღსრულების პოლიციელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების ფარგლები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი და პირობები, სოციალური დაცვის გარანტიები და სხვა.

3.2. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საქართველოში

დღეის მდგომარეობით, როგორც ცნობილია, აღსრულების სისტემა საქართველოში შედგება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო აღმასრულებლებისგან. სწორედ იმის გამო, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, სააღსრულებო პროცედურების განმახორციელებელი ეს ორი აქტორია წარმოდგენილი, ქართულ სააღსრულებო სისტემის ორგანიზაციულ მოწყობას, თავისუფლად შესაძლოა ვუწოდოთ შერეული, მსგავსად არაერთი ევროპული ქვეყნისა.

საქართველოში კერძო აღმასრულებლები ახორციელებენ უფლებამოსილებას, სააღსრულებო ლიცენზიის საფუძველზე, რომელსაც გასცემს აღსრულების ეროვნული ბიურო.[17] კანონში გათვალისწინებულია, როგორც ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები, ასევე მის გაცემაზე უარის თქმის, გაუქმების და შეჩერების საფუძვლები, კერძო აღმასრულებლის აცილებისა და თვითაცილების შემთხვევები.

ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია, ამ კუთხით კანონში საკმაოდ ვრცელი ჩანაწერი არსებობს, თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- აღსრულების მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები
- სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს.

მნიშვნელოვანია, რომ კერძო აღმასრულებლები დღეს არსებული კანონმდებლობით არ არიან შეზღუდულნი ტერიტორიული პრინციპით და აღსრულებას ახორციელებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსხვავებით ევროპის ზოგიერთი ქვეყნის [საფრანგეთი, ბელგია, ლიეტუვა, ლატვია, ბულგარეთი, ჰოლანდია] კანონმდებლობისგან, სადაც კერძო აღმასრულებლები უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ გარკვეული ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში და არა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3.3. აღსრულების პროცედურები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში

აღსრულების პროცედურები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სხვადასხვანაირადაა ორგანიზებული. ეს განსხვავება ყოველი ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებითა და ისტორიული გამოცდილებითაა განპირობებული, რაც ამ პროცედურების ევროპულ დონეზე ჰარმონიზაციის თვალსაზრისით გარკვეულ გამოწვევებს ქმნის. ამასთან, აღსრულების სისტემა სამართლებრივი ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, ნიდერლანდებში, ბელგიაში და საფრანგეთში თვითდასაქმებული, ანუ კერძო აღმასრულებლების სისტემა წლების განმავლობაში არსებობს. გარდა ამისა, შვეიცარიაში, საბერძნეთში, ლუქსემბურგში,

[17] (შენიშ). 2012 წლის 12 მაისამდე არსებული კანონის რედაქციით, ლიცენზიას კერძო სააღსრულებო საქმიანობაზე გასცემდა იუსტიციის სამინისტრო.

ინგლისში, შოტლანდიაში, უელსში და ჩრდილოეთ ირლანდიაში აღსრულების საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა არსებობს. გერმანიაში აღმასრულებლები საჯარო მოხელეების სტატუსით მოქმედებენ (Gerichtsvollzieher). ასეთივე ვითარებაა შვედეთში და დანიაში. არსებობს აღმასრულებლების განაყოფი, ანუ Rechtspfleger უფრო აღსრულების ინტელექტუალურ ასპექტებში იღებენ მონაწილეობას (გერმანიაში „Rechtspfleger", შვედეთში „kronofogden", დანიაში „retsassessor" და „dommerfuldmægtige") და გარდა ამისა არსებობენ აღსრულების ღონისძიებების განმახორციელებლები, ანუ „ჯარისკაცები" (გერმანიაში: Gerichtsvollzieher, Sweden: Kronoinspektör).[18,19]

4. სააღსრულებო სისტემა გათვალისწინებული ახალი სააღსრულებო კოდექსის შესაბამისად

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში, როგორც აღინიშნა მოქმედებს 1999 წლის კანონი, მიუხედავად პერმანენტული ცვლილებებისა, ის გარკვეულწილად მოძველებულია და ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობის, პროპორციულობის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე. ამჟამად, აღსრულების კოდექსის პროექტი პარლამენტშია განსახილველად გადაგზავნილი და უახლოეს მომავალში საზოგადოება შეძლებს უფრო დეტალურად გაეცნოს მის ფუნდამენტურ დებულებებს, თუმცა წარმოდგენილ სტატიაში, ყურადღებას გავამახვილებთ იმ სიახლეზე, რომელიც უშუალოდ სააღსრულებო სისტემას ეხება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების კომპეტენცია, გააჩნია სახელმწიფო ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს და კერძო აღმასრულებლებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით აღსრულების ეროვნული ბიურო, როგორც აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების სახელმწიფო ორგანო, ვალდებულია წარმოებაში მიიღოს და შესაბამისი სააღსრულებო მოქმედებები განახორციელოს ყველა ტიპისა თუ კატეგორიის საქმეებზე, განსხვავებით კერძო აღმასრულებლისაგან, რომელიც არ არის ამგვარი ვალდებულებით შებოჭილი, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კერძო აღმასრულებელი, ისევე როგორც აღსრულების ეროვნული ბიურო, სააღსრულებო საქმიანობის სახით საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება კრედიტორის მიმართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, იძლევა კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო საქმიანობის საკუთარი შეხედულებისამებრ განხორციელების შესაძლებლობას. კერძო აღმასრულებლის მიერ შერჩევითი პრინციპის გამოყენებით სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეუთავსებელია საჯარო უფლებამოსილების – სააღსრულებო საქმიანობის – არსთან. ამდენად, აღსრულების კოდექსის პროექტის შექმნის მთავარი მიზეზი გახდა აღსრულების სფეროში ერთიანი,

---

[18] სააღსრულებო წარმოების ისტორიული ექსკურსი, აღსრულების ეტიმოლოგია და შედარებით-სამართლებრივი კვლევა, იხ. ვრლად: შამათავა ი., სააღსრულებო წარმოებათა საკანონმდებლო მექანიზმები (სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილებ(ებ)ისა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თავისებურებანი), დაცული სამაგისტრო ნაშრომი ინახება მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, 2016, 15-16.

[19] საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში, დაძმობილების პროექტი სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისთვის BESTT. თბ, 2013, 101, 132.

სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტის – კოდექსის არარსებობა და ე.წ. **შერეული სისტემის** გამთლიანების აუცილებლობა.

კანონპროექტით უქმდება **„აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლისა“** და **„კერძო აღმასრულებლის“** ინსტიტუტები და ყალიბდება აღსრულების სრულიად ახალი სისტემა. აღნიშნული სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია **აღმასრულებელთა პალატა,**[2078] რომლის შემადგენლობაში შედის ყველა აღმასრულებელი. რაც შეეხება ცალკეულ აღმასრულებლებს, მათ თანამდებობაზე დანიშვნასთან ერთად განესაზღვრებათ **სამოქმედო ტერიტორია.** შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე აღმასრულებელთა შორის აღსასრულებელი საქმეები საქმეთა ავტომატური განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადანაწილდება.

აღსრულების კოდექსის პროექტის 90-ე მუხლის შესაბამისად, აღმასრულებელთა პალატა უფლებამოსილია: ა) აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად ან დამოუკიდებლად წარმოადგინოს აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოში, მოქალაქეთა გაერთიანებაში, დაამყაროს ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარუდგინოს წინადადებები აღმასრულებელთა პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით; გ) აღმასრულებლებისაგან მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია და მოისმინოს მათი განმარტებები; დ) შექმნას აღმასრულებელთა პალატის აპარატი, რომელიც აღმასრულებელთა შორის პროპორციული წესით ელექტრონულად ანაწილებს საქმეებს; ე) სააღსრულებო მოქმედებათა პრაქტიკის უნიფიკაციის მიზნით განაზოგადოს სააღსრულებო მოქმედებები; ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

ახალი ცნება, რომელსაც კოდექსის პროექტი დღეის მდგომარეობით იცნობს, ეს არის **ინსპექტორი.** იგი იქნება აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირი, რომელსაც კონკრეტული საქმეები გადაუნაწილდება და დაევალება სპეციფიკურ საქმეებზე მუშაობა.[2179] აღსრულების ეროვნული ბიურო, ინსპექტორის მეშვეობით, განახორციელებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საწინააღმდეგოდ წარმოებული საქმეების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდუმლო გრიფის მქონე საქმეების აღსრულებას, ასევე განკარგავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული გირაოს და განრიდების ფარგლებში არსებულ თანხას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნული კატეგორიის საქმეების აღსრულებისას ინსპექტორი სარგებლობს აღმასრულებლის ყველა უფლებამოსილებით და მასვე ეკისრება აღმასრულებლის ყველა მოვალეობა, გარდა მის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკისა.

განსხვავებულად იქნება დარეგულირებული აღსრულების კოდექსის პროექტის მიხედვით **აღსრულების პოლიციის** უფლებამოსილებანი.

---

[20] (შენიშ.) აღნიშნულ ინსტიტუტს მანამდე ქართული სააღსრულებო სივრცე არ იცნობდა, მისი შემოღება განპირობებული იყო ერთი მხრივ, იმ გარემოებით, რომ აუცილებელი გახდა შექმნილიყო ერთი ცენტრალური ორგანო, რომელიც ყველა აღმასრულებელს გააერთიანებდა, და მეორე მხრივ, ქართულ საზოგადოებას უნდა გაეთვალისწინებინა ევროკავშირის რეკომენდაციები ამ მიმართულებით, რაც დააახლოებდა მას საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან.

[21] ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, თბ, 2020, 64. <http://lawlibrary.info/…/2020giz-ge-agsrulebis-samartali> [06.05.2021].

2011 წლიდან აღსრულების პოლიცია, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე, ახორციელებს სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის, ასევე მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის შესახებ სააღსრულებო საქმეების აღსრულებას. კოდექსის პროექტით, მოცემული კატეგორიის საქმეებს აღასრულებს აღსრულების პოლიციელი, რომელიც ისარგებლებს აღმასრულებლის ყველა უფლებამოსილებით და მასვე დაეკისრება აღმასრულებლის ყველა მოვალეობა, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა და აღსრულების პოლიციელის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკისა.

წარმოდგენილი ცვლილებებით იკვეთება ის გარემოება, რომ ახალი კოდექსის პროექტის შესაბამისად:

- საქართველოში არ იქნება აღსრულების შერეული სისტემა;
- სააღსრულებო რეალობაში შემოდის აღმასრულებელთა პალატა;
- სააღსრულებო ურთიერთობებში ფიგურირებს ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც სპეციფიკური საქმეების აღმასრულებლის სტატუსით სარგებლობს;
- დაიხვეწა სააღსრულებო პოლიციის უფლებამოსილებანი.

დასკვნა

ქართულმა სააღსრულებო სისტემამ განვითარების რთული გზა განვლო, თავად სააღსრულებო სამართალი, სამართლის სხვა დარგებთან შედარებით ახალი მიმართულებაა და მისი სამართლის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება, სულ რაღაც ორ ათეულ წელზე ცოტა მეტს ითვლის. წლების განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა მართლმსაჯულების კუთხით, ავტომატურად გამოიწვია სააღსრულებო კანონმდებლობაში, არაერთი ცვლილების გატარება, რომელთა უმრავლესობა პროგრესული, ხოლო ნაწილი ნაკლებად პროგრესული და მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც საზოგადოებისთვის, ასევე არსებული სამართლებრივი რეალობისთვის. ვფიქრობთ, ახალი სააღსრულებო კოდექსის მიღებით აღსრულების სფეროში შეიქმნება სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი, რომლის მიზანიც იქნება აღსრულების ახალი, ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, სააღსრულებო პროცესში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობების გამიჯვნა და მკაფიოდ ფორმულირება, აგრეთვე სააღსრულებო პროცესის გამარტივება. გარდა ზემოაღნიშნულისა, კოდექსის მიღებით, საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობა მაქსიმალურად ჰარმონიზებული იქნება ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების დაცვას და ზოგადად, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, სსმ, 13(20), 01/05/1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=101> [07.05.2021].
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> [07.05.2021].

3. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში, დაძმობილების პროექტი სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისთვის BESTT. თბ, 2013.
4. გურგენიძე მ., იძულებითი აუქციონის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #3(67) თბ, 2020.
5. გურგენიძე მ., ურთმელიძე თ., მოვალის სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სააღსრულებო სამართალში, სტუ-ის შრომები №3 (517), თბ, 2020.
6. გურგენიძე მ., ყადაღა სააღსრულებო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(66) თბ, 2020.
7. კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ., ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, ჭანტურია ლ., ტაბიძე მ. (რედ.), თბ., 2008.
8. ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, თბ, 2020 http://lawlibrary.info/…/2020giz-ge-agsrulebis-samartali).
9. უიტდეჰააგი ი., აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში, თბ, 2017.
10.ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ., „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I (1-48 მუხლები), სდასუ, თბ, 2018, 76 <https://elfiles.emis.ge/uploads/2754/4835.pdf> [08.05.2021].
11.შამათავა ი., პირგასამტეხლოს რეგულირების გერმანულ-ქართული მოდელი, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, N17(2021), 20, <https://lawandworld.ge/wp-content/uploads/2021/04/7-irakli-shamatava-new.pdf> [08.05.2021].
12.შამათავა ი., სააღსრულებო წარმოებათა საკანონმდებლო მექანიზმები (სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილებ(ებ)ისა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თავისებურებანი), დაცული სამაგისტრო ნაშრომი ინახება მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, 2016.
13.შმიტი/რიჰტერი., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ, 2013.
14.შუშკე ვ., სააღსრულებო სამართალი, მოკლე კონსპექტები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ, 2011.
15.ჭყონია ზ., სამოქალაქო სააღსრულებო სამართლის ევოლუცია საქართველოში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ #2(41)14.
16.ჭყონია ზ., სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ #4(27)10.
17.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება (№ ას-856-1142-09).
18.აღსრულების ეროვნული ბიურო, <http://nbe.gov.ge/> [07.05.2021].
19.საქართველოს პარლამენტი, <https://info.parliament.ge/#law-drafting> [07.05.2021].
20.<http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-58020&filename=001-58020.pdf> [07.05.2021].
21.https://www.legal-tools.org/doc/43104d/pdf/> [06.05.2021].

რეზიუმე

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეხება სააღსრულებო სისტემის განვითარების საკითხებს და განხილულია მისი ევოლუციის ეტაპები. აღნიშნული საკითხის ისტორიული შესწავლა საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ პრობლემა საერთო სამართლებრივ ჭრილში, შესაბამისად, ავტორთა მიერ გადმოცემულია აღსრულების ისტორიული მიმოხილვა, ჯერ კიდევ ცარიზმის ხანიდან. სტატიის ძირითადი ნაწილი ეთმობა თანამედროვე სააღსრულებო დაწესებულებების კომპეტენციების და ფუნქციების გამიჯვნას, როგორც ცნობილია დღეს საქართველოში მოქმედებს შერეული სააღსრულებო სისტემა, რადგან იძულებით აღსრულებას ახორციელებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი აღსრულების ეროვნული ბიურო და კერძო აღმასრულებლები. ხაზგასასმელი ის გარემოება, რომ ახალი სააღსრულებო კოდექსის პროექტით უქმდება **„აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლისა“** და **„კერძო აღმასრულებლის“** ინსტიტუტები და ყალიბდება აღსრულების სრულიად ახალი სისტემა – აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან იქმნება აღმასრულებელთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **აღმასრულებელთა პალატა,** რომლის შემადგენლობაში შევა ყველა აღმასრულებელი. აღმასრულებელი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ნებისმიერი კატეგორიის საქმის აღსრულებას, გარდა ინსპექტორის და აღსრულების პოლიციელის მიერ აღსასრულებელი საქმეებისა.

საკვანძო სიტყვები: სააღსრულებო სისტემა, კერძო აღმასრულებელი, აღსრულების ეროვნული ბიურო, აღსრულების პოლიცია.

Miranda Gurgenidze, Irakli Shamatava

Aspects of enforcement system development in Georgia
(In accordance with the current applicable Law of Georgia "on Enforcement Proceedings" and the new draft "Code of Enforcement")

Summary

The presented scientific article deals with the issues of development of the enforcement system and discusses the stages of its evolution. The historical study of this issue allows us to assess the problem in the general legal context, therefore, the authors provides a historical overview of enforcement, still since the time of "Tsarism". The main part of the article is devoted to the separation of competencies and functions of modern enforcement institutions, as it is known that there is a mixed enforcement system in Georgia today, because enforcement is carried out by the National Bureau of Enforcement, the legal entity of public law and private executors. It should be emphasized that the draft of the new Enforcement Code abolishes the institutions of "**National Bureau of Enforcement**" and "**Private Executor**" and establishes a completely new system of enforcement – the National Bureau of Enforcement is establishing a legal entity of public law based on the membership of executors – **the Chamber of Executors**, which will include all the executors. The bailiff shall ensure the enforcement of any category of case within its jurisdiction, except the cases to be enforced by the inspector and the enforcement officer.

Keywords: Enforcement System, Private Executor, National Bureau of Enforcement, Enforcement Police.

პოლიკარპე (თემურ) მონიავა, ჯამბულ ხუროძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებული ხუნწის თემში
David Aghmashenebeli University of Georgia;
Martvili Municipality Mayor's Trustee in Khuntsi community

ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი სასამართლო პროცესი. მისი კავშირი სოფელ ხუნწთან, ანუ ისტორიულ ონოგურისთან. ამ სოფლის ტოპონიმები და ჩართულობა სამეგრელოს სამთავროს სამართალწარმოებაში

შესავალი

მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებული ხუნწის თემი აერთიანებს სოფლებს- ლეციცხვაიეს (ადრე ერქვა ნატებერუ), ზედა ხუნწს და ქვედა ხუნწს. იგი მდებარეობს ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებს მათხოჯსა და სუხჩეს, მარტვილის მუნიციპალიტეტში კი მისი მოსაზღვრე სოფლებია- ჩრდილოეთით სოფელი ქვაითი, დასავლეთით სოფელი ნახარებაო, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით სოფელი ნაგვაზაო.

არსებული მასალები და დღემდე შემორჩენილი მოგონებები ცხადყოფს, რომ ამ სოფელთან არაერთი მნიშვნელოვანი ფურცელია დაკავშირებული, როგორც ეგრისის სახელმწიფოს და სამეგრელოს სამთავროს ისე შემდგომი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრებიდან. სამწუხაროდ მათ შესახებ ძალიან ცოტამ იცის. რაც სხვა მთელ რიგ გარემოებებთან ერთად იმითაცაა განპირობებული, რომ სოფელ ხუნწს არსებობის მრავალსაუკუნოვან მანძილზე სხვადასხვა სახელი (დობერო, ინოგურისი, წმინდა სტეფანეს ტაძარი) ერქვა.

ვითარება, შეიცვალა 2014 წელს, ანუ მას შემდეგ რაც ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა სასინჯი გათხრები აწარმოეს სოფელ ხუნწში არსებული ქუქითის გორაკზე მდებარე ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე და მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა, არქეოლოგიურმა გათხრებმა ოფიციალურად დაადასტურა რასაც საუკუნეების მანძილზე ინახავდა ადგილობრივების კოლექტიური მეხსიერება, კერძოდ ის, რომ ეს ციხე-სიმაგრე ისტორიის წყვდიადში ჩაძირული ონოგურისია.

თუმცა, რიგი საკითხებისა, მაგალითად თუ საიდან წარმოსდგა სოფლის ახლანდელი დასახელება, ასევე ის თუ რა ერქვა მას სხვადასხვა დროს და რატომ, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ადრეული პერიოდის სამართალწარმოება ეგრისსა და სამეგრელოში, რა როლს თამაშობდა მთელს ამ პროცესში ონოგურისთან, ანუ დღევანდელ ხუნწთან დაკავშირებული მოვლენები და აშ., ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მონოგრაფიისა, რაც მოკლე დროში დაიბეჭდება, წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მოკრძალებულ ცდას სოფელ ხუნწის, როგორც ისტორიული წასულის, მისი ტოპონიმიკის, ისე სამართლებრივ სფეროში მასთან დაკავშირებული თემატიკის წარმოსაჩენად.

კვლევის შედეგი:

I.სოფელ ხუნწისა და ისტორიის წყვდიადში ჩაძირული ონოგურისის იდენტობის თაობაზე ეთნოგრაფიულ-ეტიმოლოგიური და ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროების მიმოხილვა. პირველი ოფიციალური წყარო, სადაც მოხსენიებულია ონოგურისი და ამ სახელით არსებული ციხე-სიმაგრე, ასევე მოცემულია მისი მდებარეობის შესახებ გარკვეული კოორდინატებიც, არის ,,გეორგიკა, ანუ ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ" კერძოდ, ამ ნაშრომში, რომელიც შესაბამისი განმარტებებით, 1936 წელს ბერძნულიდან თარგმნა და გამოსცა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა, აგათია სქოლასტიკოსის[180] მიერ, რომელსაც თავის მხრივ უსარგებლია სპარსული წყაროებითაც, არაერთგზის არის ნახსენები ონოგურისი და მას მიიჩნევს მომთაბარე ტომის-ჰუნების მეტსახელად.

მეტიც, ამ ციხესთან 454 წელს გამართულ ომს ბიზანტიელებსა და ირანელებს (სპარსელებს) შორის, რომელშიც ორმოცდაათი ათასი ბიზანტიელი მებრძოლი სამი ათას სპარსელს გაექცა და ბიზანტიელები სამარცხვინოდ დამარცხდნენ, იგი უწოდებს ,,ღვთის რისხვას ლაზთა მეფის (იგულისხმება გუბაზ II) მოკვლის გამო[2] " და ,,აუტანელ სირცხვილს" რადგან, ვინც ამ ციხესთან ბრძოლას გადაურჩა, ბიზანტიელთა მხრიდან, ისინიც კი დაიღუპნენ არქეოპოლისის ციხისკენ პანიკურად გაქცევისას, მდინარე კათარის ვიწრო ხიდზე გამართული ზედახორის შედეგად[3].

საქმე იმაშია, რომ 50 000 ბიზანტიელმა მებრძოლმა, სულ რაღაც 3000 ირანელთან ბრძოლაში ვერ დაიბრუნა სპარსელების მიერ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, ,,რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან[4]" და ,,გაეხადათ არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფრად[5]".

როგორც ვხედავთ, აგათია სქოლასტიკოსი იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ონოგურისის ციხე იდგა არქეოპოლისთან იმდენად ახლოს, რომ რეალურ საფრთხეს უქმნიდა არქეოპოლისში დისლოცირებულ ბიზანტიურ გარნიზონს, ასევე იმასაც, რომ ონოგურისის ციხე-სიმაგრე მდებარეობდა მდინარე კათარის მარცხენა სანაპიროზე, რადგან სწორედ ამ მდინარეზე არსებული ვიწრო ხიდი იქცა ირანელებთან ბრძოლას გაქცეული ბიზანტიელებისათვის ,,ღვთის რისხვად".

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ქართველი მეცნიერები, ცალკეული გამონაკლისის (მაგ. ანანია ჯაფარიძე ონოგურისს აჭარასთან აკავშირებს) გარდა, თანხმდებოდნენ მასზედ, რომ ონოგურისის ციხე და შესაბამისად ამ დასახელების სოფელი მდებარეობდა დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

---

[1] როგორც თავადვე წერს იგი-აგათია მემნოსის-ძე დაბადებულა მცირე აზიის ეოლის ქალაქ შირინაში 536 წელს. მიუღია იურიდიული განათლება ალექსანდრიასა და კონსტანტინეპოლში. სწავლის დამთავრების შემდეგ დაუწყია ვექილობა და აქედან წარმოსდგება მისი სახელწოდება სქოლასტიკოსი (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი 3, 1936 წელი. გვ. 25.

[1] იხ. იგივე ნაშრომის გვ. 60.

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი 3, 1936 წელი. გვ. 62.

[3] იხ. იგივე ნაშრომის გვ. 60.

[4] იხ. იქვე.

[5] იგივე ნაშრომი გვ.40-41.

თუმცა, განსხვავდებოდა მათი პოზიცია ამ ციხის კონკრეტულ ლოკაციასთან დაკავშირებით, რადგან აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით ონოგურისი უნდა ყოფილიყო სოფელი ონოღია.[6] პროფესორი პარმენ ზაქარაია კი ონოგურისის ციხედ ნოქალაქევის საკონტროლო ზონაში აგებულ აბედათის ციხე-სიმაგრეს მიიჩნევდა.[7]

ონოგურისის ადგილმდებარეობის თემას შეეხო აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილიც, კერძოდ მან არამარტო ის ვარაუდი გამოთქვა, რომ ონოგურისის ციხე მდებარეობდა ცხენისწყლის დასავლეთით, არქეოპოლისის (ნოქალაქევის) მახლობლად უნაგირას მთაზე,[8] არამედ ერთმანეთს შეადარა აგათია სქოლასტიკოსისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ონოგურისთან დაკავშირებით დატოვებული ცნობები და კიდევ უფრო დააკონკრეტა ონოგურისის ციხის ადგილსამყოფელი, კერძოდ მისი აზრით ონოგურისის ციხე უნდა ყოფილიყო მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე აღმართული უნაგირას მთის გეოგრაფიულ არეალში ცხენისწყლის დასავლეთით ცხენისწყალსა და მდინარე აბაშას შორის.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აგათია სქოლასტიკოს მდინარე აბაშის ნაცვლად ნახსენები აქვს მდინარე ,,კათარი" ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნული ახსნა იმით, რომ ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით მდინარე აბაშას წინათ რქმევია სხვა სახელი, რაც მისი აზრით შეიძლება ,,კათარი" ყოფილიყო, ვინაიდან, აბაშაში დღესაც არის სოფელი კადარი[9] და სერიოზული საფუძველი არსებობს იმისა, რომ მდინარე აბაშას ადრე რქმეოდა ამ სოფლის სახელი მით უფრო, როცა ამ მდინარისთვის აბაშის შერქმევა VIII საუკუნეს, კერძოდ არაბი სარდლის მურვან ყრუს ლაშქრობის პერიოდს უკავშირდება.

ამდენად, სიმონ ყაუხჩიშვილმა ფაქტობრივად გამორიცხა ონოგურისის ციხის არსებობა აბედათსა და ონოღიაში. რაც მართებულად მიგვაჩნია, რადგან სოფელი აბედათი და მისი ციხე მდინარე აბაშის მარჯვენა მხარეს მდებარეობს და არა ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე. შესაბამისად, ვერაფრით ვერ იქნება სოფელ აბედათში, აგათია სქოლასტიკოსის მიერ ნახსენები, ონოგურისის ციხე.

რაც შეეხება ონოგურისის გაიგივებას ონოღიასთან ეს ვერსიაც გამოირიცხა იმით, რომ ონოგურისის ციხის ადგილსამყოფლად ს. ყაუხჩიშვილმა განსაზღვრა მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე აღმართული უნაგირას მთა. ეს მთა კი იწყება არქეოპოლისთან, ანუ დღევანდელ ნოქალაქევთან[10] , მოიცავს სოფელ ხუნწის ტერიტორიის იმ ნაწილსაც სადაც ციხის ნანგრევებია აღმოჩენილი და თუ სადმე ეს მთა ძალიან ჰგავს ცხენის სხეულს მასზე დადგმული უნაგირით, სწორედ დღევანდელი ხუნწის, კერძოდ ქუქითის ტერიტორიაზე,

---

[6] ბერძენიშვილი ნ. ტომი VIII . თბილისი. 1975 წელი. გვ. 462.

[7] ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხე-გოჯი, არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1991 წელი. გვ 128-129.134. ასევე ზაქარაია პ. ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. თბილისი. 2002 წელი. გვ. 79-82.

[8] ყაუხჩიშვილი ს. ტომის III, 1936 წელი. გვ. 39-41.

[9] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი 3, 1936 წელი. გვ. 60-ს სქოლიო).

[10] არქეოპოლისი, ქართული წყაროების მიხედვით ციხე- გოჯი (მეგრულად ,,ციხექვინჯი'' რომაელთა და ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიერ მოიხსენიებოდა როგორც აქეოპოლისი. თუმცა ადრინდელ ქართულ ქრონიკებში მას ..ციხე-გოჯს" ანუ ქუჯის ციხეს უწოდებდნენ, რადგან იგი ქუჯიმ ააგო ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის დასაწყისში. იგი ეგრისის (ლაზიკის) დედაქალაქი იყო IV-VI საუკუნეებში. 738-738 წლებში ეს ქალაქი არაბთა სარდალმა მარვან იბნ მუჰამედმა (მურვან ყრუ) გაანადგურა, რის შემდეგაც იგი დაკნინდა და მცირე სოფლად გადაიქცა (ნოქალაქევი). შემდეგში იგი განახლდა XVI საუკუნეში და XVI -XVIII საუკუნეებში იყო დადიანების რეზიდენცია.

სადაც ციხე-სიმაგრის ნანგრევებია აღმოჩენილი. თანაც სოფელი ონოღია მდებარეობს სწორ, გაშლილ ვაკეზე და მის ტერიტორიაზე არც მთა და მით უფრო ციხე-სიმაგრის რაიმე სახის ნაშთის კვალიც კი არ ფიქსირდება.

ზემოთქმულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ მოთარეშეთაგან მოსახლეობის დასაცავად გაშლილ ვაკე ადგილზე ეგრისელები მცირე ზომის თავდაცვითი ნაგებობების გარდა მძლავრ ციხე-სიმაგრეს არ აშენებდნენ,[11] ყოველივე ეს კიდევ ერთხელ აცლის საფუძველს იმ მოსაზრებას, რომ ონოგურისის ციხე შეიძლება ყოფილიყო სოფელ ონოღიის ტერიტორიაზე.

თანაც არსებობს სხვა არაერთი არგუმენტიც, რომელიც ამყარებს მოსაზრებას, რომ ონოღია ნამდვილად არ არის და არც შეიძლება იყოს ონოგურისი, კერძოდ:

ა) სოფლის სახელწოდება ,,ონოღია'' წარმოსდგება ტერმინ ,,ნოღასგან" და მეგრულად ნიშნავს ,,დაბალ და ნაყოფიერ კარგ შემოსავლიან ადგილს.'' რის გამოც სამეგრელოში, მათ შორის მარტვილის მუნიციპალიტეტში და იმერეთის რეგიონშიც, ხშირია ტერმინ ,,ნოღას" გამოყენება ისეთი სოფლების სახელებად, რომლებიც უკავშირდებიან ხევში გამავალი ღელეების ჭალებს[12].

ბ) ხალხური ეტიმოლოგიით, კერძოდ მკვლევარ მ. მარგველაშვილს აქვს ამ მიმართებით საინტერესო ჩანაწერები, ირკვევა, რომ ჯანაშიები ცხოვრობდნენ თურმე ცხენისწყლის გაღმა ღანირ-ჯაგანში. ერთი მათგანი რაღაც მიზეზით გამოქცეულა, დღევანდელი ონოღიის ტერიტორიაზე არსებული ტყისთვის შეუფარებია თავი და ღია ადგილას სახლიც ჩაუდგამს. ერთ იქაურ მონადირეს კი ეს სახლი დაუნახავს და მეგობრისთვის, რომელსაც ონოფრე (შემოკლებით ,,ონო") ერქვა დაუძახია ,,ონო ღია ადგილიშა ქგმორთია" (ონო ღია ადგილზე მოდიო).

მეორე ვერსიაც ღია ადგილს უკავშირდება მხოლოდ საჭმლის მისაღები ადგილის კონტექსტში, კერძოდ, თურქი მონადირეები, როცა საჭმელი მოუნდებოდათ თურმე ერთმანეთს მიმართავდნენ შემდეგი სიტყვებით-,,ონო" (ანუ საჭმელი) ღია ადგილზე ვჭამოთო".

ამდენად, აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა რეალურად გამორიცხა ონოგურისის იდენტობა აბედათის ციხესა და ონოღიასთან, რითაც ონოგურისის ციხე-სიმაგრის ლოკაციის ადგილად ფაქტობრივად მიუთითა სოფელი ხუნწი. თუმცა, დაბეჯითებით ვერ იტყოდა, რომ ონოგურისის ციხე ამ სოფლის ტერიტორიაზეა, რადგან სოფელ ხუნწში ოფიციალური გათხრები არ იყო ჩატარებული და შესაბამისად, არც იმის მტკიცებულება გააჩნდა, რომ ხუნწის ციხე, რომელიც ე.წ. ,,დობეროს ციხის'' ნანგრევების სახით იყო ცნობილი[13], პატარა ჯიხას, კი არ წარმოადგენდა მაგ. სენაკის მუნიციპალიტეტში დღემდე შემორჩენილი შხეფის ციხის მსგავსად არამედ, ციხესთან ერთად ძლიერ სიმაგრესაც, რომელიც მეტოქეობას უწევდა თვით ციხე-გოჯს და ხელს უშლიდა იმ დროს მასში დისლოცირებული ბიზანტიური გარნიზონის უსაფრთხოებას.

ს. ყაუხჩიშვილის ეს მოსაზრება, მოგვიანებით კიდევ უფრო განავრცო მკვლევარმა ავთანდილ ფაილომემ, რომელმაც შეისწავლა აგათია სქოლასტიკოსის თხზულების მიხედვით

---

[11] ნიკოლოზ მურღულია, 2012 წელს გამოცემული სადოქტორო ნაშრომი- ,,ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-V საუკუნეებში'' (არქეოლოგიური მასალების და ისტორიული წყაროების მიხედვით).

[12] იხ. პ. ცხადაიას, ნაშრომი-სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი.

[13] იხ. ჭითანავა ა. ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი.2010 წელი (რიგ. № 33).

ონოგურისის გეოგრაფიული მდგომარეობა, მოინახულა ხუნწის ციხე და გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ აქ შეიძლება იყოს ისტორიული ონოგურისი[14].

ა. ფაილოძის ეს განცხადება, თავის მხრივ დაადასტურა ჯერ კიდევ 2014 წელს ქართულ-ინგლისურმა ექსპედიციამ, რომლის რამდენიმე წევრმა მოინახულა რა ხუნწის გორაკი, სადაც აღმოჩნდა სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები, რომელთა უმეტესობა განეკუთვნებოდა IV- VI საუკუნეებს[15], გამოითქვა ვარაუდი ამ ციხის ონოგურისთან იდენტობის შესახებ.

ექსპედიციის წევრთა ამგვარი ჰიპოთეზა, თავის მხრივ, დასტურდება იმით, რომ 2016 წლიდან, არქეოპოლისის ექსპედიციის ხელმძღვანელ ნიკოლოზ მურღულიას თაოსნობით, დღემდე ტარდება რა ხუნწის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება, ჩატარებულმა გათხრებმა უკვე ამ ეტაპზე ცხადყო, რომ ეს ციხე, მდებარეობს სოფელ ხუნწის ჩრდილოეთ ნაწილში, მარტვილი-ხონის საავტომობილო გზის მე-8 კილომეტრზე, ქუქითის გორაკზე და დღემდე შესწავლილი ნაწილი მოიცავს 6000 კვ. მეტრს.

დადასტურდა ისიც, რომ მისი ძირითადი ნაწილი აშენებულია IV-VI საუკუნეებში, ეგრისელ ციხის მშენებელთა ტრადიციით, რადგან აქვს 70 სანტიმეტრიანი ფუნდამენტი. თავად ციხის გალავნის, რომელშიც კოშკებია ჩაშენებული, სისქე კი 1.7 მეტრია. ამასთან, ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნებში დამზადებული ჭურჭლის და კერამიკის ნაშთები, ბიზანტიური მონეტები და რაც მთავარია აღმოჩენილი იქნა ტაძრის ფრაგმენტები საძვალეებითურთ.[1695] რაც კიდევ ერთი მატერიალური მტკიცებულებაა იმისა, რომ ეს ციხე სხვადასხვა ქვეყნებთან იმყოფებოდა კავშირში და ნამდვილად ონოგურისის ციხეა, რადგან აგათია სქოლასტიკოსი თავის თხზულებაში იმ გარემოებასაც უსვამდა ხაზს, რომ ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 454 წელს გამართული ბრძოლის დროს, ადგილობრივები თავიანთ თავს უკვე იშვიათად უწოდებდნენ ჰუნების მეტსახელ ონოგურს და ამ ადგილს მოიხსენიებდნენ ქრისტიანული სარწმუნეობის მტრების მიერ ჩაქოლილი წმინდანის სტეფანეს სახელით, რომლის სახელობის ტაძარიც არსებობდა ამ ადგილას.

თუმცა, ამ მიმართებით პოზიციის კიდევ უფრო გასამყარებლად დამატებით უნდა ითქვას, რომ ხუნწის ციხე-სიმაგრის გეოგრაფიული მდგომარეობა, მისი სიახლოვე არქეოპოლისთან (დაახლოებით 10-12 კილომეტრი), ციხის მასშტაბები და ის, რომ მას ატყვია არაერთგზის გადაკეთება-გამაგრების კვალი, რაზეც აგათია სქოლასტიკოსი ასევე ამახვილებდა ყურადღებას, უდავოდ ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ იგი ეგრისის სინამდვილეში არამხოლოდ ერთ-ერთი მთავარი ციხე იყო, არამედ სხვათაგან გამორჩეული ეკონომიკურად მდიდარი და ისეთი მძლავრი ციხე-სიმაგრეც, რომელიც ბატონობდა მთელ მოსაზღვრე რეგიონზე და სპარსელებს გამოყენებული ჰქონდათ ბიზანტიელების წინააღმდეგ სასიმაგრო საფრად, რადგან ეს ციხე:

ა) კეტავდა ცხენისწყლის ხეობას ამ რეგიონში;

ბ) ასრულებდა საბაჟოს ფუნქციას, ვინაიდან ერთადერთი გზა მდინარე ცხენისწყალზე, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში აშენებული ,,ბომბუას“ ხიდის (რომლის ბურჯებიც დღემდეა შემორჩენილი) მეშვეობით ხუნწის ციხის წინ გადიოდა, ზედა ხუნწისა და ქვაითის გავლით არქეოპოლისისკენ, რის გამოც ვერც ერთი ქარავანი მას გვერდს ვერ აუვლიდა;

---

[14] ფაილოძე ა. ,,მატიანე ხონისა“, ნაწილი II,. 2003 წელი. გვ. 27-32.

[15] იხ. ,,არქეოლოგიური გათხრები ხუნწში“. 2017 წლის საპროექტო დოკუმენტაცია და განმარტებითი ბარათი.

[16] თათია ბუხრაშვილი. Itv.ge/news/khunwis-cikheze-argeologiuri kvleva-dziebis-momdevno-etapi-dasrulda . 22.08.2018.

გ) ამავდროულად იყო სათვალთვალო დანიშნულების ციხეც, ვინაიდან, თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, აკონტროლებდა ფაქტობრივად მთელ კოლხეთის დაბლობს, რის გამოც არა მხოლოდ მტრის შეჩერება და დევნილი მოსახლეობის ხანგრძლივად შეფარება შეეძლო, არამედ მტრის გამოჩენის შემთხვევაში გამაფრთხილებელი შეტყობინების გადაცემაც მის არეალში მოქცეული ციხე-სიმაგრეებისათვის;

დ) სხვა თავდაცვით ნაგებობებთან შედარებით გამორიცხული იყო ის, რომ წყლით მომარაგების პრობლემა შექმნოდა ხანგრძლივი ალყის შემთხვევაშიც კი, ვინაიდან ამ ტერიტორიაზეც გადიოდა და გადის არაერთი მიწისქვეშა წყარო („ბინული“), ანუ, როგორც ადგილობრივები უწოდებენ „ბინური,“ რომლებიც კავკასიის კალთებიდან მოედინება და დღემდე სასმელად იყენებს ხუნწის მოსახლეობა[17].

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც აქამდე რატომღაც არ გაჟღერებულა, მაგრამ ვფიქრობთ იმსახურებს ყურადღებას ის არის, რომ აკადემიკოსი ს. ბერძენიშვილი სოფელ ონოღიას ამ სოფლის სახელის ფუძის „ონოღი“-ას ონოგურისთან მსგავსების გამო ამტიცებდა მათ იდენტურობას. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ონოღია”-ს ეტიმოლოგიურად ჯერ ერთი სულ სხვა დატვირთვა აქვს და მეორეც სიტყვა „ონოღიას“ თუ თავსართ „ო“-ს (რომლის შესატყვისიც ქართულში თავსართი „სა“-ა) მოვაშორებთ, მაშინ რჩება „ნოღი”, იგივე „ნოღა” შესაბამისად, „ო“(ქართული შესატყვისით „სა“) თავსართით ონოღია გულისხმობს საჭალეთს და თითქმის იგივე ფუძე აქვს, როგორც მდინარე ნოღელას და რაც მთავარია ეს მდინარე ქმნის იმ ჭალებს, რის გამოც სოფელს ჰქვია ონოღია.

ეს მდინარე, ანუ ნოღელა კი სოფელ ხუნწის ტერიტორიაზე იმ მიდამოებში იღებს სათავეს სადაც ხუნწის ციხე მდებარეობს და ამდენად, არც ის არის გამორიცხული, რომ ეს პატარა მდინარე, ანუ თითქმის ღელე, ისე ადიდებულიყო (რასაც არაერთხელ ჰქონდა კიდეც ადგილი), რომ ხუნწის, ანუ ონოგურისის ციხიდან გაქცეული ბიზანტიელი მებრძოლები დაეხრჩო და სწორედ ეს ანომალური მოვლენაც (ნოღელას მოულოდნელი ადიდება და წყლის დონის სწრაფადვე დაკლება, რაც ახასიათებს ამ მდინარეს) ჰქონოდა მხედველობაში აგათია სქოლასტიკოსს, როცა „ღვთის რისხვაზე” ლაპარაკობდა, რადგან სხვა შემთხვევაში ვერც კი წარმოედგინა 3000 სპარსელის მიერ 50 000 რჩეული ბიზანტიელი მებრძოლის დამარცხება.

ამდენად, საკმარისზე მეტია მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელ ხუნწის ტერიტორიაზე დობეროს („დობერას“) ციხის დღემდე შემორჩენილი ნაშთები ოდესღაც მრისხანე სახელით იმდროინდელ მსოფლიოსთვის კარგად ცნობილ ონოგურისს ეკუთვნის და ამ სახელით არსებობდა, როგორც ციხე ისე სოფელი ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით 450 დან 554 წლებში;

II. ხუნწის ტერიტორიაზე არსებული ციხე-სიმაგრის მშენებლობის ისტორიულ-პოლიტიკური წინამძღვრები. მისი და სოფლის დასახელების შესახებ დღემდე შემორჩენილი ცნობები. ეგრისის სამეფო წარმოიშვა ძველი წელთაღრიცხვის 131 წელს, კოლხეთის, ანუ ლაზიკის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. IV საუკუნეში კი ეგრისის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო და ეგრისის მეფეთა დამოკიდებულება რომის (ბიზანტიის) იმპერიაზე ფორმალური გახდა, რადგან ბიზანტიის

[17] მათი ნაწილი, კერძოდ ორი წყარო, რომლებიც დობეროს კალთებზე უშუალოდ ციხის ქვემოთ დღევანდელი ქვედა ხუნწის მიმართულებით მდებარეობდა XX საუკუნის 60-იან წლებში გაწმინდა და სასიცოცხლო ფუნქცია დაუბრუნა ისაკი (ისაკო) მონიავამ (1893-1970 წლები). დღეს კი მათგან მხოლოდ ერთია შემორჩენილი ჭადრის ხის ძირას. ხოლო ბინურის ყველაზე მძლავრი გამოვლინებაა ცხენისწყლის ხიდის ქვეშ არსებული წყარო, წყლის დიდი დებეტით (პ(თ) მონიავა და ჯ. ხუროძე).

იმპერატორი ეგრისის მომავალ მეფეს მხოლოდ სამეფო ნიშნებს უგზავნიდა და სიმბოლურად მცირერიცხოვანი სამხედრო კონტიგენტი ჰყავდა არქეოპოლისში.

იმავე, მე-IV საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისის სამეფოს მოსახლეობის უმეტესობამ, აღმოსავლეთით მდებარე იბერიის სამეფოს მსგავსად მიიღო სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ქრისტიანობა. ბიზანტიელი იურისტისა და პოლიტიკური მოღვაწის აგათია სქოლასტიკოსის მიერ ეგრისთან დაკავშირებით VI საუკუნეში დატოვებული, ზემოთ უკვე მოხსენიებული წერილობითი წყაროს მიხედვით, სწორედ ამ პერიოდში, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, სოფელს სადაც ონოგურისის ციხე მდებარეობდა (ანუ დღევანდელ ხუნწს) უწოდებდა წმინდა სტეფანეს ტაძარს. კერძოდ, იგი საუბრობს მასზედ, რომ ადგილობრივი ქრისტიანი, სახელად სტეფანე, საკუთარი ნებით, ერთმორწმუნე ქრისტიანების გადასარჩენად, უშიშრად შებმია ქრისტიანული სარწმუნოების მტრებს. თუმცა, მოწინააღმდეგეს შეუპყრია და ჩაუქოლავს. რის შემდეგაც ეკლესიას წმინდანად შეურაცხავს სტეფანე და მის საპატივცემულოდ აქ დაფუძნებულა რა ,,წმინდა სტეფანეს ტაძარი მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს“.

რაც შეეხება ამ სოფლის მანამდე არსებულ სახელს, იგივე ავტორი (აგათია სქოლასტიკოსი) პირდაპირ წერს, რომ სოფელს ძველადვე ერქვა ონოგურისი. აღნიშნულს კი იმით ხსნის, რომ ჰუნები, რომლებსაც ონოგურები ეწოდებოდათ ამ ადგილას შებმიან კოლხებს (მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის სამეფო იმ დროს არ არსებობდა ბიზანტიელები ეგრისის მაცხოვრებლებს რატომღაც ისევ კოლხების სახელით მოიხსენიებდნენ) წარსულ წლებში და კოლხებს ისინი დაუმარცხებიათ, ხოლო ადგილობრივებს გამარჯვების ნიშნად ეს სახელი, ანუ ონოგურისი შეურქმევიათ ამ ადგილისთვის.

თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აგათია სქოლასტიკოსი იმაზეც აკეთებს აქცენტს, რომ 554 წლისათვის ადგილობრივი მაცხოვრებლების უმეტესობა სოფელს უკვე აღარ მოიხსენიებდა ონოგურისის ტოპონიმით.

ამდენად, დღემდე შემორჩენილი ყველაზე ადრეული პერიოდის წერილობითი მტკიცებულებით, რომლის ნამდვილობა არც დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, წმინდა სტეფანეს ტაძრამდე სოფელს ერქვა ონოგურისი და ეს ტოპონიმი უკავშირდებოდა ადგილობრივების მიერ ჰუნების, ანუ იგივე ინოგურების დამარცხებას. ხოლო მანამდე ეს ციხე და მისი მიმდებარე დასახლება ცნობილი იყო დობეროს ტოპონიმით/სახელით.

თავად ციხე, რომელსაც აგათია სქოლასტიკოსი ონოგურისის სახელით მოიხსენიებს და ამ სახელითაა შესული ისტორიაშიც, აშენდა მე- IV საუკუნეში, ანუ იმ ეტაპზე, როცა ეგრისის სამეფოს გაძლიერების კვალდაკვალ აუცილებელი გახდა ქვეყნის ცენტრალურ მონაკვეთში ახალი ციხე-სიმაგრეების მშენებლობა და ძველის საფუძვლიანად გამაგრება.

ამ მიმართებით განხორციელებული საფორტიფიკაციო საქმიანობის შედეგი კი იყო ის, რომ ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ციხე-გოჯის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებით აშენდა კიდევ 19 უმთავრესი ციხე-სიმაგრე, რომელთა შორის აგათია სქოლასტიკოსი არქეოპოლისის, როდოპოლისის, ქუთაისის, აფსარიხის, სკანდას, შორაპნის, მოხირისის, უქიმერიონის და აშ, ციხე-სიმაგრეებთან ერთად მოიხსენიებს ონოგურისის, ანუ ხუნწის ციხეს.

შესაბამისად, მე-VI საუკუნეში ონოგურისის ციხედ წოდებული ციხე-სიმაგრის არსებობა ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე ეჭვს არ იწვევს და არც ისაა სადავო, რომ ეს ციხე აშენებული უნდა ყოფილიყო მე-IV საუკუნის ბოლოსთვის.

რაც შეეხება IV-VI საუკუნეების შუალედში ჰუნების, იგივე ონოგურების, ყოფნას ეგრისში, ამის შესახებ შემორჩენილია შემდეგი ინფორმაცია-ჰუნები მომთაბარე ხალხი იყო ევრაზიის სტეპებზე ჩვენი წელთაღრიცხვის მე-IV-VI საუკუნეებში კერძოდ, ისინი წარმოადგენდნენ მებრძოლი ჯგუფების კავშირს, რომლებმაც შეიერთეს თურქული, მონღოლოიდური და კავკასიოიდი ტომები და 450 წლისთვის ენერგიული მთავარსარდალ ატილას მეთაურობით შიშის ზარს სცემდნენ მთელს იმდროინდელ ევროპას.

ცნობილია ისიც, რომ ჰუნები გამოირჩეოდნენ მკვრივი და ძლიერი ხელ-ფეხით, სქელი კეფით და შემზარავი გარეგნობით, რასაც იმით აღწევდნენ, რომ თავიანთ შვილებს, განსაკუთრებით ვაჟებს, დაბადებიდანვე უსერავდნენ ლოყებს იმ მიზნით, რომ დედის რძის გემომდე სისხლის გემო შეეგრძნოთ.

ჰუნების შესახებ დადასტურებულია ასევე ის, რომ ჰუნები საწყის ეტაპზე გასამრჯელოს საზღაურად შედიოდნენ სხვა სახელმწიფოების სამსახურში, როგორც დაქირავებული მებრძოლები და დამქირავებელთა დავალებით აწყობდნენ ლაშქრობებს ცალკეული ქვეყნების დასაპყრობად და ასაოხრებლად.

დაქირავებულ მებრძოლებად ჰუნები ისტორიას შემორჩენ მოგვიანებითაც, რადგან მე-V საუკუნის შუა წლებში, ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოს II-ემ ისარგებლა რა იბერიის მეფე ვახტანგ გორგასალის მცირეწლოვნებით დაქირავებული ჰუნები შეუსია იბერიას ოსს დაქირავებულებთან ერთად და ამით მოინდომა იბერიაზე, ანუ დღევანდელ ქართლზე თავისი გავლენის გავრცელება და ირანელთა ჩანაცვლება.

თუმცა, ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსი II-ემ, სიტყვა არ შეასრულა და შეპირებული გასამრჯელო არ გადაუხადა დაქირავებულებს, რაზედაც ისინი განაწყენდნენ, ხოლო მას შემდეგ რაც აიღეს კასპის ციხე და ხელში ჩაიგდეს ვახტანგ გორგასალის და მირანდუხტი, მიწასთან გაასწორეს კასპის ციხე, ოსმა დაქირავებულებმა თან წაიყვანეს ვახტანგ გორგასლის და, ხოლო ჰუნები უამრავი ნადავლით წავიდნენ იბერიიდან.[18]

სავარაუდოდ ჰუნების სწორედ ეს ნაწილი მოხვდა ეგრისში და ვინაიდან ამ ტერიტორიაზე სხვა გზა არც არსებობდა, ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯისკენ მიმავალ გზაზე, ანუ დღევანდელი ხუნწის ტერიტორიაზე, მათ მოუწიათ ამ სოფელში არსებული ციხის გარნიზონთან და შესაბამისად ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლა.

ეგრისელებმა შეძლეს მტრის დამარცხება, რითაც უდიდესი ხიფათი აარიდეს ციხე-გოჯის დამცველებს და ბიზანტიასაც, რადგან ამ დროს ჰუნების ძირითად ლაშქარი ემზადებოდა ჩრდილოეთ იტალიაში შესაჭრელად. რაც მოახერხა კიდეც მათმა მთავარსარდალმა ატილამ მოგვიანებით, კერძოდ 451 წელს მან ალყა შემოარტყა მარადიულ ქალაქ რომს და, როგორც ერთხმად არის ისტორიკოსების მიერ აღიარებული, აიღებდა კიდევაც, რომ არა რომის ელჩობის და რომის პაპის ძალისხმევა, რომლებმაც გადააფიქრებინეს ატილას ქალაქზე იერიში.

თუმცა, რომის იერიშზე უარის მიზეზი ისიც შეიძლება ყოფილიყო, რომ ჰუნები დამარცხდნენ ონოგურისის ციხესთან რამაც ეჭვი გააჩინა მათ უძლეველობასთან დაკავშირებით და ატილამაც არ გარისკა, ანუ დაკმაყოფილდა იმ სიმდიდრით რასაც სთავაზობდნენ და უბრძოლველად გაეცალა რომს. თუმცა, პირიქით, რომ მომხდარიყო და ჰუნებს დარჩენოდათ გამარჯვება ონოგურისთან და თანაც აეღოთ ციხე-გოჯი, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ

[18] ვანო სულორი. ველური ჰუნები, ვახტანგ გორგასალი და ათასი რჩეული მეომრის შთამომავალი მოხევეები. ასევე,Ka.wikipedia.org/wiki/ჰუნები

დამთრგუნველად იმოქმედებდა მათი გამოჩენა რომის დამცველებზე და შესაბამისად მის ბედზე.

ამდენად, ჰუნებზე გამარჯვებით ეგრისელებმა და მათ შორის ამ სოფლის მცხოვრებლებმა, რომლებიც ციხეს იცავდნენ, დაამტკიცეს, რომ არათუ ჩამოუვარდებოდნენ იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ჰუნებს ბრძოლასა და ვაჟკაცობაში არამედ აღემატებოდნენ კიდევაც, რადგან შეძლეს მათი დამარცხება. რითაც დიდების გვირგვინი იმით დაიდგეს, რომ ამ გამარჯვების უკვდავსაყოფად ადგილობრივებმა თავიანთ თავს ჰუნების მეტსახელი ონოგურები, სოფელს ონოგურისი, ხოლო ამ სოფელში არსებულ ციხეს ონოგურისის ციხე უწოდეს.

ყოველივე ამით კი დააფასეს დამარცხებული მტერიც რადგან მომავალ თაობებს ჰუნების, ანუ იგივე ონოგურების ვაჟკაცობის შესახებ დაუვიწყარი მოგონებები დაუტოვეს.

ამდენად, ეჭვქვეშ არ დგება აგათია სქოლასტიკოსის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჰუნები მე-V საუკუნეში მართლაც შეიძლება ყოფილიყვნენ დღევანდელ სოფელ ხუნწის ტერიტორიაზე. შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ არ ვენდოთ მას იმ ნაწილშიც, რომ იმდროინდელი მსოფლიო ჰუნებს ონოგურების მეტსახელითაც იცნობდა;

III. ონოგურისის, ანუ ხუნწის ციხესთან დაკავშირებული მოვლენები, როგორც ეგრისის მეფე გუბაზ II -ის მკვლელობის საბაბი. ამ ციხესთან ბიზანტიელთა მტკივნეული დამარცხება და შეთქმულთა გასამართლება. მე-IV საუკუნის ბოლოდან ვიდრე მე-VI საუკუნის მეორე ნახევრამდე ეგრისის სამეფო ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე იყო მთელს იმდროინდელ მსოფლიოში. თუმცა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის 40-50-იან წლებში. ანუ, იმ პერიოდში, როცა ეგრისში მეფობდა, დედით რომაელი, გუბაზ II. კერძოდ მას მეფობამ მოუწია რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რადგან, როგორც მთლიანად საქართველოს, ისე ეგრისის სამეფოს ხელში ჩასაგდებად, მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთმანეთს ებრძოდა იმდროინდელ მსოფლიოში ორი უძლიერესი სახელმწიფო-ირანი და ბიზანტია.

გუბაზ მეფე, ცდილობდა დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ამას მოწინააღმდეგე ძალების სიძლიერის გამო ვინაიდან ვერ მიაღწია, სპარსელთაგან თავის დასაცავად თავდაპირველად მან ბიზანტიას მიმართა თხოვნით. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე 1-მა (527-565 წ.წ.) გაითვალისწინა ეს თხოვნა და მნიშვნელოვნად გაზარდა ეგრისში თავისი სამხედრო კონტიგენტი.

თუმცა, ეგრისში დამკვიდრებისთანავე, ბიზანტიელებმა დაიწყეს თავხედობა, მეფის საქმეებში ჩარევა, მეტიც იგი ფაქტობრივად მოსამსახურის მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული და არაფერს ეკითხებოდნენ, რადგან ქვეყანას მართავდნენ განმკარგულებელი სტრატეგოსები. რასაც ემატებოდა ხალხის ყვლეფა, ხოლო ქვეყანაში ჩაყენებული ჯარი ემსახურებოდა არა ეგრისის დაცვას მტრებისგან, არამედ მოსახლეობის და მეფის ბიზანტიელი მოხელეებისადმი მორჩილებაში ყოფნას.

ეგრისელების განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია რომაელი სტრატეგოსის ციბეს გადაწყვეტილებამ, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აეკრძალა თავისუფალი ვაჭრობა და მასზე თავად დააწესა მონოპოლია. აღნიშნულს კი შედეგად ის მოჰყვა, რომ 551 წელს გუბაზ მეფემ ელჩები გაუგზავნა ირანის შაჰს ხოსრო I ანუშირვანს (531-579 წ.წ.),

რომლებმაც აუწყეს ამ უკანასკნელს ქვეყანაში შექმნილი აუტანელი მდგომარეობის შესახებ და ითხოვეს ბიზანტიელების ძალმომრეობისაგან ქვეყნის დახსნაში დახმარება.[19]

ხოსრო I-მა მიიღო ეს წინადადება და 552 წელს შეიჭრა ეგრისში, სადაც გუბაზ მეფის დახმარებით არაერთ ბრძოლაში დაამარცხა ბიზანტიელები. თუმცა, გუბაზ მეფისთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ ირანელები არ ენდობოდნენ ეგრისელებს, რის გამოც გადაწყვეტილი ჰქონდათ გუბაზ მეფის მკვლელობა და მოსახლეობის მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა, ხოლო მათ ადგილას ირანელების და მისი მოკავშირე ტომების ჩამოსახლება.

ირანელთა ძალადობით და მუხანათობით განაწყენებული გუბაზ მეფე კვლავ ბიზანტიის მხარეს გადავიდა. თუმცა, როგორც გაირკვა ბიზანტიელებმა საჭირო დასკვნები ვერ გამოიტანეს შექმნილი რეალობიდან, რადგან ეგრისში მყოფი ბიზანტიელები წინანდებურად აგრძელებდნენ ქედმაღლობას, დაკავებულნი იყვნენ მოსახლეობაზე ძალადობით და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

ირანელებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და მოულოდნელი იერიშით, 553 წელს, აიღეს ტელეფისის (ახლანდელი ტოლების) ციხე, ხოლო შემდეგ ირანელთა სარდალმა მერმეროემ ჯერ ავადმყოფობა მოიგონა, მოგვიანებით კი მისი გარდაცვალების შესახებ ხმები გაავრცელა, რითაც მოადუნა ბიზანტიელთა ყურადღება და ხელში ჩაიგდო ონოგურისის ციხეც.[20]

ამ მარცხს გუბაზ მეფე, ვინაიდან ბიზანტიელებს აბრალებდა, აღნიშნულმა კიდევ უფრო გაამწვავა მეფის ურთიერთობა ბიზანტიელ სტრატეგოსებთან, კერძოდ რუსტიკესა და მარტინესთან. მით უფრო, რომ გუბაზ მეფემ ისინი არაერთხელ ამხილა იმპერატორის წინაშე სამხედრო საქმის არცოდნასა და სიმხდალეში. მათ კი სამაგიერო გადაუხადეს გუბაზ მეფეს იმით, რომ იმპერატორ იუსტინიანესთან გააგზავნეს რუსტიკეს ძმა იოანე და შეუთვალეს ,,გუბაზი გადაგვიდგა, სპარსელებს მოუძღვება და თუ მის შესაკავებლად რაიმე ზომებს არ მივიღებთ, მთელს ქვეყანას მას გადასცემსო.[21]

იმპერატორმა იუსტინიანემ მოინდომა პირადად გარკვეულიყო რეალობაში და იოანეს თავის მოხელეებთან წერილობითი დავალება გამოატანა, რომლითაც გუბაზ მეფის მასთან დაუყონებლივ ჩასვლას მოითხოვდა, თუ ეს უკანასკნელი იმპერატორთან ჩასვლაზე უარს იტყოდა ძალით უნდა წაეყვანათ, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ადგილზე უნდა მოესპოთ, როგორც მტერი.[22]

იმპერატორ იუსტინიანეს წერილი გარდა იმისა, რომ კარგად ასახავს ეგრისის მეფის, როგორც მისი მოკავშირის მიმართ ბიზანტიის აგდებულ დამოკიდებულებას, ფაქტობრივად ხელ-ფეხს უხსნიდა ეგრისში მყოფ ბიზანტიელ შეთქმულებს გუბაზ მეფის მკვლელობაში, თუ ისინი გუბაზის ღალატის დამამტკიცებელი მტკიცებულების შექმნას შეძლებდნენ. ამიტომაც იყო, რომ 554 წელს, ამჟამად სოფელ ხუნწის ტერიტორიაზე მდებარე ონოგურისის ციხის აღების თაობაზე სათათბიროდ შეხვედრა შესთავაზეს გუბაზ მეფეს მდინარე ხობისწყლის მიდამოებში.

გუბაზ II მცირე ამალის თანხლებით მივიდა დათქმულ ადგილზე, მაგრამ ონოგურისის ციხის აღებაში მონაწილეობაზე უარი განუცხადა რუსტიკეს შემდეგი სიტყვებით: ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო მარტო თქვენ შეგეხებათ, რადგან მარტო თქვენ მიგიძღვით ბრალი რაც მოხდა.

---

[19] პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, ,,ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტომი III, თბილისი, 1936 წელი, გვ.45.

[20] იგივე ნაშრომი. გვ.33.

[21] იგივე ნაშრომი, გვ. 46.

[22] იგივე ნაშრომი, გვ. 47.

თქვენ, რომ ასე უგუნურად არ მოქცეულიყავით არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგ მომართული“.

შეთქმულებმა ჩათვალეს, რომ ეგრისის მეფის უარი ონოგურისზე სალაშქროდ წასვლაზე საკმარისი იყო იმ მტკიცების დასადასტურებლად, რომ გუბაზ მეფე ღალატობდა მოკავშირეს და მოულოდნელად ჯერ რუსტიკეს ძმამ, იოანემ, ჩასცა მკერდში მახვილი გუბაზ მეფეს, ცხენიდან ჩამოვარდნილს კი იქვე მყოფმა რომაელმა მეშუბემ მახვილით გაუჩეხა თავი და ბოლო მოუღო.

იმპერატორ იუსტინიანეს წინაშე თავის წარმოსაჩენად და, როგორც მისი ისე ეგრისის მოსახლეობისთვის იმის საჩვენებლად, რომ მხოლოდ გუბაზ მეფის ღალატი უშლიდა მათ ხელს ონოგურისის ციხის აღებაში, ბიზანტიელმა სარდლებმა 50 000 კაციანი ლაშქრით იერიში მიიტანეს ონოგურისის ციხეში განთავსებულ ირანელთა 3 000 კაციან გარნიზონზე.

თუმცა, ეს გარნიზონი მომზადებული დახვდა ბიზანტიელებს, რასაც თუნდაც ის გარემოება ცხადყოფს, რომ ციხის კედლების წინ ციხის დამცველებმა გადმოკიდეს ტილოს ფარდები, რითაც შეასუსტეს მათთვის ნასროლი ისრების ძალა. თავად ირანელები კი გალავნის კბილანებში განთავსდნენ და მათმა ნასროლმა ისრებმა დიდი ზარალი მიაყენა მტერს. რის გამოც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამარცხვინო მარცხი განიცადეს ბიზანტიელებმა, რაშიც აგათია სქოლასტიკოსი გუბაზ მეფის ღალატით მოკვლისთვის ღმერთის მიერ გამოვლენილ რისხვას ხედავდა.

ეგრისელებმა კი ისარგებლეს ამ გარემოებით და ულტიმატუმი წაუყენეს რომის იმპერატორს, კერძოდ მისგან მოითხოვეს, რომ მოკლული მეფის ნაცვლად ტახტზე მისი უმცროსი ძმა წათე დაემტკიცებინა და მკვლელობაში მხილებული ბიზანტიელი მოხელეები მკაცრად დაესაჯა. ხოლო იმის საჩვენებლად, რომ გუბაზ მეფის მკვლელობით, ადგილობრივი მოსახლეობისა და თვით მეფისადმი ბიზანტიელთა მიერ გამოჩენილი უპატივცემლობით დაზარალებულად თვლიდა თავს არა მხოლოდ სამეფო კარი არამედ ეგრისის მთელი მოსახლეობა, კავკასიის ერთ-ერთ ხეობაში შეკრიბეს დიდძალი ხალხი, სადაც გამომსვლელი ორატორები, მათგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ირანთან კავშირის მომხრე აიეტი და ბიზანტიის მომხრე ფარტაზი, ერთმანეთს ადარებდნენ ბიზანტიელთა და ირანელთა ,,ცოდვებს“ თუმცა, საბოლოოდ მაინც შეთანხმდნენ, რომ ერთმორწმუნე ბიზანტიის მოკავშირედ დარჩენილიყვნენ, თუკი მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა.

იუსტინიანე I გონიერი კაცი იყო და მიხვდა, რომ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით რაშიც ბიზანტიის სახელმწიფო აღმოჩნდა, თუ მას სურდა დარჩენილიყო გეოპოლიტიკურად მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ რეგიონში, უნდა მიეღო შეთავაზება. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ ეგრისს მოკავშირეობა ეთხოვა ირანელებისათვის, რომლებიც ისედაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და ერთობლივი ძალით გაენადგურებინათ ბიზანტიელთა ჯარი.

იმპერატორი დარწმუნდა იმ რეალობაშიც, რომ როგორც გუბაზ მეფის, ისე ეგრისის მოსახლეობისადმი ბიზანტიელი მოხელეების და თვით ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულება ეწინააღმდეგებოდა სამოკავშირეო ვალდებულებებს, რის გამოც გუბაზ მეფისთვის ღალატში ბრალის დადებისა და მის მკვლელობაში დამნაშავე პირთა დაუსჯელობის შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა თავს იგრძნობდა მოკავშირე ბიზანტიისგან მიტოვებულად და მძიმე შეურაცხოფით ღირსებაშელახულად.

ამიტომაც, ვინაიდან აშკარად იგრძნობოდა ისიც, რომ ეგრისის მოსახლეობას, რომელიც მოკლულ გუბაზ მეფის ოჯახთან ერთად თავს მიიჩნევდა ბიზანტიელი მოხელეების მიერ

ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლად, არ სჯეროდა, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ და შემდგომშიც დაცულნი იქნებოდნენ მსგავსი დანაშაულისაგან, მომავალში ეგრისელთა მხრიდან მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის აღკვეთისა და იმაშიც დასარწმუნებლად, რომ მათი, როგორც დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ თანამედროვე ტერმინით, რომ ვთქვათ რევიქტიმიზაცია უახლოეს მომავალში არ იყო მოსალოდნელი, იმპერატორმა ეგრისელებს შეუსრულა ყველა მოთხოვნა, პატივით დაამტკიცა გუბაზის ძმა წათე ეგრისის მეფედ და დიდძალი საჩუქრებით გამოისტუმრა. თან კი გამოაყოლა რომაელი მოსამართლე სახელად ათანასი და სხვა სამართალდამცავები, რომლებმაც ჩასვლისთანავე დააპატიმრეს რუსტიკე და მისი ძმა.

ზემოთქმული და ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე გამომსვლელმა ბრალმდებლებმა, იხმარეს დიპლომატია და ეგრისში განხორციელებული დანაშაულები ჩამოაშორეს რომაელ ხალხს და გამიჯნეს იმპერატორისგანაც, ადასტურებს, რომ გუბაზ მეფის მკვლელობის საქმე იყო მოკავშირე მხარეებს შორის კონსესუსის შედეგი, რომლითაც ბიზანტია თავისი ქმედებით აღიარებდა, რომ არასწორად იქცეოდა ეგრისელებთან მიმართებაში, თუმცა გარეგნულად ბიზანტიას და მის იმპერატორს გარკვეულწილად ,,სახე, რომ შეენარჩუნებინათ'' სასამართლოს დამნაშავედ უნდა ეცნო მხოლოდ რუსტიკე და მისი თანამზრახველები. კერძოდ, აღნიშნულს ცხადყოფს ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე ბრალმდებელთა მხრიდან არაერთხელ გაიჟღერა, რომ ,,იმპერატორმა თავად უზრუნველყო საქმის გამოძიება და რომაული კანონების მიხედვით სასამართლო პროცესის ჩატარება''.

მეტიც, ერთმა ეგრისელმა ბრალმდებელმა მოსამართლეს პირდაპირ განუცხადა, რომ ,,თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა მკვლელობის გეგმაში. არც მთელ რომაელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, ჩადენილი ამათ მიერ“... ,,პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლანდელი სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისთვის მოაწყვეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასოდეს არ გდომებიათ კოლხებს ასეთი საშინელი ძალადობა განეცადა''.

თუმცა, ბრალმდებლებს დიპლომატიური მჭერმეტყველებით მოსამართლისათვის არც იმის შეხსენება დავიწყებიათ, რომ ,,შესაძლებელია ეხლა ბევრის აზრი, ხან აქეთ იხრებოდეს, ხან იქით, გაურკვეველი და მერყევი იყოს, მაგრამ მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქმნება, რომ თქვენ მოღალატეები კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მომქმედთა მომთვინიერებელნი.“[23]

ამდენად, გუბაზ მეფის უშუალო მკვლელის იოანეს, ამ დანაშაულის ორგანიზატორ რუსტიკეს და სხვა თანამზრახველთა ბედი, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი დაცვის სტრატეგია აგებული ჰქონდათ იმაზე, რომ გუბაზ მეფემ უარი განაცხადა ონოგურისის ციხის ასაღებად მოწყობილ ლაშქრობაზე და ამით უღალატა ბიზანტიასთან ეგრისის სამოკავშირეო ვალდებულებას, წინასწარ იყო გადაწყვეტილი და ასეც მოხდა, რადგან ქართულ სივრცეში დღემდე ცნობილმა პირველმა სასამართლო პროცესმა, რომელიც ეგრისელი ბრალმდებლების სრული ტრიუმფით დამთავრდა, გაამტყუნა ბიზანტიელი შეთქმულები.

ყოველივე ამით კი უდავოდ დადასტურდა ისიც, რომ ეგრისელებმა თავიანთი გონივრული სტრატეგიით აიძულეს ძლევამოსილი რომის იმპერია გუბაზ მეფე და მისი ქვეშევრდომები ეღიარებინა სისტემური და განგრძობადი ვიქტიმიზაციის მსხერპლად (ტერმინი ,,ვიქტიმოლოგია“ ლათინური წარმოშობისაა (,,Vigtim” ,,მსხვერპლი,'',,LogosL'' ,,სწავლება“) და ნიშნავს ,,მსხვერპლის შესახებ სწავლებას'').

[23] ფერაძე გ, ,,პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში,'' ნარკვევი I (VI-XVIII საუკუნეები), რედაქტორი სურგულაძე ნუგზარი, საქართველოს პროკურატურა, თბილისი, 2017 წელი, გვ. 12-14.17.

ამასთან. თავიდან იქნა აცილებული რევიქტიმიზაციის და ასევე ეგრისელთა მხრიდან შურისძიების საფრთხე, რადგან ეგრისელებში სახიფათოდ აკუმულირებული აგრესია ჩაცხრა მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულზე ბიზანტიის მხრიდან სწრაფად და ობიექტურად რეაგირების გამო.

აღნიშნულს გარდა იმისა, რომ სამართლიანობა აღსდგა, მოჰყვა პოლიტიკური თვალსაზრისითაც თვალსაჩინო შედეგი კერძოდ, გუბაზ მეფის საქმის გამოძიებამ, პროცესზე გამოსულ კოლხ (ბიზანტიელები ეგრისელებსა და ლაზებსაც კოლხებად მოიხსენიებდნენ ძველი კოლხეთის გავლენით) ბრალმდებელთა თავშეკავებულობამ, მათმა მჭერმეტყველებამ და როგორც რომაული ისე ადგილობრივი კანონების შესანიშნავად ცოდნისა და გამოყენების უნარმა, ბიზანტიელები დაარწმუნა, რომ მათი მოკავშირე ეგრისელი ხალხი ბარბაროსები კი არ იყვნენ, როგორადაც მას მიიჩნევდნენ ბიზანტიელები, არამედ უაღრესად განათლებული და თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები.

ყოველივე ზემოთქმულის მატერიალური დადასტურება კი დაგვიტოვა თავად იურისტმა აგათია სქოლასტიკოსმა, რომელიც იმდენად მოხიბლულა სასამართლო პროცესზე ბრალმდებლების გამოსვლით და მასზე დამსწრე მოსახლეობის ქცევით, რომ ამ ორ ბრალმდებელში განაზოგადა მთელი ერი როცა ,,დარბაისელ კოლხებად'' მოიხსენია ისინი.[24] რითაც თავის თანამემამულეებს უჩვენა, რომ ისინი ეგრისელებს უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ ბარბაროსებად, რადგან ბრალდებულის სკამზე მსხდომთაგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებდნენ თუ რა დიდი სარგებელი მოუტანეს თავის ქვეყანას და ზოგადად სახელმწიფო საქმეებს გუბაზ მეფის მოკვლით, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად იყვნენ აღშფოთებულები, არ ჰყვებოდნენ ემოციებს, შეინარჩუნეს სიმშვიდე და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკის წინა პლანზე წამოწევით თვალსაჩინო გახადეს ამ ქმედებით თუ როგორი უნდობლობა დათესეს განსასჯელებმა რომის მოკავშირეობის მსურველთა ბანაკში, რითაც იზარალა თავად რომმა, რადგან, ,,შესუსტდა მისი ,,ძალღონე" და ,,მან დაკარგა რეგიონში თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა;''[25]

IV. ონოგურისის ციხედ იდენტიფიცირებული ხუნწის ციხის შემდგომი ბედი და ტოპონიმ ხუნწის დამკვიდრება ამ სოფლის სახელად. როგორც ვხედავთ, ონოგურისის ციხესთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ეგრისის სამეფოსა და მისი მოსახლეობისათვის, რადგან აიძულა ბიზანტია შეგუებოდა დამარცხებას და დაეკმაყოფილებინა ეგრისელების კანონიერი მოთხოვნები. იმპერია კი, როგორც ცნობილია, არავის პატიობს ამგვარ ,,თავხედობას" და შესაბამისად, ბიზანტია ელოდა დროს როცა საბოლოოდ დაიმორჩილებდა და სამაგიეროს გადაუხდიდა თავისუფლებისმოყვარე ამ პატარა ქვეყანას.

---

[24] აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა, ,, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტომი III, თბილისი, 1936 წელი, გვ. 34.

[25] უფრო ვრცლად იხ. მონიავა პ. ,,ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II-ე, ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები.'' საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,კრიმინოლოგი", რომელიც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით. 2020 წელი. 1(15), გვ.126-137.

დამდგარი შედეგით უკმაყოფილო იყო ირანიც, რადგან ეგრისელებმა გამოიყენეს მისი სამხედრო ძალები თავისი მიზნების მისაღწევად, თუმცა არ მისცეს ეგრისში პოლიტიკურად გაბატონების შესაძლებლობა, რისი მოლოდინიც მათ ბუნებრივია, რომ ჰქონდათ.

ამდენად, ორი დაუძინებელი მტრის ინტერესები ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვა. რაც კარგს არაფერს უქადდა ეგრისს და დამთავრდა იმით, რომ მათ დროებით დაივიწყეს რა ურთიერთ მტრობა 562 წელს დადეს ხანგრძლივი, ანუ, როგორც ისტორიაშია ცნობილი ,,ორმოცდაათწლიანი ზავი.“

562 წლის ზავით სპარსეთმა/ირანმა აღიარა ბიზანტიის უფლებები ეგრისზე. ბიზანტიისგან დიდი კონტრიბუციის მიღების საფასურად, დატოვა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სიმაგრეები, მათ შორის ონოგურისის ციხე და სვანების მიწვევით ირანის სამხედრო შენაერთი გადავიდა სვანეთში, რომელსაც იმ დროისათვის ეგრისელებისაგან დამოუკიდებლობა ჰქონდათ მოპოვებული.

ამდენად, სრული საფუძველი არსებობს იმისა, რომ 554 წლიდან მოყოლებული 562 წლამდე, ანუ ვიდრე სპარსელებს (ირანელებს) და ბიზანტიელებს შორის ხანგრძლივი ,,ორმოცდაათწლიანი“ ზავი დაიდებოდა და ბიზანტიელთაგან დიდძალი თანხის მიღების სანაცვლოდ სპარსელები ონოგურისის ციხეს დათმობდნენ და სვანეთში გადავიდოდნენ, როგორც სოფელი ისე ციხე ძირითადად უკვე იწოდებოდა წმინდა სტეფანეს ტაძრის სახელით.

სპარსელების მიერ ციხის დატოვების შემდეგ ამ ციხემ, ვინაიდან უმძიმესი სირცხვილი და დამცირება მოუტანა, საფიქრალია, რომ ბიზანტიელებმა ერთპიროვნულ პოლიტიკურ ბატონობას მიაღწიეს რა ეგრისში და ხელისშემშლელიც არავინ ჰყავდათ, საძირკვლამდე (ასეთი ტრადიცია ბიზანტიელებს, რომ ჰქონდათ იქიდანაც ჩანს, რომ სპარსელებთან დამარცხებულმა ბიზანტიურმა გარნიზონმა, სანამ პეტრას ციხეს დატოვებდა, იგივე პერიოდში, ჯერ გადაწვა, ხოლო შემდეგ დაანგრია ეს სიმაგრე) დაანგრიეს მათი შერცხვენის მატერიალური მტკიცებულება ონოგურისის ციხე და მის ტერიტორიაზე არსებული ტაძარი.

თანაც, როგორც ეტყობა ტაბუ დაადეს და ამ გზით აუკრძალეს ადგილობრივ მოსახლეობას როგორც სოფლის ისე აწ უკვე დანგრეული ციხის ონოგურისად მოხსენიება, რითაც შეეცადნენ ისტორიის მეხსიერებიდან სამუდამოდ წაეშალათ ონოგურისთან დაკავშირებული მათთვის სამარცხვინო მოგონებები. ეს გამოუვიდათ კიდეც, რადგან თითქმის 16 საუკუნის განმავლობაში არ იყო რეალურად ისიც კი დადასტურებული- ონოგურისის ციხე აგათია სქოლასტიკოსის ფანტაზიის ნაყოფია თუ რეალურად არსებული ციხე- სიმაგრე.

აღნიშნულს დაემატა ის გარემოება, რომ უკვე აღარც იყო საჭიროება ამ ციხის სხვა სახელით მოხსენიებისა, მით უფრო, რომ ჰუნები, იგივე ონოგურები, რომლებიც შეერწყნენ ევროპელებს და მათი სავაჭკაცო საქმეებიც უკვე აღარავის ახსოვდა, თანაც წმინდა სტეფანეს ტაძარიც, ვინაიდან აღარ არსებობდა, ადგილობრივმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა აღარ გაუწია იძულებას და უარი თქვა შერქმეულ სახელებზე.

პარალელურად კი მათმა ისტორიულმა მეხსიერებამ გენეზისი განიცადა და, როგორც ციხემ ისე მის გარშემო არსებულმა სოფელმა დაიბრუნა ადრინდელი სახელი შესაბამისად დობერო და დობეროს ციხე.

რაც შეეხება ეგრისის სამეფოს, იგი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 562 წელს დადებული ზავის შემდეგ თანდათან დასუსტდა, ხოლო VII საუკუნიდან მოყოლებული სულაც ბიზანტიის პროვინციად იქცა.

697 წელს ეგრისის პატრიკოსმა სერგიმ მართალია სცადა ბიზანტიელების წინააღმდეგ არაბები გამოეყენებინა თუმცა, უშედეგოდ. 737-738 წლებში კი არაბები თავიანთი სარდლის

მურვან ყრუს მეთაურობით უკვე საკუთარი ინიციატივით თავს დაესხნენ ციხე-გოჯს და ააოხრეს იგი.

ამის შემდეგ ციხე-გოჯი უფუნქციოდ (XVI-ე საუკუნემდე, ანუ იმ დრომდე, სანამ იგი თავიანთ რეზიდენციად არ აქციეს სამეგრელოს მთავრებმა) დარჩა და იმდენად დაკნინდა, რომ სოფლის, კერძოდ ნოქალაქევის სახელით დარჩა ისტორიაში, ხოლო VII საუკუნის ბოლოს ძალაუფლება აფხაზთა სამეფოს ხელში გადავიდა[26105] და მის აღსადგენად აღარავის ეცალა.

შესაბამისად, ონოგურისის ციხის აღდგენის აუცილებლობაც არ არსებობდა და სოფელმა, რომელიც იმ დროისათვის გაიზარდა და დობეროსთან ერთად მოიცავდა ქვაითსაც, სადაც ხუნწელიების გვარის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელი და იმ დროიდან (სავარაუდოდ VIII-ე საუკუნიდან) იწოდება ეს სოფელი ხუნწის ტოპონიმით.

თავის მხრივ, ხუნწელიების გვარის წარმოშობა და სოფლის სახელად ხუნწის დამკვიდრება განპირობებული უნდა იყოს მცენარე ხუნწის (Ribes) გავლენით, რომელიც მოცხარის სახელითაცაა ცნობილი და განეკუთვნება ხუნწისებრთა ოჯახის მცენარეთა გვარს.[27]

ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ მცენარის სახელის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ ტოპონიმად გადაქცევას დიდი ხნის ისტორია აქვს ზოგადად მეგრულში. მეტიც, მცენარის სახელით ადვილად ამოიცნობა ის ადგილი, სადაც ეს მცენარე იყო გავრცელებული ასე მაგ. საქართველოში ცნობილია ღომის რამდენიმე ჯიში, მათ შორის „ხეთერე," რომლის ტოპონიმია სოფელი ხეთა დღევანდელ ხობის მუნიციპალიტეტში. ღომის ჯიშია ასევე „კუთხურე", საიდანაც წარმოსდგება სოფელ კუხის ტოპონიმი (ხონის მუნიციპალიტეტში) და სხვა.

ანალოგიურად, მცენარესთან ასოცირდება, როგორც სამეგრელოს მეორე სახელი „ოდიში", რადგან მეგრულად „ოდიში" ნიშნავს ბოლომდე დაუმწიფებელ მცენარეს. ისე მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებული სოფელ „თამაკონის" ტოპონიმი, რადგან ერთ-ერთი ვერსიით მას საფუძვლად უდევს მცენარის სახელი-„თამაკი", ანუ ხორბლის ერთ-ერთი ჯიში, რომელიც ძველად ამ სოფელში ყოფილა გავრცელებული.[28]

ამასთან, მცენარის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი გვარიც, ანუ მცენარის დასახელების გაგვარებას (გვარად გადაქცევას) აქვს ადგილი.[29]

V. სამართალწარმოება სამეგრელოს სამთავროში და ამ პროცესში ხუნწის ჩართულობა. ისტორიული მასალები და დღემდე შემორჩენილი გადმოცემები ადასტურებენ, რომ სამეგრელოში იმდენად დიდ პატივს სცემდნენ მოსამართლის გადაწყვეტილებებს, რომ ისინი უპირობო ნდობით სარგებლობდნენ ხალხში. რაც განპირობებული იყო მთელი რიგი, მათ შორის იმ გარემოებით, რომ მთავრები, როგორც წესი მაგალითს აძლევდნენ ქვეშევრდომებს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაში.

რაც შეეხება სასამართლოსა და გამოსაყენებელ სამართალს მათ შესახებ უნდა ითქვას შემდეგი- ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლისა და განსაკუთრებით მას შემდეგ რაც სამეგრელოს სამთავრო გამოეყო (1557 წელი) იმერეთის სამეფოს, დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ სამეგრელოს სამთავროს ჰქონოდა სამართალწარმოების ავტონომიური საშუალებები. არჩევანი კი შეჩერდა მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებას შემორჩენილი სამართალწარმოების იმ მდიდარ მემკვიდრეობაზე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა

---

[26] იხ. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი 1968 წელი. ასევე ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I. თბილისი 1960 წელი.

[27] ხინთიბიძე ლ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 7. თბილისი. 1984 წელი. გვ. 154.

[28] ნადარაია ფ. სამეგრელო-ზემო სვანეთი (ნობარი. პირველი გამოცემა).მარტვილი. 2013 წელი. გვ. 92-93.

[29] ბებია ი. „ სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში.'' (დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თსუ. 2008 წელი.

და მათმა გენეზისმა უზრუნველყო ოდიშში ოპერატიული, ობიექტური და ეფექტური მართლმსაჯულების არსებობა.

სწორედ ამ სახის მემკვიდრეობაზე ამახვილებდა ყურადღებას აგათია სქოლასტიკოსი ჯერ კიდევ მე-VI საუკუნეში, რომელიც ძალიან მაღალი წარმოდგენის იყო კოლხურ (ლაზურ) ზნე-ჩვეულებებზე და სამართლიანობაზე. კოლხურ-ლაზური და მეგრული ტრადიციების თანხვედრა კი ეჭქვეშ არასოდეს დამდგარა.[30]

სამეგრელოს სამთავროში წარსულით ნასაზრდოები ოპერატიული, ობიექტური და თანაც იაფი მართლმსაჯულების არსებობის ფაქტს[31][10] ადასტურებს არაერთი სხვა უცხოელიც, კერძოდ: იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ, რომელიც 1633-1653 წლებში ცხოვრობდა საქართველოში და ამ დროის უმეტესი ნაწილი გაატარა სამეგრელოში, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულმა 1655 წელს გამოსცა წიგნი ,,სამეგრელოს აღწერა'' (ქართულად გამოიცა 1938 წელს), ერთმანეთს შეადარა იტალიური და სამეგრელოში არსებული სასამართლო სისტემები.

აღნიშნულის საფუძველზე კი გააკეთა დასკვნა, რომ სამეგრელოში გაცილებით ოპერატიულად და ბიუროკრატიული ჩარევების გარეშე ტარდებოდა სასამართლო პროცესები ვიდრე იტალიაში და, რომ იტალიისგან განსხვავებით მართლმსაჯულების განხორციელება არ იყო დაკავშირებული განსაკუთრებულ ხარჯებთან;

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი 1672-1673 წელს საქართველოში მოგზაურობისას ნამყოფია სამეგრელოში და თავის ნაშრომში ,,მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" (ქართულად გამოიცა 1975 წელს) ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასამართლო პროცედურა სამეგრელოში იყო მარტივი, გადაწყვეტილებები კი ეფექტური, რომელთა მიღება შეიძლებოდა ოპერატიულად.

ჟან შარდენი აღნიშნულს იმ გარემოებით ხსნიდა, რომ სასამართლო განხილვებში უშუალოდ მონაწილეობდა სამეგრელოს მთავარი, რომელიც თავის სამოსამართლეო ვალდებულებას ასრულებდა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე, მეტიც. ხარკის ასაკრეფად მიმავალიც კი გზადაგზა წყვეტდა სასამართლო საკითხებს.

მანვე, ანუ ჟან შარდენმა, დაგვიტოვა გზაზე მსვლელობისას, მთავრის მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესის აღწერა, საიდანაც ირკვევა, რომ მომჩივანი ელოდებოდა მთავარს შუა გზაზე. როცა მთავარი მიუახლოვდებოდა მუხლს მოიყრიდა მის წინაშე და მიართმევდა მას კონკრეტული პირის მიმართ ქაღალდზე დაწერილ საჩივარს.

მთავრის თანმხლები პირი (ვეზირი) ხმამაღლა წაიკითხავდა ამ საჩივარს, რის შემდეგაც ორივე მხარე ასახელებდა მოწმეებს და მათი მოსმენის საფუძველზე მთავარი იღებდა გადაწყვეტილებას თანაც ისე, რომ არ ჩერდებოდა. თუმცა, შეგნებულად მიდიოდა ნელი სვლით, რათა ადვილი ყოფილიყო მასზე დაწევა;

იტალიელმა მისიონერმა დონ კრისტოფერე დე კასტელიმ, რომელიც ასევე მე-XVII საუკუნეში სტუმრობდა სამეგრელოს, ნაშრომში ,,ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ" (ქართულად გამოიცა 1977 წელს) დაადასტურა მოყვანილი ცნობების სისწორე იმასთან

---

[30] მონიავა პ(თ). სამართალწარმოების ტრადიციები XVII-XVIII საუკუნეების ზუგდიდში და „ქვატახტის'' ფენომენი.'' თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი II. გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2012. გვ. 333.

[31] მონიავა პ(თ). აღმოჩენა, რომელიც ადასტურებს ძველ სამეგრელოში სწრაფი (ოპერატიული), ეფექტური და ობიექტური მართლმსაჯულების არსებობას". გაზეთი ,,ეგრისის მაცნე." 30 მაისი-7 ივნისი. 2011 წელი. გვ. 4-5.

დაკავშირებით, რომ სამეგრელოს მთავარი ვალდებულად თვლიდა თავს უშუალოდ მიეღო მონაწილეობა ნებისმიერ სასამართლო პროცესში, სადაც და რა დროსაც არ უნდა ჩატარებულიყო იგი.

მანვე, ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება მასზედ, რომ სამეგრელოში ჩატარებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობდნენ ,,რიტორი ვექილები" ანუ, მჭერმეტყველი დამცველები, რომელთაც ევალებოდათ სასამართლოსთვის სადავო საქმის არსის განმარტება.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამართალწარმოება სამეგრელოში ტარდებოდა მრავალჯერადი გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული რეგლამენტის მკაცრი დაცვით. ხოლო სასამართლო პროცესი ფაქტობრივად მოსახლეობის კონტროლქვეშ მიმდინარეობდა. მასში მთავრის და რიტორი ვექილების მონაწილეობა კი ქმნიდა ისეთ გარემოს, რამაც დონ კრისტეფორე კასტელის ათქმევინა, რომ ეს იყო ,,სახალხო მართლმსაჯულების განხორციელება".

აღსანიშნავია ისიც, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას სამეგრელოში სავალდებულო იყო სასამართლოს ადგილის რეკვიზიტების მკაცრად დაცვაც, რომელსაც ქმნიდა -ქვის, ხის, ძლიერმოქმედი ხატის და სასამართლო პროცესში მთავრის სავალდებულო მონაწილეობის ერთობლიობა.

რაც შეეხება თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს მათ ჰქონდა ასევე მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია, კერძოდ:

როგორც ზემოთ უკვე ითქვა სასამართლოს ჩატარება სამეგრელოში შესაძლებელი იყო ნებისმიერ ადგილზე, თუნდაც გზაზე მსვლელობისას, მაგრამ იმ სავალდებულო პირობის დაცვით, რომ მომჩივანი და მოპასუხე აუცილებლად უნდა მდგარიყო ქვაზე. რადგან მოსახლეობის რწმენიდან გამომდინარე ქვაზე მდგარი კაცი ტყუილს არ იტყოდა. შესაბამისად, მოდავე მხარე ან მისი მოწმე თუ იგი ,,ემეთი" (ანუ ჭეშმარიტად მართალი) კაცი არ იყო ქვაზე დასაფიცებლად არ დადგებოდა, რადგან სიმართლის არ მთქმელი პირის ქვაზე დასაფიცებლად (ჩვენების მისაცემად) დგომა ,,ვაშინერსო" სწამდათ ხალხში.

სიტყვა ,,ვაშინერს" კი ზეაღმატებული შეზღუდვების მნიშვნელობით იხმარება მეგრულში. ანუ, იგი უბრალოდ ,,არ შეიძლებას" კი არ ნიშნავს არამედ გულისხმობს ისეთი მოქმედების მაგ. შვილის დაქორწინებას მშობელზე, ეკლესიის გაქურდვას და აშ. ჩადენას, რაც ცოდვად ითვლება ღმერთის წინაშე.

სასამართლო პროცესის აუცილებელ ატრიბუტად ქვის გამოყენებას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც ბუნებრივი ტახტის ფორმის ქვა, ანუ ფიქალი ისე გათლილი ლოდი (გზაზე მსვლელობისას კი ამ ფუნქციას ასრულებდა გზის მოხრეშილი ზედაპირი) და იქვე აუცილებლად უნდა მდგარიყო ხე (ძირითადად ცაცხვი, როცა სასამართლო იმართებოდა მთავრის სადგომთან ახლოს) საჭიროების შემთხვევაში დამნაშავის დასასჯელად, თუკი იგი გაბედავდა და ხატზე დაფიცების შემდეგ ქვატახტზე მდგომი არასწორ ჩვენებას მისცემდა სასამართლოს.

თუმცა, ხატის, ანუ ღვთის წინაშე ცოდვის ჩადენის შიშს, ვინაიდან, ისევე როგორც მთელ საქართველოში[32] განსაკუთრებულად უფრთხოდნენ ძველ სამეგრელოში არც იყო იმის აუცილებლობა, რომ მოწმე ანდა მოდავე მხარე არასწორი ჩვენების მიცემისთვის ხეზე ჩამოკიდებით დასჯილიყო. აღნიშნულს ზემოთ მითითებულ წიგნში კი ადასტურებს ფრანგი

[32] ჯალაბაძე დ. ,,უცხოელ ავტორთა ცნობები ფეოდალური პერიოდის მეგრულ ჩვეულებით სამართალზე". ჟურნალი ,,სამართალი". 1999 წ. #6-7. გვ. 101-113.

მოგზაური ჟან შარდენიც, კერძოდ ეს უკანასკნელი იმოწმებს რა სამეგრელოში მყოფი იტალიელი მისიონერის, თიათინელების პრეფექტის იოსებ დონ მარი ძამპის ცნობას წერს, რომ ,,მსჯავრის გამოტანისას ხატზე დაფიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად გამოტანილ მსჯავრს არასოდეს ასაჩივრებენ. ხატის წინაშე შიში იმდენად დიდია, რომ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ხატზე დაფიცება არ სურთ მაშინაც, კი როცა მართალ ჩვენებას იძლევიან''.

ამდენად, ჩვენების მისაცემად ქვატახტზე დადგომა და რომელიმე ძლიერმოქმედი ხატის (ზუგდიდში ვლანქერნის, წალენჯიხაში ქიაჩის, ხუნწში წმინდა თეოდორე ტირონის და აშ) წინაშე დაფიცება ფაქტობრივად წარმოადგენდა ღვთის სამსჯავროზე გასვლას. ღვთის სამსჯავროზე გასვლის თაობაზე კი მთელ საქართველოში, მათ შორის ძველ სამეგრელოში ის რწმენა ჰქონდათ, რომ ეს იყო მტყუან-მართალის გარკვევის საკითხის ღვთისადმი მინდობა.

მოსახლეობის წინაშე ღვთის სახელით ღვთის წინაშე მართლმსაჯულება ვის უნდა განეხორციელებინა თუ არა სამეგრელოს მთავარ დადიანს, რომელიც სამართალწარმოების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა. რაც მისი სოციალური მდგომარეობის გარდა განპირობებული იყო იმ გარემოებითაც, რომ ,,დადიანი", იგივე შარდენის მტკიცებით, წარმოდგება სპარსული სიტყვა ,,დად"-ისაგან და ნიშნავს ,,მართლმსაჯულებას". შესაბამისად, სიტყვათა ერთობლიობა ,,მთავარი დადიანი" გულისხმობდა მთავარ მსაჯულს", ანუ ,,მართლმსაჯულების გამგებელს''.

ზემოთქმული ცხადყოფს იმასაც, რომ ,,ქვატახზე" ჩვენების მისაცემად დადგომას ჰქონდა მორალურ-ზნეობრივი ხასიათის დატვირთვაც, კერძოდ ეს იყო პიროვნების კეთილსინდისიერების გამოცდა საზოგადოების თვალში, ვინაიდან ძველ სამეგრელოში საქმე - ,,შავი" იქნებოდა იგი თუ ,,თეთრი" საზოგადოდ ხდებოდა. ანუ, მარტივად, რომ ვთქვათ ,,ყველამ ყველაფერი იცოდა". შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოსახლეობა და მთავარი ჯერ კიდევ სასამართლომდე იყო ინფორმირებული მომხდარის შესახებ.

მიუხედავად ამისა, დანაშაულის ჩამდენი ან მოწმედ დასახელებული პირი ,,ქვატახტზე" თუ მაინც დადგებოდა და ტყუილს იტყოდა მომავალში მასთან საქმეს არავინ დაიჭერდა. ამდენად, საზოგადოებრივ ინტერსთან მსგავსი კონფლიქტი პირს ხელს არ აძლევდა. მით უფრო, რომ ძველ სამეგრელოში ჩადენილი დანაშაულისთვის ძირითადად ფინანსური ხასიათის სასჯელები გამოიყენებოდა. სასჯელის ისეთ განსაკუთრებულ სახეს კი, როგორიცაა სიკვდილით დასჯა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ჰქონდა ადგილი.

ამდენად, სამეგრელოს მთავრები მაქსიმალურად ცდილობდნენ სასამართლო გარჩევის დროს ობიექტურობის დაცვას, რათა ხალხის თვალში მათი, როგორც უმაღლესი მსაჯულის ავტორიტეტი არ შელახულიყო. მეტიც, სამეგრელოს მთავრებმა, შესანიშნავად აუღეს რა ალღო მოსახლეობის რწმენას ქვატახტისადმი, იგი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, ასე მაგალითად სასამართლო პროცესზე თავისი სიდიადის წარმოსაჩენად მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წლები), საზღვარგარეთიდან სპეციალურად ჩამოატანინა სამ ფეხზე შემდგარი მარმარილოს ტახტი და მასზე დაბრძანებული ,,აჩენდა სამართალს.[33]"

თუმცა, უარი არ თქმულა ე.წ. მოძრავ სასამართლო პროცესებზე," მაგრამ მაინც უპირატესობა, როგორც ეტყობა, ენიჭებოდა ქვატახტის გამოყენებით, ანუ ადგილზე, მართლმსაჯულების განხორციელებას.

[33] მეუნარგია ი. დავით დადიანი და მისი დრო. თბილისი. 1937 წელი. გვ. 35.

გადმოცემებით დასტურდება, რომ მოსახლეობის თვალში ქვატახტს, როგორც სიმართლის დამდგენ ფენომენს ავტორიტეტი შენარჩუნებული ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.[34113]. ანუ, იმ დროსაც კი, როცა სამეგრელოს სამთავროში უკვე ფუნქციონირებდა 1840 წელს შექმნილი სამეგრელოს უზენაესი სასამართლო[35], რადგან პირი, რომელსაც რაიმეში უსაფუძვლოდ ედავებოდნენ, ან მისი ნათქვამი არ მიაჩნდათ სარწმუნოდ, თავს იმით იმართლებდა, რომ ,,გეკუნა", ანუ ,,ამაღლების'' დღეებში (იგულისხმებოდა -სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი), დაინტერესებულ პირთან ერთად მივიდოდა ქვატახტთან, მასზე თავს დადებდა (ან დადგებოდა) და იტყოდა ,,ქუა მართალი სამართალი სი გამამართლი" (,,ქვა მართალო სამართალო შენ გამამართლე". რის შემდეგაც მის მიმართ ეჭვები იხსნებოდა, ხოლო თუ ქვაზე დამდგარი პირი დანაშაულს აღიარებდა მას აუცილებლად შეუნდობდნენ[36].

უნდა ითქვას ისიც, რომ ქვაზე მდგარი ადამიანის მიერ ნათქვამის სარწმუნოობის შესახებ სამეგრელოში დამკვიდრებულ ტრადიციას წარმატებით იყენებდნენ შემდგომი პერიოდის ის პერსონებიც, რომლებსაც ევალებოდათ თუნდაც წვრილმანი მეზობლური დავების განხილვა-გადაწყვეტა მაგ. მეფის რუსეთის დროს სოფლის მამასახლისები, ასევე ოჯახში დავის გადასაწყვეტად დასახელებული მედიატორები და აშ.

მეტიც, ეს ტრადიცია არ ეთმობა და გამოყენებადია დღესაც საშუალო და უფროსი თაობის ადამიანების მიერ რომლებშიც მყარად არის გამჯდარი ის, რომ ,,მართალი კაცი ქვასავით მაგარია'' და, რომ სიმართლის დადგენაში მართალ კაცს ეხმარება ქვაზე დაფიცება. რაც კარგად ჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ დღემდე შემორჩენილია გამოთქმა-,,ქვაზე დადგა და სამართალს მიაგნოო".

ზემოთქმულს ადასტურებს, რომ წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ავტორი (პ(თ) მონიავა) პირადად შეესწრო შემდეგ შემთხვევას- ქალაქ ზუგდიდში ცხოვრობს ბ-ნ გია სიჭინავას ოჯახი, რომლის მეუღლე ქ-ნი მარინა ჭიჭინაძე ამზადებს უებრო დამწვრობის წამლებს. ამიტომაც, მათ ოჯახში ხშირია ამ კატეგორიის დაზარალებული ადამიანების სტუმრობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან.

ქალბატონი მარინა ჭიჭინაძე ძალზედ გაწონასწორებული, პაციენტზე გადაყოლილი მკურნალია. თუმცა, ერთ დღეს მან მძიმე დამწვრობა მიღებულ და თავიდან ფეხებამდე გაბინტულ სტუმარს ხმამაღლა განუცხადა, რომ მის მკურნალობას არ გააგრძელებდა, ვინაიდან იგი არღვევდა მის დარიგებას და ღებულობდა ალკოჰოლურ სასმელს, რაც აფერხებდა მკურნალობის პროცესს და საფრთხეში აგდებდა პაციენტის ჯანმრთელობასაც.

პაციენტი, მართალია პირობას იძლეოდა, რომ მომავალში სასმელს არ გაეკარებოდა და ითხოვდა მკურნალობის გაგრძელებას. თუმცა, ვერ მოულბო მკურნალს გული. რის შემდეგაც პაციენტი იქვე არსებულ ქვის ბორდიურზე ახტა და დაიფიცა, რომ ზედმიწევნით დაიცავდა დარიგებებს. ამის შემხედვარე მკურნალი დამშვიდდა და გააგრძელა დამწვრობის მკურნალობა. თავისი ამგვარი საქციელი კი იმით ახსნა, რომ პაციენტი რახან ქვაზე დადგა და დაიფიცა, ეს ფიცი გულწრფელია და იგი მას ღვთის შიშით არ დაარღვევსო.

თავის მხრივ, ქვატახტი, რომელზეც პირი იფიცებდა სხვადასხვა ზომის შეიძლება ყოფილიყო, მაგალითისთვის ქალაქ ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის აუზთან, მოგვიანებით

---

[34] მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი. 2013 წ. გვ. 81.

[35] მონიავა პ(თ). სამართალწარმოების თავისებურებანი და პატივისა და ღირსების დაცვა სამეგრელოს სამთავროში (1801-1867 წ.წ.). რედაქტორი მ. გელოვანი. თბილისი. 2003 წელი. გვ. 12.

[36] შენგელია ც. ,,ქვატახტი". გაზეთი ეგრისის ,,მაცნე". 2011 წლის 10-17 იანვრის ნომერი. გვ. 3.

გადატანილი ქვის ლოდი- 30 სმ-ი სისქის, სიგრძით 3 და სიგანით 2.5 მეტრი, ე.ი. სულ 7 კვადრატული მეტრია. მას აქვს ტახტის ფორმა, ტახტისთვის აუცილებელი ფეხებიც კი და სწორედ ის ქვატახტია, რომელზეც აღესრულებოდა არა მხოლოდ მართლმსაჯულება, არამედ მასთან იყო დაკავშირებული ზუგდიდისა და მთელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი არაერთი პოლიტიკური, სოციალ-კულტურული თუ სასულიერო ხასიათის ღონისძიება.[37][116]

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მსგავსად ქვატახტის არსებობა დასტურდება- სოფელ ჭაქვინჯში, სოფელ აბასთუმანში (ზუგდიდის მუნიციპალიტატი) და სოფელ ხუნწში (მარტვილის მუნიციპალიტეტი) და ისიც, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანი, ამ სოფლებში არსებულ ქვატახტზე, ახორციელებდა მართლმსაჯულებას[38].

შესაბამისად, სამეგრელოს მთავრებს, ვინაიდან რეზიდენციები ჰქონდათ ყველა მნიშვნელოვან სოფელში ქვატახტი უნდა ყოფილიყო ხუნწშიც და აღმოჩნდა კიდეც. იგი, როგორც მოსალოდნელი იყო თავის დროზე ყოფილა დავანებული ამ სოფელში არსებული დადიანების ყოფილი მარნის ტერიტორიაზე ცაცხვის ხის ქვეშ, რომელიც ახლაც დგას ნუკრი მონიავას ოჯახში. შემდეგ კი, გადმოცემის თანახმად, სოფლის მამასახლის იონა მონიავას, ანუ ნუკრი მონიავას ბაბუის (ვალოდია მონიავას მამას), რომლის მეუღლეს სერმინო ჩიქვანსაც ეს მამული ერგო მზითევში, გადაუტანია თავის ძველ ოჯახში, ჭიშკართან მდგარი დიდი ცაცხვის ქვეშ და ვინაიდან წლების მანძილზე იყო ხუნწის თემის მამასახლისი, აქტიურად იყენებდა მისი ქვემდებარე დავების გადაწყვეტისას მტყუან-მართლის დასადგენად.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ეს ქვა იმავე იონა მონიავას და სხვათა მიერაც გამოიყენებოდა მეზობლებს შორის დავის პროცესში თუკი ისინი მედიატორად აირჩევდნენ მათ.

დღეის მდგომარეობით ამ ქვატახტიდან, რომელიც ადრე გაცილებით დიდი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ბუნებრივ პროცესებს მისი ნაწილი დაუშლია, შემორჩენილია მართკუთხედის, არასწორ გვერდებიანი ქვის ფილა, რომლის სიგრძე 1 მეტრი, სიგანე 35-40 სანტიმეტრი, ხოლო სიმაღლე 17-20 სანტიმეტრია, და იგი, დღესაც ფაქტობრივად იმავე ადგილზე დევს იონა მონიავას შთამომავალ თემურ მონიავას სახლის წინ ღობესთან, სადაც ადრე ცაცხვის ხე იდგა და ემსახურებოდა სოფლის მართლმსაჯულებას.

რაც შეეხება სამეგრელოს სამთავროში მოქმედ კანონმდებლობას, არსებული წყაროები ცხადყოფს, რომ მოსამართლეები იყენებდნენ, როგორც ადათებს, ანუ ჩვეულებით სამართალს, ისე ,,ვახტანგ მეფის, აღბუღას, მოსეს სამართალს და სხვა კანონებს.''[39][118] თანაც, ეს ხდებოდა 1803 წლის, ანუ მას შემდეგაც მთავარმა გრიგოლ დადიანმა მთელი თავისი ხალხითურთ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობა, როცა მიიღო იმ პირობით, რომ ,,თვითონ შერჩენოდა ავტონომია ყველა სამოქალაქო საქმეში.''[40]

ვუბრუნდებით რა სამართალწარმოების თავისებურებათა თემას სამეგრელოს სამთავროში, აუცილებლად უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ სასამართლო პროცესში საზოგადოების აქტიურმა ჩართულობამ და თვით პროცესის გამჭირვალეობამ, რომელიც მიმდინარეობდა ოპერატიულად და ეფექტურად დაამკვიდრა მოსამართლისადმი ნდობის

---

[37] მონიავა პ(თ). სამართალწარმოების ტრადიციები XVII -XVIII საუკუნეების ზუგდიდში და ქვატახტის ფენომენი. სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები (თინა წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), წიგნი II. 2012 წ. გვ. 333-341.

[38] მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი. 2013 წ. გვ. 80.

[39] ბოროზდინი კ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 269.

[40] ბოროზდინი კ. იგივე ნაშრომი. გვ. 102.

ტრადიცია. რაც კარგად დაინახა XIX საუკუნის 50-60-იან წლებში სამეგრელოში მოღვაწე რუსმა მოხელე კორნელი ბოროზდინმაც, რომელიც წერდა, რომ მეგრელებისთვის ,,მოსამართლე უბრალო კაცი კი არ არის, და მით უფრო მოხელე. მოსამართლე მათთვის მატარებელია წმინდა სამართლიანობისა და მას გასარჩევად მიანდობენ მეტის-მეტად საიდუმლო, მეტისმეტად ინტიმურ გაუგებრობებსაც კი.''[41]

ძველ სამეგრელოში, სასამართლოს ობიექტურობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ისიც, რომ მასში, როგორც მხარეთა წარმომადგენლები, მონაწილეობდნენ კანონმდებლობის კარგად მცოდნე და სასამართლო პროცესების ნიუანსებში ზედმიწევნით გარკვეული ადვოკატები, რომლებსაც დავით დადიანის დროს ,,ასაბიებსაც" ანუ ,,სხვის მაგიერ მოლაპარაკეს", იგივე ლაპარაკში ,,დამხმარეს[42]" ეძახდნენ.

მეფის რუსეთის სამეგრელოში დამკვიდრებიდან რამდენიმე წლის, კერძოდ 1857 წლის გლეხთა აჯანყების შემდეგ კი, როგორც კორნელი ბოროზდინი მიუთითებს, კიდევ უფრო გამრავლებულა ადვოკატების რიცხვი, კერძოდ იგი წერს, რომ ,,ყოველ სოფელში არის ადვოკატი, უმეტესობა გლეხთა წრიდან, რომლებმაც კანონის ყველა მუხლი ზეპირად იციან და სეტყვასავით აყრიან სასამართლოში.''[43]

ყოველივე ზემოთმოყვანილიდან გამომდინარე კანონის დაცვისა და სამოსამართლეო საქმიანობისადმი პატივისცემის ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა თანამედროვე პერიოდის ხუნწის თემში მცხოვრები ადამიანებისთვისაც, რომ ბევრმა მათგანმა თავის პროფესიად აირჩია იურისტობა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია, როგორც მოსამართლემ, ადვოკატმა, გამომძიებელმა, პროკურორმა და სხვა პროფილის სამართალდამცველმა, მართლმსაჯულების სამსახურში, მათ შორის არიან:

ნუნუ (ნუნუკა) კვანტალიანი (დაბადებული სოფელ ლეციცხვაიეში), სამართლის დოქტორი, წლების განმავლობაში მუშაობდა ადვოკატად და რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. 2002-2012 წლებში კი არჩეული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ;

ია ჯიშკარიანი (ამჟამად იწერება მეუღლის გვარით შვანგირაძე. დაბადებული ქვედა ხუნწში), რომელიც წლების მანძილზე იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი ამჟამად კი ეწევა საადვოკატო საქმიანობას ქალაქ ქუთაისში;

დავით ხუროძე (დაბ. სოფელ ქვედა ხუნწში) მრავალი წელი მუშაობდა ადვოკატად ქალაქ რუსთავის ადვოკატურაში. მეტალურგების ქალაქში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. თავისი სურვილისამებრ დაკრძალულია თავის ,,ოდაბადეში'', ანუ ქვედა ხუნწში;

ეკა მონიავა (დაბ. 1985 წელს ქვედა ხუნწში). უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, მაგისტრატურის დამთავრებისა და მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მიღების შემდეგ (2011 წელი) წარმატებით ეწევა, როგორც ადვოკატი კერძო პრაქტიკას სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ქალაქ თბილისში;

გია ენუქის-ძე თოფურია-პოლიციის პოლკოვნიკი, წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ პროკურატურის გამომძიებლად, ხოლო შემდეგ საქართველოს შს. სამინისტროში

---

41 ბოროზდინი კ. იგივე ნაშრომი. გვ. 275.

42 მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი. 2013 წელი. გვ. 55-56.

43 ბოროზდინი კ. იგივე ნაშრომი. გვ.330.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, ასევე საგამოძიებო დანაყოფების ხელმძღვანელად.

რობერტი ფაილოძე-პოლიციის პოლკოვნიკი, სხვა პასუხსაგებ თანამდებობებთან ერთად, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროში გენერალური ინსპექციის უფროსის პირველ მოადგილედ;

გოდერძი მონიავა (დაბ. ქვედა ხუნწში) წლების მანძილზე იყო მარტვილის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი და ამავე რაიონის პროკურორი;

ანდრო ხუროძე-წლების მანძილზე მუშაობდა შს სამინისტროს მარტვილის რაიონული განყოფილების გამომძიებლად;

როლანდი ჩიქოვანი (დაბ. ქვედა ხუნწში) - პოლიციის მაიორი, წლების მანძილზე მუშაობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის ექსპერტ-კრიმინალისტად და საექსპერტო-კრიმინალისტიკური განყოფილების უფროსად;

ეკა ხარებავა (დაბ. 1985 წელს ქვედა ხუნწში) წლების მანძილზე მუშაობს საქართველოს პროკურატურის სისტემაში. ამჟამად არის საქართველოს გენერალური პროკურატურის ცენტრალურ აპარატში დეპარტამენტის პროკურორი და სხვა.[44]

VI. დასკვნა:

მსოფლიო ისტორიაში ონოგურისის სახელით ცნობილი ციხე მდებარეობს არა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ონოღიაში, ანდა სოფელ აბედათში, როგორც ბოლო პერიოდამდე მიჩნეული იყო მეცნიერებაში, არამედ დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის თემში.

შესაბამისად, მასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა პერიოდის არაერთი პოლიტიკური, ისტორიული თუ სამართლებრივი მოვლენა, რომლებიც ადრე სხვა გეოგრაფიულ დასახლებლებს მიეწერებოდა, კერძოდ:

1) ამ სოფელში მდებარე ციხესთან განიცადა მარცხი დაახლოებით 450 წელს იმდროინდელ ევროპაში სიძლიერით ცნობილმა ჰუნების ლაშქარმა და მტრის ვაჟკაცობით მოხიბლულმა ადგილობრივებმა დამარცხებულ მტერს და საკუთარ თავსაც იმით დაუდგეს ძეგლი, რომ დღევანდელ ხუნწს ჰუნების მეტსახელი ონოგურისი, ხოლო აქ აშენებულ IV საუკუნის მძლავრ თავდაცვით ნაგებობას ონოგურისის ციხე უწოდეს;

2) 554 წელს ამ ციხის ირანელისაგან გასანთავისუფლებლად ლაშქრობაში ეგრისელთა მონაწილეობაზე უარი გახდა ეგრისის მეფე გუბაზ II-ის, ბიზანტიელი მოხელეების მიერ მკვლელობის ოფიციალურად გაჟღერებული საბაბი და შესაბამისად, გუბაზ მეფის მკვლელების გასასამართლებლად გამართული სასამართლო პროცესიც, რომელიც ქართულ სინამდვილეში გამართული პირველი სასამართლო პროცესია, დაკავშირებულია ონოგურისის ანუ, ხუნწის ციხესთან.

3) იმავე 554 წელს, ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ბრძოლა, სადაც 3000 ირანელმა დაამარცხა 50 000 ბიზანტიელი მებრძოლი ასევე დაკავშირებულია დღევანდელ ხუნწთან, რადგან ეს ბრძოლა გაიმართა ონოგურისის ციხის ირანულ გარნიზონსა და ბიზანტიელებს შორის.

4) სოფლის ახლანდელი ტოპონიმი-,,ხუნწი" წარმოსდგება ამავე დასახელების მცენარის სახელწოდებიდან, რომელიც ჯერ გაგვარდა, ანუ ხუნწელიას გვარად გადაიქცა, შემდეგ კი დაერქვა ამ გვარის ადამიანებით დასახლებულ ადგილს.

---

[44] მათი შედარებით სრული ჩამონათვალი წარმოდგენილი იქნება მონოგრაფიაში, რომელიც მზადდება გამოსაცემად სახელწოდებით ,,ხუნწი, ისტორიის წყვდიადში ჩაძირული ონოგურისი და ხუნწელები".

5) სოფელი ხუნწი, სამეგრელოს სამთავროს არსებობის პირობებში წარმოადგენდა ადგილს სადაც სამეგრელოს მთავარი ახორციელებდა სამოსამართლეო ფუნქციას ე.წ. ქვა-ტახტის“ გამოყენებით. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსახლეობაში ღრმად გამჯდარი რწმენის თანახმად, ქვაზე დამდგარი კაცი ტყუილს არ იტყოდა, მით უფრო მთავრისა და ძლიერ მოქმედი ხატის წინაშე რადგან ეს იქნებოდა ღმერთის სამსაჯავროზე გასვლის ტოლფასი.

ღმერთის წინაშე ტყუილზე დაფიცებას და არასწორი ჩვენების მიცემას კი მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევდნენ ადგილობრივები. ამდენად, პირი თუ დარწმუნებული არ იყო თავის სიმართლეში, იმის შიშით, რომ ღმერთს არ დაესაჯა, ქვაზე არც დადგებოდა და არც ტყუილს იტყოდა.

თავად ქვას რაზე დამდგარსაც ხატზე დაფიცების შემდეგ ჩვენება უნდა მიეცა პირს, როგორც წესი ტახტის ფორმა ჰქონდა (მაგ. იხილეთ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში დღემდე შემორჩენილი ფიქალი) და ამიტომაც უწოდებდნენ ქვა-ტახტს.

6) ამდენად ქვა-ტახტის გამოყენებით გამართული სასამართლო პროცესები, სამეგრელოს სამთავროში, უზრუნველყოფდა ობიექტური, ოპერატიული და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. ერთ-ერთი ასეთი ქვა-ტახტის ფრაგმენტი კი დღემდე შემორჩენილია ხუნწში. აღნიშნულს თავის მხრივ ემატება ის გარემოება, რომ დადიანებს თავიანთი დასასვენებელი რეზიდენცია ჰქონდათ ამ სოფელშიც ე.წ. დადიანების მარნის სახით, რაც ადასტურებს სოფელ ხუნწის უდავო კავშირს სამეგრელოს სამთავროში არსებულ სამართალწარმოებასთან.

ლიტერატურა

1.გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი 3, 1936 წელი. გვ. 62.

2.ბერძენიშვილი ნ. ტომი VIII . თბილისი. 1975 წელი. გვ. 462.

3.ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხე-გოჯი, არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1991 წელი. გვ 128-129.134.

4. ზაქარაია პ. ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. თბილისი. 2002 წელი. გვ. 79-82.

5.ყაუხჩიშვილი ს. ტომის III, 1936 წელი. გვ. 39-41.

6. მურღულია ნ. 2012 წელს გამოცემული სადოქტორო ნაშრომი- ,,ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-V საუკუნეებში'' (არქეოლოგიური მასალების და ისტორიული წყაროების მიხედვით).

7. ცხადაიას პ. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი.

8.ჭითანავა ა. ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი.2010 წელი (რიგ.#33).

9.ფაილოძე ა. ,,მატიანე ხონისა,“ ნაწილიII., 2003 წელი.გვ.27-32.

10. ,,არქეოლოგიური გათხრები ხუნწში“. 2017 წლის საპროექტო დოკუმენტაცია და განმარტებითი ბარათი.

11.ბუხრაშვილი თ. Itv.ge/news/khunwis-cikheze-argeologiuri kvleva-dziebis-momdevno-etapi-dasrulda . 22.08.2018.

12. ბარათი. სულორი ვ. ,,ველური ჰუნები, ვახტანგ გორგასალი და ათასი რჩეული მეომრის შთამომავალი მოხევეები. ასევე, Ka.wikipedia.org/wiki/ჰუნები

13.ფერაძე გ, ,,პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში,'' ნარკვევი I (VI-XVIII საუკუნეები), რედაქტორი სურგულაძე ნუგზარი, საქართველოს პროკურატურა, თბილისი, 2017 წელი, გვ. 12-14.17.

14. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი 1968 წელი. ასევე ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I. თბილისი 1960 წელი.
15.ხინთიბიძე ლ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 7. თბილისი. 1984 წელი. გვ. 154.
16. ნადარაია ფ. ,,სამეგრელო-ზემო სვანეთი“ (ცნობარი. პირველი გამოცემა). მარტვილი. 2013 წელი. გვ. 92-93.
17. ბებია ი. ,, სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში.'' (დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თსუ. 2008 წელი.
18.მონიავა პ. ,,ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II-ე, ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები.'' საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,კრიმინოლოგი“, რომელიც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით. 2020 წელი. 1(15), გვ.126-137.
19.მონიავა პ(თ). სამართალწარმოების ტრადიციები XVII-XVIII საუკუნეების ზუგდიდში და ,,ქვატახტის'' ფენომენი.'' თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი II . გამომცემლობა ,,მერიდიანი“ თბილისი 2012. გვ. 333.
20. მონიავა პ(თ). აღმოჩენა, რომელიც ადასტურებს ძველ სამეგრელოში სწრაფი (ოპერატიული), ეფექტური და ობიექტური მართლმსაჯულების არსებობას“. გაზეთი ,,ეგრისის მაცნე.“ 30 მაისი-7 ივნისი. 2011 წელი. გვ. 4-5.
21.მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი. 2013 წ. გვ. 81.
22.ჯალაბაძე დ. ,,უცხოელ ავტორთა ცნობები ფეოდალური პერიოდის მეგრულ ჩვეულებით სამართალზე“. ჟურნალი ,,სამართალი“. 1999 წ. #6-7. გვ. 101-113.
23.მეუნარგია ი. ,,დავით დადიანი და მისი დრო''. თბილისი. 1937 წელი. გვ. 35.
24. ბოროზდინი კ. სამეგრელო და ზემო სვანეთი 1854-1861 (თარგმნილი ტ. სახოკიას მიერ). წიგნი დაიბეჭდა 1934 წლის გამოცემის მიხედვით. თბილისი. მეორე გამოცემა 2004 წ.

რეზიუმე

საუკუნეების მანძილზე არ იყო ზუსტად დადგენილი VI საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსის და იურისტის აგათია სქოლასტიკოსის მიერ აღწერილი ონოგურისის ციხის ადგილმდებარეობა. მეცნიერული ნაშრომების, შემორჩენილი მოგონებების ანალიზისა და ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით საფუძველზე კი დადგინდა, რომ ისტორიული ონოგურისის და ამ დასახელების ციხის ადგილსამყოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი ხუნწია. ამდენად, ამ სოფელთანაა დაკავშირებული არაერთი ისტორიული, პოლიტიკური თუ სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა. მათ შორის ის, რომ ბიზანტიელი მოხელეების მიერ 554 წელს, ეგრისის მეფე გუბაზ II-ის მკვლელობის ჩადენის ოფიციალურ მიზეზად ამ დანაშაულში მხილებული ბიზანტიელები, ასახელებდნენ იმ გარემოებას, რომ გუბაზ მეფემ უარი განაცხადა ბიზანტიელთა იმ ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა, რომელიც მიზნად ისახავდა ონოგურისის ციხიდან ირანული გარნიზონის განდევნას. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო პროცესი, სადაც გასამართლებული იქნა გუბაზ II-ის მკვლელები უშუალო კავშირშია ამ სოფელთან და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან.

საკვანძო სიტყვები: ხუნწი, ონოგურისი, გუბაზ II, სასამართლო, აგათია სქოლასტიკოსი.

Polikarpe Moniava, Jambul Khurodze

The First Known Trial in Georgian Reality. Its Connection with the Village of Khuntsi, or Historical Onoguri. Toponyms of this Village and Involvement in the Legal Proceedings of the Samegrelo Principality

Summary

The location of the Onogurisi Fortress, described by Agathias Scholasticus, a 6th–century historian and lawyer, had not been precisely pinpointed for centuries. Based on the analysis of scientific papers, preserved memoirs and archeological excavations, it was determined that the historic Onogurisi and the same-name fortress were located in Khuntsi village, Martvili municipality. Thus, many important historical, political or legal events are associated with this village, including the fact that the official reason behind assassination of Gubaz II, the King of Egrisi, in 554, as cited by the Byzantine officials accused of assassination, was the fact that King Gubaz refused to join the Byzantine military campaign aimed at forcing out the Persian garrison from the Onogurisi Fortress.In view of the aforesaid, the trial on which the assassins of the King Gubaz II were convicted is directly linked to this village and the developments around it.

Key words: Khuntsi, Onogurisi, Gubaz II, court, Agathias Scholasticus.

პოლიკარპე (თემურ) მონიავა
საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

ლიპარიტ IV ბაღვაში, ვიქტიმიზაციის მსხვერპლი თუ ქვეყნის მოღალატე ფეოდალი

(თვალსაზრისი გარდაცვლილ პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საქმეში ვიქტიმოლოგიისთვის დამახასიათებელი ხერხებისა და საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე)

ვიქტიმოლოგია, ლათინური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს მსხვერპლის (,,Victim") შესახებ სწავლებას (,,logos''). შესაბამისად, იგი წარმოადგენს კრიმინოლოგიის ნაწილს, რომლის საგანს თავდაპირველ ეტაპზე შეადგენდა დამნაშავეობის გამომწვევი ფაქტორების კვლევის პროცესში მსხვერპლის როლის შეფასება პიროვნების კრიმინალიზაციაში.[1]

აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა ის გარემოება, რომ ამ მიმართულებით მომუშავე მეცნიერები პოტენციურ მსხვერპლთა კატეგორიას ჰყოფდნენ სოციალური, პროფესიული და სხვა ნიშნების მიხედვით, ანუ დანაშაულის პოტენციურ მსხვერპლად მიიჩნევდნენ გარკვეული კატეგორიის ადამიანებს, კერძოდ, მეძავებს, ალკოჰოლიკებს, ავანტიურისტული ქმედებისადმი მიდრეკილ პირებს და აშ.

მოგვიანებით ეს სია კიდევ უფრო გაფართოვდა, რის გამოც, თანამედროვე ვიქტიმოლოგია ორი, კერძოდ ვიწრო და ფართო მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული. ვიწრო გაგებით ვიქტიმოლოგია გულისხმობს მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლს. ფართო გაგებით კი, როგორც დანაშაულის ისე უბედური შემთხვევისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსხვერპლს. ანუ, მსხვერპლსა და ხელმყოფს შორის ურთიერთობათა ბუნების კვლევის საკითხი გადატანილია ფსიქოლოგიის სფეროში, რითაც დამკვიდრდა თეორია, რომელიც ბრალს სდებს დაზარალებულს მის მიმართ განხორციელებული ქმედების, მათ შორის დანაშაულის პროვოცირებაში (მაგ. გაუპატიურების მსხვერპლთან დაკავშირებით), რითაც ამართლებს ჩადენილ დანაშაულში შერეული პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას.[2]

მოკლედ, რომ ვთქვათ, წინა პლანზე წამოიწია იმის საჭიროებამ, რომ კომპლექსურად მოხდეს, როგორც დანაშაულის, დამნაშავის და ამ დანაშაულის მსხვერპლს შორის, ისე სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროცესში მონაწილე მხარეებისა და მსხვერპლს შორის წარმოშობილ ურთიერთობათა შესწავლა. რაც მოიცავს, როგორც დამნაშავის ან/და სხვა კატეგორიის სამართალდამრღვევთა პიროვნებას, ისე დანაშაულის და სხვა სახის სამართალდარღვევის ჩადენისა და მათზე კონტროლის პროცესს. ანუ, ვიქტიმოლოგია შეისწავლის, როგორც დამნაშავისა და დანაშაულის ისე სხვა საფუძველთა გამო მსხვერპლად ქცეულის ვინაობას, ამ უკანასკნელის მსხვერპლად გახდომის გარემოს, მის საქციელს, როგორც

[1] Sutherland E. Crimilogu-Pholadelfia,1924.

[2] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედაქციო ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვები. გამომცემელი იაშა ბერაია), თბილისი, ,,ლოგოს პრესი,"2004 წელი, გვ. 351; 20 სმ-(სოციალურ მეცნიერებათა სერია/რედაქტორი მარინე ჩიტაშვილი).

მსხვერპლად გახდომის მომენტში, ისე მის შემდეგ და მსხვერპლად გახდომით გამოწვეულ შედეგებს.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ვიქტიმირების მსხვერპლი შეიძლება იყოს, ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება, სახელმწიფო, დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის ოჯახის წევრები და აშ. რაც, თავის მხრივ იძლევა საშუალებას, რომ განვასხვაოთ ვიქტიმირების სამი ტიპი, კერძოდ ადამიანის პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება, ადამიანის მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმირება და ადამიანის მესამედი (მესამეული) ვიქტიმირება.

მათგან პირველადი და მეორადი ვიქტიმირება სახეზეა მაშინ როცა სხვა ადამიანისაგან პირზე განხორციელდა ქმედება. მესამედი, ანუ, როგორც მას უწოდებენ მესამეული ვიქტიმირება კი გულისხმობს ვიქტიმირებიდან გამოწვეულ ფსიქოლოგიურ შედეგს.

ამდენად, ვიქტიმოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი კვლევის შედეგების სწორად გამოყენება განაპირობებს არა მხოლოდ დანაშაულის კლების ტენდენციას და ქვეყნის სტაბილურობას უწყობს ხელს, არამედ შეუძლია დიდი როლი ითამაშოს იმ გარდაცვლილ პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების, კერძოდ სახელის და პირადი ღირსების დაცვის საქმეშიც, რომლებიც დაუმსახურებლად ან/და ცალკეულ გარემოებათა გამო გახდნენ ხელყოფის მსხვერპლნი. რასაც, მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნემდე არ არსებობდა ვიქტიმოლოგიაზე წარმოდგენაც კი, წარმატებით იყენებდნენ ჩვენი წინაპრები, რაც ვაჩვენეთ კიდეც ბიზანტიელი მოხელეების მიერ ეგრისის მეფე გუბაზ მე-II -ის მკვლელობის (554 წელი) მაგალითზე, სადაც გამოიკვეთა, როგორც პირველადი, ისე მესამეული ვიქტიმირების ტიპები და ვიქტიმირებისთვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები[3].[126]

თუმცა, აწ გარდაცვლილ სხვა პირთა, მათ შორის ისტორიულ პერსონაჟთა, მსხვერპლად ქცევის გარემოებების დეტალურად შესწავლის ტრადიცია ვიქტიმოლოგიის გამოყენებით ჯერ არ დამკვიდრებულა ქართულ სინამდვილეში. სწორედ ამით აიხსნება მაგალითისთვის ის, რომ გიორგი სააკაძის ,,კეთილი სახელი'' დღემდე სრულად არ არის რეაბილიტირებული, იმის გამო, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მას ვერ პატიობს თავისი ქვეყნის მოსისხლე მტერთან - ირანის შაჰთან გაქცევას და მისი დროშის ქვეშ ბრძოლას. ეს მაშინ, როცა არავინ დავობს, რომ ირანში ოჯახთან ერთად გიორგი სააკაძის გაქცევა უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე იძულებითი ნაბიჯი იყო და, რომ შემდგომში მისმა თავდადებულმა ბრძოლამ იმავე ირანის წინააღმდეგ დიდ წილად განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენა და რასაც მან შვილიც კი შესწირა.

მეტიც, ქართულ და არა მხოლოდ ამ ქვეყნის ისტორიაში, არსებობენ სხვა ისეთი პერსონაჟებიც, რომლებსაც ისტორიამ იმთავითვე ცალსახად განუსაზღვრა ქვეყნის მოღალატის უმძიმესი ხვედრი და საზოგადოებას დღემდე მიეწოდება მათი მოღალატეობის შესახებ ინფორმაცია, როგორც უტყუარი ფაქტი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ეს ინფორმაციები წარმოადგენენ შეფასებითი ხასიათის მსჯელობებს, რომელთა შემოწმება შეუძლებელია დიდი დროის გასვლის ანდა რეალურად არსებული მოვლენების დამახინჯების გამო, საიდანაც ამოგდებულია რაიმე არსებითი გარემოება სიცრუის თუ სიმართლის თვალსაზრისით, მაგრამ

[3] პ(თ) მონიავა, ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, კრიმინოლოგი, 1 (115) ISSN 1512-3804, რომელიც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერით, საქართველო, თბილისი, 2020 წელი გვ. 126-137.

ისინი იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ საუკუნეების გასვლის მიუხედავად დღემდე არ დაქვემდებარებია გადასინჯვას.

ეს მაშინ, როცა არსებული ვითარების გამოსასწორებლად საზღვარგარეთ არსებობს არაერთი საზოგადოება, რომლებიც ისტორიულ პირთა მოღვაწეობის შესწავლით და მათ მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენითაა დაკავებული და სწორედ მათი კვლევების შედეგებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ ცნობილი მოცეკვავე ,,მატა-ჰარი", რომელიც პირველ მსოფლიო ომში ლამის საფრანგეთის წარუმატებლობის ერთადერთ მიზეზად გამოცხადდა და სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით სიკვდილით დაისაჯა, როგორც უცხო ქვეყნების ჯაშუში, სრულებით არ ყოფილა ასეთი და მისი ამგვარად წარმოჩენა გენერალიტეტის დაკვეთით მოხდა, რომლებსაც ამ გზით სურდათ თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა.

ანალოგიური მიზნით შექმნილმა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფის კვლევებმა ცხადყო ისიც, რომ სრულებითაც არ ყოფილა ირლანდიელი სატირიკოსის ოსკარ უაილდის სიკვდილის მიზეზი ვენერიული სენით დაავადება, როგორც ამას ამტკიცებდნენ მისი ბიოგრაფებიც კი, არამედ შუა ყურის ანთება, და, რომ ამ უკანასკნელის სახელისა და ღირსების ამგვარად შელახვას, რადგან იგი დაზარალებულის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მის ამორალურობაზე აკეთებდა აქცენტს, საფუძვლად დაედო მასზე განაწყენებული გავლენიანი ოჯახის წარმომადგენლის შურისძიება და სხვა.

სამწუხაროდ, როგორც ითქვა, ამგვარმა ტენდენციამ ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი ქართულ სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ ცოცხალ პირთაგან განსხვავებით, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი წესით, გარდაცვლილი პირის სახელისა და ღირსების დაცვა შესაძლოა განახორციელოს, სხვა ანუ ისეთმა პირმაც, რომელიც არ არის მემკვიდრე, მაგრამ დაინტერესებულია ცნობილი პიროვნების მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენით[4] (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი-პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ), რადგან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია დღემდე, ამ უფლებით არ უსარგებლია არც ერთ მეცნიერს თუ საზოგადოებრივ ჯგუფს.

ეს მაშინ, როცა დასახელებული სამართლის ნორმა შეიცავს კონკრეტულ დანაწესს იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები (იგულისხმება სახელის ტარების უფლების შეცილების დაუშვებლობა, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვა) შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი, კერძოდ, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მისი მეშვეობით განახორციელოს სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნა, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც.

შესაბამისად, კრიმინოლოგიის შემადგენელი ნაწილის-ვიქტიმოლოგიისათვის დამახასიათებელი ხერხებსა და საშუალებებზე დაყრდნობით, თუნდაც მეცნიერთა დისკუსიის საგანი არ გამხდარა არაერთი ისტორიული პიროვნების, მათ შორის XI-ე საუკუნეში მოღვაწე კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ IV ბაღვაშის, იმდაგვარად მეტამორფოზის მიზეზი, რომ ბაგრატ IV-ის მცირეწლოვნების დროს საქართველოს ფაქტობრივი გამგებელი, ბიზანტიის დაუძინებელი მტერი (1028 წელს დაამარცხა მათი ჯარი) და საქართველოს ერთიანობისთვის

[4] პ(თ). მონიავა, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2013 წელი, გვ. 307.

თავგამოდებული მებრძოლი (ქართლის ერისმთავარ ივანე აბაზისძესთან ერთად დაამარცხა განდგომილი განძის ამირა ფადლონის ჯარი 1032 წელს, ქვეყნის ინტერესებისთვის კი ეჭვქვეშ დააყენა რა საკუთარი პატივი და ღირსება, როცა დაატყვევა მასთან სტუმრად მისული თბილისის ამირა ჯაფარი, ამით ნიადაგი მოამზადა თბილისის დედასამშობლოსთვის დასაბრუნებლად) ,,გაუორგულდა" ქვეყნის მირონცხებულ მეფეს და ბიზანტიელების მხარეზე გადავიდა.

არადა ვიქტიმოლოგიის გამოყენებით ბევრ ისეთ კითხვას შეიძლება გასცემოდა პასუხი, რომლებიც ან გაამყარებდა არსებულ წარმოდგენას ლიპარიტ ბაღვაშის მოღალატეობისა და ბიზანტიის აგენტობის შესახებ, ანდა პირიქით- თუ სრულად არა ნაწილობრივ მაინც შეცვლიდა მასზე არსებულ წარმოდგენას და თუ იმსახურებდა აღუდგენდა შელახულ სახელსა და პირად ღირსებას.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ვითარება, რომელშიც მოუწიათ თანაცხოვრება ლიპარიტ ბაღვაშს და საქართველოს იმდროინდელ მეფე ბაგრატ IV-ს კარგად არის შესწავლილი, ისტორიკოსების მიერ, ხოლო ვიქტომოლოგიის, ანუ კრიმინოლოგიის კუთხით ლიპარიტ ბაღვაშის პიროვნების შესწავლა და მისი ქცევის მიზეზების დეტალური კვლევა, ვინაიდან ადრე არ მომხდარა, არც არსებობს პასუხი კითხვაზე- რამდენად თავსდება ეს შემთხვევა ვიქტიმოლოგიის ჩარჩოებში. ე.ი არის თუ არა ლიპარიტ ბაღვაში მის წინააღმდეგ, ან/და თავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის, ან თუნდაც იმ პერიოდში მისი და მთლიანად ქვეყნის არაკეთილმოსურნე პირთა შეთქმულების მსხვერპლი.

ისევე, როგორც არ გვაქვს პასუხი იმაზეც -ლიპარიტ ბაღვაშთან დაკავშირებით შემდგომში განვითარებული მოვლენები და მათგან გამომდინარე შედეგები (მტრის, ამ შემთხვევაში ბიზანტიელების, სამხედრო ძალის გამოყენება, მისი ოჯახის დამცირება, რაც ლიპარიტ ბაღვაშის მეუღლის გაუპატიურებაში გამოიხატა და მასზე ასევე საჩოთირო ფორმით ლიპარიტ ბაღვაშის მიერ პასუხის გაცემა მეფის დედის მიმართ, ხოლო მოგვიანებით იძულებით ბერად აღკვეცა და ა.შ.) ხომ არ არის თვით მის მიერვე პროვოცირებული?

დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად კი აუცილებელია რამდენიმე გარემოების გარკვევა, კერძოდ იმის დადგენა:

ა) თუ როგორი პოლიტიკური ვითარება იყო იმდროინდელ საქართველოში;

ბ) რა მიზნები ამოძრავებდა ამ ქვეყნის მიმართ იმ დროინდელ მსოფლიოს უდიდეს იმპერიას- ბიზანტიისა და მზარდი ამბიციების მქონე სელჩუკთა სახელმწიფოს;

გ) სელჩუკთა სახელმწიფოსთან საზღვრების მოახლოების შემთხვევაში რა პრობლემის შექმნა შეეძლო თბილისის საამიროს საქართველოს ძლიერებისათვის;

დ) იდგა თუ არა საქართველო იმის აუცილებლობის წინაშე, რომ ცუდსა (ბიზანტიის სახით) და ძალიან ცუდს (სელჩუკთა სახელმწიფოს სახით) არჩევანი გაეკეთებინა;

ე) რეალურად აფასებდა თუ არა არსებულ ვითარებას, როგორც სამეფო კარი და მისი გარემოცვა ისე ლიპარიტ ბაღვაში;

ვ) რამდენად ობიექტურია ოფიციალური ისტორიოგრაფია ლიპარტი ბაღვაშის და ბაგრატ IV-ის ქმედებათა შეფასებისას და აშ.

ამ მხრივ მოძიებული ისტორიული მასალები კი, რომელთა ქრონოლოგიურად დალაგებასაც შევეცდებით, იძლევა საშუალებას, რომ ლიპარიტ ბაღვაშის ცხოვრება და მოღვაწეობა დავყოთ ოთხ ეტაპად, კერძოდ:

1.პირველ ეტაპზე ლიპარიტ ბაღვაში, რომლის წინაპრებიც კაცხიდან იყვნენ კლდეკარის ციხის მფლობელი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალი იყო XI საუკუნის 30-40-იანი

წლების საქართველოში. მის კარიერულ წინსვლას კი ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ 1028 წელს სათავეში ჩაუდგა პატრიოტთა დასს და 1030 წელს წინ აღუდგა ბიზანტიელთა აგრესიას ჯავახეთსა და კლდეკარში.

მანვე, ძლევამოსილად ილაშქრა განდგომილ განძაში. 1032 წელს ივანე აბაზასძესთან ერთად, თითქოსდა მოსალაპარაკებლად მიიწვია თბილისის ამირა ჯაფარი, მაგრამ დაარღვია სტუმარმასპინძლობის წესი და შეიპყრო რა თბილისის ამირა გადასცა იგი მეფეს. რითაც შექმნა წინაპირობა თბილისის ასაღებად. შემდეგში მეფის მიმართ სამდურავი არ დასცდენია იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა, 5 წლიანი ტყვეობის შემდეგ გაანთავისუფლა თბილისის ამირა, თბილისს კი მოხსნა ალყა.

მეტიც, ბაგრატ IV-ეს კიდევ ერთხელ შთააგონა თბილისის აღების აუცილებლობა და 1038-1040 წლებში სხვა პატრიოტებთან ერთად ისეთ მარწუხებში მოაქცია თბილისის საამირო, რომ დღე-დღეზე უნდა მომხდარიყო მისი დაცემა, მაგრამ მეფე, დაუზავდა თბილისის ამირას და ალყა მოხსნა ქალაქს. თანაც თბილისის დაბრუნებაზე უარის თქმა ხდება იმ პირობებში როცა ქართულ მხედრობას, ნამდვილად შეეძლო თბილისის აღება, რადგან თბილისის მოსახლეობას ისე გასჭირვებია არსებობა, რომ ,,ლიტრა ვირის ხორცი 500 დრამი ღირდაო'', წერს მემატიანე, რის გამოც ამირა გასაქცევად ემზადებოდა, ქალაქის მესვეურები კი მზად იყვნენ ქალაქის ჩაბარებაზე. თუმცა, როგორც ერთხმად აღნიშნავენ ი. ჯავახიშვილი[5], ვ. კოპალიანი[6], მ.ლორთქიფანიძე[7] და მატიანე ქართლისა[8], თბილისის დაბრუნებას ხელი შეუშალა მეფის კარზე არსებულმა კლანურმა დაჯგუფებამ, რომელიც თუ მანამდე ფარულ ხასიათს ატარებდა აშკარა გახდა 1040 წლიდან და, როგორც ირკვევა მიმართული იყო უშუალოდ ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგაც, ვინაიდან ამ დაჯგუფების წევრებმა დაარწმუნეს მეფე, რომ იმ ეტაპზე ლიპარიტის გეგმის განხორციელებას თბილისის აღებასთან დაკავშირებით, ბევრად სჯობდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება, რაც ეწინააღმდეგებოდა ლიპარიტ ბაღვაშის კურსს და, როგორც ამის შესახებ ერთხმად თანხმდებიან ქართველი ისტორიკოსები, სწორედ ეს იქცა მისი მეფისადმი გაორგულების მიზეზი და დაიწყო მათი 15 წლიანი დაპირისპირება.

თუმცა, ეს ბოლო მოსაზრება გარკვეულწილად ეჭვქვეშ დგება, ვინაიდან ი. ჯავახიშვილი 1038-1040 წლების ალყის თბილისისათვის მოხსნას, ეყრდნობა რა იბნ-ალ ასინის ცნობებს, ძირითადად მაინც სომხეთსა და აზერბეიჯანში თურქ-სელჩუკთა შესვლას უკავშირებს, მ. ლორთქიფანიძე ამაში ლიპარიტის მოწინაღმდეგეების ხელს ხედავს, თუმცა არც ის გამორიცხავს მეფეზე სელჩუკთა ლაშქრობის ზემოქმედებას, ვ, კოპალიანი კი, მათგან განსხვავებით პირდაპირ წერს, რომ ბაგრატ მეფე მოექცა ლიპარიტ ბაღვაშისა და ივანე აბაზისძის მოწინააღმდეგე ფეოდალების გავლენის ქვეშ.

ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილ პოზიციას კი სარწმუნოდ ხდის ის, რომ 1038 წელს ახლო აღმოსავლეთში თოღრულ ბეგმა საფუძველი მართლაც ჩაუყარა თურქ-სელჩუკთა

---

[5] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1983 წელი. გვ. 11.

[6] ვ. კოპალიანი, საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბილისი, 1969 წელი, გვ. 181-182.

[7] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს პოლიტიკური და საგარეო ვითარება X საუკუნის 80-იანი წლებიდან XI -საუკუნის 80-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III , თბილისი, 1979 წელი, გვ.162-163.

[8] მატიანე ქართლისა''-ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი, 1955 წელი. გვ. 296.

სახელმწიფოს, რომელიც მოკლე ხანში იქცა დიდ თავის ტკივილად, რადგან დაარსებიდან მოკლე ხანში დაიპყრო ხორეზმი, ირანი, აზერბაიჯანი, 1071 წელს დაამარცხა ბიზანტია, 1074 წელს კი საქართველო და ამით დაიწყო დიდი თურქობა საქართველოში.[9]

II. მეორე ეტაპზე, ლიპარიტ ბაღვაში ბიზანტიელთა მხარზე იბრძვის, მაგრამ საწყის პერიოდში, ანუ 1045 წელს იგი ბიზანტიელებთან ერთად ჩნდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ ბიზანტიელებმა მიზნად დაისახეს ანისის (სომხეთის) დაპყრობა და მოახერხეს მისი მეფის გაგიკ II ხელში ჩაგდება, რომელიც შინაპატიმრობაში გამოკეტეს. ანისის ფეოდალები კი ეახლნენ ბაგრატ მეფეს და გადასცეს ანისის სამეფო, რაც იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ბაგრატის დედა მარიამი იყო ვასპურაკანის მეფის სენექერიმ არწრუნის ასული და ანისის ტყვედყოფილი მეფე გაგიკ II-ის მამიდაშვილი.

თუმცა, ბაგრატმა ვერ შესძლო ანისის სამეფოს თავის საზღვრებში მოქცევა, ვინაიდან ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს ანისს, რაც გაჭიანურდა და შეიპყრეს რა ლიპარიტ ბაღვაშის მიერ მოსალაპარაკებლად მიწვეული, ანისში მყოფი მარიამ დედოფლის ამალის წევრები (ერისთავი აბუსერი, იოანე ერისთავი, იოანე დადიანი და ბეჭის ციხის პარტონი გვარამ გოდერძისძე), ანისის სამეფო დაეცა.

მართალია, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფია გარკვეულწილად გვერდს უვლის მარიამ დედოფლის ამალის წევრების შეპყრობის რეალურ მიზეზს, მაგრამ ცალკეული წყაროებიდან მაინც ხდება ცნობილი, რომ ამ დროს, ანუ სომხეთში მყოფი მეფის ამალის წევრების დატყვევების მომენტში, მეფე ბაგრატ IV-ეს შეპყრობილი უნდა ჰყოლოდა ლიპარიტ ბაღვაშის შვილი ივანე. რაც გარკვეულწილად აჩენს გონივრულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ დედოფლის ამალის წევრების შეპყრობა ლიპარიტის მხრიდან იყო მეფის მოქმედებაზე, შვილის ბედით შეწუხებული მამის საპასუხო ნაბიჯი, ანუ ადგილი ჰქონდა ქართველ დიდებულთა მძევლად აყვანას, რათა მათი მეშვეობით ლიპარიტს შეძლებოდა შვილის დახსნა მეფის ტყვეობიდან.

ამგვარი მოსაზრების საფუძვლიანობას კი ის გარემოება ადასტურებს, რომ ლიპარიტი ითხოვდა შვილის გაცვლას აბუსერ ერისთავში, მაგრამ ეს გაცვლა შესდგა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ანუ მაშინ როცა ორივემ ძალიან შეტოპა ერთმანეთთან ბრძოლაში და არა მხოლოდ ერთმანეთს ავნეს არამედ ძლიერ დააზიანეს ქართული ინტერესები და იმ პერიოდში გაუადვილეს ბიზანტიას საქმე, რაც საქართველოს დასუსტებასა და მისი ტერიტორიების დაპყრობაში გამოიხატა. კერძოდ, აღნიშნულს მოჰყვა ბიზანტიელთა ლაშქრობა საქართველოში, რომლებთან ერთად იმყოფებოდა ლიპარიტ ბაღვაშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ადვილად შესაძლებელია, რომ მის არსებაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესების გათვალისწინებით, ლიპარიტ ბაღვაში იქცა პიროვნებად, რომლის ქცევის პროგნოზირება შეუძლებელი გახდა და მასში ეს განცდა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მოინდომა სამართლიანობის აღდგენა საპასუხო ძალადობით, რაშიც მაღალი ალბათობით იმ ფაქტორმაც ითამაშა გადამწყვეტი როლი, რომლითაც მან კარგად იცოდა, რომ მეფეს ლიპარიტის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის არავინ დასჯიდა.

რაც შეეხება ბაგრატ მეფეს იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო ჯავახეთში, თუმცა ნაცვლად იმისა, რომ ჯარი შეეკრიბა და მტრის დამარცხებაზე ეფიქრა, შურისძიებამ ისე დარია ხელი, რომ 1045 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თავს დაესხა უკაცო ბაღვაშების ოჯახს, მოახერხა ლიპარიტ ბაღვაშის მეუღლის ხელში ჩაგდება და ჩაიდინა ისეთი უმძიმესი ცოდვა, როგორც ამ

[9] ნ. შენგელია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 9, თბილისი, 1985 წელი, გვ. 279.

ქალის ისე მისი ოჯახისა და მეუღლის წინაშე, რომ მასზე საუბარსაც კი ქართველი და სომეხი ისტორიკოსები გაურბოდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში სამეფოს ინტერესებიდან გამომდინარე ,,საჩოთირო ისტორიად" მოიხსენიებდენ, მაგრამ ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი კედერნესგან გახდა ცნობილი, რომ რახან ლიპარიტს ვერაფერი დააკლო ბაგრატ მეფემ შეურაცხყო ლიპარიტის საწოლი. ანუ, გააუპატიურა ლიპარიტის მეუღლე (ზოგი მონაცემით, გაუპატიურებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი მოხდა მეფის ბრძანებით და არა უშუალოდ მეფის მიერ), რასაც იმავე ავტორის მტკიცებით მოჰყვა ლიპარიტის მხრიდან ანალოგიური შეურაცხყოფა მეფის დედის მარიამის მიმართ, კერძოდ იგი წერს, რომ ლიპარიტმა მეფეზე მისი დედის შეურაცხყოფით იძია შურიო[10].

როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაშიც, ვერაფრით ვერ იქნება უარყოფილი საფუძვლიანი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ლიპარიტ ბაღვაშის მიერ მეფის ოჯახისათვის უმძიმესი შეურაცხყოფის მიყენება იყო თვით მეფის მიერ ლიპარიტ ბაღვაშისათვის მიყენებული ანალოგიურ შეურაცხყოფაზე, დამცირებული ქმრის იდენტური პასუხი.

ყოველივე ამით კი, როგორც იტყვიან მეფემ და ლიპარიტმა ერთმანეთთან მისასვლელი ყველა ხიდი დაწვეს და ქვეყანა სამოქალაქო ომში აღმოჩნდა ჩათრეული. თანაც, როგორც ეტყობა მეფის ეს უმსგავსო საქციელი იმდენად მძიმე აღმოჩნდა მისი ქვეშევრდომებისათვის, რომ მათ მონაწილეობა არ მიიღეს ლიპარიტის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ, ცნობილია, რომ მესხების ჯარმა თითქოსდა დააგვიანა და ამან განაპირობა მეფის ჯარის მარცხი სასირეთში, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, რომ მესხები, რომლებიც განსაკუთრებულად აფასებდნენ ვაჟკაცობას და ოჯახის სიწმინდეს, შეგნებულად არ მივიდნენ იმ მეფის დასახმარებლად, რომელმაც უმძიმესი შეურაცხყოფა მიაყენა ქვეშევრდომს თანამეცხედრის გაუპატიურებით, რის გამოც ბაგრატ მეფემ 1047 წელს დაიქირავა ვიკინგების 3000 კაციანი ლაშქარი, საიდანაც 2300 დატოვა ქუთაისის მახლობლად სოფელ ბაშში, სავარაუდოდ საჭიროების შემთხვევაში სატახტო ქალაქის დასაცავად, ხოლო 700 ვიკინგი თან იახლა ლიპარიტის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ დღევანდელ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთთთან გამართულ ბრძოლაში, ამ უკანასკნელმა სასტიკად დაამარცხა ვიკინგები, რომლებიც მანამდე მთელი 300 წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდნენ ევროპას. თანაც, მათმა მეთაურმა ინგვარმა ორი ძმა დაკარგა ამ ბრძოლაში.

დამარცხებული ვიკინგები კი ლიპარიტ ბაღვაშმა ორჯერ დაამცირა პირველად იმით, რომ პურის საკაზმავად, ანუ პურის გასაცხრილავად დასვა, ხოლო მეორედ იმით, რომ ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაანთავისუფლა და სამშობლოში წასვლის ნება დართო, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ მათ ერთი მონეტის საღირლადაც არ მიიჩნევდა[11]. ამ ვიკინგთა ნაწილი, ქუთაისთან ახლოს, დღეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში დარჩა, სადაც ახლაც ცხოვრობენ მათი შთამომავლები[12], თუმცა, სწორედ ლიპარიტ ბაღვაშის გამო, ვიკინგი ვერ იქცა საქართველოში უძლეველობის სინონიმად, ჰუნებისაგან განსხვავებით, რომლებიც V საუკუნეში მართალია ასევე დაამარცხეს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ მარტვილის მუნიციპალიტეტის ამჟამად სოფელ ხუნწში, ეგრისელებმა, მაგრამ მათი ვაჟკაცობით მოხიბლული ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ეს ბიზანტიელი ისტორიკოსისა და

---

[10] გიორგი კედრენე. გეორგიკა. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტომი 5,თბილისი, 1963 წელი. გვ. 55.

[11] ჯ. სამუშია, საქართველოს სამხედრო ისტორია. თბილისი, 2017 წელი.

[12] Intermedia.ge (სტატია/ 10001/-ვიკინგები საქართველოში/89.

იურისტის აგათია სქოლასტიკოსისგან ხდება ცნობილი, გარკვეული ხნის მანძილზე თავიანთ თავს უწოდებდნენ ონოგურებს,[13] ანუ ჰუნების მეტსახელს.

მეტიც, ადგილობრივებმა იმითაც უკვდავყვეს დამარცხებული ჰუნები, რომ ონოგურისის სახელი უწოდეს ამ სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ციხეს (მისი ნანგრევები აღმოჩენილი იქნა 2016 წელს) და, რომელთანაც არის დაკავშირებული ეგრისის ისტორიის ტრაგიკული ფურცელი, რადგან ეგრისის მეფე გუბაზ II-ის მუხანათურად მკვლელობის (554 წელს) ოფიციალურ მიზეზად, ბიზანტიელი მოხელეები ასახელებდნენ მის უარს მონაწილეობა მიეღო ამ ციხის ირანელებისაგან განთავისუფლებაში[14].

ვიკინგების დამარცხებისა და საკუთარი ოჯახის შეურაცხყოფისთვის პასუხის გაცემის შემდეგ, ლიპარიტ ბაღვაშმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ძალა მეფეს, როცა აიღო არყის ციხე, რა დროსაც ხელში ჩაუვარდა სულა კალმახის ერისთავი (ანუ ის, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ თავად ლიპარიტ ბაღვაში შეიპყრო და გადასცა მეფეს), დაიბრუნა თავისი შვილი ივანე და, როგორც ეტყობა ამით დაცხრა მისი სიბრაზე, რადგან თუმცა, მეფე ითხოვდა მასთან შეხვედრას და გაეშურა კიდეც ლიპარიტთან შესახვედრად მცირე ამალით, მიუხედავად, იმისა, რომ შეეძლო დამარცხებული მეფის კიდევ უფრო დამცირება მისი ხელში ჩაგდებით და მოკვლაც კი, როცა დაინახა, რომ მეფე მცირე ამალით ხოვლეს უახლოვდებოდა თავად ლიპარიტი განერიდა მას.

III. რაც შეეხება ლიპარიტის ცხოვრების შემდგომ პერიოდს, ანუ პირობითად მესამე ეტაპს, ცნობილია, რომ იგი ბიზანტიელებთან ერთად ებრძოდა თურქ- სელჩუკებს, მაგრამ 1048 წელს ბასიანთან ტყვედ ჩავარდა და მხოლოდ 1051 წელს დააღწია თავი ტყვეობას. საქართველოში დაბრუნებული კი შეურიგდა მეფეს, მაგრამ 1058 წელს მეფემ შეიპყრო და იძულებით შეაყენა ბერად.

IV. მესამე ეტაპით მთავრდება ლიპარიტ IV-ე ბაღვაშის ბობოქარი საერო ცხოვრება, რადგან მეოთხე ეტაპთან დაკავშირებით ის არის ცნობილი, რომ ბერად შედგომის შემდეგ ლიპარიტ ბაღვაში ბერობაში კი ანტონ (ლიპარიტყოფილი) ბიზანტიაში გადაიხვეწა, სადაც დაარსა შავ მთაზე წმინდა ბარლაამის ქართველთა მონასტერი, გვერდში ედგა ქართველ განმანათლებელ გიორგი მთაწმინდელს, ქართული ეკლესიის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, შექმნა არაერთი ლიტერატურული ნაწარმოები, ხოლო კონსტანტინეპოლში გარდაცვალების შემდეგ მას აღაპიც, ანუ სულის მოსახსენიებელი დაუწესეს[15] და ,,დიდად სახელოვანი" ანტონის ნეშტი ჩამოასვენეს რა საქართველოში დაკრძალეს კაცხში.[16]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება შემაჯამებელი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ:

---

[13] აგათია სქოლასტიკოსი, ,,გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ''. ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტომი 3, თბილისი, 1936 წელი.

[14] პ(თ) მონიავა, ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, კრიმინოლოგი, 1 (115) ISSN 1512-3804, რომელიც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერით, საქართველო, თბილისი, 2020 წელი გვ. 126-137.

[15] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 6. თბილისი, 1983 წელი, გვ. 247.

[16] ღირსი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა (ისტორიული მიმოხილვა) მეფე ბაგრატ IV(Not.secure/ortodaxy.ge/tveni/ivnisi/Giorgi-mtatsmindeli.htm.

1) ლიპარიტ ბაღვაშის მისამართით ცალსახად იმის მტკიცება, რომ თავიდანვე იგი ბიზანტიის აგრესიული აგენტი და საქართველოს ერთიანობის მტერი იყო, როგორც უტყუარი ფაქტი არ გამომდინარეობს არსებული მასალებიდან.

2) პირიქით, ისტორიული მასალები, რაც არცთუ ისე იშვიათად ტენდენციურიც კი ჩანს მის წინააღმდეგ, მაგრამ შიგადაშიგ მაინც გამოსჭვივის ჭეშმარიტება, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ლიპარიტ ბაღვაში, საწყის ეტაპზე, თავის თავს ხედავდა მეფის გვერდით, ამ მიზნით შექმნა პატრიოტთა დასი და თავს არ ზოგავს საქართველოს ერთიანობისა და ძლიერებისთვის, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნია, ქვეყნის გულში, კერძოდ მის დედაქალაქ თბილისში, სიმსივნედ ქცეული საამიროს (იგი, როგორც არაბთა სახალიფოს ვასალური პოლიტიკური ერთეული არსებობდა საქართველოში 736-1122 წლებში და თავისი დამოუკიდებლობისათვის ებრძოდა ქართულ სამეფოს) ამოძირკვა და მასზე მეფის ცენტრალური ხელისუფლების გავრცელება.

თუმცა როცა ეს შეუძლებელი გახდა, მის მიმართ მეფის დამოკიდებულების გაცივების გამო, რაც სავარაუდოთ არა მხოლოდ იმით იყო განპირობებული, რომ მეფის გარემოცვაში საკმაოდ იყვნენ მისი გაძლიერების მოწინააღმდეგე მედროვეები, არამედ საფიქრალია, რომ ასევე მრავლად იყვნენ, თბილისის საამიროს და მეზობელი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების აგენტებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობას, თანაც დარწმუნდა, რომ სამეზობლოში თურქ-სელჩუკთა სახით გამოჩენილ საფრთხეს მხოლოდ საქართველო ვერ გაუმკლავდებოდა, დიდ ბოროტებას ამჯობინა მცირე ბოროტება და ვინაიდან ბიზანტიასაც იგივე ხვედრი ელოდა, რაც საქართველოს, გადაწყვიტა მასთან ერთად და შესაბამისად მისი, ანუ ბიზანტიის ხელით ქართული საქმის კეთება, თუმცა არ გამოუვიდა, რაც ასევე მაღალი ალბათობით იძლევა საფუძველს ითქვას, რომ თანამედროვე გაგებით ლიპარიტ ბაღვაში არის იმ დროს არსებული პოლიტიკური და შესაბამისად საზოგადოებრივ ურთიერთობათა, ანუ პირველადი ვიქტიმირების მსხვერპლი.

ამგვარ მოსაზრებას, რომ ნამდვილად აქვს არსებობის უფლება და დავის შემთხვევაში მის წარმატებით გამოყენებასაც შეეცდება ლიპარიტ ბაღვაშის ინტერესების დამცველი მხარე, აღნიშნული, თავის მხრივ, დადასტურებას პოულობს თუნდაც მასში, რომ ლიპარიტ ბაღვაშის ბერად აღკვეცის შემდეგ, სულ რამდენიმე წელიწადში, თურქ-სელჩუკები იმდენად მომძლავრდნენ, რომ ბიზანტია მას ვერ უწევდა ჯეროვან წინააღმდეგობას, რის გამოც ეტაპობრივად დაიწყო მის მიერ დაკავებული ქართული ციხე სიმაგრეების დატოვება და საქართველოსთვის მათი გადაცემა. ხოლო მანამდე, თურქ-სელჩუკთა გაძლიერებასთან ერთად,, მე-XI საუკუნის 60-იან წლებში კვლავ აღსდგა ბიზანტიისა და საქართველოს შორის ურთიერთობა, კერძოდ ბაგრატ IV-ემ თავისი ქალიშვილი მარიამი, 1065 წელს, ცოლად მიათხოვა იმპერატორ კონსტანტინე დუკას,[17] რითაც აღადგინა მასთან პოლიტიკური კავშირი. თუმცა, ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდა და ვერ იხსნა ქვეყანა დიდი თურქობისაგან, რაც დაიწყო 1074 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც მანასკერტის ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა დაამარცხეს ბიზანტია და გზა ხსნილი ჰქონდათ საქართველოსკენ[18].

3) ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მაღალი ალბათობით შეიძლება იმის თქმაც, რომ მეფესა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის ურთიერთობის გაუარესების მიზეზი, ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით მათი ხედვების განსხვავებებში უნდა ვეძებოთ, რადგან ლიპარიტ

---

[17] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2, თბილისი, 1977 წელი, გვ. 128-129.

[18] ენციკლოპედია საქართველო, ტომი 2, თბილისი, 2012 წელი, გვ. 17-18.

ბაღვაში ქვეყნის გაერთიანებისკენ მიმავალ ერთადერთ გზად, საწყის ეტაპზე, მიიჩნევდა თბილისის საამიროს გაუქმებას და ქვეყნისთვის დედაქალაქის დაბრუნებას, რისთვისაც არ იშურებდა ძალას და ენერგიას. მეტიც, ამისთვის დაივიწყა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციაც კი, რადგან შეიპყრო მის სიტყვას მინდობილი თბილისის ამირა ჯაფარი და ამით შექმნა ნიადაგი თბილისის ასაღებად, ხოლო როცა ამას ვერ მიაღწია და თანაც დარწმუნდება, რომ გარშემო მყოფ მტრულ სახელმწიფოთა გარემოცვას, თანაც თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს არნახულად მომძლავრების პირობებში, ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება, დაიწყო ქვეყნისთვის და ალბათ საკუთარი მიზნებისთვისაც, მოკავშირის ძებნა და ასეთად მიიჩნია, მრავალსაუკუნოვანი ერთობით დაკავშირებული ბიზანტია.

შესაბამისად, ძნელია ეჭვი შეიტანო მასში, რომ ლიპარიტს თავისი ქვეყანა არ უყვარდა და მისთვის რომ ევნო ამისთვის დაამყარა ბიზანტიასთან კავშირი, რადგან თვით ქართველი მეფეები და მათ შორის ბაგრატ მე-IV დიდი პატივით ატარებდა ბიზანტიის იმპერატორისგან ბოძებულ კუროპალატის ტიტულს. თუმცა, ისიც ფაქტია, ბიზანტიისკენ გადადგმული ნაბიჯით ამ ქმედების და შესაბამისად მესამეული ვიქტიმირების მსხვერპლი თავად ლიპარიტი გახდა, რადგან მისი მონაწილეობით ჩაიგდეს ხელში ბიზანტიელებმა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამდენად, შემდგომში ლიპარიტ ბაღვაშის ოჯახთან დაკავშირებით განხორციელებული ვანდალური ქმედება, გარკვეულწილად არის კიდევაც პროვოცირებული თვით ლიპარიტის მიერ, ვინაიდან სწორედ ამისთვის დასაჯა იგი მეფემ იმ წესით, რომლითაც ,,ბიზანტიელი იმპერატორები სჯიდნენ თავიანთ ხელქვეითებს“, თუმცა, მთელს ამ პროცესში ასევე დიდია მეფისა და მისი გარემოცვის ხვედრითი წილი.

რაც შეეხება ბაგრატ IV-ეს, ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით იგი ლიპარიტ ბაღვაშისაგან განსხვავებულ პოზიციაზე იდგა კერძოდ, მას ლიპარიტის მსგავსად მართალია მიაჩნდა, რომ თბილისის საამირო უნდა ამოკვეთილიყო ქართული სახელმწიფოს სხეულიდან, მაგრამ არ ჩქარობდა ამის გაკეთებას, რადგან მას როგორც ქვეყნის ხელისუფალს საამისოდ ალბათ ჰქონდა თავისი გათვლები, როცა თბილისის ამირა 5 წლიანი ტყვეობიდან გაანთავისუფლა და მაშინაც, როცა 2 წლიანი ალყა მოხსნა და გასაქცევად გამზადებულ თბილისის ამირასთან ზავი გააფორმა. თუმცა, მისი შემდგომი ქცევა ლიპარიტის მიმართ (იგულისხმება მისი უმწეო მეუღლის გაუპატიურება) რაოდენ მძიმე დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა ლიპარიტ ბაღვაშს, სცდება არა მხოლოდ მირონცხებული მეფის არამედ ნებისმიერი ადამიანის ქცევის დასაშვეობის ფარგლებს, რის გამოც მისი, როგორც მეფის ოჯახის, კერძოდ დედის შეურაცხყოფა ლიპარიტ ბაღვაშის მიერ, პროვოცირებულია თვით მეფის მიერ და ეს უკანასკნელი ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად წარმოადგენს ვიქტიმირების მსხვერპლს.

4) ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ ლიპარიტ ბაღვაშისაგან განსხვავებით ქართულმა ისტორიოგრაფიამ აშკარად დაინდო ბაგრატ IV-ე, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილისათვის დღესაც კი უცნობია რეალური ინფორმაცია, თუ რა გახდა მეფისა და ლიპარიტ ბაღვაშის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებისა და სამოქალაქო ომის მიზეზი და ეს გაკეთდა სრულიად შეგნებულად კერძოდ, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მასში, რომ ქართული საერო საზოგადოება, ეკლესიის შთაგონებით, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ქართველ მეფეთა ქრისტესთან ნათესაობას რითაც ამართლებდა მათ მოხსენიებას ,,მესიის მახვილად“ და ეროვნულობისა და სარწმუნოების გაიგივებით ნერგავდა რწმენას ქართველი ხალხისა და საქართველოს როგორც ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყნის საგანგებო ისტორიული მისიის შესახებ.

მსგავსი მესიანისტური იდეის ქადაგება ქვეყნის სასულიერო და საერო ხელისუფალთ სჭირდებოდათ ერთის მხრივ მტრულად განწყობილი გარეშე ძალების პოლიტიკური აგრესიისგან თავდასაცავად და დაპყრობითი ომების წარმოების გასამართლებლად, მეორეს მხრივ კი, როგორც მუსულმანური რელიგიის, ისე ბიზანტიური და სომხური ეკლესიების იდეოლოგიური პრეტენზიების შესაკავებლად.

ამდენად, აშკარაა, რომ ამ სახით მიზანმიმართული პროპაგანდის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ მეფის ფიგურა, რომელიც ,,ღვთის სწორად" იყო მიჩნეული და შესაბამისად ზნეობრივი თვალსაზრისითაც უნდა ყოფილიყო იგი სხვათაგან გამორჩეული. მოცემულ შემთხვევაში კი თუ საზოგადოება გაიგებდა, ბაგრატ მეფის მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქციელის შესახებ, ამით ეჭვქვეშ დადგებოდა არა მხოლოდ მისი პირადი ავტორიტეტი არამედ ის იდეა, რომლითაც ქრისტეს მონათესავე და ამდენად გამძაფრებული პიროვნული ღირსების მატარებელი ქართველი ხალხის ბაზაზე, ქრისტეს ნათესავი ბაგრატიონთა გვარის მეფეთა წინამძღოლობით უნდა შექმნილი ერთიანი ძლიერი სახელმწიფო[19].

შესაბამისად, სწორედ ამით უნდა იყოს ნაკარნახები ის გარემოება, რომ რეალურად არსებული მოვლენების დამახინჯების გამო, ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციიდან შეგნებულად ამოგდებული იქნა რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოება სიცრუის თუ სიმართლის თვალსაზრისით, ლიპარიტ ბაღვაშისა და ბაგრატ IV-ის ურთიერთობიდან, ანუ იმოქმედა პრინციპმა, რომლითაც ,,მეფე ყოველთვის" მართალია და დაიხატა იმდაგვარი სურათი, რომ ლიპარიტ ბაღვაში სრულიად უმიზეზოდ, მხოლოდ საკუთარი მენკანტილური მოსაზრებიდან გამომდინარე იქცა ქვეყნის ერთიანობის მტრად და ბიზანტიის აგრესიულ აგენტად, ხოლო, რაც შეეხება მეფეს იგი თავის ქვეშევრდომთან მიმართებაში ყოველმხრივ მართალია. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებისთვის მიწოდებული ეს დამახინჯებული ინფორმაცია კი, თავის მხრივ იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ საუკუნეების გასვლის მიუხედავად დღემდე არ დაქვემდებარებია, თუნდაც მეცნიერთა ნაშრომებში გადასინჯვას.

ეს მაშინ როცა არსებობს საფუძველი ითქვას, რომ ლიპარიტ ბაღვაში თავის ოჯახთან ერთად თავს მიიჩნევდა და არც თუ უსაფუძვლოდ, მეფის და მისი მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული ქმედების, ანუ სისტემური და განგრძობადი ვიქტიმიზაციის მსხვერპლად, რადგან არ სჯეროდა, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ და შემდგომში დაცული იქნებოდა მსგავსი დანაშაულისაგან.

შესაბამისად, რადგან არ ჩანდა იმის პერსპექტივაც, რომ თავიდან იქნებოდა აცილებული პირადად მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ რევიქტიმაციის საფრთხე, ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამანაც შეუწყო ხელი იმას, რომ ლიპარიტ ბაღვაშმა ვერ შესძლო ჩაეხშო მასში სახიფათოდ აკუმულირებული აგრესია მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფოს მხრიდან სწრაფად და ობიექტურად რეაგირების არ არსებობის გამო.

ამგვარი პოზიციის სასარგებლოდ, გარდა ზემოთ მოტანილი არგუმენტებისა, მეტყველებს სხვა მთელი რიგი გარემოებები, მაგალითად ის, რომ ქართულ სინამდვილეში არსებული არაერთი ჩვეულება, მოგვიანებით იქცა რა საკანონმდებლო აქტად, ცოლის მიმართ განხორციელებული ქმედებით შეურაცხყოფილ ქმარს აძლევდა უფლებას ხელყოფილი პატივი და ღირსება სამაგიერო დარბევით, დაწვით ან მოტაცებით დაეცვა (იხ. გიორგი ბრწყინვალეს მიერ 1334-1335 წლებში შექმნილი ,,ძეგლის დადება," მუხლები 22-ე და 23-ე). ხოლო ბექასა და

[19] პ(თ) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), გამომცემლობა ,,მერიდიანი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 34-35.

აღბუღას სამართლის წიგნი (იგი შედგენილი უნდა იყოს 1381-1386 წლებში, სამცხეში) ომში გამარჯვებას სავაჟკაცო საქმედ მიიჩნევდა. თუმცა, გამარჯვებული მხოლოდ სახელით უნდა დაკმაყოფილებულიყო და სხვა მხრივ შეურაცხყოფა არ უნდა მიეყენებინა დამარცხებულისათვის, მაგრამ თუ გამარჯვებული დაარღვევდა ამ მოთხოვნას, აბჯარს გახდიდა დამარცხებულს და დატყვევებულს მიიყვანდა სახლში, მე-19 მუხლის თანახმად, მას არამხოლოდ წართმეული ნივთები უნდა დაებრუნებინა დამარცხებულისათვის, არამედ მიყენებული მორალური ზიანის საზღაურად ამ უკანასკნელის სისხლის ფასის ნახევარიც უნდა გადაეხადა[20].

ლიპარიტ ბაღვაშის სრული დახასიათებისთვის არც ის უნდა იყოს უმნიშვნელო დეტალი, რომ ბერად აღკვეცილს შეეძლო დაბრუნებოდა საერო ცხოვრებას, მაგრამ ამის ნაცვლად ქართული ეკლესიის და შესაბამისად ქართული საქმის კეთებას მიუძღვნა დარჩენილი სიცოცხლე, რისთვისაც ისეთი პატივისცემა დაიმსახურა, რომ მისი სულის მოსახსენიებლად აღაპიც კი იქნა დაწესებული და ქართულ მიწას მისი ნეშტი მიებარა არა როგორც მოღალატე ფეოდალი არამედ დიდად სახელოვანი ბერი ანტონი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ შეიქმნება საზოგადოება, რომელიც მიზნად დაისახავს ლიპარიტ IV-ე ბაღვაშის მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და სასამართლოს წინაშე დაისმება საკითხი ლიპარიტ ბაღვაშის მიმართ გავრცელებული იმ ინფორმაციის უარყოფის შესახებ, სადაც როგორც უტყუარი ფაქტი ნათქვამია, რომ ის თავიდანვე იყო ბიზანტიის აგრესიული აგენტი და ქვეყნის ერთიანობის მტერი, სრული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, თუკი სხვა უფრო მყარი არგუმენტები არ იქნება მის წინააღმდეგ წარდგენილი.

შესაბამისად, მართალია სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ამ ცნობათა უარყოფის, ან თუნდაც შესწორების საკითხი, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ გარდაცვლილ პირთა (თუმცა შესაძლებელია, რომ გამოყენებული იქნეს ცოცხალ პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შემთხვევაშიც) სახელისა და ღირსების დაცვის საქმეში ვიქტიმოლოგიის მეთოდების, ანუ მისთვის დამახასიათებელი ხერხებისა და საშუალებების გამოყენებას, თანაც თუ ამ პროცესში ჩართულნი იქნებიან ჟურნალისტური გამოძიების წარმოების გამოცდილების მქონე პირებიც, აქვს კარგი პერსპექტივა და ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული (თანაც არა მხოლოდ ზემოთ ჩამოვლილ არამედ ყველა იმ ვალდებულებით ურთიერთობებშიც, სადაც ბრალეულობა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია), რადგან როგორც წესი საზოგადოება, ადამიანს უდიდეს სიმდიდრედ მიიჩნევს. სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლი კი (თუნდაც უმნიშვნელო იყოს იგი), რაც მის სახელთან და ღირსებასთან ასოცირდება, ღირსეულად დაფასებას მოითხოვს.

საბოლოო დასკვნა- როცა ქვეყანაში კანონი არ კანონობს ადამიანი ხდება კანონი და სჯის დამნაშავეს.

[20] პ(თ) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2005 წელი, გვ. 51-52.

ლიტერატურა

1. E.Sutherland, Crimilogu-Pholadelfia,1924.
2. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედაქციო ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვები. გამომცემელი იაშა ბერაია), თბილისი, ,,ლოგოს პრესი,"2004 წელი, გვ. 351; 20 სმ-(სოციალურ მეცნიერებათა სერია/რედაქტორი მარინე ჩიტაშვილი).
3. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1983 წელი. გვ. 11.
4. ვ. კოპალიანი, საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბილისი, 1969 წელი, გვ. 181-182.
5. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს პოლიტიკური და საგარეო ვითარება X საუკუნის 80-იანი წლებიდან XI -საუკუნის 80-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III , თბილისი, 1979 წელი, გვ.162-163.
6. მატიანე ქართლისა -ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი ნ. შენგელია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 9, თბილისი, 1985 წელი, გვ. 279.I,
7. გიორგი კედრენე. გეორგიკა. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტომი 5,თბილისი, 1963 წელი. გვ. 55.
8. ჯ. სამუშია, საქართველოს სამხედრო ისტორია. თბილისი, 2017 წელი.
9. Intermedia.ge (სტატია/ 10001/-ვიკინგები საქართველოში/89.
10. აგათია სქოლასტიკოსი, ,,გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ''. ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტომი 3, თბილისი, 1936 წელი.
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 6. თბილისი, 1983 წელი, გვ. 247.
12. ღირსი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა (ისტორიული მიმოხილვა)
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2, თბილისი, 1977 წელი, გვ. 128-129.
14. ენციკლოპედია საქართველო, ტომი 2, თბილისი, 2012 წელი, გვ. 17-18.
15. მეფე ბაგრატ IV(Not.secure/ortodaxy.ge/tveni/ivnisi/Giorgi-mtatsmindeli.htm.
16. პ(თ) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), გამომცემლობა ,,მერიდიანი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 34-35
17. პ(თ). მონიავა, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2013 წელი, გვ. 307.
18. პ(თ) მონიავა, ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, კრიმინოლოგი, 1 (115) ISSN 1512-3804, რომელიც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერით, საქართველო, თბილისი, 2020. გვ. 126-137.

რეზიუმე

ფიზიკურ პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა ძირითადად პასუხობს მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. არსებული სასამართლო პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ ფიზიკურ პირს თავის სიცოცხლეში,

მეტნაკლებად შეუძლია თავისი პირადი არაქონებრივი სიკეთეების-პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და აშ. ეფექტურად დაცვა. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით გარდაცვლილთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამ მიმართებით მე-19 მუხლის არსებობის მიუხედავად, რომელიც აძლევს ნებისმიერ პირს უფლებას, თუ მას საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი, განახორციელოს სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნა, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც, ქართულ სინამდვილეში პრაქტიკულად არ ხდება იმ ისტორიულ პერსონაჟთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამო საზოგადოებრივ მეხსიერებას შემორჩნენ მხოლოდ უარყოფითი კუთხით. ეს მაშინ, როცა ცალკეულ შემთხვევაში მათ მიმართ არსებული უარყოფითი შეფასებები გარკვეულ კითხვებს ბადებს და მოითხოვს პასუხს იმასთან დაკავშირებით, ხომ არ არიან ისინი საზოგადოებრივი ან სხვა სახის ურთიერთობათა მსხვერპლნი და აშ. ნაშრომში, რომლის დასახელებაა-ლიპარიტ IV ბაღვაში, ვიქტიმიზაციის მსხვერპლი თუ ქვეყნის მოღალატე ფეოდალი /თვალსაზრისი, გარდაცვლილ პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საქმეში ვიქტიმოლოგიისთვის დამახასიათებელი ხერხებისა და საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე/გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება არა მხოლოდ ისტორიულ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებით, არამედ კრიმინოლოგიის ქვედარგის-ვიქტიმოლოგიისთვის დამახასიათებელი ხერხებისა და საშუალებების გამოყენებითაც. რაც მთლიანობაში კარგ პერსპექტივას ქმნის ისტორიკოსების, კრიმინოლოგების და კერძო სამართალის სფეროში მოღვაწე მკვლევართა ერთობლივი ძალისხმევით, სასამართლოს მეშვეობით, ერთხელ და სამუდამოდ ან უდავოდ დადასტურდეს ამათუიმ გარდაცვლილი პირის მიმართ არსებული უარყოფითი ინფორმაციების უტყუარობა, ანდა თუ მთლიანად არა ნაწილობრივ მაინც აღსდგეს მათ მიმართ ისტორიული სამართლიანობა, თუმცა ეს შესაძლებლობა დღემდე არ არის გამოყენებული. ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ კი წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ რა გვეჩვენებინა, რომ ვიქტიმოლოგიისთვის დამახასიათებელი ხერხებისა და საშუალებების გამოყენება იძლევა გარდაცვლილ პირთა პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, ყურადღება შეჩერდა XI საუკუნეში მოღვაწე, ლიპარიტ IV ბაღვაშის პიროვნებაზე, რომელიც თითქმის ყველა ისტორიულ დოკუმენტში შერაცხულია ბიზანტიის აგრესიულ აგენტად და ქვეყნის მთლიანობის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ. თუმცა, კვლევის შედეგები იძლევა საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს მის მიმართ განხორციელებული ვიქტიმიზაციის მსხვერპლად.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმოლოგია, მსხვერპლი, ისტორიული პერსონაჟი, პირადი უფლებები, დაცვა, ლიპარიტ ბაღვაში.

Polikarpe (Temur) Moniava

Liparit IV Baghvashi, Victim of Victimization or CountryTraitor Feudal Lord

Summary

The national and international legislation related to protection of individuals' personal non-property rights generally meet the requirements imposed on them. Whereas the existing judicial practice proves that throughout his/her life a natural person is more or less able to effectively protect his/her personal non-material good, such as honor, dignity, business reputation, etc. However, this is not

the case with the protection of personal non-property rights of the deceased. Despite the availability in this regard of Article 19 in the Civil Code of Georgia, under which any individual is entitled, in case of having a worthy interest in protection, to implement the requirement for protection of name and dignity, which is a determinant of individual's essence and which continues even after his/her death, in the Georgian reality there is practically no protection of the personal non-property rights of those historical figures who, due to some subjective or objective circumstances, have been publicly remembered only in a negative light. And that despite the fact that in some instances the negative assessments of them raise certain questions and require answers as to whether they are or not the victims of public or some other relationships etc. The paper entitled - Liparit IV Baghvashi, a victim of victimization or a feudal lord who betrayed his country/ An opinion on possible application of the methods and means typical for victimology in the case of protection of the personal non-property rights of the deceased/ offers an assumption that this question could be answered not only through reconciling historical evidence, but also by using the techniques and means typical for victimology, being a sub-field of criminology. This, in turn, creates a good prospect to prove once and forever or irrefutably, through the joint efforts of the historians, criminologists and private law scholars, as well as through court, the veracity of negative information concerning this or that deceased person, or to restore at least partially, if not fully, the historical justice for them, provided that this opportunity has not been used up until now. To illustrate all the aforesaid, given that the present paper aimed to show that the application of the methods and means typical for victimology allowed for protection of the personal rights of the deceased, the focus was made on the personality of Liparit IV Baghvashi, an 11th century figure, who is referred to in nearly all historical documents as an aggressive agent of the Byzantine and an irreconcilable opponent of the country's integrity. However, the study findings provide grounds for considering him a victim of victimization.

Key words: victimology, victim, historical figure, personal rights, protection, Liparit Baghvashi.

ციალა ჩქარეული
საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებანი ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მკურნალობის საქმეებთან დაკავშირებით

საქართველოში ტუბერკულოზის კვალი VI-VII საუკუნეების ნამარხებშია დაფიქსირებული. ქართული სამედიცინო წყაროებიდან, ტუბერკულოზი პირველად ნახსენებია ,,უსწორო კარაბადინში" X საუკუნეში. ზოგადად, ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი ნიშნები პირველად ჰიპოკრატემ აღწერა. ავიცენამ კი დაავადების დროს ორგანიზმის მდგომარეობის აღწერილობა მოგვცა.... [1] მართალია, გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა მე-19 საუკუნეში აღმოაჩინა ტუბერკულოზის გამომწვევი მიკრობაქტერია და ტერმინი ,,ტუბერკულოზი" - ფრანგი მეცნიერის ლაენეკის მიერ დამკვიდრდა, თუმცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად ეგვიპტეში აღმოჩენილ ზოგიერთ მუმიას, სწორედ ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელი ნიშნები აღენიშნებოდა. ამდენად, ტუბერკულოზი არ აღმოჩენილა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს, იგი უხსოვარი პერიოდიდან არსებობდა.

ტუბერკულოზი მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა ვერ იქნება, იგი გლობალური ხასიათისაა. მართალია, არსებობენ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, სადაც მძიმე სოციალური ფონია, მაგრამ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, შეუძლებელია ამ ქვეყნების იზოლაციაში მოქცევა, ვინაიდან მოსახლეობა მუდმივად გადაადგილდება (ტურიზმი, სხვადასხვა ხასიათის მიგრანტები...). ტუბერკულოზის გამომწვევი კი, მიკრობაქტერიათა დიდი ჯგუფია და იგი ვრცელდება ჰაერ-წვეთოვანი გზით, მტვრით, საერთო ჭურჭლით....

2015 წლის 11 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ", რომლის პირველივე მუხლი მის მიზანს განმარტავს, კერძოდ: ტუბერკულოზის ეფექტიანი კონტროლის გზით ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ტუბერკულოზის გავრცელების თავიდან აცილება, ტუბერკულოზის შემთხვევის მართვის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა და დაავადებულთათვის შესაბამისი დახმარების გაწევა. არანაკლები მნიშვნელობის ამოცანაა, ტუბერკულოზით დაავადებული პირის ინდივიდუალურ უფლებებსა და საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვას შორის ბალანსის დაცვა. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო რეალურად ზრუნავს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე. ევროკავშირთან ასოცირების პროცესში განსაკუთრებით აქტუალურია გადამდებ დაავადებებზე (მათ შორის, ტუბერკულოზზე) კონტროლის გამკაცრება. ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის მიზანია ტუბერკულოზზე ეროვნული რეაგირების ღონისძიებების შესაბამისობაში მოყვანა უახლეს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების სახელმძღვანელო

1 https://mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/ftiziatria/2634-tuberkulozi.html

პრინციპებთან. იგი მიზნად ისახავს ქვეყანაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი რეკომენდაციების დანერგვას. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის კონტროლის საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა. ამჟამად, ტუბერკულოზის კონტროლის სფეროში ძირითადი საერთაშორისო პარტნიორები არიან შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, ამერიკის მთავრობა (USAID, ჯანმო) და ექიმები საზღვრებს გარეშე - საფრანგეთი.[2]

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს 2017 წლის 01 იანვრიდან დაემატა VII[13] თავი[3] - ადმინისტრაციული სამართალწარმოება ,,ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით". სათაურივე მიგვანიშნებს არა საპროცესო კოდექსზე, არამედ ტუბერკულოზის შესახებ კანონზე, რომლის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, უნდა გამოვიყენოთ არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიებები. ასეთი გარემოების მხოლოდ სამ შემთხვევას გამოყოფს კანონი. პირველი - არანებაყოფლობითი იზოლაცია გამოიყენება იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც დაუდგინდა ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა, აქვს გადამდები ფორმა და უარს აცხადებს მკურნალობის დაწყებაზე. მეორე - არანებაყოფლობითი იზოლაცია გამოიყენება იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც აღენიშნება ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა და მკურნალობდა კიდეც, მაგრამ შეწყვიტა მკურნალობა (მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი) და ამჟამად ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე საბოლოოდ ამბობს უარს. მესამე - არანებაყოფლობითი იზოლაცია გამოიყენება იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც დაუდასტურდა ტუბერკულოზის შემთხვევა, დაავადებული იყო გადამდები ფორმით და მკურნალობდა, მაგრამ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა შეწყვიტა მის დასრულებამდე და მკურნალობის შეწყვეტის მომენტში კვლავ დაავადებული იყო ტუბერკულოზის გადამდები ფორმით. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის ადგილსამყოფლის მიხედვით. იმისათვის, რომ განსჯადი სასამართლო გავარკვიოთ, პირველ ყოვლისა, თავად ამ კატეგორიის საქმის სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებაში უნდა დავრწმუნდეთ. მხოლოდ ამის შემდგომ უნდა გავარკვიოთ საგნობრივი ქვემდებარეობის თემა, რომელსაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ეხება. მასში დეტალურადაა გაწერილი, თუ რა შეიძლება იყოს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი, რაზეც აქ აღარ შევჩერდებით და მხოლოდ ერთს შევნიშნავთ, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ტუბერკულოზით დაავადებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმე. რაც შეეხება ტერიტორიულ განსჯადობას, აქ უკვე სრულად სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დებულებები გამოგვადგება, მაგალითად, სარჩელი რომ მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით წარედგინება სასამართლოს... ჩვენს განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი წარედგინება სასამართლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი

[2] ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია

[3] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

ერთეულის ადგილსამყოფელის მიხედვით, როგორც ამას 21[52]-ე მუხლი გვეუბნება. ანუ, გარკვეულწილად ადმინისტრაციული პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურება შემოდის, როდესაც სარჩელის განსჯადობა სარჩელის წარმდგენი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილობრივი ერთეულის ადგილსამყოფელით განისაზღვრება. თუმცა, შემდგომი 21[53]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ცალსახად განმარტავს, რომ მიმართვას წარადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია ის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს მიმართა შუამდგომლობით, რათა კონკრეტული პაციენტის მიმართ გამოყენებულ იქნას არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიება. უკვე ნათელი ხდება, რომ ტერიტორიულობის პრინციპით განსჯადობის დასადგენად ერთდროულად ორი სუბიექტის ადგილსამყოფელია განმსაზღვრელი, კერძოდ: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული (1), რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია შუამდგომლობის წარმდგენი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება (2).

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელებაა. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისთვის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 48 საათში. ვინაიდან საათებითაა განსაზღვრული მოსამართლის ვალდებულება, შესაბამისად, სასამართლოს ადმინისტრაციასაც აკისრია ვალდებულება, რომ მიღებული მიმართვის გაფორმებისას, მხოლოდ თარიღის დაფიქსირებით არ შემოიფარგლონ და საათიც აღნიშნონ, რათა ათვლის წერტილი ქონდეს სასამართლოსაც და მხარეებსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, 48 საათიანი ვადის დარღვევა შესაძლოა დავის საგანი გახდეს და მეტიც, მიღებული ბრძანების/დადგენილების გაუქმების საფუძველიც. ასეთ შემჭიდროებულ პროცედურაში არც თუ ისე მარტივია პაციენტის/მსჯავრდებულის მიერ საპროცესო უფლებების სრულყოფილად რეალიზება. კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადები, უარყოფითად არ უნდა აისახოს საქმის სრულყოფილად და არსებითად გამოკვლევაზე. ადმინისტრაციული პროცესისათვის დადგენილი ყველა ძირითადი პრინციპი, აქაც ისეთივე სისავსით უნდა განხორციელდეს, როგორც სხვა კატეგორიის დავების გადაწყვეტის დროს.

მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის თაობაზე, სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელშიც აღინიშნება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც გახდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს კანონის მოთხოვნებზე; განმარტებული უნდა იყოს, სხდომის ღიაობით ვის ან რას შეიძლება მიადგეს ზიანი და რაში შეიძლება ეს იყოს გამოხატული; კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული რა უფლება შეიძლება შეილახოს და სხვა..... სხდომის დახურვის თაობაზე მოტივირებული განჩინების მიღება სავალდებულოა.

სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია, თუ ეს საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირების ჯანმრთელობას (აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს ტუბერკულოზის ფორმები, მათ შორის, აქტიურ გადამდებ ფაზაში მყოფი...). საქმის განხილვაში, პაციენტის გარდა, უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის და

შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლები, პაციენტის ადვოკატი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – პაციენტის სხვა კანონიერი წარმომადგენელი. თუ პაციენტს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს. ანუ, ამ კატეგორიის საქმეებზე, კანონმდებლობით გარანტირებულია დაცვის უფლება, რაც გარდა კანონიერებისა, სამართლიანიცაა, ვინაიდან მხარეს ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა არც კი შეეძლოს საკუთარი ინტერესების სათანადოდ წარმოჩენა და დაცვა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის განსახილველად ატარებს გასვლით სასამართლო სხდომას იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, რომელშიც პაციენტი იმყოფება. ფაქტიურად, კანონმდებელმა ყველა პირობა გაითვალისწინა საქმის დროულად და სრულყოფილად გადაწყვეტის მიზნით.

არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიებები არის უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მაშინ, როდესაც ამოწურულია ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პაციენტის მიერ ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარების და მისი ნებაყოფლობითი მკურნალობის პროცესში ჩართვის ყველა საშუალება და არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიებების გამოყენების გარეშე, შეუძლებელია ინფექციის გავრცელების თავიდან აცილება. არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიებები შესაძლებელია განხორციელდეს: ა) იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც დაუდგინდა ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა, აქვს ტუბერკულოზის გადამდები ფორმა, მაგრამ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის დაწყებაზე უარს ამბობს; ბ) პაციენტის მიმართ, რომელმაც ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე საბოლოოდ თქვა უარი. ეს ნორმა დათქმას აკეთებს იმ პაციენტზე, რომელსაც აღენიშნებოდა ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა და მკურნალობდა, მაგრამ შეწყვიტა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა; გ) იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც დაუდგინდა ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა, დაავადებული იყო ტუბერკულოზის გადამდები ფორმით და მკურნალობდა, მაგრამ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა მის დასრულებამდე შეწყვიტა, ამასთანავე, მკურნალობის შეწყვეტის მომენტში ისევ დაავადებული იყო ტუბერკულოზის გადამდები ფორმით.

სასამართლო 48 საათის ვადაში გამოსცემს ბრძანებას პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით. ბრძანების მოქმედების ვადა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ექვსთვიანი ვადის ამოწურვა, სავალდებულოა. უბრალოდ, კანონმდებელს მითითებული აქვს იზოლაციის მოქმედების მაქსიმალური ვადა, ზედა ზღვარი და არა იმპერატიულად დაგენილი იზოლაციის ვადა. შესაბამისად, სიმპტომების ამოწურვისთანავე, სამედიცინო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია, პაციენტისთვის არანებაყოფლობითი იზოლაციის მოხსნა. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის პერიოდში, მის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების მიზანშეწონილობის შესამოწმებლად ცენტრთან იქმნება სამედიცინო კომისია, რომელიც სასამართლოს მიერ პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ორთვიანი ინტერვალებით განიხილავს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს. ამდენად, ბრძანებას გამოსცემს სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აკმაყოფილებს

შუამდგომლობას პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის თაობაზე. თუ არ არსებობს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, თუ პაციენტი უკვე იმყოფება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაწერილი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[55]-ე მუხლის მე-11 პუნქტი, სასამართლოში პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმისწარმოების შეწყვეტას უკავშირებს, ,,ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" კანონის მე-15 მუხლის მე-11 პუნქტს. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიებების დაწყების შემდეგ, პაციენტი თანხმობას განაცხადებს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის დაწყებაზე ან გაგრძელებაზე, ან თუ ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე საბოლოო უარის თქმის შემდეგ დათანხმდება მის ჩატარებას, პაციენტს ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევა ან/და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა ჩაუტარდება ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით და ამავდროულად, ამ პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის წარმოება შეწყდება. ამდენად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მკურნალობა გრძელდება პაციენტის თანხმობით და მისი იზოლაცია აღარ არის საჭირო, აღმოფხვრილია ყველა ის წინაპირობა, რაც მისი არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძველი გახდა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამის ადგილობრივ ერთეულს კანონი ანიჭებს უფლებამოსილებას, სასამართლოს მიერ მისი მიმართვის განხილვისას, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს მიმართვა. აღნიშნული ნიშნავს, რომ მიმართვის წარმდეგნი პირი საკუთარი ნებით განაცხადებს უარს მიმართვის განხილვაზე და იგი აღარ ითხოვს პირის მიმართ არანებაყოფლობით იზოლაციის ღონისძიების გამოყენებას. თუმცა, საკანონმდებლო დათქმა, რომ ,,მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე" გამოიხმოს უკან მის მიერ წარდგენილი მიმართვა, პროცესუალურად განიმარტება, რომ მიმართვა უკვე განხილულია, მოსამართლის მიერ უკვე ჩატარებულია მთელი რიგი მოქმედებები, გამოკითხულია მხარეები, მიცემულია ახსნა-განმარტებები, მოსმენილია ექსპერტების თუ ექიმ-ფტიზიატრების მოსაზრებები და ფაქტიურად, საქმე უკვე სრულად გამოკვლეულია, ვინაიდან დარჩენილია მხოლოდ მოსამართლის მიერ შესაბამისი ბრძანების/დადგენილების მიღების ეტაპი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[54]-ე მუხლის მე-10 ნაწილი განმარტავს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის უფლებას, რომ მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს თავისი მიმართვა, მაგრამ არაფერს ამბობს მითითებული ნორმა, სასამართლოს უფლებამოსილებაზე. ანუ, მოსამართლე ყველა შემთხვევაში ვალდებულია დაეთანხმოს მხარის მოთხოვნას, თუ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურობიდან გამომდინარე, აქვს უფლებამოსილება არ გაიზიაროს მხარის მოთხოვნა და განხილულ საქმეზე მიიღოს შესაბამისი სასამართლო აქტი - ბრძანება/დადგენილება. ან თუნდაც, პარალელი რომ გავავლოთ ადმინისტრაციულ პროცესში არსებულ დისპოზიციურობის პრიციპთან, რომელსაც ეხება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი. მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე. ბუნებრივია, დავას სასამართლოში საკუთარი გადაწყვეტილებით მხარეები იწყებენ, რომლებიც თავადვე განსაზღვრავენ დავის საგანს. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, უარი თქვან სარჩელზე, ან გამოიხმონ სარჩელი, რაც სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევს;

ცნონ სარჩელი. სამოქალაქო სამართალწარმოებაში ყოველივე აღნიშნული დისპოზიციურობის პრინციპში ვლინდება. მართალია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი უშვებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეებმა ისარგებლონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით – დისპოზიციურობის პრინციპით. თუმცა, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე დაამთავროს მორიგებით, ცნოს სარჩელი ან უარი თქვას სარჩელზე, თუ აღნიშნული ქმედება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რაც სრულიად გამორიცხულია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. როგორც ვიცით, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ორივე მხარე აბსოლუტურად იდენტურ, პარიტეტულ ურთიერთობაში იმყოფება. მხედველობაში არ მიიღება არც მათი სოციალური მდგომარეობა თუ განსაკუთრებული სტატუსი. ისინი ერთმანეთისა და კანონის, სასამართლოს წინაშე თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. რა უფლება-ვალდებულებაც აქვს ერთ მხარეს, იგივე უფლება-მოვალეობებით სარგებლობს მეორე მხარეც. მხარეები საკუთარი შეხედულებებითა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) იღებენ გადაწყვეტილებებს. რასაც ვერ ვიტყვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე და ეს სრულიად გასაგებია. პირველ ყოვლისა, რა მარტივი ადმინისტრაციული დავაც არ უნდა იყოს, რა ელემენტარული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას არ უნდა იკვლევდეს სასამართლო, ცხადია, რომ მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გავლენა უნდა იქონიოს არა მხოლოდ დაინტერესებულ პირებზე, არამედ მთლიანად მმართველობის სისტემაზე. უფრო გასაგებად, გამოასწოროს ის ხარვეზი, რაც მმართველობის ორგანომ საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში დაუშვა, ან პირიქით, მოსარჩელე მხარეს დაუდასტუროს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. სწორედ გაზრდილი პასუხისმგებლობა განაპირობებს ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისპოზიციურობის პრინციპის გარკვეულწილად შეზღუდვას. მართალია, ადმინისტრაციული ორგანოს გადასაწყვეტია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაიწყებს თუ არა დავას სასამართლოში, მაგრამ თუ დაიწყო ადმინისტრაციული სასარჩელო საქმისწარმოება, შემდგომ მხოლოდ საკუთარი სურვილით იგი უარს ვერ იტყვის სარჩელზე ან მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით მორიგებით ვერ დაამთავრებს საქმისწარმოებას (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი), განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან. უფრო გასაგებად, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურობიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია მხარის შუამდგომლობა საქმის მორიგებით დასრულების, სარჩელის ცნობის ან სარჩელზე უარის თქმის თაობაზე არ დააკმაყოფილოს, თუ იგი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამით არ შეილახება მმართველობის ორგანოს (ზოგადად მხარეთა) ინტერესები[4]. ამ შედარებიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა - საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიერ წარდგენილი მიმართვის გამოხმობა შეგვიძლია თუ არა გავაიგივოთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი სარჩელის გამოხმობასთან? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გამოდის, რომ სახეზე გვქონია ადმინისტრაციულ პროცესში დამკვიდრებული დისპოზიციურობის პრინციპის ე.წ. კანონისმიერი შეზღუდვა. ანუ, როდესაც მხოლოდ მხარის სურვილი საკმარისი საფუძველი არ არის მისი მოთხოვნის

[4] ციალა ჩქარეული - ,,ქმნა მართლისა სამართლისა“ - თბ. 2012

დასაკმაყოფილებლად; როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა უზღუდავს სარჩელის ცნობისა და სარჩელზე უარის თქმის უფლებას, საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას, განსხვავებით სამოქალაქო საპროცესო ნორმებისაგან, სადაც დისპოზიციურობის პრინციპი სწორედ მხარეთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სასამართლოში საქმის წარმოების დასაწყებად, შესაწყვეტად თუ მორიგებით დასასრულებლად. ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვაზე - უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის უფლებას - მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოიხმოს თავისი მიმართვა - შეიძლება მხოლოდ სასამართლოს ვალდებულება დავუსპირისპიროთ, რომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. ვფიქრობთ, რომ მსგავსი ჩანაწერი საკანონმდებლო აქტებში არ უნდა იყოს, რომელიც მისი ორგვარი (ან მეტი) გაგების საშუალებას მოგვცემს. ამ კუთხითაც, მეტი სიცხადის შეტანა რეალურად წაადგებოდა საქმეს და შესაბამისი ნორმით დაინტერესებულ პირებს გასაგებად განუმარტავდა კანონის მოთხოვნას. ამდენად, ყოველგვარი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გარკვეული კორექტირება/დამატება განსახილველ ნორმაში უნდა შევიდეს, რაც მისი სწორად წაკითხვისა და კანონიერად განხორციელების საშუალებას მოგვცემს. მაგ: თუ დაემატება ბოლოში სულ რამოდენიმე სიტყვა: ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით", უკვე ცხადი გახდება, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის უფლება - გამოიხმოს მიმართვა - აბსოლუტური ხასიათის ვერ იქნება და იგი შესაძლოა შეიზღუდოს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით. განსახილველ ნორმასთან დაკავშირებით, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ ჩნდება კითხვები. კერძოდ, ,,მიმართვის გამოთხოვა" პროცესუალურად ნიშნავს და უტოლდება სარჩელზე უარის თქმას, თუ სარჩელის გამოხმობას? ამაზე პასუხი მითითებულ მუხლში არ არის. სამართლებრივი შედეგის კუთხით, სარჩელის გამოხმობა და სარჩელზე უარის თქმა რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი შედეგების მომცემია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (რომლის გამოყენებაც ნებადართულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით: ,,თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი) 83[1] მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. ანუ, საერთოდ სარჩელზე კი არ ამბობს უარს, უბრალოდ იმ დროს, იმ მომენტში აღარ სურს საკუთარი სარჩელის განხილვა. პროცესუალურად, სარჩელის გამოხმობის უფლება მოსარჩელე მხარეს ნებისმიერ დროს აქვს, ოღონდ მოსამზადებელ ეტაპზე მხოლოდ მისი სურვილი საკმარისია, ხოლო მთავარ სხდომაზე (აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს) აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მოპასუხე მხარის თანხმობის შემთხვევაში. უფრო გასაგებად, მითითებულ ეტაპებზე, თუ მოპასუხე (მოწინააღმდეგე) მხარე არ არის თანახმა, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის გამოხმობის თაობაზე, საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს. ამასთან, აქვე შემოდის კიდევ ერთი ბუნდოვანი საკითხიც, კერძოდ: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის უფლება - გამოითხოვოს თავისი მიმართვა მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე - ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მხრიდან რა პროცესუალური ფორმით, რა ტიპის სასამართლო აქტით უნდა მოხდეს? სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1] მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად გვეუბნება, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის

განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ამასთან, მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიც. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[54] მუხლის მე-10 ნაწილი, თუ სწორედ სარჩელის გამოხმობის ანალოგიურ შედეგს გულისხმობს, უპრიანი იქნებოდა, სასამართლოს მიეღო განჩინება მიმართვის განუხილველად დატოვებისა და მიმართვის წარმდგენი მხარისათვის საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე. თუმცა, ეს მიდგომაც შესაძლოა ერთადერთი ჭეშმარიტება არ იყოს, ვინაიდან ისმის კითხვა (თეორიულად მაინც), რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებულ თავში, სასამართლოს მხოლოდ ორი სახის აქტის მიღებას ავალდებულებს, ესაა: მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში - ბრძანების გამოცემა, ხოლო იზოლაციის ღონისძიებაზე უარის თქმის შემთხვევაში - დადგენილების გამოტანა. შესაბამისად, განჩინება - როგორც ასეთი, განსახილველ ადმინისტრაციული საქმისწარმოების თავში - საერთოდ არაა მითითებული. სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მოსარჩელეს ბუნებრივია, აქვს უფლება იგივე სასარჩელო მოთხოვნებით თავიდან წარადგინოს სარჩელი. თუ ამ ლოგიკას მივყვებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგივე მიმართვის ხელახლა წარდგენის უფლება ქონია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს. საყურადღებოა, რომ კანონმდებელი მოსარჩელეს არ თხოვს ახნა-განმარტებას, დასაბუთებას, თუ რატომ იხმობს იგი სარჩელს სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე, მხოლოდ მოსარჩელის კანონმდებლობით მინიჭებული - სარჩელის გამოხმობის უფლების - განცხადებაა საკმარისი მისი თხოვნის დასაკმაყოფილებლად. ეს ყველაფერი მხოლოდ იმ დაშვებით, თუ მიმართვის გამოთხოვნას შინაარსობრივად და პროცესუალურად გავაიგივებთ სარჩელის გამოხმობასთან.

განვიხილოთ კიდევ ერთი დაშვება, როცა საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის გამოთხოვნა გაიგივებული გვექნება სარჩელზე უარის თქმასთან, თანამდევი სამართლებრივი შედეგებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის ,,გ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით - აღარ დაიშვება. ანუ, ფაქტობრივად სარჩელზე უარის თქმით, საერთოდ უარს ვამბობთ იგივე საკითხის სასამართლოში განხილვაზე და საკუთარ თავს ვუსპობთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას რომელიღაც კონკრეტულ საკითხზე, ვიყენებთ რა დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, სწორედ მხარეთა გადასაწყვეტია დაიწყებს თუ არა იგი სასამართლოში დავას, მორიგებით დაამთავრებს, უარს იტყვის სარჩელზე თუ ცნობს სარჩელს. ცალსახაა, რომ მოსარჩელე მხარე აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საკუთარი ინიციატივითა და საკუთარი ინტერესების შესაბამისად. საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლო იღებს განჩინებას. სასამართლოს ,,განჩინება“ კი ამ თავით განსახილველ საქმეზე გათვალისწინებული არ არის. ამდენად, გამოდის, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამის ადგილობრივ ერთეულს იგივე საფუძვლით მიმართვის წარდგენის უფლება არ აქვს, თუ დავუშვებთ, რომ მიმართვის გამოთხოვნა სარჩელზე უარის თქმის ანალოგიურია. არადა, ჩვენს მიერ მითითებული ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელი იყო იგივე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[3]-ე მუხლის მე-13 ნაწილის მსგავსი ჩანაწერის არსებობით. კერძოდ, მითითებული ნორმა ეხება და არეგულირებს მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას და მასში პირდაპირაა მითითებული, რომ ,,იმავე

საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით წარდგენა სასამართლოში არ დაიშვება“. ასეთი ჩანაწერიდან უკვე ცხადი ხდება, თუ რასთან გვაქვს საქმე. პირდაპირი აკრძალვაა, იგივე საფუძვლით სასამართლოს აღარ უნდა მიმართოს მაკონტროლებელმა ორგანომ მეწარმის შემოწმების მიზნით. შესაბამისად, მეწარმის კონტროლთან დაკავშირებული შუამდგომლობის გამოთხოვა მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, ცალსახად, სარჩელზე უარის თქმასთან შესაძლებელია გავაიგივოთ. ვინაიდან არანებაყოფლობით იზოლაციის თავში, ზემოაღნიშნული (ხელმეორედ მიმართვის უფლება არ აქვს იგივე საფუძვლით) ჩანაწერი არ არსებობს, გაგვიჭირდება იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ ამ შემთხვევაშიც, სარჩელზე უარის თქმასთან უცილობლად უნდა გავაიგივოთ მიმართვის გამოთხოვნის საკითხიც. ამდენად, ცალსახაა, რომ განსახილველი ნორმა ბევრ კითხვას ტოვებს ბუნდოვანი ჩანაწერის არსებობის გამო. ცალკე აღარ შევჩერდებით იმის გარკვევაზე, თუ რა ტიპის აქტი უნდა მიიღოს სასამართლომ მსგავს შემთხვევაში. განჩინება, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-273-ე მუხლებისა? თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[13]-ე თავით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ მისაღები აქტები: ბრძანება ან დადგენილება? არც აღნიშნულზე გვაძლევს პასუხს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[54]-ე მუხლის მე-10 ნაწილი. გარდა ჩამოთვლილისა, იგივე პუნქტთან მიმართებაში, უკვე შემდგომი კითხვებიც ჩნდება: თუ საქმისწარმოებას სასამართლო განჩინებით შეწყვეტს, მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-273-ე მუხლებისა, ცხადია, იგივე კოდექსი (274-ე მუხლი) განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას უშვებს კერძო საჩივრის შეტანის გზით. ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილია 12 დღიანი ვადა კერძო საჩივრის შეტანის მიზნით. ანუ, თუ ამ ლოგიკას და დაშვებას განვავითარებთ, მაშინ წინააღმდეგობაში მოვდივართ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[13]-ე თავით გათვალისწინებულ ძალიან შემჭიდროებულ ვადებთან, სადაც სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის 48 საათიანი ვადა აქვს მიცემული, სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის მხარეებს 48 საათიანი ვადა აქვს განსაზღვრული და სხვა... როგორც ვხედავთ, არა თუ 12 დღიანი გასაჩივრების ვადა, არამედ ამ თავისთვის კანონმდებელი სპეციალურ განსხვავებულ ვადებს აწესებს, რომელსაც საათობრივად აითვლის. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[54] მუხლის მე-10 ნაწილი, არ გვაძლევს ამომწურავ პასუხს ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, ბუნდოვანია, იძლევა მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც საკანონმდებლო ხარვეზად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, მისი დახვეწა რეალურად საჭირო და დროული იქნება.

ტუბერკულოზის კონტროლი ეფუძნება პაციენტის ძირითადი და სოციალური უფლებების პატივისცემასა და დაცვას. პაციენტის უფლებები შეიძლება დავყოთ სოციალურ და ინდივიდუალურ უფლებებად. სოციალურ უფლებებს მიეკუთვნება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. ცხადია, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტად არის პაციენტის სოციალური უფლებები დაცული და გარანტირებული. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სწორედ სახელმწიფოს აკისრებს ფუნქციას, რომ ყველა ტიპის პაციენტისთვის თანაბრად შესაძლებელი გახადოს მკურნალობა, მათ შორის, მატერიალურადაც. დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი მცირე ბიუჯეტიანი ქვეყნები, როგორადაც არ უნდა ცდილობდნენ საკუთარი მოსახლეობისათვის სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის დანერგვას, ბუნებრივია, ამას სრულყოფილად ვერ განახორციელებენ, საკმარისი თანხების არარსებობის გამო. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს სხვადასხვა სახის პროექტების არ დაფინანსებას, სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების არ

მოწვევას და მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებისაგან თავის შეკავებას. რაც შეეხება, პაციენტის ინდივიდუალურ უფლებებს, მასში შეიძლება მოვიაზროთ: ინფორმაციის მიღების უფლება; ინფორმირებული თანხმობა; კონფიდენციალურობა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; მეორე აზრის მოძიების უფლება; სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების არჩევის უფლება და სხვა. პაციენტს უფლება აქვს იცოდეს ყველაფერი საკუთარი ჯანმრთელობისა და მისთვის სამედიცინო მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ცხადია, პაციენტს ექიმმა უნდა გააცნოს, აუხსნას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მისთვის გასაგებ ენაზე და არა მხოლოდ სამედიცინო ტერმინოლოგიით და ვალდებულების მოხდის მიზნით. ხშირად იწვევს დავას, უშუალოდ პაციენტს უნდა უთხრას თუ არა ექიმმა მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, მაგალითად უკურნებელი სენის დიაგნოზის შესახებ, თუ აღნიშნული ჯერ მისი ოჯახის წევრებს გააცნოს. კანონმდებელი ხომ პაციენტის ერთ-ერთ მთავარ უფლებად - სწორედ საკუთარი ჯანმრთელობის თაობაზე ინფორმირებას ასახელებს. პაციენტმა უნდა იცოდეს, თუ რა რესურსებს ფლობს სამედიცინო დაწესებულება და რა სახის სამკურნალო და სადიაგნოზო მეთოდებს იყენებს. მსგავსი კითხვების დასმა პაციენტის მხრიდან, ექიმთა გაღიზიანებას არ უნდა იწვევდეს, ისინი ხომ კანონმდებლობით მინიჭებული უფლების განხორციელებას ახდენენ და სხვა არავითარი დამატებითი შეღავათის გაწევას არ ითხოვენ. ვფიქრობთ, ამ ინფორმაციის გაცვლით, ექიმიც უნდა იყოს დაინტერესებული, რომ სწორედ ის მეთოდი აირჩიოს, რაც პაციენტის ჯანმრთელობას დროულ დახმარებას გაუწევს. ანუ, არსებული რამოდენიმე შესაძლებლობიდან, ყველაზე უფრო ოპტიმალურს შეარჩევს. პაციენტს აქვს უფლება წინასწარ იცოდეს რა ღირს ესა თუ ის სამედიცინო მომსახურება და როგორია გადახდის წესი. ცხადია, ფაქტის წინაშე არ უნდა დადგეს პაციენტი და სამედიცინო მომსახურების მიღების შემდგომ არ უნდა გაიგოს მომსახურეობის საფასური, რათა მან შეძლოს მკურნალობის საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით დაგეგმვა. კანონი ჩამოთვლის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის უფლებებს არანებაყოფლობითი იზოლაციის დროსაც. პირველ ყოვლისა, სამედიცინო მომსახურეობა იგულისხმება და შემდგომ მისი უზრუნველყოფა საცხოვრებლით; კვებით, ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფა კი, შესაძლოა სამედიცინო დაწესებულებების პროფილების მიხედვით განისაზღვროს (ფასიანი/უფასო...). ვინაიდან ჩვენ არანებაყოფლობით იზოლირებულ პაციენტებზე ვსაუბრობთ, მათ კანონი აძლევს უფლებას, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის ტერიტორიაზე (სადაც ხორციელდება მისი არანებაყოფლობითი იზოლაცია), შეხვდეს ოჯახის წევრს და ადვოკატს. რაც შეეხება, სხვა პირებთან შეხვედრას, ამისათვის პაციენტს სჭირდება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის ადმინისტრაციის თანხმობა. ისიც ცხადია, რომ შეხვედრები უნდა მოეწყოს და უნდა მიმდინარეობდეს ტუბერკულოზის კონტროლის მოთხოვნათა დაცვით. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლირება, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ისინი საერთოდ მოწყდნენ გარე სამყაროს. არა, მათ კანონი აძლევს უფლებას მიიღონ ამანათები, ფულადი გზავნილები, მიიღონ ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ისარგებლონ ტელეფონით, ინტერნეტით, ჰქონდეთ მიმოწერა. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მიიჩნევს, რომ არანებაყოფლობით იზოლაციაში ყოფნისას ირღვევა მისი უფლებები, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს მის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის შუამდგომლობით. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, რომ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მისი საფუძვლები ამოწურულია, აღარ არსებობს. ვხედავთ, რომ გარდა არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლების ამოწურვისა,

არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის საფუძველი შესაძლოა პაციენტის უფლებების შელახვაც გახდეს. არანებაყოფლობითი იზოლაციით გაუმართლებლად არ უნდა შეიზღუდოს იმ პირის უფლებები და თავისუფლებები, რომლის მიმართაც ხორციელდება არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიებები. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს აღნიშნული პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას. ყურადღება უნდა გავამახვილოთ, რომ აქ საუბარი შეეხება არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტას და არა საერთოდ, მკურნალობის შეწყვეტას. ცხადია, ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა უფლებების დაცვა, არ უნდა განხორციელდეს ჯანსაღი საზოგადოებისათვი დაავადების გავრცელების საფრთხის ხარჯზე და მათ არ უნდა დაეუფლოთ დაუცველობის განცდა. ადვილი ნამდვილად არ არის ასეთ ბეწვის ხიდზე გავლა, როდესაც ერთის მხრივ, ტუბერკულოზით დაავადებულის მთელ რიგ უფლებებს იცავს კანონი და მეორეს მხრივ, ცხადია, ჯანსაღი საზოგადოების უფლება/თავისუფლება/კანონიერი ინტერესი - ასევე უნდა იყოს დაცული. სასამართლო ამ კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს პაციენტის მიერ არანებაყოფლობითი იზოლაციის პირობებში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის ნებაყოფლობით აღდგენის საკითხს. სასამართლოს მიერ პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პაციენტი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობას აგრძელებს, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მეთვალყურეობის ქვეშ.

,,ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, პაციენტის სოციალური დაცვის გარანტიების შექმნის მიზნით, განსაზღვრავს პაციენტის ფულად წახალისებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქე პაციენტებისათვის. ფულადი წახალისების მიზანია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმის დაცვაში ხელის შეწყობა და პაციენტთათვის სოციალური დახმარების გაწევა. ფულადი წახალისება გამოიხატება მთელი მკურნალობის პერიოდში (რეგულარული ტუბერკულოზით დაავადებულთათვის არაუმეტეს ექვსი თვე, ხოლო რეზისტენტული ტუბერკულოზის ფორმით დაავადებულ პაციენტთათვის არაუმეტეს 20 თვე) საქართველოს მოქალაქე ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთათვის გარკვეული ოდენობის თანხის გადაცემა. თავად ფულადი წახალისების ოდენობა და გაცემის წესი კი, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. პაციენტს უფლება აქვს, ისარგებლოს ტუბერკულოზის კონტროლთან დაკავშირებული საშუალებებითა და ღონისძიებებით. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში პაციენტი დაცული უნდა იყოს გადამდები დაავადებებისაგან და ასევე, ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში უნდა ცხოვრობდეს.

ტუბერკულოზის კონტროლის სტრატეგიები და მომსახურება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებების, ეთიკის და თანასწორობის საკითხებს. ტუბერკულოზის მკურნალობისა და პრევენციის პროცესში, ხშირია ეთიკური დილემები. ადამიანის უფლებები, ეთიკა, თანასწორობა, მხარდაჭერა, სტიგმის და დისკრიმინაციის შემცირება/აღმოფხვრა, სათანადო ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღება.... ეს ის საბაზისო პრინციპებია, რომელზეც დგას ტუბერკულოზის კონტროლის განხორციელება. როდესაც ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს არ სურს მკურნალობის ჩატარება, ნებაყოფლობით უარს ამბობს მკურნალობაზე და ამით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას ტუბერკულოზის გავრცელების თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, საზოგადოების უფრო ფართო ნაწილის დასაცავად, შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდის ადამიანის უფლებების შეზღუდვა. ცხადია, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებზე ზრუნვა ამართლებს პაციენტის სურვილის

წინააღმდეგ იზოლირების ღონისძიებას, რაც შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. საყურადღებოა, რომ სურვილის წინააღმდეგ იზოლაცია შემოიფარგლება კონკრეტული და მკაცრი კრიტერიუმებით და გამოიყენება მხოლოდ როგორც უკანასკნელი საშუალება. ამდენად, ტუბერკულოზის შემთხვევების იზოლირება გამოყენებული იქნება უკიდურეს გარემოებებში, როდესაც ცნობილია, რომ ინდივიდი გადამდებია, უარს ამბობს მკურნალობაზე და როდესაც უკვე გამოყენებული იყო მრავალი გონივრული საშუალება სამკურნალო რეჟიმის დაცვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ უშედეგოდ[5]. ეს სავსებით ლოგიკური და გასაგებია. ცხადია, მხოლოდ ერთ სეგმენტზე ,,ზრუნვით" საზოგადოების დიდ ფენას პრობლემები არ უნდა შეექმნას. მათაც აქვთ უფლება, იცხოვრონ ჯანმრთელ გარემოში, იყვნენ დაცულები გადამდები დაავადებებისაგან (სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და ატარებდეს პრევენციულ ღონისძიებებს). ამავე დროს, ცხადია, საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს სტიგმა ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანთა მიმართ, მაგრამ მათი მხრიდანაც უნდა იყოს ანგარიშგაწევა და საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის იმდაგვარად გათავისება, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს, როგორც საკუთარ გამოჯანმრთელებას (ნებაყოფლობით გაიაროს მკურნალობის კურსი და არ გახდეს საჭირო არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენება), ისე გარშემომყოფების ჯანმრთელობაც არ ჩააყენოს საფრთხეში.

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ტუბერკულოზის თავიდან აცილებაზე და ამასთან დაკავშირებით ახორციელებდეს მთელ რიგ ღონისძიებებს, როგორიცაა: პროფილაქტიკური აცრების ჩატარება; სკრინინგი; ტუბერკულოზით დაავადების რისკის ქვეშ მყოფი პირების მოძიებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება; ტუბერკულოზის შესახებ საინფორმაციო - საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება; ინფექციის კონტროლის ღონისძიებები და სხვა... ტუბერკულოზის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული საშუალებებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. ინფორმირების მიზანია ტუბერკულოზის შესახებ მათი ცნობიერების ამაღლება და საქართველოში ტუბერკულოზის თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ჩამოთვლილი ღონისძიებებს სახელმწიფო ახორციელებს ბიუჯეტის ხარჯზე, თუმცა შესაძლებელია სხვა ფინანსური წყაროების მოძიებაც.

იმ პერიოდში, როდესაც პირი არანებაყოფლობით მოთავსებულია სტაციონარში და სპეციალურ დაწესებულებაში გადის მკურნალობის კურსს, მის მიმართ ცხადია, ხორციელდება კანონით დადგენილი მისი ნების საწინააღმდეგო ქმედებები, რომელიც პაციენტთა უფლებების შეზღუდვასთან არ უნდა ასოცირდებოდეს. პაციენტთა უფლებები დაცულია საქართველოს კანონით ,,ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" (მთელი რიგი მუხლებისა, სრულად ეთმობა სწორედ პაციენტთა უფლებებს) და დამოუკიდებელი კანონით ,,პაციენტის უფლებების შესახებ". პაციენტს უფლება აქვს ისარგებლოს ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს მისი ღირსების შემლახავ ყოველგვარ მოქმედებას. საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს ყველა სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან, მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. პაციენტს არ უნდა შეეზღუდოს იმის უფლება, რომ მეორე აზრის მოსაძიებლად დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან/და სამედიცინო დაწესებულებას. ისევე, როგორც პაციენტს უფლება აქვს აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი.

[5] ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია.

სპეციალურ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი იზოლაციის და მკურნალობის მიზნით მოთავსებულ პაციენტს, უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია თავისი დაავადების და განზრახული სამედიცინო დახმარების შესახებ; თუ პაციენტს არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ინფორმაცია მიეწოდება პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავს; პაციენტს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას; ოღონდ ეს უფლება არ გახლავთ სრული, ვინაიდან კანონმდებელი ექიმს აძლევს იმის საშუალებას, რომ მან განსაზღვროს პაციენტისა და მესამე პირისათვის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაციის მიწოდების მოცულობა და ფორმა. გარკვეულწილად აღნიშნული უფლება, თითქოს წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის ,,კ" პუნქტთან, რომელიც აღიარებს პირის უფლებას, საკუთარ თავზე არსებული ინფორმაციის წვდომასთან დაკავშირებით. ყველას აქვს უფლება საკუთარ თავზე დაცული ნებისმიერი ინფორმაცია გამოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოდან. მაგრამ ამ შემთხვევაში და პაციენტთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, უკვე ექიმი ზრუნავს (მინიჭებული აქვს რა უფლება), თავად განსაზღვროს არა მარტო პაციენტისათვის, არამედ მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა. აღნიშნული აგრეთვე წესრიგდება სამედიცინო ეთიკის კუთხით, რომლის თანახმადაც, ექიმმა არ უნდა გაამჟღავნოს პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი მკურნალობისა და სამეცნიერო კვლევის პროცესში უშუალოდ ჩართული პირებისათვის. ინფორმაციის გაცემა მესამე პირებზე შესაძლებელია პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით. ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ანუ, აქ მთავარია, რომ თავად დაცული ინფორმაცია წარმოადგენდეს პერსონალური ან კომერციული შინაარსის ინფორმაციას და პირმა (ამ შემთხვევაში, ექიმმა), ეს ინფორმაცია მისი პროფესიიდან გამომდინარე უნდა იცოდეს. შესაძლოა, ექიმმა პაციენტისგან გაიგოს რაიმე პირადი ხასიათის ინფორმაცია, რაც მის პროფესიასთან საერთოდ არ არის დაკავშირებული, მაგალითად ოჯახური პრობლემები და სხვა...რაც პროფესიულ საიდუმლო ინფორმაციად ვერ ჩაითვლება, მისი გამჟღავნება მხოლოდ მორალური თვალსაზრისით შესაძლოა შეფასდეს და არა სამართლებრივი კუთხით.

ზოგადად, ცხადია, პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე, მაგრამ განსახილველ თემაზე, როდესაც პირს არანებაყოფლობითი იზოლაცია სჭირდება, ეს უფლება ცალსახად შეიზღუდება. ასევეა, როდესაც პაციენტის ასაკი 16 წელს არ აღემატება, მკურნალობის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას კანონმდებელი ანიჭებს პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავს. თუმცა, გვაქვს დათქმაც, რომ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. არანებაყოფლობითი იზოლაციის დროს, ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები სარგებლობენ ყველა იმ კონსტიტუციური თუ სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის უფლებებით, რაც გააჩნია ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს. პაციენტთა უფლებები განიმარტება, როგორც უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლიობა, რომელიც აქვს ნებისმიერ

პირს და მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს, ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს პაციენტის უფლებების შეზღუდვას მხოლოდ ტუბერკულოზის დიაგნოზის საფუძველზე. კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი შეზღუდვა, პირველ ყოვლისა, უნდა ემყარებოდეს კანონს, შემდგომ პირის ფსიქიკურ მდგომარეობას და სოციალური ადაპტაციის ხარისხს. პაციენტის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია ისევ კანონზე დაყრდნობით, ისევ პაციენტზე ზრუნვიდან გამომდინარე და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების გაწევა.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვმარტოთ, რომ პაციენტთა უფლებები აღიარებულია, დაცულია, მაგრამ იგივე კანონი ამ უფლებების შეზღუდვის გამონაკლის საშუალებებს და ფორმებსაც გვთავაზობს, როდესაც საქმე ეხება არანებაყოფლობით პირის იზოლაციას. ვინაიდან კანონი უშვებს თუნდაც კონსტიტუციური პრინციპების შეზღუდვას და ეს შეზღუდვა მიზანშეწონილობის ფარგლებში ხორციელდება, სახეზე ვერ გვექნება პაციენტის უფლების დარღვევა. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ,,შეზღუდვა“ კანონიერია, კანონით დაშვებულია და ის, რაც კანონიერია - რაიმე ტიპის დარღვევის საფუძველი, მით უმეტეს, სამართლებრივის, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გახდება. ხაზს ვუსმათ, რომ შემზღუდველის მხრიდან, არ უნდა მოხდეს კანონით მინიჭებული უფლების გადამეტება, გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს დასაბუთებული და კანონშესაბამისი როგორც სამართლებრივი, ისე მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

პაციენტის გამოჯანმრთელებისთვის, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება, რომლის მიზანია, პაციენტის სოციალური და შრომითი კონტაქტების შენარჩუნება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოებაში მისი დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას. რეაბილიტაციის ეტაპი ნებაყოფლობითია და პაციენტს უფლება აქვს, საკუთარი სურვილით ნებისმიერ დროს შეწყვიტოს სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობა. ესე იგი, რეაბილიტაციის ეტაპზე მხოლოდ პაციენტის სურვილია გადამწყვეტი და მასზე რაიმე სახის კონტროლის მექანიზმი აღარ ხორციელდება. პაციენტი, რომელმაც მიიჩნია, რომ ჭირდება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ჩაერთო კიდეც შესაბამის ღონისძიებებში, ეს სრულებითაც არ ზღუდავს პაციენტს, ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს სარეაბილიტაციო კურსის გავლაზე და შეწყვიტოს იგი. ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები საჭიროებენ ხანგრძლივ, ყოველდღიურ მკურნალობას, რომელიც ხარისხიანი თერაპიული (და საჭიროების შემთხვევაში ქირურგიული) მომსახურების პარალელურად, პაციენტის სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმასაც გულისხმობს. პაციენტთა უფლებების დაცვის კუთხით, მომავლის ხედვა სრულად უნდა იყოს დაფუძნებული ადამიანთა უფლებების დაცვაზე, თანასწორობაზე, სოციუმში ინტეგრაციაზე, შემწყნარებლობაზე და პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრულობაზე. ამასთანავე, სავალდებულო წესით უნდა იყოს დაცული ბალანსი ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის უფლებების დაცვასა და საზოგადოების უსაფრთხო, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას შორის.

ტუბერკულოზის კონტროლის სფეროში დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, პასუხისმგებლობას აწესებს ,,ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოება ხორცილედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმის შედგენის უფლება აქვს სამინისტროს შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილ პირს, მაგრამ მათ არ აქვთ საქმეთა განხილვის უფლებაზე დელეგირება სახელმწიფოსგან. შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეებს განიხილავს სასამართლო. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს მინისტრი ბრძანებით. კანონი სამართალდარღვევად მიიჩნევს, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულისათვის ინფორმაციის შეუტყობინებლობას. ხოლო თავად ეს ინფორმაცია გახლავთ - პირის მიერ ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე უარის თქმა. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ შემთხვევებზე, როდესაც ტუბერკულოზის გამოკვლევა სავალდებულო ხდება, მაგ: როდესაც პაციენტი იყო ტუბერკულოზით დაავადებული და მკურნალობა თვითნებურად შეწყვიტა; როდესაც ახლო კონტაქტი ქონდა ტუბერკულოზით დაავადებულ პირთან... სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი, შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ასეთ პირებს სთავაზობს ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებას. ამ შეთავაზების მიზანია ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე პირის/პაციენტის თანხმობის მიღება. შეთავაზება უნდა განხორციელდეს სპეციალური წერილობითი ფორმით ან ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით ისე, რომ არ შეილახოს პირის/პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოობის უფლება და ეთიკის ნორმები. პირი/პაციენტი ვალდებულია შეთავაზების მიღებიდან შვიდი კალენდარული დღის ვადაში ჩაიტაროს ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევა. ხოლო, თუ დადგენილ ვადაში პირმა/პაციენტმა არ ჩაიტარა ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევა ან უარი თქვა ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს უჩნდება ვალდებულება, ამ ვადის ამოწურვიდან, 24 საათის განმავლობაში შეატყობინოს აღნიშნული კონკრეტული ფაქტის შესახებ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამის ადგილობრივ ერთეულს პირის/პაციენტის ბოლო ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სწორედ ამ ინფორმაციის შეუტყობინებლობა ითვლება სამართალდარღვევად და გათვალისწინებულია სახდელის ფორმა ჯარიმის სახით: პირველ ჯერზე 250 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით შემთხვევაში 500 ლარის ოდენობით. ვინაიდან გადაცდომადაა მიჩნეული ინფორმაციის შეუტყობინებლობა, იგი თავისი არსით, ბუნებით, საზოგადოებისათვის დიდი ზიანის მომტანი არ უნდა იყოს, განსხვავებით დანაშაულისაგან. თუმცა, დაგვეთანხმებით, რომ სადაც შეფასებითი კრიტერიუმებია წინ წამოწეული, ,,დიდი" და ,,მცირე" ცნებები საკმაოდ საკამათოა და მხარეები უკვე თავად ცდილობენ მის ინდივიდუალურად განსაზღვრას. ალბათ შედარებისთვის გამოგვადგება, ინფორმაციის დამალვა სრულიად ქვეყნის მოსახლეობისათვის, რაც ნიშნავს, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მოსახლეობისთვის არ იქნა მიწოდებული არავითარი ინფორმაცია. ანუ, გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა მოსახლეობა, კონკრეტული ჩინოვნიკის უკანონო საქციელის გამო. ჩვენს განსახილველ შემთხვევაში კი, გადაცდომა ვლინდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულისათვის იმ ფაქტის შეუტყობინებლობა, რომ კონკრეტულმა პაციენტმა არ ჩაიტარა ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევა. ცხადია, აქ ყურადღება ექცევა ვადას - როდის ჩაითვლება შეუტყობინებლობა გადაცდომად. კანონი აქაც ამომწურავად ადგენს ვადებს თითოეული ეტაპისათვის. კერძოდ, პირველი ეტაპია ინფორმაციის მიღება, საიდანაც უკვე აითვლება ვადები და ამ ინფორმაციის მიღებიდან 10 კალენდარულ დღეში უნდა შესთავაზონ პაციენტს სავალდებულო გამოკვლევის ჩატარება. ათი დღე არის ზედა ზღვარი, რომლის ფარგლებშიც

უნდა მოახდინონ შეთავაზება და არავითარ შემთხვევაში, მას არ უნდა გასცდნენ. შესაბამისად, მეორე, მესამე, მეცხრე...დღეს გაკეთებული შეთავაზება, ჩაითვლება კანონის შესაბამისად გაწეულ ქმედებად. შემდგომი ეტაპი უკვე პაციენტს აკისრებს ვალდებულებას, რომ შეთავაზებიდან შვიდი კალენდარული დღის ვადაში ჩაიტაროს გამოკვლევა. და ბოლო ეტაპი, რაც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობისთვისაა სავალდებულო, გახლავთ ის, რომ მან მეორე ეტაპის ვადის ამოწურვიდან 24 საათში მოახდინოს შესაბამისი დაწესებულების ინფორმირება. სწორედ ამ ვადის და ქმედების დაუცველობა იწვევს ადმინისტრაციულ გადაცდომასა და შესაბამის პასუხისმგებლობას - სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებას. ვადები აითვლება კალენდარული (და არა სამუშაო) დღეებით. ამ საკითხზე გარკვეულ დავას იწვევს, თუ საიდან უნდა აითვალოს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელმა 24 საათიანი ვადა - უშუალოდ პაციენტის მიერ უარის თქმიდან, თუ მისთვის მინიჭებული შვიდი კალენდარული დღის გასვლიდან. უფრო გასაგებად, თუ პაციენტმა შეთავაზების მიღებისთანავე (ან შეთავაზების მიღებიდან მეორე დღესვე) განაცხადა უარი სავალდებულო გამოკვლევაზე, 24 საათი უარის გაცხადებიდან უნდა აითვალოს მომსახურების მიმწოდებელმა, თუ მაინც დაელოდოს შვიდ დღიანი ვადის გასვლას და მხოლოდ ამ ვადის ამოწურვიდან 24 საათში მოახდინოს შეტყობინების დატოვება? ჩვენი აზრით, კანონი აშკარად შვიდ დღიანი ვადის ამოწურვაზე აკეთებს დათქმას და არა პაციენტის მხრიდან უარის განცხადების თქმაზე. სრულებითაც არაა გამორიცხული, რომ პირველი რეაქცია იყო უარყოფითი, დაფიქრების შემდგომ კი, გადაწყვიტა სავალდებულო გამოკვლევის ჩატარება და ამავე დროს, არ არის გასული შვიდი კალენდარული დღე. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, უარის თქმიდან კი არა, არამედ, შვიდ დღიანი ვადის ამოწურვიდან უნდა მოხდეს 24 საათიანი ვადის ათვლა. პასუხისმგებლობას სწორედ ზემოჩამოთვლილი ვადების (10 კალენდარული დღე + 7 კალენდარული დღე + 24 საათი) დარღვევა იწვევს.

სასამართლოს ბრძანება/დადგენილება ძალაში შედის სასამართლო პროცესის მხარეებისათვის ამ ბრძანების/დადგენილების გამოცხადებისთანავე. როგორც წესი, გამოცხადება ნიშნავს დასაბუთებული ბრძანების სრულად გამოქვეყნებას და არა მხოლოდ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. ამასთანავე, გამოცხადების დროს სხდომაზე უნდა იმყოფებოდნენ მხარეები, ის პირები, რომელთაც უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ გამოცემული ბრძანება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[56]-ე მუხლი უშვებს პირველი ინსტანციის სასამართლო ბრძანების/დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობას. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივრონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისმა ადგილობრივმა ერთეულმა, აგრეთვე პაციენტმა, მისმა ადვოკატმა, მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების შესახებ, შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამომტან სასამართლოში მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) გადაცემიდან 48 საათის ვადაში. საათებით გასაჩივრების ვადების ათვლა, რეალურად გარკვეული სტრესის ქვეშ აყენებს გამსაჩივრებელ მხარეს, პროცესუალურად რთულია საკუთარი მოსაზრებების ასე სწრაფად ჩამოყალიბება და სათანადო წესების დაცვით მისი გასაჩივრება. თუმცა, ამას აქვს მეორე დადებითი მხარე - ეს გახლავთ სასამართლო პროცესის ეფექტურობა და სისწრაფე, დაინტერესებული მხარე საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში იღებს გადაწყვეტილებას და ასევე, შემჭიდროებულ ვადებში ამოწურულად ითვლება საკითხის განხილვა. საყურადღებოა, რომ გასაჩივრებაც სპეციფიური ფორმით - საჩივრით - ხდება და არა სააპელაციო საჩივრით თუ

კერძო საჩივრით. შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციაში ამ კატეგორიის დავებზე ვერ გვეყოლება აპელანტი, ვინაიდან იგი არა სააპელაციო საჩივრით დაობს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული აქტების კანონიერების თაობაზე, არამედ საჩივრით. ამასთან, საჩივარს იხილავს არა იგივე ინსტანციის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა ბრძანება/დადგენილება, არამედ მეორე ინსტანციის - სააპელაციო სასამართლო. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება არსებითად, საჩივრის შეტანიდან ერთი კვირის ვადაში, იგივე წესით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (ასკ 21[54] მუხლი). ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა. ექსპერტიზის ხარჯები ეკისრება ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორ მხარეს. თუ ექსპერტიზა დანიშნულია სასამართლოს ინიციატივით, მაშინ იგი ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე. ხოლო მხარის მოთხოვნით დანიშნული ექსპერტიზა თავად ამ მხარის ხარჯზე ტარდება.

სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება, არ აჩერებს მის მოქმედებას. რაც ნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი ვალდებულია დაემორჩილოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ ბრძანებას/დადგენილებას, მიუხედავად იმის, რომ იგი ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში არ არის შესული და ამავდროულად, იდაოს მის კანონიერებაზე და მოითხოვოს გასაჩივრებული ბრძანების/დადგენილების გაუქმება. თითქოს მსგავსი მიდგომა არასამართლიანობის განცდას იწვევს, მაგრამ ასეთი დათქმა სამართლის სხვა ნორმებშიც (არა მხოლოდ ადმინისტრაციულში) გვხვდება. ერთის მხრივ, გასაჩივრებული ბრძანება/დადგენილება არ არის კანონიერ ძალაში შესული, რაც ზოგადად, პროცესუალური ნორმების მიხედვით, შესასრულებლად სავალდებულო ძალას არ უნდა იძენდეს; და მეორეს მხრივ, კანონი გასაჩივრების უფლებას იძლევა, თუმცა გასაჩივრებული სასამართლო აქტის მოქმედებას მაინც ვერ აჩერებს. ფაქტია, რომ მხარის საპროცესო უფლების - ბრძანების/დადგენილების გასაჩივრების რეალიზაცია, მაინც არ იწვევს პროცესუალურ შედეგს - გასაჩივრებული სასამართლოს აქტის მოქმედების შეჩერებას. გამოდის, რომ პაციენტის მიერ გასაჩივრების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამის ადგილობრივ ერთეულს მაინც აქვს უფლება, პაციენტი კვლავ დატოვოს არანებაყოფლობით იზოლაციაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ვინაიდან საჩივარი შედის იმავე სასამართლოში, რომელმაც გამოსცა გასაჩივრებული ბრძანება/დადგენილება, საქმის განმხილველი მოსამართლე, საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები გადაეგზავნება მეორე მხარესაც. ნორმის განმარტებიდან ჩანს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ვალდებულებაა საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა და მხარისათვის საჩივრის, თანდართული დოკუმენტაციის ასლების გაგზავნაც. ასეთი ვალდებულებით გაცილებით ეფექტურად და სწრაფად ხდება მასალების გაგზავნა, ვიდრე იგივე ვალდებულება რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ქონდეს. მინიმუმ, იმაზე მაინც დაიხარჯება დრო, რომ თავად სააპელაციო სასამართლომ მიიღოს საქმე სრულად და შემდგომ უკვე მან გააგზავნოს მხარეებთან საჩივარი თანდართული დოკუმენტაციით. საქმის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, სააპელაციო სასამართლოს აქვს შვიდ დღიანი ვადა. ეს არ გახლავთ დიდი დრო, თუმცა ამავე კატეგორიის საქმეზე ვადების საათობრივ ათვლასთან შედარებით, არც თუ ისე მცირე დროა საკითხის სრულყოფილად შესასწავლად. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვა გულისხმობს გასაჩივრებული სასამართლო

აქტის შემოწმებას ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი შემოწმების კუთხითაც. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[56]-ე მუხლის მე-4 ნაწილი სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვას კოლეგიური წესით ითვალისწინებდა, თუმცა განხორციელებული ცვლილებების ფონზე, ,,კოლეგიური წესით" ამოღებულ იქნა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოც, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო ერთპიროვნულად განიხილავს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-11 ნაწილი ჩამოთვლის იმ კატეგორიის დავებს, რომელთა განხილვა ერთპიროვნულად შეუძლია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს, მათ შორისაა, ამავე კოდექსის მე-6 მუხლით განხილული საქმეები. მე-6 მუხლი კი ჩამოთვლის მაგისტრატ მოსამართლეთა განსახილველი საქმეების კატეგორიებს, რომელთა შორისაცაა პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

თავისებურებით ხასიათდება სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების ფორმაც. ვინაიდან საკანონმდებლო მოთხოვნაა, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული ბრძანება უნდა გააუქმოს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებული დადგენილება – დადგენილებით. ერთი შეხედვით, თითქოს სპეციფიური ამაში არაფერია, მაგრამ ამ თავით გათვალისწინებული საქმის განხილვისას, კანონმდებელი განგვისაზღვრავს, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის დაკმაყოფილებისას, სასამართლო გამოსცემს ბრძანებას, ხოლო მიმართვის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში - დადგენილებას. თუ დავუშვებთ ისეთ შემთხვევას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მიმართვა და შესაბამისად, გამოსცა ბრძანება, რომელიც გაასაჩივრა პაციენტმა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, სასამართლომ ჩათვალა, რომ პაციენტის პრეტენზიები ბრძანების კანონიერებასთან დაკავშირებით, სავსებით დასაბუთებულია და არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ბუნებრივია, იგი მიიღებს ბრძანებას, რომლითაც ბათილად ცნობს გასაჩივრებულ ბრძანებას, მაგრამ ისმის კითხვა, მხოლოდ ამ ერთი ტიპის აქტის გამოცემა, წყვეტს კი საკითხს სრულფასოვნად? არის კი ეს საკმარისი სადაო საქმის დასარეგულირებლად და საბოლოოდ გადასაწყვეტად? ხომ არ არის სავალდებულო, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, გარდა ბრძანებისა (რომლითაც გაუქმდა ქვედა ინსტანციის სასამართლოს ბრძანება), დამატებით მიიღოს აგრეთვე დადგენილება, რომლითაც უარს ეტყვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამის ადგილობრივ ერთეულს მიმართვის დაკმაყოფილებაზე. ბუნებრივია, მიმართვაზე უარი სასამართლომ მხოლოდ დადგენილების სახით უნდა გამოიტანოს. ამდენად, გამოდის, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს აქვს ვალდებულება მიიღოს ორი სახის აქტი: ბრძანებით გააუქმოს ბრძანება და შემდგომ დადგენილებით უარი უთხრას მიმართვის ავტორს. სააპელაციო სასამართლო, თუ უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ ბრძანებას (ანუ, როდესაც არ აკმაყოფილებს საჩივარს), ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს ბრძანება, რომლითაც ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ ბრძანებას. იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც სააპელაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საჩივარს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადაგენილების გაუქმების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს ასეთ დროსაც გამოაქვს დადგენილება. დასკვნის სახით შესაძლოა განვმარტოთ, რომ სააპელაციო სასამართლო, როდესაც აკმაყოფილებს საჩივარს, იღებს ორი ტიპის სასამართლო აქტს, ხოლო საჩივრის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში ერთი

სახის სასამართლო აქტის მიღებით შემოიფარგლება. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება (დადგენილება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ,,ტუბერკულოზის კონტროლის კანონის“[6] მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოება შემოიფარგლება მხოლოდ ორი ინსტანციის სასამართლოთი, ვინაიდან საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრებას კანონი არ უშვებს. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანების/დადგენილების მხოლოდ ერთხელ გასაჩივრების შესაძლებლობას უშვებს კანონი, ისიც საჩივრის ფორმით და მას იხილავს სააპელაციო სასამართლო არსებითად. მართალია, საკასაციო წესით გადასინჯვას არ ექვემდებარება აღნიშნული კატეგორიის საქმე, მაგრამ კანონმდებლობით უზრუნველყოფილია არსებითი განხილვა ორი სასამართლო ინსტანციის მიერ.

იმისათვის, რომ შეჩერდეს ტუბერკულოზის გავრცელება, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია, ყველა ტუბერკულოზით დაავადებულმა პირმა უწყვეტად იმკურნალოს ტუბ.დაწესებულებაში სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ და მკურნალობის რეჟიმის ზუსტი დაცვით. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყება მისი განკურნება და ბაქტერიების გამოყოფის შეწყვეტა, რის შემდეგაც იგი გადამდები აღარაა და ნაკლებად საშიშია გარშემომყოფთათვის. ტუბერკულოზით დაავადებულის მიერ მკურნალობის შეწყვეტა, ან მასზე უარის თქმა ნიშნავს საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფას, ასევე, სხვათა სიცოცხლისთვის საფრთხის შეგნებულად შექმნას. ტუბერკულოზით დაავადებულმა პაციენტმა მკურნალობა აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანოს საკუთარი და სხვათა ჯანმრთელობის დასაცავად. ტუბერკულოზით დაავადების შიშის გამო ოჯახის წევრების, ახლობლებისა და საზოგადოების მიერ მათი გარიყვა, სამსახურიდან დათხოვნა და სხვა მსგავსი მიდგომა მიუღებელია. ინფექციური დაავადებების კონტროლის შესახებ კანონებში მნიშვნელოვანია პირის ინდივიდუალურ უფლებებსა და საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვას შორის ბალანსის დაცვა. გარდა თავად დაავადებული პირის ჯანმრთელობისა, ტუბერკულოზით დაავადების კონტროლის შესახებ კანონების მთავარ მიზანს საზოგადოების დაცვაც წარმოადგენს საშიში დაავადებების გავრცელებისგან. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია კანონის მოთხოვნათა ფარგლებში შეიზღუდოს პაციენტის ზოგიერთი უფლება. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია რეკომენდაციას აძლევს ქვეყნებს, რომ თითოეულ პაციენტს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის მკურნალობაზე. მაგრამ, თუ პაციენტი უარს ამბობს ნებაყოფლობით მკურნალობაზე და იგი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის, მაშინ კანონითვე განსაზღვრული გარკვეული უფლებების შეზღუდვა, უდაოდ ლეგიტიმური ხასიათისაა. გასათვალისწინებელია, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წესების თანახმად, არანებაყოფლობითი იზოლაცია გამოყენებული უნდა იქნას როგორც ბოლო ღონისძიება მას შემდეგ, რაც ყველა სხვა არაძალისმიერმა ზომებმა შედეგი არ გამოიღო.

ჩვენი აზრით, მთავარი აქცენტი პრევენციაზე უნდა იყოს გადატანილი და არა შემდგომ, უკვე დამდგარ მძიმე შედეგებთან ბრძოლაზე. ამ კუთხით, პრევენციაზე თანხის დაზოგვა ნამდვილად არ გამოდგება ქვეყნის ინტერესების დასაცავად. მიგვაჩნია, რომ არანებაყოფლობითი მკურნალობის პროცესში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პაციენტთა ნორმალური, მაღალი სტანდარტების მქონე დაწესებულებებში მოთავსება. ამისათვის, უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრა-სტრუქტურა, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, გაჩნდეს უმაღლესი ხარისხის მედიკამენტების ბაზა, ხელმისაწვდომი იყოს

[6] ,,ტუბერკულოზის კონტროლის კანონი“

დაბალანსებული კვება და სხვა... რათა შემდგომ უკვე პაციენტს მოვთხოვოთ გარკვეული ვალდებულებების შესრულება და მორალურად (არა მხოლოდ სამართლებრივად) გამართლებული პოზიციიდან მოვახდინოთ მათი არანებაყოფლობითი იზოლაცია. ამდენად, ტუბერკულოზის მკურნალობა არის არამარტო ცალკეული პაციენტის ჯანმრთელობის საკითხი, ის ამავე დროს, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე აღებულ მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის VII[13] თავი უდაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია არა მხოლოდ სამართალშემოქმედებითი თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული საყოველთაოდ აღიარებული ჰუმანური, კათცმოყვარე მიდგომებითაც. მართალია, საქმის წამოწყება უკვე მისასალმებელია, თუმცა ყოველივე ეს იქნება წყალში გადაყრილი შრომა, ენერგია, ფინანსები, თუ საწყისი ეტაპიდან თანმიმდევრულად შემდგომი განვითარების სტადიაზე არ იქნება გადასვლა და რეალური ნაბიჯების გადადგმა. თანამედროვე ეტაპზე არ შეგვიძლია ყურადღების მიღმა დავტოვოთ მსოფლიოში არსებული კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია. ნათლად ვხედავთ, რომ ინფექციასთან ბრძოლაში უკეთესი შედეგები იმ ქვეყნებმა აჩვენა, რომელთა სტრატეგია მეტად თანმიმდევრული იყო, განსაკუთრებით პრევენციის კუთხით. ბუნებრივია, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან სწორად დაგეგმილი ქმედება რეალურ შედეგს ვერ მოგვცემს, თუ მოსახლეობამაც არ გამოიჩინა კეთილგონიერება, კანონმორჩილება და არ გაითავისა სხვათა უფლებების დაცვის ვალდებულება და სხვათა ჯანმრთელობის დაცვაზე პირადად არ აიღო მისი წილი პასუხისმგებლობა, არ გამოხატა მზრუნველობა. ამ მხრივ, საყურადღებოა ვაქცინაციის პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვა. იგივე ტუბერკულოზთან რომ გავავლოთ პარალელი, პრაქტიკამ და გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საყოველთაო აცრებმა ამ მიმართულებითაც გადამტეხი როლი ითამაშა და მსოფლიომ პრაქტიკულად დაამარცხა ტუბერკულოზი (ბუნებრივია, მისი აფეთქების კერები მაინც წარმოიშვება ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის ფონზე, რაზეც უკვე ვისაუბრეთ და აღარ განვმეორდებით). იმედს ვიტოვებთ, ამ ახალ გამოწვევასაც, სახელმწიფოები სწორი სამართლებრივი რეგულაციებით, ეფექტური მენეჯმენტითა და მოსახლეობაც სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და ალტრუისტული მიდგომით, მოკლე დროში სათანადოდ მომზადებულ პასუხს გასცემს. მით უფრო, 21-ე საუკუნეში არსებული სრულიად ფანტასტიური ტექნოლოგიებისა და მიღწევების ფონზე.

ლიტერატურა

1. https://mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/ftiziatria/2634-tuberkulozi.html
2. ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
4. ციალა ჩქარეული - ,,ქმნა მართლისა სამართლისა“ - თბ. 2012
5. ,,ტუბერკულოზის კონტროლის კანონი“
6. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
7. 31.12.16 წლის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება #01-53/ნ/#166
8. ირმა მანჯავიძე, ლევან ლაბაური, მარინე კვაჭაძე - ,,ადამიანის უფლებათა დაცვა ჯანდაცვის სფეროში და სიტყვის თავისუფლება“ - თბ., 2006.

9. ციალა ჩქარეული - ,,ადმინისტრაციული სამართალწარმოება - პირის არანებაყოფლობითი დახმარების/იზოლაციის/მკურნალობის საქმეებთან დაკავშირებით“ – 2019 წ.

რეზიუმე

სამეცნიერო სტატია გამოცემულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. ევროინტეგრაციის პირობებში, საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია განხილული საკითხების ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ზოგად წესებთან და დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე და მოცემულია საკუთარი ხედვები მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ნაშრომში შერწყმულია თეორიული მოსაზრებები და პრაქტიკული მაგალითების ანალიზი, რაც მას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ფართო მკითხველისათვის. სამეცნიერო სტატია საინტერესო იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ კუთხით, საქართველოში მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევა არ განხორციელებულა.

საკვანძო სიტყვები: ტუბერკულოზი; არანებაყოფლობითი; პროცესუალური; სააპელაციო; სამართალწარმოება; იზოლაცია; ბრძანება.

Tsiala Chqareuli

Peculiarities of Administrative Proceedings in Connection with Cases of Involuntary Isolation and Treatment of Persons with Tuberculosis

Summary

The scientific article is published for students of law faculty and for people, interested in the discussed issue. Compliance of discussed issues with the general rules and directives of the EU countries is most important for Georgia because of EU integration process. The article focuses on the shortcomings in the legislation and provides authors vision about ways of correction of these shortcomings. The article combines theoretical considerations and analysis of practical examples, which makes it even more interesting to the wide circle of readers. This article is also interesting, regarding the fact, that significant scientific research of discussed issues has not been implemented in Georgia yet.

Keywords: Tuberculosis; Involuntary; Procedural; Appellate; Litigation; Isolation; Command.

ნიკოლოზ წერეთელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

„რთული შემთხვევა“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

„უმცირესობა შესაძლოა ზოგჯერ მართალი იყოს,
უმრავლესობა კი ყოველთვის ცდება“
ჰენრიკ იბსენი

სამართლიანობისათვის ის რაც დაკანონებულია ანუ ლეგალურია, ამავდროულად არის ლეგიტიმურიც, თუმცა რეალურად, ის რაც ლეგალურია შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს ლეგიტიმურ.[1] გუსტაფ რადბრუხის აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს რიგ შემთხვევებში კანონებსა და სამართალს შორის დაპირისპირებას. მაშინ როდესაც, სამართლიანობა ფუნდამენტური ღირებულებების ერთიანობაა,[2] პოზიტიური სამართალი გაცილებით მიწიერი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობაა,[3] რომლის მიერაც ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები, წარმოადგენენ მთლიანი კანონმდებლობის მასაზრდოებელ ძირითად წყაროს.[4] სწორედ ამიტომ, რონალდ დვორკინს მიაჩნია, რომ სამართალი უპირველესად არის განმარტების პროცესი, რომლის მიხედვითაც ცალკეული პირის უფლებებია უპირველესი.[5] იგი ცალ-ცალკე განიხილავს შემთხვევებს, რომელიც ერთი მხრივ ნორმისა და სამართლის პრინციპის დაპირისპირებასა და მეორე მხრივ დასარეგულირებელი ნორმის არარსებობაში ვლინდება. დვორკინის მოსაზრების მთავარი ქვაკუთხედი არის ის გარემოება, რომ სამართალს აბსოლუტურად ყველაფერზე შეუძლია პასუხის გაცემა. პასუხის მოსაძებნად კი მხოლოდ ე.წ. „ჰერკულესი მოსამართლეა“ საჭირო.[6] მართალია, კონტინენტურ ევროპაში მიღებულია, რომ სასამართლოს არ შეუძლია განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, მაგრამ ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამართალი არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევს მოსამართლე. (Law is what the judges say it is).[7] საინტერესოა იოზეფ ესერის მოსაზრებაც, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ გადაწყვეტილებების სისწორეზე მხოლოდ ნორმის ნორმატიული შინაარსი კი არ მოქმედებს, არამედ სამართლის ძირითადი პრინციპები.[8]

---

[1] დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი-Corpus Juris წიგნი I, დიმიტრი გეგნავას რედაქტირებით, თბილისი, 2015, 11.

[2] იქვე, 10.

[3] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 39.

[4] იქვე.

[5] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 57-64.

[6] იქვე.

[7] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 160. ასევე იხ. E. Philip Soper, „Legal Theory and the Obligation of a Judge: The Hart/Dworkin Dispute“, University of Michigan Law School, 1977, 12-14.

[8] Josef Esser, Grundsatz und Norm in der richterlichen Fortbildung des Privatrechts, 1956, 294.

შესაბამისად, დვორკინისეული სამართალშეფარდების პროცესი სამართლებრივი სიკეთეების აწონვის მექანიზმზე გადის. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მისი შემუშავებული კონცეფციიდან გამომდინარე ორი თანაბარი მნიშვნელობის სიმართლე არ არსებობს. ე.წ. „რთული შემთხვევების“[9] არსებობის დროს, ერთი სიკეთე ყოველთვის აღემატება მეორეს. უპირატესის დასადგენად კი, საჭიროა სამართლის პრინციპებში ჩაღრმავება და მათი დანახვა. რონალდ დვორკინის სამართლებრივ მსოფლმხედველობას, როგორც იდეას, გაცილებით ადრე ვხვდებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ამ საკითხის უკეთ წარმოსაჩენად პოეტის რამდენიმე პოემა განვიხილოთ, როგორც დვორკინისეული „რთული შემთხვევა“.

თანამედროვე „ჰერკულესი მოსამართლე“, როგორც მართლმსაჯულებაში ინდივიდუალიზმისათვის უპირატესობის მინიჭების იდეა, სწორედ ვაჟა-ფშაველას იდეოლოგიით საზრდოობს. მისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთ დაპირისპირება წარმოადგენს. რეალურად ხალხის უზენაესობა ფიქციაა, ვინაიდან შეუძლებელია მათ მიერვე ლეგიტიმაცია მიცემული სამართლის სოციალური და მორალური პრინციპებისგან დიფერენცირება.[10] ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯოყოლასა და თემის ურთიერთობა საუკეთესო წარმოჩინებაა ერთი შეხედვით ორი თანაბრი ძალის მქონე ჭეშმარიტების ზნეობრივი კონფლიქტისა. მიუხედავად არაერთი მკვლევარის მიერ დასაბუთებული მსგავსი მსჯელობისა, საინტერესო იქნება ინდივიდისა და საზოგადოების დაპირიპსირების დილემა სამართლებრივ ჭრილშიც შევაფასოთ.

სამოსამართლო საქმიანობა არის მოსამართლის მიერ კონკურირებადი პრინციპების “კონსტრუქციული ინტერპრეტაცია”, რომელთაც არ გააჩნიათ იერარქია და დავის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მორალური პრინციპების საფუძველზე.[11] სწორედ ამ გაგებით, პოემა, „სტუმარ-მასპინძელი“, კლასიკური მაგალითია დვორკინისეული რთული შემთხვევისა, სადაც „ჰერკულეს მოსამართლედ“ პოემის მთავარი გმირი ჯოყოლა ალხასტაისძე გვევლინება. ჯოყოლას, როგორც მსაჯულს, სტუმარ-მასპინძლობასა და სისხლის აღების კანონებს შორის იერარქიის დადგენა უწევს იმგვარ ადათობრივ სამართლებრივ რეალობაში, რომელსაც შექმნილ კოლიზიურ დილემაზე პირდაპირი პასუხი არ მოეძებნება. სანამ აღნიშნული რთული შემთხვევის ჯოყოლასეულ სამართლებრივ შეფასებაზე გადავიდოდეთ, საინტერესოა იმ მკვლევართა მოსაზრებები, რომლებიც, შესაძლოა ითქვას, რომ ფაქტობრივი ინსპირაცია არიან თანამედროვე მყიფე პოზიტივისტი მოსამართლეებისა. სწორედ ასეთი უტილიტარისტული მიდგომიდან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ პოემაში „ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ზნეობრივი წესი - სტუმარ-მასპინძლობა და შურისძიება. ორივე, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების მიერ თანაბრად არის აღიარებული. რა უნდა ჰქნას, ერთი მხრივ, ჯოყოლამ და, მეორე მხრივ, საზოგადოებამ? ორივე ადათის დაცვა შეუძლებელი და გამორიცხულია. ჯოყოლამ (პიროვნებამ) სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა არჩია, საზოგადოებამ - შურისძიებისა. დაირღვა ჰარმონია. ორი სიმართლე დაეჯახა ერთმანეთს. მართალია ჯოყოლა, იგი იცავს სტუმარ-მასპინძლობის ადათს, მტყუანია ჯოყოლა - იგი არღვევს შურისძიების ადათს. მართალია საზოგადოებაც, იგი იცავს შურისძიების ადათს, მტყუანია საზოგადოებაც - იგი არღვევს სტუმარ-მასპინძლობის ადათს. ორი სიმართლის და ორი სიმტყუანის ბრძოლისას

[9] Dworkin, Ronald. Hard Cases, Harv. L. Rev. 1975.

[10] სამართლის ფილოსოფია, რონალდ დვორკინის რედაქტირებით, თბილისი, 2010, 36

[11] ევგენი აფონასინი, ანტონ დიდიკინი, სამართლის ფილოსოფია, თბილისი, 2017, 63

გაიმარჯვა საზოგადოებამ.“[12] შესაბამისად, გამოდის რომ „სტუმარ-მასპინძლის“ იდეა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტია. მაგრამ საქმე ისიცაა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება არა „კოლექტიური“ და „ინდივიდუალური”, არა პიროვნება და საზოგადოება (თემი), არამედ ორი კანონი - სტუმარ-მასპინძლობის „წესი“ (ოჯახის კანონი) და „წესი“ სისხლის აღებისა (თემის კანონი). ჯოყოლა და აღაზა იცავენ ერთ წესს, ხოლო თემი მეორეს და, ცხადია, რომ (როგორც ჭეშმარიტ ტრაგედიაში), ორივე მხარე მართალია.[13] ფაქტობრივად ამ მოსაზრების მიხედვით თემს უბრალოდ არ შეეძლო, რომ თავისი თავისათვის მტრის შებრალების ნება მიეცა. ეს მის ელემენტარულ საარსებო და სათავდაცვო მოთხოვნილებებზე ხელის აღების ტოლფასი იქნებოდა.[14] ვაჟას გმირების უბედურება იწყება იმ წუთიდან, როცა ისინი სცდილობენ გადალახონ ბუნებრივი და ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი საზღვრები. ტრაგიკულია ჯოყოლასა და აღაზას ბედი „სტუმარ-მასპინძელში“: მათ უღალატეს თავიანთ თემს და ქისტების მოსისხლე მტერს მასპინძლობა და ჭირისუფლობა გაუწიეს.[15] თემიცა და პიროვნებაც ერთნაირად იცავენ თემობის წესს და, ასევე, ერთნაირად არღვევენ მას,[16] რომელშიც თვითოეული მხარე მორალურად მართალია. სამწუხაროდ, მათი შერიგება სიკვდილსაც კი არ შეუძლია.[17]

სამართლებრივი აზროვნებიდან გამომიდანრე მსგავსი მოსაზრებები არ შეიძლება იყოს მართებული. შეუძლებელია სამყაროში კონკრეტულ დროსა და ვითარებაში არსებობდეს თანაბარი მნიშვნელობის ორი ისეთი სიკეთე, რომელთა დაპირისპირების შემთხვევაში შეუძლებელი იყოს მათ შორის უპირატესობის დადგენა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ე.წ. „კვერცხუჯრედის“ საქმეზე მოუწია ერთი შეხედვით იდენტურ, ხოლო მეორე მხრივ კოლიზიურ უფლებებს შორის უპირატესობის დადგენა.[18] ამიტომაც, ამ საკითხის გადასაწყვეტად და ჯოყოლას მიერ მიღებული გაბედული არჩევნის გასამყარებლად აუცილებელია მთიელთა ზნეობრივ კოდექსში მოიძებნოს ისეთი პრინციპები, რომელთაც შეეძლებათ პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს მასპინძელი იმ შემთხვევვაში, როდესაც მასთან სტუმრად მტერი მიბრძანდება.

სტუმარ-მასპინძლობის, როგორც ხელშეუხებელი სიკეთის არსებობაზე მეტყველებს აკაკი შანიძის მიერ შემონახული ხევსურული ხალხური ბალადა, „შიოლა და მთრეხელი“. ბალადის მიხედვით, ხევსურ მთრეხელს შემოაკვდა სნოელი შიოლა. მკვლელობის ჩადენის შემდეგ, გარდაცვლილის ძმები დაედევნენ მკვლელს შურის საძიებლად. დაბნეული მთრეხელი მის მიერვე მოკლული შიოლას დას მიადგა სახლში და დახმარება სთხოვა. „-დაო, ვერ შამინახევდი? ცხონებას შენის ძმისასა!“ ატირებულმა დამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, სტუმარ-მასპინძლობის პრინციპის საფუძველზე, შეიფარა საკუთარი ძმის მკვლელი და წამოწეულ ძმებს სთხოვა, რომ მის სახლში მოსული სტუმარი, ხელშეუხებელი პრინციპიდან გამომდინარე, არ მოეკლათ. რა თქმა უნდა ძმებმა დის თხოვნა არ შეისმინეს და ღუდუშაურებმა მკვლელი „საკვმით“ ნასროლი ისრით მოკლეს. სტუმრის მოკვლით შეურაცხყოფილმა დამ უარი

---

12 ბაქრაძე ა., „რწმენა“, თბილისი, 1990, 194.

13 შათირიშვილი ზ., „ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი“, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, N 13, 28.

14 ნათაძე ნ., „ლიტერატურული წერილები“, თბილისი, 1973, 207.

15 ქიქოძე გ., „რჩეული თხზულებანი“, ტ. 1, თბილისი, 1963, 250.

16 დობორჯგინიძე ბ., „ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, თბილისი, 1962, 91.

17 ნატროშვილი გ., „ლიტერატურული ეტიუდები“, თბილისი, 1947, 224

18 სასაართლოს მოუწია ემსჯელა თუ რომელი უფლებაა უპირატესი- უფლება გახდე დედა, თუ უფლება არ გახდე მამა?!. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება #2/1854.

განაცხადა ძმის დასატირებლად წასვლაზე და, აგრეთვე, თავის ქმარს - ქერას - დაავალა, მოეკლა შიოლას ერთ-ერთი ძმათაგანი და ამით გამოესყიდა ოჯახის სირცხვილი.[19]

ამ ბალადაში კარგად ჩანს, რომ ქისტებისა და მთიელთა ზნეობრივი კოდექსის მიხედვით სტუმრის დაცვა მაპსინძლის უმთავრესი ვალდებულებაა. „თუ მასპინძელს სტუმარი მოუკლეს, ისევე დაიწყებს დავას, როგორც მოკლულის ნათესავები. ადათით, სისხლის ნახევარი საფასური ეკუთვნის მასპინძელს, როგორც დაზარალებულს.“[20] აქვე ხაზგასასმელია, კერის კულტიც. კერის კულტი იმდენად ძლიერი იყო ვაინახებსა და მთიელებში, რომ ქისტური ადათით, თუ „მოსისხლე მოახერხებდა დაზარალებულის სახლში შესვლას და შუაცეცხლის ჯაჭვზე ხელის წავლებას, ის ჩადენილი დანაშაულისაგან თავისუფლდებოდა.“[21] ანალოგიური იყო ქართველ მთიელთა დამოკიდებულებაც. გადმოცემის თანახმად, ქისტი ბაღათური შეიპარა მოსისხლის სახლში და კერის წინ ნაბადში გახვეული დაწვა. როცა სახლის პატრონები წააწყდნენ, არათუ შური იძიეს, არამედ იძულებულნი გახდნენ შერიგებაზეც დათანხმებულიყვნენ, რადგან მოსისხლე უკვე მათ სტუმრად მიიჩნეოდა.[22] ერთი შეხედვით „უიმედო დილემას,“[23] ამარტივებს შვილების მიერ შეპყრობილი მამის მკვლელის ამბავიც, რომლებმაც დედას დაუბარეს, რომ მათ მოსვლამდე სახლში გაკოჭილი მტრისათვის არაფერი ეჭმია. როგორც ამბავი იუწყება, დედას შეცოდებია მშიერი ტყვე და მისთვის პური გაუტეხავს. როდესაც სახლში დაბრუნებულმა ძმებმა შეიტყვეს დედის საქციელის შესახებ თქვეს: - როგორღა ვიძიებთ ახლა შურს იმ ადამიანზე, რომელმაც ჩვენი პური ჭამა?! მოგვიწევს გავათავისუფლოთ იგი, რადგან გატეხა რა პური ჩვენს ოჯახში, იგი უკვე სტუმარია და არა ტყვე. ამის შემდეგ ძმებმა მართლაც გაათავისუფლეს მტერი.[24] სტუმარ-მაპსინძლობის პრინციპის იერარქობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ამბავი: ერთ ობლად გაზრდილ ყმაწვილს ერთ ღამეს სამი ამბავი მიუვიდა: -მამაშენის ძმადნაფიცი გზაშია და ამაღამ გესტუმრებაო; -მამაშენის მკვლელი ამ ღამეს ამ ადგილას გაივლის და ჩაუსაფრდიო; -ამაღამ შენს დანიშნულს ძალად ათხოვებენ და დაიხსენიო. ახალგაზრდა საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს დედა დაეხმარა რჩევით: - საცოლეს კიდევ მონახავ, მკვლელსაც სხვა დროს გაუსწორდები, პირველ ყოვლისა, სტუმარს უნდა დავხვდეთ, თავი რომ არ მოგვეჭრასო.[25] შესაბამისად, მასპინძლისა და მისი ოჯახის ღირსება დაკავშირებულია სტუმრის ხელშეუხებლობასთან. უფრო მეტიც, მასპინძელი ვალდებულია სტუმრის მოკვლის შემთხვევაში მისი სისხლიც კი აიღოს.[26]

ის, რომ ვაჟა-ფშაველა მსგავსი პრობლემატური საკითხით დაინტერესდა, არ იყო შემთხვევეითი აქტი, ვინაიდან იგი თავადაც შესანიშნავად ერკვეოდა მთიელთა წეს-ჩვეულებებში. მისი განმარტებით, „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ კი ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან

---

19 (შანიძე 2009: 398), შანიძე ა., „ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული“, თბილისი, 2009, 398.

20 ხანგოშვილი ხ., „ქისტები“, თბილისი, 2005,67.

21 მარგოშვილი ლ., „პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა“, თბილისი, 1985, 47.

22 ბარდაველიძე ვ., „მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში“, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N 3, თბილისი, 1971, 67.

23 რეიფილდი დ., „ზედროული სამყარო“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილსი, N 12, 1982, 11.

24 Ингушетия и ингуши, Под ред. Адама Малсагова, Назрань-Москва, 1999. 199-200.

25 ხანგოშვილი ხ., „ქისტები“, თბილისი, 2005, 67.

26 Ковалевский Максим, Современный обычай и древний закон, т. I, 1886, 51.

დაიცვას.“[27] სწორედ ვაჟას მიერ 1897 წელს დაწერილი პოემა „სისხლის ძიება“ ნათელს ჰფენს ნორმათა იერარქიის დადგენის საკითხს, რომელშიც ნათლადაა აღწერილი ქიჩირის მიერ მოსისხლე მტერთან-ასლანთან სტუმრად მისვლის უმთავრესი მიზეზი - „მე კი ჩვენს, ჩერქეზთ რჯულზედა სახლში მიუვალ ძმურადა! არც მე მექნება სანაღვლოდ, არც თავი დაკარგულადა. საღმრთო წესს როგორ დაარღვევს, ისეც გაფუჭდა სრულადა?!“[28] ხოლო მას შემდეგ, რაც ასლანი დაარღვევს სტუმარ-მასპინძლობის უმთავრეს პრინციპს, ქიჩირი უკანასკნელად სთხოვს მას, რომ ამ ამბის შესახებ არავის გააგებინოს, რათა ჩერქეზთა საზოგადოებაში არ მოხდეს ღირებულებათა იერარქიის რღვევა.[29]

უაღრესად საინტერესოა ჯოყოლას იდეური კავშირი სოფოკლეს პერსონაჟ ანტიგონესთანაც. მის მიერ გაჟღერებული განაცხადი კრეონის მიმართ: „რა მომიპოვებს უფრო დიად სახელს, ვიდრე ძმის დამარხვა?!“[30] პირდაპირ მეტყველებს ნორმათა იერარქიაზე ერთი მხრივ, იმპერატორის მიერ გაცემული ბრძანების, როგორც შესასრულებლად სავალდებეულო ქცევასა და, მეორე მხრივ, დაუწერელ ზნეობრივ ნორმას, ოჯახის წევრის რელიგიური წესით დაკრძალვას, შორის. ამით, ერთმანეთს უპირისპირდება პოზიტიური სამართალი და სამართლიანი სამართალი. სოფოკლე წარმოაჩენს, თუ რაოდენ საშიშია გონიერების სახელით იმ სამართლის უგულებელყოფა, რომლითაც დაცულია საზოგადოებრივი უსაფრთხოება.[31]

ყოველივე ამის გათვალისიწინებით, ცალსახაა რომ ჯოყოლამ, როგორც ჰერკულესმა მოსამართლემ, საკუთარი გადაწყვეტილება მიიღო არა თემის მიერ დადგენილი პოზიტიური ნორმების საფუძველზე, არამედ ადათობრივი და ზნეობრივი კოდექსის იმ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით, რომელზედაც აგებულია მთლიანად ვაინახური ტრადიცული სამართალი. მისი მსჯელობა ცდება დაწერილ და უმრავლესობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს და იცავს გაცილებით მაღალ ღირებულებას-ადამიანს. ამის დასასაბუთებლად კი მას მოჰყავს არა სუბიქეტური არგუმენტი, არამედ თავად ქისტური სამართლის ძირითადი საფუძველი. აქვე, ხაზგასასმელია, რომ ჯოყოლა მოქმედებს ნორმის არა ე.წ. Praeter legem, არამედ Contra legem განმარტების პრინციპით, რაც გულსიხმობს აბსოლუტურ წინააღმდეგობას არსებული ზოგადი ქცევის წესის სიტყვა სიტყვით ინტრეპრეტაციასთან.[32] შესაბამისად, პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება არა ორი თანაბარი ძალის სიკეთე, არამედ სიმართლე და უსამართლობა. მნიშვნელოვანია, რომ ჯოყოლას მიერ ზნეობრივი ელემენტის შემოტანა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და ამის გამტკიცება თავად ქისტური სამართლის პრინციპით, ხაზს უსვამს ვაჟას საოცარ ხედვას ზნეობრივი მოსამართლის შესახებ და დვორკინზე საუკუნეზე ადრე იმის დანახვას, რომ სამართალს, როგორც ხალხის მიერ შექმნილ მომწესრიგებელ სისტემას, ყველაფერზე აქვს პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება გარდა დვორკინისეული ხედვებისა, გაჟღენთილია კიდევ უფრო ღრმა ფილოსოფიურ-სამართლებრივი ელემენტებით. თუკი „სტუმარ-მასპინძლის“ შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით კონკერტული სოციუმის მიერ კანონის ძალად ქცეული ნორმისა და ძირითადი პრინციპის დაპირისპირებას, ხუთი წლით

---

27 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, თბილისი, 1964, 48.

28 ჟურნალი „კვალი”, თბილისი, 1897.

29 იქვე.

30 სოფოკლე, „ანტიგონე“ გიორგი ხომერიკის თარგმანი, თბილისი, 1988

31 ქერაშვილი ს., „ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის“, თბილისი, 2018, 10

32 ხუბუა გ., „განმარტება Contra Legem“, სამართლის მეთოდები, #2, თბილისი, 2018, 3-4.

ადრე დაწერილ პოემაში, „ალუდა ქეთელაური“, გვევლინება კლასიკური სამართლებრივი რეალიზმის მთავარი იდეა, რომელიც ცდილობს გარდაქმნას კანონების შესწავლის მეთოდოლოგია, იურიდიულად მნიშვნელოვანი ქცევების სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებად.[33]

ალუდას მიერ მუცალისათვის მკლავის არ მოჭრის საკითხი, მთიელთა სამართლისათვის აბსოლუტურად გასაკიცხ ქმედებას წარმოადგენდა. პოემის მთავარ პერსონაჟს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე არ შეეძლო არსებულ სამართალში მოეძებნა ისეთი ლეგიტიმური პრინციპი, რომლის წყალობითაც შეძლებდა საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებას. შესაბამისად, მან გაცილებით მაღალი ზნეობრივი სიკეთის დასაცავად გაარღვია თემის მიერ დადგენილი ტრადიციული სამართლის ნორმები და შექმნა აბსოლუტურად ახალი პრინციპი, რომელიც დაფუძნებული იყო მისი შინაგანი მორალის გარეგან გამოხატულებაზე.[34] ასევე, ნიშანდობლივია, რომ პირველ ეტაპზე, როდესაც ალუდა მუცალს არ სჭრის მარჯვენას ამით ის ქმნის არა სამართლებრივ ნორმას, არამედ ახალ პრინციპს არსებულ მთიელთა სამართალში, ხოლო მას შემდეგ, რაც ალუდა ხევსურების რელიგიურ დღესასწაულზე ჩაერია ექსკლუზიურად ხევისბერის მოქმედების სფეროში და კურატი თავად შესწირა „ურჯულოს“ სულს, მისივე შექმნილი პრინციპის საფუძველზე მან შექმნა ახალი სამართლებრივი ნორმაც. ფაქტობრივად, ამით ვაჟა-ფშაველამ ო. ჰოლმსისა და რ. დვორკინის ფილოსოფიების სინთეზი მოახდინა. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ თავად ავტორმა პოემის ბოლოს სიტყვებით: „ჯავრობით ეტყვის ალუდა: დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა, მოდით, მამყევით, ვიდინოთ, ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა, ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!“ შემოგვთავაზა განსხვავებული აზრიც, რომელიც ჰერმანევტულად გასაიგივებელია თანამედროვე მყიფე პოზიტივიზმთან, რაც თემის იმდროინდელი განვითრების დონიდან გამომდინარე მართებულიცაა. ვაჟა-ფშაველას შესანიშნავად ესმის ბრმად კანონებისადმი მიმდევარი საზოგადოების მდგომარეობისა და ამიტომაცაა, რომ ალუდას გაძევებას საკუთარი გარღვეული მსფოლმხედველობიდან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურად წარმოგვიჩენს.

საბოლოოდ, რონალდ დვორკინის ფილოსოფია, რომ გავამარტივოთ და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფართო ინტერპრეტაცია მოვახდინოთ, აღმოვაჩენთ ძალიან მარტივ ფაქტს, რომ სამყაროში ადმიანის მიერვე მიღებული ნებისმიერი ნაყოფი უნდა საზრდოობდეს იმ ღირებულებებით, რა ღირებულებებიც უდევს საფუძვლად თავად ადამიანის შექმნას. შეუძლებელია, კაცობრიობის კეთილდღეობის ჰიპოთეტური მოტივით განვახორციელოთ ისეთი ქმედებები, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა კონკრეტული ინდივიდის მენტალურ და ბუნებრივ მსოფლმხედველობასთან. ალბათ, ლოგიკური იქნებოდა ამ მიდგომის გასამყარებლად უფრო დეტალურად გვესაუბრა ჩ. პირსის, უ. ჯეიმსის, ჯ. დიუის, რ. პაუნდის, რ. დვორკინისა და ო. ჰოლმსის სამართლებრივ ფილოსოფიაზე, თუმცა აღნიშნული მოაზროვნეების ძირითადი ღირებულებების წარმოჩინებას გაცილებით მარტივი და ყველასათვის გასაგები მსჯელობა სჭირდება. ის, რის დასანახავადაც დღესდღეობით კვალიფიციური იურიდიული განათლებაა საჭირო, ვაჟა-ფშაველას წყალობით ეს უკანასკნელი პოლიფონიური პოემების ხარჯზე წარმოჩინდა. მისი დამსახურებით ალუდას, ჯოყოლასა და ქიჩირის მაგალითზე გამოჩნდა თუ

---

[33] აფონასინი ე., დიდიკინი ა., „სამართლის ფილოსოფია“, თბილისი, 2017, 66.

[34] „..ო. ჰოლმსი მიიჩნევს, რომ სამართალი ადამიანის შინაგანი მორალის გარე გამოხატულებაა და ამტკიცებს, რომ „დღეს მსოფლიო იმართება უფრო მეტად იმანუელ კანტის და არა ნაპოლეონ ბონოპარტის მიერ“. იხ. აფონასინი ე., დიდიკინი ა., „სამართლის ფილოსოფია“, თბილისი, 2017, 67.

რაოდენ ძნელია „ჰერკულესი მოსამართლის“ როლის მორგება, ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც სამართლიანობაზე მნიშვნელონად გაურკვეველი მიზნით შექმნილი მიწიერი წესრიგის დაცვა მიაჩნნია. მართალია, მოკლე ვადიან პერსპექტივაში მსგავსი ადამაინების ხვედრი ტრაგიკულია, თუმცა საბოლოოდ, კრეონი, ქისტური და ქართული თემი, მის მიერვე გმირად ქცეულ ადამიანებთან გამართულ ზნეობრივ ომში მარცხდება.

თუ სამართალს ზემოხსენებულ არგუმენტებზე დაყრდნობით განვიხილავთ, დავინახავთ რომ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება რთულია იმდენად, რამდენადაც რთულია ზნეობრივად განსხვავებული თანამოქალაქის შეყვარება და მარტივია იმდენად, რამდენადაც მარტივია ადამიანის შექმნის მთავარი მექანიზმის-თავისუფლების უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია

1. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი-Corpus Juris წიგნი I, დიმიტრი გეგნავას რედაქტირებით, თბილისი, 2015;
2. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004;
3. რ. უექსი, სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012;
4. E. Philip Soper, „Legal Theory and the Obligation of a Judge: The Hart/Dworkin Dispute“, University of Michigan Law School, 1977;
5. Josef Esser, Grundsatz und Norm in der richterlichen Fortbildung des Privatrechts, 1956;
6. Dworkin, Ronald. Hard Cases, Harv. L. Rev. 1975;
7. სამართლის ფილოსოფია, რონალდ დვორკინის რედაქტირებით, თბილისი, 2010;
8. ევგენი აფონასინი, ანტონ დიდიკინი, სამართლის ფილოსოფია, თბილისი, 2017;
9. ა. ბაქრაძე, „რწმენა“, თბილისი, 1990;
10. შათირიშვილი ზ., „ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი“, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006;
11. ნ. ნათაძე, „ლიტერატურული წერილები“, თბილისი, 1973;
12. გ. ქიქოძე, „რჩეული თხზულებანი“, ტ. 1, თბილისი, 1963;
13. ბ. დობორჯგინიძე, „ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, თბილისი, 1962;
14. გ. ნატროშვილი, „ლიტერატურული ეტიუდები“, თბილისი, 1947;
15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება #2/1854;
16. ა. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული“, თბილისი, 2009;
17. ხ. ხანგოშვილი, „ქისტები“, თბილისი, 2005;
18. ლ. მარგოშვილი, „პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა“, თბილისი, 1985;
19. ვ. ბარდაველიძე, „მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში“, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N 3, თბილისი, 1971;
20. დ. რეიფილდი, „ზედროული სამყარო“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილსი, N 12, 1982;
21. Ингушетия и ингуши, Под ред. Адама Малсагова, Назрань-Москва, 1999;
22. Ковалевский Максим, Современный обычай и древний закон, т. I, 1886;

23. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, თბილისი, 1964;
24. ჟურნალი „კვალი", თბილისი, 1897;
25. სოფოკლე, „ანტიგონე" გიორგი ხომერიკის თარგმანი, თბილისი, 1988;
26. ს. ქერაშვილი, „ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის", თბილისი, 2018;
27. გ. ხუბუა, „განმარტება Contra Legem", სამართლის მეთოდები, #2, თბილისი, 2018;
28. ე. აფონასინი, ა. დიდიკინი, „სამართლის ფილოსოფია", თბილისი, 2017;
29. ლ. ბებურიშვილი, „ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში", (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი, 2016.

რეზიუმე

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ინტერდისციპლინური დარგის ნაწილს, რომლის უმთავრესი მიზანიც ლიტერატურასა და სამართალში იმ საერთო ეგზისტენციალური ღირებულებების მოძებნაა, რაც მნიშვნელოვნად წაადგება ქართული სამოსამართლო სამართლის განვითარებას. სტატიაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გამოკვეთილი, როგორც ჰოლმსისეული, ისე დვორკინისეული სამართლებრივი იდეები, საუკეთესო ლუსტრაციაა იმისა, რომ ქართული აზროვნებისთვის ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ძალიან ახლოს იდგა თანამედროვე ამერიკული სამართლის ძირითადი მახასიათებლები. სტატიის მიზანს წარმოადგენს ლიტერატურისა და სამართლის ფილოსოფიის პრაქტიკაში ხშირად გამოყენების მცდელობა და მოსამართლეებისათვის იმ სტიმულის მიცემა, რომელიც საჭიროა გაბედული და თუნდაც, კანონსაწინააღმდეგოდ სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საკვანძო სიტყვები: „ჰერკულესი" მოსამართლე, კლასიკური სამართლებრივი რეალიზმი, „რთული შემთხვევა".

Nikoloz Tsereteli

"Hard Case" in Vazha-Pshavela's creations

Summary

This article is a part of the interdisciplinary field, the main purpose of which is to find the common existential values in literature and law, that will significantly contribute to the development of Georgian judicial law. Both Holmes's and Dworkin's legal ideas, outlined in Vazha-Pshavela's work in this article, are the best lustration for the fact that Georgian thought as early as in the 19th century, pretty much resembled the basic features of modern American law. The purpose of this article is to make literature and philosophy of law more frequently used in practice and to give judges the incentive needed to make bold and even illegal fair decisions.

Keywords: "Hercules" judge, classical legal realism, "hard case".

ია ხარაზი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University

ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაა. აღნიშნულის საბოლოო მიზანი საქართველოსთვის ევროკავშირში მოქმედ ისეთ თავისუფლებებზე წვდომაა, როგორიც არის საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შედეგად გაუქმდება საბაჟო გადასახადები იმპორტზე, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის საქართველოს ეკონომიკას.

აღნიშნული შეთანხმება ფართო სპექტრში მრავალი მიმართულებით თანამშრომლობის გზით სვლაა ხელშემკვრელი ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოსიც, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კარგი მმართველობა, მათ შორის საგადასახადო სფეროში, სავაჭრო ინტეგრაცია და გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობა და ა. შ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცვლელი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. შეთანხმება ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის, ვაჭრობაში, საბაჟო პროცედურებსა და ხარისხის კონტროლში და სხვა. რაც მთავარია ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სამომავლოდ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის შეუქცევადობის უზრუნველყოფისათვის, იგი ბევრ სასიკეთოს ჰპირება ქვეყანას.

ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ ხელშემკვრელი მხარეები „ვალდებულებას იღებენ რა, მიაღწიონ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA), როგორც წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი ნაწილის საშუალებით, რეგულაციური დაახლოების ჩათვლით და მხარეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად.“[1] ერთ-ერთ მიზნად ასოცირების ხელშეკრულებით დასახულია „ევროკავშირის შიდა ბაზართან საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაცია, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცვლელი თავისუფალი სივრცის შექმნის გზით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე საფუძვლიან დაშვებას მდგრადი და ყოვლისმომცვლელი რეგულაციური დაახლოების საფუძველზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების დაცვით[2].

---

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს პრეამბულა, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

[2] იქვე, მუხლი 1, (h) პუნქტი

შეთანხმების გარკვეული მუხლები მოიცავენ საბაჟო პროცედურულ საკითხებს, კერძოდ, მუხლი 23-ის ნაწილი მეორე მოიცავს „საბაჟო გადასახადების, გადასახდელებისა და სხვა მოსაკრებლების გაუქმება“, განმარტავს „საბაჟო გადასახადი“-ს ცნებას, რომელიც მოიცავს ყველა სახის გადასახადს ან ნებისმიერი ტიპის მოსაკრებელს, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია საქონლის ექსპორტსა და ან იმპორტთან, ყველა სახის ქვე-გადასახადის ან ქვე-მოსაკრებლის ჩათვლით, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია ასეთ იმპორტსა ან ექსპორტთან. „საბაჟო გადასახადი“ არ მოიცავს არცერთი სახის: (a) მოსაკრებელს, რომელიც ამ შეთანხმების თანახმად დაწესებული შიდა გადასახადის ეკვივალენტურია; (b), გადასახადს, რომელიც დაწესებულია წინამდებარე შეთანხმების IVკარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), მე-2 თავის (სავაჭრო ზომები) შესაბამისად; (c) გადასახდელებს ან სხვა მოსაკრებლებს, რომლებიც დაწესებულია ამ შეთანხმების 30-ე მუხლით; შეთანხმების 25-ე („საქონლის კლასიფიკაცია“), 26-ე (იმპოტზე გადასახადის გაუქმება“), 29-ე („საბაჟო გადასახადები ექსპორტზე“), 30-ე („გადასახდელები და სხვა მოსაკრებლები“) მუხლები, ნაწილი მე-3 („არასატარიფო ზომები“), ნაწილი მე-4 („საქონელთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები“), თავი მე-5 („საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა“), მუხლი 29 („მოსაკრებლები და გადასახდელები“), მუხლი 70 („საბაჟო ღირებულების განსაზღვრა“), მუხლი 71 („საბაჟო თანამშრომლობა“), მუხლი 72 („ადმინისტრაციული ურთიერთდახმარება საბაჟო საკითხებში“) და ა. შ.

ასოცირების შეთანხმების, ევროკავშირის საბაჟო კოდექსის სხვა ფუნდამენტური დებულებების პირდაპირი გამოძახილია საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2019 წლის 28 ივნისს ამოქმედდა.

დღეს მოქმედ საბაჟო კოდექსში გამოვყოფდით შემდეგ მომენტებსა და თავისებურებებს, რაც არსებითია საბაჟო კოდექსისათვის: ინსტიტუციონალური მდგომა სისტემური სახით წარმოდგენილ ძირითად პრობლემებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას იძლევა. ინსტიტუციონალურ პრობლემებს მიეკუთვნება: საბაჟო პოლიტიკა, საერთაშორისო-საბაჟო ინტეგრაცია, საბაჟო ორგანოები, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილება, სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა, საქონელზე განხორციელებული სპეციალური საბჟო პროცედურები, სეს-ესნ[3] -ის წარმოება, წმინდა სამართალდამცავი ბლოკი და სხვ.

როგორც ვხედავთ, საბაჟო კოდექსში წარმოდგენილია საბაჟო ორგანოებისათვის ნიშანდობლივი და მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი პრობლემების, მიმართულებებისა და ფუნქციონირების, ასევე საბაჟო სფეროში ორგანოების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ფართო სპექტრი. ამ დებულებების და ნორმების საფუძველს ემყარება საბაჟო სამართალი.

მსგავსად, ევროკავშირის საბაჟო კოდექსისა, საქართველოს საბაჟო კოდექსში მოცემულია რისკების მართვის კონცეფცია, რომლებიც საბაჟო პროცედურების განხორციელებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ: შემოსავლების სამსახურმა კონტროლის ზონაში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას უნდა გააკონტროლოს არა ყველაფერი, რაც მისი გავლით მოძრაობს, არამედ აირჩიოს მიზნები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ეკონომიკასთან, უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან.

[3] საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა

სამწუხაროდ, 2011 წელს ამოქმედებული საგადასახადო კოდექსით ძალადაკარგულად გამოცხადდა საბაჟო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობის ნორმებმა საგადასახადო კოდექსში ჰპოვა ასახვა, საგადასახადო კოდექსის ამოქმედების პირველ ეტაპზე ტერმინი „საბაჟოც“ კი ნახსენები არ იყო, და ეს მაშინ როცა საქართველოს ყოველთვის მიისწრაფვოდა ევროკავშირთან დაახლოებისაკენ და რომელსაც ბუნებრივია ჰქონდა ევროკავშირის ტიპის საბაჟო კოდექსი (EEC). ეს უთუოდ კანონმდებლოს შეცდომა იყო, ნაჩქარევი გადაწყვეტილება საბაჟო კოდექსის უნიფიცირებისა საგადასახადო კოდექსთან და ამის შესახებ არაერთხელ გამომითქვამს ჩემი კრიტიკული შეხედულება გამოცემულ მონოგრაფიებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში. დღეს ეს შეცდომა გასწორებულია საბაჟო კოდექსის ძალაში შესვლით, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებულია ევროკავშირის საბაჟო სტანდარტებს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფუნდამენტურ დებულებებს.

„განსაკუთრებული ფუძემდებლური მნიშვნელობა საბაჟო სამართლის ფუნქციონირების და განვითარებისათის საქართველოს კონსტიტუციას ენიჭება. მასში ჩადებულია საქართველოს დემოკრატიული და ცივილიზებული პრინციპები, საქართველოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემების და მისი ცალკეული დარგებისა, მათ შორის საბაჟო სამართლის განვითარების საფუძვლები“[4].

საქართველოს კონსტიტუციის მუხლები ქმნიან საბაჟო სამართლის განსაზღვრულ და არსებით საკონსტიტუციო სამართლებრივ წანამძღვრებს. საქართველოს კონსტიტუციაში არის უფრო ვრცელი და საფუძვლიანი რეგულირებისა და იმ კონსტიტუციური დებულებებისა და ნორმების დამაგრების შესამჩნევი რეზერვები, რომლებიც საბაჟო სამართალსა თუ საბაჟო სქმეს ეხება[5].

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, მე-3, მე-4, მე-6, მე-7, 67-ე და რიგი სხვა მუხლები ქმნიან სამართლის ახალი დარგების წარმოშობისა და განვითარების ხელსაყრელ ნიადაგს (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს დღეს უკვე ამოქმედებული საბაჟო კოდექსი და სხვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ისეთი დარგები, როგორიცაა: საგადასახადო სამართალი, საინვესტიციო სამართალი, ეკონომიკური სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი და სხვა).

განსაკუთრებული აქცენტი მინდა გავაკეთო კონსტიტუციის მე-7 მუხლზე, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება, საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები“. აქვე გავაკეთებდით შენიშვნას მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქთან დაკავშირებით, კერძოდ, სადაც საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ სამართლის დარგებზეა საუბარი (სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების, სამოქალაქო სამართლის, ინტელექტუალური საკუთრების და ა.შ. უპრიანი იქნებოდა კანონმდებელს იქვე ჩაეწერა „საგადასახადო სამართლის,“ საბაჟო სამართლის“ და მერე როგორც არის, ვინაიდან 21-ე საუკუნეში სამართლის ამ დარგების განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა (და მასზე მიბმული მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა), არამედ ქვეყნის ყოვლისმომცვლელი ჩართულობა გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში. იქნებ ვცდები, მაგრამ ხომ აქვს მოსაზრებას „სიცოცხლის უფლება“? .

„ბოლო პერიოდში სამართლებრივი სახელმწიფოსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ქმედითი მექანიზმის ფორმირების პროცესში მეცნიერები და

---

[4] საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, 4

[5] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010

სევე პრაქტიკოსი მუშაკები დიდ ყურადღებას აქცევენ საბაჟო პოლიტიკის განხორციელებას ქყვეყნის ეკონომიკური წინსვლის საქმეში. ეს გასაგებიცაა, რადგან საბაჟო პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და მიმართულია კონკრეტულ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებაზე, გაცვლაზე, სამართლის, საბაჟო რეგულირებისა და კონტროლის ინსტიტუტების ეფექტურად გამოყენებაზე, ასევე შიდა ბაზრის დაცვისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების სტიმულირების სავაჭრო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაში მონაწილეობაზე"[6].

საბაჟო სისტემის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას. ეფექტიანი, მობილური საზოგადოების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტის კონცეფცია, როგორც წესი, სახელმწიფოს ეკონომიკური პილოტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით განისაზღვრება[7]. ამ აზრით საბაჟო პოლიტიკა შეიძლება განახორციელოს სახელმწიფომ და მისმა შესაბამისმა ორგანოებმა. ამსთან საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტები და საბაჟო საქმიანობის განხორციელების საშუალებები უშუალოდ ეხება საქონლის ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებული დამოუკიდებელი მეურნე-სუბიექტების (ბიზნეს-ოპერატორების) ფართო წრის ინტერეებს. ისინი შეიცავენ საბაჟო ურთიერთობათა მონაწილეეების ქცევის უშუალოდ და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ იურიდიულ წესებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. სწორედ ამ მოსაზრებით დამუშავდა ქვეყანაში ახალი საბაჟო კოდექსი თანდართული ნორმატიული აქტების ერთობლიობით, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე"[8].

საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმინიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. აქ კი, ამ შემთხვევაში, უპირველესი პრიმატი განეკუთვნება ევროკავშირის საბაჟო კოდექსსს და საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის საერთაშორისო (კიოტოს) კონვენციას)[9].

ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსის სტანდარტებს, ვითარდება საზოგადოებასა და სახელმწიფოში არსებული მოვლენებისა და ფენომენების ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების ობიექტური კანონზომიერების შესაბამისად. დროისა და კონკრეტული სიტუაციის კარნახთან ერთად საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს წარსულის მოწინავე ტრადიციებს, მემკვიდრეობის პრინციპებს, საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას. ეს ქართული საბაჟო კოდექსის ქვაკუთხედია.

ახალი საბაჟო კანონმდებლობა სრულად პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს, რაც მნიშვნელოვანი სტიმული გახდება ევროკავშირიდან ინვესტიციების მოსაზიდად და ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე.

---

[6] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007, 3

[6] იქვე

[7] დაწვრ. იხ. ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

[8] 1973 წ. ხემოწერილ იქნა ქ. კიოტოში.

რა შეიცვალა საბაჟო კოდექსით ამოქმედებით ქვეყნის სასიკეთოდ? საბაჟო კოდექსით გამარტივებულია საქართველო-ევროკავშირს შორის საბაჟო პროცედურები, კერძო სექტორს შეუმცირდება საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯები, საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, შექმნილია ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემო, მარტივი და სამართლიანი წესები. ახალი საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეებს საბაჟო პროცედურების გამარტივების მიმართულებით:

• შემოსულია მარტივი გაფორმების ახალი წესები და დეკლარირების ფორმები *(მაგალითად, მ.92-ე „იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისთვის საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენა“, ან კიდევ, ფინანსთა მინისტრის #257-ე დანართი, ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ.11 – „გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენება“), ასევე დანართი #10-ით („თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ ინსტრუქცია“, რომლის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თავისუფალ ზონაში შესატან (მათ შორის, სხვა საბაჟო პროცედურაში მოქცეულ) უცხოურ საქონელზე საბაჟო ორგანოს წარედგინება გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, თუ საქართველოს საბაჟო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი“) და ა.შ.*

• გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების შესაძლებლობა;

მაგ. საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლის თანახმად (ნ.1), „თუ საქონელი ან მისი ნაწილი, რომელიც ექსპორტირებულ იქნა საქართველოდან და რომელსაც უცხოური საქონლის სტატუსი მიენიჭა, 3 წლის ვადაში დაბრუნდა საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად, დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბრუნებული საქონელი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას“, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, „თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე საქონელი საქართველოში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში მიზნობრივი დანიშნულებით, დაბრუნებული საქონელი ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილია უცვლელ მდგომარეობაში და იმავე მიზნობრივი დანიშნულებით“.

• საბაჟო გადაწყვეტილების მიღების დროს, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მეწარმის ინტერესები;

• გარანტიის ახალი სახის (თავდებობა) გამოყენება;

საბაჟო კოდექსის 58-ე მუხლის („გარანტიის სახეები“) 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და #4 ინსტრუქციის („გარანტიის შესახებ“) თანახმად, საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი გარანტიები:.... „თავდებობა, გარდა ამ ნაწილის „ა“ და „ბ“[9] ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებისა“[10]. ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანების №4 ინსტრუქციის დანართი №4 –03-ით საბაჟო კანონმდებლობით შემოდის ნოვაცია „საქართველოს რეზიდენტის თავდებობის ხელშეკრულება“, სადაც განსაზღვრულია თავდების ვალდებულება, კერძოდ, თავდები სოლიდარულად კისრულობს გამოუწვევად ვალდებულებას, საბაჟო ორგანოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, სრული მოცულობით დაფაროს ძირითადი მოვალის (გადასახადის გადამხდელის) საგადასახადო დავალიანება: „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე (თუ გადასახადის გადამხდელ არ წარუდგენს შემოსავლების

[9] იგულისხმება გარანტიის სახეები: საბანკო გარანტია და დაზღვევის პოლისი

[10] იგულისხმება გარანტიის სახეები: საბანკო გარანტია და დაზღვევის პოლისი

სამსახურს საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელ საბუთს)“ და ა.შ[11].

- შექმნილია მნიშვნელოვანი წინაპირობა, ბიზნესმა გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ისარგებლოს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ქართული საბაჟო პროცედურები ევროპულ რეგულაციებს დაუახლოვოს და საბაჟო სისტემაში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (აეო) კონცეფცია დანერგოს. ეკონომიკური ოპერატორი თანამედროვე ევროპული საბაჟო კონცეფციაა, რომელიც კომპანიებს გამჭვირვალედ და კანონმორჩილად წარმართული საქმიანობის სანაცვლოდ მთელ რიგ საბაჟო შეღავათებს სთავაზობს. საქართველოში 2009 წლიდან მოქმედებს პროგრამა - "ოქროს სია", რომელიც აეო-ს კონცეფციის საფუძველზეა შექმნილი, თუმცა, მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. „ოქროს სიამ“ იმპორტიორებს საგადასახადო-საბაჟო პროცედურები გაუმარტივა და ხარჯებიც დაუზოგა[12].

ავტორიზებული ეკონომიკური კომპანიები თითქმის სრულად თავისუფლდებიან საბაჟო ორგანოებთან პროცედურების შეთანხმებისგან, თუმცა მათ რჩებათ ინფორმირების ვალდებულება. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ თუ ავტორიზებული კომპანია გადაწყვეტს განახორციელოს საქონლის იმპორტი, მას არ სჭირდება საბაჟო დეკლარაციაზე ან სხვა საბაჟო დოკუმენტზე მებაჟე ოფიცრის ხელმოწერა ან სხვა სახის თანხმობა პროცედურების დასრულების მიზნით. ის უბრალოდ აცნობებს საბაჟო ორგანოებს მისი განზრახვის შესახებ და უგზავნის შესაბამისი ფორმის ინფორმაციას.

საბაჟო კანონმდებლობაში შენარჩუნდა ყველა ის პოზიტიური ცვლილება, რაც რეფორმების შედეგად განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ერთიანი/გამარტივებული ადმინისტრირების მიმართულებით, მათ შორისაა: გადასახადის გადამხდელის ერთიანი ბარათი (საგადასახადო და საბაჟო), „სივრცეში“ და „საზღვარზე“ არსებული ზედმეტობის ურთიერთჩათვლა, ერთიანი სახაზინო კოდი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულების შესასრულებლად, გასაჩივრებისა და საგადასახადო შეთანხმების ერთიანი სისტემა.

საქართველო იქნება პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ახალი საბაჟო კანონმდებლობითაც სრულად უპასუხებს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში.

ახალი საბაჟო კოდექსით გაუქმდა რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია და რეექსპორტის განხილვა მოხდა როგორც საქონლის მარტივი დამუშავება. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, აღარ იქნება საჭირო რეექსპორტის დეკლარაციის წარგდენა და შესაბამისი საფასურის გადახდა. მარტივდება საქონლის დროებით შენახვის დასრულება და მარტივდება თავისუფალი ზონის პროცედურის დასრულება[13].

---

[11] საბაჟო თავდებობის შესახებ დაწვრ. იხ. 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

[12] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, 2015, 13-14

[13] კვინტრაძე ნ; საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი ექნება, 2018/10/9, https://forbes.ge/news/4689/saqarTvelos-axali-sabaJo-kodeqsi-eqneba

საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს იმპოტის გადასახადის დაბრუნებას ან/და ჩათვლას[14].

საბაჟო ადმინისტრირების დანახარჯების შემცირების მიზნით საბაჟო კანონმდებლობით დეკლარანტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სასაქონლო პარტიისათვის იმპორტის გადასახადი გაანგარიშდეს დეკლარაცია შემავალი საქონლის იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე; ასევე სიახლეა, ბიზნესისათვს მიცემული შესაძლებლობა, გადამუშავებული პროდუქტის იმპორტის შემთხვევაში, მისივე სურვილით, იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშოს ან გადამუშავებული პროდუქტისათვის დადგენილი განაკვეთების ან ნედლეულისათვის დადგენილი განაკვეთების შესაბამისად.

დეკლარანტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ბუნებრივია დანახარჯების შემცირება და მეტი მოგების მიღებაა. ამასაც ითვალისწინებს ახალი საბაჟო კოდექსი, კერძოდ, ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან მიახლოებულმა ქართულმა საბაჟო კოდექსმა შესაძლებლობა მისცა დეკლარანტს, რომ საბაჟო დეკლარირება მოახდინოს საკუთარ ჩანაწერებში მონაცემების შეყვანით, რაც გულისხმობს დეკლარირების ავტომატური სისტემის დანერგვას საბაჟო სფეროში და რაც უზრუნველყოფს დეკლარანტის ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებას.

საინტერესო ნოვაციაა თავი XXXII – „საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლება“, რომელიც ასეთი სახელწოდებით არ არსებობდა ადრე მოქმედ საბაჟო კოდექსებში და არც 2011 წლის საგადასახადო კოდექსში. აღნიშნულ თავში საუბარია მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლისას პირის მიერ პირადი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისასს, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებაზე.

საბაჟო კოდექსით საბაჟო პრეფერენციები ვრცელდება იმ პირად საკუთრებაზე, რომელიც: პირის მიერ უცხო ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილის დატოვების მომენტამდე არანაკლებ 6 თვის განმავლობაში იყო მის სარგებლობაში. ეს პირობა არ ვრცელდება სახარჯ საქონელზე; პირის ახალ საცხოვრებელ ადგილზე იმავე მიზნით გამოყენებისთვისაა განკუთვნილი[15], ასევე საბაჟო პრეფერენცია ვრცელდება იმ პირზე, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ ცხოვრობდა სულ მცირე უწყვეტი 12 თვის განმავლობაში[16].

M საქართველოს საბაჟო კოდექსი სრულად პასუხობს ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მაგრამ ბუნებრივია უხარვეზო კანონდებლობის შექმნა მაინც შეუძლებელია, საბაჟო კანონმდებლობაში ბუნებრივია მოიძებნება გარკვეული რეგულაციები, რომლებიც კამათს გამოიწვევენ, მაგრამ ამ სტატიაში ამ საკითხებზე არ ვაპირებთ საუბარს. ერთ სტატიაში რთულია ისაუბრო ყველა იმ ნიუანსზე, რაც დამახასიათებელია ახალი საბაჟო კოდექსისათვის. მომდევნო სტატიებში დეტალური საუბარი გვექნება საბაჟო კოდექსის ცალკეულ ნიუანსებზე, მის უთუოდ პოზიტიურ მხარეებზე (ასევე იმ ხარვეზებზეც, რომლებიც დროსა და სივრცეში საბაჟო კოდექსის პრაქტიკაში მოქმედებამ შეიძლება გამოავლინოს).

ბუნებრივია სამყაროში არაფერს და მითუმეტეს საბაჟო კოდექსსაც არ ექნება სრულყოფის პრეტენზია. მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით

---

[14] მაგალითად, იმპორტიორი სრულად დაიბრუნებს მსუბუქ ავტომობილსა და მოტოციკლზე გადახდილ იმპორტის თანხას, თუკი ის იმპორტიდა 90 დღის განმავლობაში ექსპოტზე გავა. ასევე სიახლეა, საქართველოსი გადახდილი იმპორტის გადასახადის არასახვა სატრანსპორტო საშუალების სარეალიზაციო ფასში, რაც ინპორტიორს გაუადვილებს საზღვარგარეთ მის რეალიზაცის.

[15] საბაჟო კოდექსი, მ. 181. ნ.1

[16] საბაჟო კოდექსი, მ.181.ნ3.

გამოავლენს მრავალ სასიკეთოსთან ერთად სამომავლოდ მასში შესატან ნოვაციებსაც (კოტცის სიტყვებით რომ ვისაუბროთ, „სამართალი ხომ ვერ უძლებს დროს“). ამ კუთხით დაგროვილი სასამართლო პრაქტიკაც (რომელიც სამწუხაროდ დღეს არა გვაქვს, რამეთუ საბაჟო კოდექსი ხომ არც თუ ისე დიდი ხნის მიღებული ნორმატიული აქტია), სამომავლოდ უდავოდ კარგი ხელშეწყობა იქნება, რათა მან წარმატებულად იფუნქციონიროს და ხელი შეუწყოს ბიზნესოპერატორებს ჯანსაღი ბიზნესის განვითარებაში, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, გლობალურ სავაჭრო სივრცეში საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებას და ა.შ.

ლიტერატურა

1. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010
2. ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014
3. ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2015
4. კვინტრაძე ნ; საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი ექნება, 2018/10/9, https://forbes.ge/news/4689/saqarTvelos-axali-sabaJo-kodeqsi-eqneba
5. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს პრეამბულა, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
6. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის რეგულაცია (EU) No 952/2013, რომელშიც ჩამოყალიბებულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3848820?publication=0
7. საქართველოს საბაჟო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=2
8. ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

რეზიუმე

სტატიაში საუბარია დღეს მოქმედ საბაჟო კოდექსში გამოყოფილ ევროკავშირის საბაჟო კოდექსზე, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ იმ მომენტებსა და თავისებურებებზე, რაც არსებითია საბაჟო კოდექსისათვის, კერძოდ, ინსტიტუციონალურ მიდგომებზე, რაც გამოიხატება საბაჟო პოლიტიკაში, საერთაშორისო-საბაჟო ინტეგრაციაში, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებაში, სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობაში, საქონელზე განხორციელებული სპეციალურ საბაჟო პროცედურებში, სეს-ესნ-ის წარმოებაში, წმინდა სამართალდამცავ ბლოკში და ა.შ. სტატიაში მოცემულია რისკების მართვის კონცეფცია, რომლებიც საბაჟო პროცედურების განხორციელებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ: შემოსავლების სამსახურმა კონტროლის ზონაში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას უნდა გააკონტროლოს არა ყველაფერი, რაც მისი გავლით მოძრაობს, არამედ აირჩიოს მიზნები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ეკონომიკასთან, უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო კონტროლი, ოქროს სია, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი, საბაჟო გადასახდელი, სატარიფო ზომები, ვმო.

Ia Kharazi

Constitutional-legal bases of the European model Georgian Customs Code

Summary

The article discusses the part of EU Customs Code in the Georgian Customs Code, the moments and peculiarities provided in the Association Agreement, which are essential for the Customs Code, in particular, institutional approaches, which are reflected in customs policy, in international customs integration, cross-border customs, in special customs procedures for goods, in the production of National Commodity Nomenclature of Foreign Economic Activity, in the net law enforcement unit, etc. The article presents the concept of risk management, which may be related to the implementation of customs procedures, which means that: the Revenue Service should control not everything that passes through the customs border of Georgia, but choose goals that are more or less related to the economy, security, with health, with intellectual property.

Keywords: Customs control, Gold list, Authorized economic operator, Customs duty, Tariff measures, WTO.

მაია ჭანია
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

ეკონომიკური უსაფრთხოების პარადიგმა

ეკონომიკური უსაფრთხოების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის დეფინიცია წარმოგვიდგება, როგორც ქვეყნის მდგომარეობა, როდესაც მეტწილად დაცულია მისი ეკონომიკა, ნაკლებად საფრთხის შემცველია. მისი განმარტებისას ხელმძღვანელობენ ტერმინებით: „მდგრადობა“ „უსაფრთხოება“, „დაცულობა“, „უზრუნველყოფა“.

მეცნიერები მას სხვადასხვაგვარად, თუმცა არსებითად მაინც მსგავსად განმარტავენ. მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს ხელისუფლების და ეკონომიკის ინსტიტუტების მდგომარეობას როდესაც მათ ძირითად ამოსავალს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა არსებული, ეროვნული და სოციალური ინტერესების უპირობო დაცვა, თავდაცვითი პოტენციალის მისაღები დონე, ქვეყნის პოლიტიკის სოციალური ორიენტაცია და ა.შ. ეს არის სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება იმისთვის, რომ უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება საგარეო ზეწოლისგან დამოუკიდებლად, დაიცვას მოსახლეობის ლეგალური შემოსავლები, შრომითი უფლებები და განაპირობოს ცივილიზებული ქვეყნისთვის შესაფერისი ცხოვრების დონე.

და მაინც, რას წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება და რას ვგულისხმობთ, როცა ვსაუბროთ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე?

ეკონომიკური უსაფრთხოება შედგება სოციალური უსაფრთხოებისაგან, სამხედრო უსაფრთხოებისაგან, შრომითი ბაზრის უსაფრთხოებისაგან, საბანკო-საფინანსო სფეროს უსაფრთხოებისაგან. ეკონომიკური უსაფრთხოების განხილვისას წინა პლანზეა წამოწეული სოციალური უსაფრთხოება, რაც თავის მხრივ ნიშნავს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ძირითადი საჭიროებების ინფრასტრუქტურებისადმი, მათ შორის ჯანდაცვის, საცხოვრებლის, განათლების, ინფორმაციის, სოციალური დაცვის და სამუშაოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოებსათან. ძირითადად უსაფრთხოება ნიშნავს გაურკვევლობის და რისკის გავლენის შემცირებას, ადამიანების მიერ თავიანთი სოციალური გარემოს უზრუნველყოფის პროცესში, როდესაც ისინი იმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში, ჰქოდეთ საქმიაობის არჩევანის საშუალება და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები ღირსეულ სამუშაო გარემოში. როგორც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი თ. ჩიკვაიძე აღნიშნავს, „ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და მატერიალობას, სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით მისი მუდმივი მონაცემების სრულყოფასა და განვითარების უნარს“[1].

შემოსავლების უსაფრთხოება ნიშნავს ადეკვატურ, ფაქტობრივ და მოსალოდნელ შემოსავალს როგორც გამომუშავებულს, ასევე მიღებულს სოციალური დაცვის და სხვა შეღავათების სახით. იგი მოიცავს შემოსავლის დონეს (აბსოლუტურს და საჭიროებების შესაბამისად), მათ გარანტირებულ მიღებას როგორც შრომითი საქმიანობის განმავლობაში, ისე

პენსიაზე გასვლის ან შრომისუუნარობის შემთხვევაში. შემოსავლების უსართხოების დაცვის კლასიკური მექანიზმები მოიცავენ მინიმალური ხელფასის მექანიზმს, ხელფასის ინდექსაციას, კომპლექსურ სოციალურ უზრუნველყოფას და პროგრესულ დაბეგვრას.

შრომის ბაზრის უსაფრთხოების აუცილებლობა თანამედროვე ეპოქაში განაპირობა შემოსავლის მიღების მრავალფეროვანმა შესაძლებლობებმა. შრომის უსაფრთხოება და შრომის ბაზრის ნორმები, მათი დაცვა უდიდეს გავლენას ახდენს დასაქმებულებზე და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფოს ზომიერი ჩართულობა შრომის ბაზრის კონტროლში და ამასთან ერთად ისევე, როგორც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, საქართველოშიც არსებობდეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ზედამხედველობას, ინსპექტირებას გაუწევს შრომით ობიექტებს და დაღვევის დაფიქსირებს შემთხვევაში მოახდენს სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას. ამგარ ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა გამოვიდეს ერთგვარი შუამავლის როლში დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი დავის შემთხვევებში, გაფიცვებისა და ლოკაუტების დროს.

ეკონომიკური უსაფრთხოების კვლევისას, რასაკვირველია, პირველ რიგში განიხილება ის ძირითადი საფრთხეები, მუქარები, რომლებმაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ქვეყნის ეკონომიკური დაცულობის, გარანტირებულობის საკითხი. ეკონომიკური საფრთხე არის ქვეყნის შიდა და გარე პრობლემების (არსებულის და მოსალოდნელის) გართულების შედეგად წარმოქმნილი პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური მოვლენების და პროცესების ერთობლიობა, რომლებიც აბრკოლებენ პიროვნები, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმდინარე და პერსპექტიულ განვითარებას. [2] განხორციელებული კვლევების და მათი ანალიზის შედეგად, ეკონომიკური საფრთხეები შესაძლოა შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

1. ღია და ფარული ეკონომიკური მუქარები
2. გრძელვადიანი და მოკლევადიანი საფრთხეები
3. არსებული და მოსალოდნელი
4. საგარეო და საშინაო საფრთხეები
5. სტანდარტული და არაორდინალური სიტუაციებიდან გამომდინარე საფრთხეები.

თითოეული ზემოთჩამოთვლილი საფრთხე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ერთი საფრთხის, მუქარის სათანადოდ შეუფასებლობამ, მისი დაძლევისთვის შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობამ, შესაძლოა სხვა საფრთხეების და მუქარების წარმოშობა განაპირობოს. ამიტომ, მათთან საბრძოლველად სახელმწიფოს სჭირდება კვლევების და სათანადო კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია, მისი მთლიანი სისტემა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. იგი უნდა მოვიაზროთ როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებული თავდაცვითი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს ქვეყანაზე გარე თუ შიდა ფაქტორების ნეგატიურ ზეგავლენას. სახელმწიფო უსაფრთხოება ეკონომიკური ინტერესების დაცვის პარალელურად მოიცავს ასევე ქვეყნის თავდაცვით, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ პოლიტიკას. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური პროცესების კრიზისი. ამ პრობლემებმა მკაფიოდ იჩინეს თავი გარდამავალ პერიოდის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. საბაზრო თვითრეგულირების არაგეგმაზომიერმა ზრდამ და სახელმწიფო რეგულირების ფორმის უარყოფამ აღნიშნული

ქვეყნები მიიყვანა ეკონომიკურ კრიზისამდე, რომელიც მიმდინარეობდა ეროვნული უსაფრთხოების დაუძლურების პარალელურად. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას მეტწილად დამოკიდებულნი ხდებიან ძლიერი ქვეყნებზე როგორც ეკონომიკურად ასევე პოლიტიკურად. აღნიშნულ შემთხვევებში ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომების განხორციელებით. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის განვითარებული ქვეყნების მაღალკონკურენტუნარიანობის პირობებში არსებითია ეროვნული ეკონომიკის წამყვანი დარგების სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა. ქვეყანაში არსებული მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარების პარალელურად საჭიროდ მიგვაჩნია ახალი პოტენციური დარგების განვითარების ხელშეწყობა. ამ მხრივ გავლენას ახდენს ქვეყნის მდგომარეობა საგარეო სფეროში, კერძოდ, ის ზემოქმედებს როგორც ეკონომიკის, ისე კონკრეტული დარგების და საწარმოების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, პერიორიტეტი ენიჭება ისეთი საკითხებს, როგორიცაა: საგარეო საფრთხეების და რისკების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება, პროგნოზირება, საგარეო პოლიტიკის ეროვნული უსაფრთხოების მიზნების შესაბამისად გატარება. ყურადღება უნდა გამახვილდეს შესაბამისი უწყებების განვითარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის საგარეო უსაფრთხოებას. როგორც სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტის ნაშრომებშია მითითებული ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი გარე ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- **პოლიტიკური:** საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარების დონე; ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში; საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზაციული დანაშაული; საერთაშორისო კონფლიქტები; სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ფუნქციონირება და სხვ.;
- **ეკონომიკური:** სავაჭრო-ეკონომიკური; სავალუტო-საფინანსო; მარკეტინგული; სამრეწველოეკონომიკური ფაქტორები; იმპორტზე დამოკიდებულება;
- **სოციალურ-დემოგრაფიული:** მსოფლიო მიგრაციული ნაკადების მიმართულება; კვალიფიციური კადრების გადინება უცხოეთში, ე.წ. „ტვინების გადინება“ და სხვ.

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების აღზრით, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა განსაზღვრული იყოს მისი სტრატეგია, რაც გულისხმობს:

- ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი მახასიათებლების ანალიზს;
- ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრას;
- ეკონომიკური პოლიტიკის, ინსტიტუციური გარდაქმნებისა და ყველა იმ მექანიზმის განსაზღვრას, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

ეკონომიკური უსაფრთხოება შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან: ბუნებრივი რესურსების ტიპი და რაოდენობა; ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ტერიტორიების თავისებურება; სახელმწიფო მართვის თავისებურება; საწარმოო სფეროს პოტენციალი; სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარება; სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვ. იმ ქვეყნებს, რომლებიც ლიდერობენ ეკონომიკური განვითარების მხრივ, თითქმის ყველა ეს კომპონენტი გააჩნიათ, რაც მათი ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს.

თუმცა უნდა ითქვას, რომ უსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის არსებობა. ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას არ გააჩნია სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობა ან მდიდარი ბუნებრივი რესურები, მაგრამ ეს მათი „ნაკლი“ სხვა ფაქტორებით კომპენსირდება: წარმოების მაღალი დონე, ინოვაციურობა და ა.შ. [3]

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მსჯელობისას იკვეთება ქვეყნის ინსტიტუციური სისტემის ორიენტაციის მნიშვნელობა ინდუსტრიული, ინოვაციური ეკონომიკის ხელშეწყობის მიმართ. ბუნებრივია, მისი ხელშეწყობა ეროვნული უსაფრთხოების ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს. სწორედ ის დარგები, რომლებიც ინოვაციური, ინდუსტრიული განვითარების საწყისებს ეყრდნობიან, იწვევენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ინოვაციური ეკონომიკის, დარგების პრიორიტეტული განვითარება იძლევა ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფორმირებისთვის.

ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანობისთვის აუცილებელი კომპლექსური ღონისძიებების სისტემის ყოველი კომპონენტი თანაბარმნიშვნელოვანია. სწორედ მათი ინდივიდუალურად განხილვა და მათი სრულყოფა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უპირობო გზას. სოციალურ, ტექნოლოგიურ, სამართლებრივ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა სისტემის განვითარების მიზანმიმართული განხორციელება უზრუნველყოფს სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების სტაბილურ დაცვას, ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას [4]. 2019-2022 წლების სამთავრობო პროგრამაში აღწერილია მთავრობის ძირითადი პრიორიტეტები, გეგმები და სტრატეგიები. აღნიშნულ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს ხედვა ქვეყნის მდგრად განვითარებასთან მიმართებაში ემყარება ინოვაციურ რეფორმებს ყველა სექტორული მიმართულებით, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია:

- ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, პრიორიტეტულობის ზრდაზე, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების სრულიად გამოყენებასა და სიღარიბის დაძლევაზე;
- მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერაზე, რომლებიც ამას ყველზე მეტად საჭიროებენ;
- გარემოსდაცვით ღონისძიებებზე, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე.

ამგვარად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზანი, ამოცანა, რომელსაც ისახავს ქვეყნის ხელისუფლება წარმოუდგენელია უსაფრთხოების კომპლექსური ღონისძიებების გატარების გარეშე. ამიტომ, მოცემულ საკითხს მეტად სიღრმისეული შესწავლა, კვლევა, ანალიზი, კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრა, ეკონომიკური პოლიტიკის, ინსტიტუციური გარდაქმნებისა და ყველა იმ მექანიზმის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში კოორდინირება სჭირდება, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრადობას და უსაფრთხო განვითარებას უზრუნველყოფენ.

ლიტერატურა

1. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე; პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია; საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი. 2001;
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; თბილისი, 2005. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0
3. ნ. ქისტაური; ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები. თბილისი. 2018.

4. ბ. ალადაშვილი; ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა; თბილისი 2011.
5. https://mof.ge/images/File/BDD-new/19-22-BDD-wardgena.pdf

რეზიუმე

ეკონომიკური უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება იმისთვის, რომ უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება საგარეო ზეწოლისგან დამოუკიდებლად, დაიცვას მოსახლეობის ლეგალური შემოსავლები, შრომითი უფლებები და განაპირობოს ცივილიზებული ქვეყნისთვის შესაფერისი ცხოვრების დონე. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება მრავალ სფეროს აერთიანებს, რომელთა შორის წამყვანია: სახელმწიფო თავდაცვა, შიდა და საგარეო უსაფრთხოება, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, ინფორმაციული უსაფრთხოებები, მართლწესრიგი და სხვა. ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით დიდი როლი ენიჭება ქვეყნის ინსტიტუციური სისტემის ორიენტაციას, მის მნიშვნელობას ინოვაციური ეკონომიკის ხელშეწყობის მხრივ. ის დარგები, რომლებიც ინოვაციური, ინდუსტრიული განვითარების საწყისებს ეყრდნობიან, იწვევენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით. სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია, მისი მთლიანი სისტემა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. იგი უნდა მოვიაზროთ როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებული თავდაცვითი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს ქვეყანაზე გარე თუ შიდა ფაქტორების ნეგატიურ ზეგავლენას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება; მდგრადობა; განვითარება; უზრუნველყოფა; რეგულირება; ინოვაცია.

Maia Chania

The Economic Security Paradigm

Summary

Economic Security is the pursuit of appropriate economic, social, domestic, and foreign policies by the state to ensure the economic development of the country independently of external pressures, to protect the legal income of the population, labor rights, and to ensure a decent standard of living for a civilized country. National economic security combines many areas, including state defense, internal and external security, socio-economic, environmental, energy, information security, law and order, and more. In Economic Security, a great role is given to the orientation of the country's institutional system, its importance in promoting an innovative economy. Those branches that are based on the principles of innovative, industrial development cause the increase of the country's competitiveness internationally. The state security strategy, its entire system directly affects the economic security of the country. It should be considered as a set of defensive measures taken by the government to minimize the negative impact of external or internal factors on the country.

Keywords: economic security; Sustainability; development; Security; Regulation; Innovation.

მაია ჭანია
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia
ანა ცქვიტარია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეკონომიკური განვითარება - მახასიათებლები და კონცეპტუალური მიდგომები (საქართველოს მაგალითზე)

მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა და მათ განვითარებაზე ზრუნვაა, რომლის განხორციელება საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ამ გზაზე განსაკუთრებულად პრიორიტეტულია მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეალურ სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, სწორედ იგი იძლევა საფუძველს მდგრადი ზრდისთვის. თანამედროვე სამყაროს განვითარების წრაფი ზრდის და საყოველთაო გლობალიზაციის პირობეში ეკონომიკის ტრანსფორმაციის გაანალიზება უნდა განხორციელდეს ამ პროგრესის ფონზე მიმდინარე მოვლენებით. 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელია განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანის ჩამოყალიბება, ინდუსტრიალიზმის კრიზისი და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება [1].

ჯ. გელბრეიტი თავის ნაშრომებში აღწერს ახალი ინდუსტრული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე და სრულყოფილი ტექნიკა იწვევს კაპოტალიზმის შიგნიდან გარდაქმნას. ამ კონცეფციის თანახმად ხორციელდება კერძო საკუთრების როლის შემცირება, შესუსტება და საბოლოოდ აღმოფხვრა, ხოლო ეკონომიკური ძალაუფლება აღმოჩნდება მსხვილი კორპორაციების ხელში. ჯ. გელბრეიტის აზრით, ამის შემდგომ მოსახლეობაში თანდათან, ეტაპობრივად გაქრება უთანასწორობა.

პოსტინდუსტრული საზოგადოების თეორიის ფუძემდებელი დ. ბელი კი აღნიშნავს, რომ პოსტინდუსტრული საზოგადოება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სამუშაო და თავისუფალი დროის შერწყმა; მუდმივი სივრცობრივი ტრანსფორმაცია; განახლებადი რესურსების უპირატესი გამოყენება; მაღალგანვითარებული ჰუმანური ადამიანის ბატონობა; სიძლიერის და სიმდიდრის მთავარი მაჩვენებელია არამატერიალური სიმდიდრე და ინტელექტუალური პოტენციალი; განვითარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში. ამ საზოგადოებისთვის ასევე დამახასიათებელია გლობალური ეკონომიკა რომლის ორიენტირი არის მსოფლიო ბაზარი; შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი საქმიანობს ინფორმაციულ სექტორში; დამახასიათებელია სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების გაერთიანება, რაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას. პროგრესის დონეს კი უწინარეს ყოვლისა, მიუთითებს წმინდა კეთილდღეობის ინდექსი მოსახლეობის ერთ სულზე და ადამიანის განვითარების ინდექსი. პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ფუძემდებლის აზრით, ეს საზოგადოება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. თეორიული ცოდნის გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის;
2. ინდუსტრიული საზოგადოებიდან სერვისულ საზოგადოებაზე გადასვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამრეწველოსთან შედარებით წამყვანი როლი ენიჭება მომსახურების სფეროს;
3. დასაქმებულთა შორის ტექნიკოსების და პროფესიონალი სპეციალისტების ხვედრითი წილის ზრდა;
4. ტექნიკურ-ეკონომიკური გარემოს ორიენტაცია ტექნოლოგიების კონტროლზე
5. გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფა ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიების საფუძველზე [1].

ამერიკელი მეცნიერი ე. ტოფლერი, რომელიც ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ერთერთ მორიგ თეორიას აყალიბებს სუპერინდუსტრიული თეორიის სახით, საუბრობს განვითარების სამი ტალღის შესახებ. კერძოდ:

- პირველი ტალღა დაკავშირებულია აგრარულ, სასოფლო-სამეურნეო სივრცესთან, რომელმაც საკვანძო როლი ითამაშა ეკონომიკური განვითარების ისტორიაში.
- მეორე ტალღა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ინდუსტრიული ცივილიზაციის სახელით. მეცნიერთა აზრით, სწორედ ამ ტალღამ გამოიწვია სამყაროს გარდაქმნა. თუმცა ტოფლერის აზრით აღსანიშნავია ისიც, რომ ცივილიზაციის ენერგეტიკა თანდათან სუსტდება.
- მესამე ტალღამ წარმოშვა ინდივიდი, რომელიც ორიენტირებულია წარმოებასა და მოხმარებაზე. აღნიშნული კონცეფციით, სწორედ ამ ტალღის პირობებში განხორციელდა ინდივიდის სულიერი ფასეულობების გარდაქმნა [2].

აქვე უნდა აღინიშნოს ერთიან ცივილიზაციათა თეორია, რომლის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი საზოგადოების გარდაქმნა ხდება ერთ საზოგადოებად, რომელიც თითქოსდა შეიძლება „ისტორიის“ დასასრული იყოს. გარდა ამისა ყურადღებას იმსახურებს ს. ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორია, რომელიც ამტკიცებს იდეას იმის შესახებ, რომ მსოფლიო სულ უფრო მრავალპოლარული ხდება როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ თეორიის მიმდევრები აღნიშნავენ, რომ 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, არ არის მხოლოდ პოლიტიკური. შეიძლება ითქვას, ეს უფრო ცივილიზაციური, კულტურული, რელიგიური კონფლიქტების გამოვლინებაა დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ქრისტიანულ კულტურასა და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის [3].

საინტერესოა განვითარების კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობები, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია და გარდამავალი ეკონომიკის კონცეფცია, თუ როგორ შეიძლება იყოს გამოყენებული კონცეფციები პრაქტიკაში. საბაზრო ეკონომიკაზე გარამავალი პერიოდის განხილვისას განიხილავენ ორ ძირითად მოდელს - შოკურ თერაპიას და გრადუალიზმს. შოკური თერაპია ყველაზე პოპულარული ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში იყო. ამ რეგიონის გარდამავალმა ქვეყნებმა სასწრაფოდ მიმართეს შოკურ თერაპიას ეკონომიკის ავტომატურ რეჟიმში მოსაყვანად და ფასებისა და მიწოდება-მოთხოვნის ბაზრის მიერ დარეგულირებას.

გრადუალიზმი, შოკური თერაპიისგან განსხვავებით, მოიაზრებს რეფორმების შედარებით ნელ, მაგრამ მტკიცე გატარებას და უმეტესად ახასიათებს აზიის ქვეყნებს: ჩინეთი, ვიეტნამი, უზბეკეთი, ტაილანდი. იგი საჯარო სექტორს აღიქვამს, როგორც კერძო სექტორის ძირითად მხარდამჭერს [4].

გამოიკვეთება განსხვავებები შოკური თერაპიის მეთოდში, კერძოდ, გამოყოფენ შოკური თერაპიის შედარებით შენელებული ტრანსფორმაციის და დაჩქარებული გარდაქმნების

პროცესს. ნეოკლასიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვალრასის პარადიგმა ფაქტობრივად ასახავს ხისტ მონეტარულ პოლიტიკას, სუბსიდიების შემცირებას, ხელფასებზე დაწესებულ კონტროლს, საბოლოო ჯამში მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების სტაბილიზაციას, რაც წარმოადგენს შოკური თერაპიის ძირითად ინსტრუმენტს.[3] აღნიშნული, დაჩქარებული მეთოდი იქნა გამოყენებული საქართველოში, თუმცა, როგორც აღმოჩნდა ქართულ რეალობაში ამ მეთოდმა კრახი განიცადა.

ევოლუციური გარდაქმნის პარადიგმის საფუძველს შუმპეტერის ანალიზი წარმოადგენს, რომელიც გამოყოფს რიგ მნიშვნელოვან გარემოებებს. აგენტს გააჩნია შეზღუდული ინფორმაციული, ფინანსური და მატერიალური რესურსი ინდივიდუალური და ორგანიზაციული ქცევის მიხედვით. ამიტომ მისთვის გართულებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ხოლო ამ მხრივ რადიკალური ცვლილებები საკმაოდ ძვირადღირებულია საზოგადოებისთვის. რაც შეეხება მორიგ გარემოებას, კერძოდ, ეკონომიკური გარემოს ფაქტორს, აქ მოიაზრება საბაზრო სექტორის ორგანიზაცია და ინფრასტრუქტურა; გასატარებელი ღონისძიებების სელექციური პროცესი, რაც ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პროცესები ხასიათდება რიგი წინააღმდეგობებით. კერძოდ, მკვეთრმა ცვლილებებმა შესაძლოა შეამციროს შრომის მწარმოებლურობა.

განსხვავებით შოკური თერაპიისგან გრადუალისტური მიდგომის შემთხვევაში იგულისხმება რეფორმების ნელი მაგრამ მტკიცე ეტაპი, რომლის დროსაც არსებით მნიშვნელობას მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერა და გარდაქმნებისთვის საჭირო ფინანსური სახსრები წარმოადგენს.

1995 წლიდან ძალიან ნელი ტემპებით ხორციელდება წინსვლა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მხრივ საქართველოში, მეტად უმნიშვნელო მაჩვენებლით დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში. მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2,6%-ის ნიშნულზე, რომელიც შემდგომ პერიოდში ინარჩუნებდა შედარებით სტაბილურ ზრდას. მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ვალუტასთან დაკავშირებული ცვლილებები, კერძოდ კუპონის ლარით ჩანაცვლება, რომლის შედეგად დამანგრეველი ჰიპერინფლაციის ტემპი შემცირდა 57%-ით. ლარის არსებობის საწყის ეტაპზე მან საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით დააფიქსირა სიცოცხლისუნარიანობა და სიმყარე. მისი კურსი დოლართან მიმართებაში 1,3-ს შეადგენდა და მცირედით იცვლებოდა ამ ფარგლებში. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის ექსპორტი, გარდა ამისა 1997 წელს 243 მილიონი დოლარის პირდაპირი ინვესტირება განხორციელდა ქართულ ეკონომიკაში და ეს დიდი ბიძგი იყო ქართული ეკონომიკისთვის, ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებელი წინა პერიოდში 4 მილიონი დოლარით შემოიფარგლებოდა.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის უპირობო ფასეულობას წარმოადგენს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა და სტრატეგია, რომლის რეალიზება უნდა განხორციელდეს ეკონომიკური თეორიის მეშვეობით, ვინაიდან მხოლოდ პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში სუსტად ეფექტიანია. გარდამავალ პერიოდში უმნიშვნელოვანესია პრობლემების ანალიზის პროცესი წარმოქმნილი ბარიერების დასაძლევად და ამ გზაზე სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. ზემოთაღნიშულიდან გამომდინარე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საკმაოდ შეფერხდა საქართველოში, რასაც ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ქვეყანა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს. შოკური თერაპიის კრახის ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს ეკონომიკური თეორიების გათვალისწინების უგულვებელყოფა. არ არსებობს რამე თეორია, რომელიც კონკრეტულად განვითარებადი ქვეყნებისთვის იქნებოდა მორგებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად,

თუმცა მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების პრაქტიიდან გამომდინარე, სხვადასხვა თეორიების დახმარებით შესაძლებელია მივაღწიოთ სასურველ შედეგს. ცნობილი ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბებული თეორიები ნაკლებად ამართლებს განვითარებად ქვეყნებში, ვინაიდან ეს თეორიები შეიქმნა მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რომელიც მათზე არის მორგებული და ნაკლებეფექტიანია ან სულაც ვერ მუშაობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. საწყის ეტაპზე საქართველოში და მსგავს ქვეყნებში პრიორიტეტი ენიჭებოდა კლასიკურ თეორიას, რომლის მიხედვით სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩარეულიყო საბაზრო ეკონომიკაში, თუმცა მიღებულმა შედეგმა ცხადყო, რომ მსგავსი ლიბერალური მიდგომა გაუმართლებელი აღმოჩნდა.

პერპექტივას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებს, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც მორგებული იქნება გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. არსებული მოცემულობის შესაბამისად დაისახება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის, ქვეყნის განვითარებას, მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას.

სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად გამოკვეთილია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრიორიტეტები:

- კერძო სექტორის კონკურენტუნარიოანობის გაზრდა;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

კეძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ქვეშ მოიაზრება ისეთი საკვანძო პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა სიღარიბე და სამუშაო ადგილების შექმნის უზრუნველყოფა; ადამიანური რესურსების განვითარება ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ხელისშემწყობი ინკლუზიური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას ეკონომიკური განვითარების პროცესებში. მხოლოდ ამ მოდელით არის შესაძლებელი ეკონომიკური უსაფრთხოების და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და ქვეყნის მასშტაბით გრძელვადიანი ინკლუზიური ზრდისთვის საფუძვლის ჩაყრა. ამ გზაზე დიდ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ღონისძიებები:

1. საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
2. ინოვაცია და ტექნოლოგიები;
3. ექსპორტის ზრდის წახალისება;
4. ინფრასტრუქტურის განვითარება;
5. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის ჩამოყალიბება;
6. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება;
7. ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის ორგანიზება;
8. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
9. საინვესტიციო რესურსების მობილიზება;
10. ფინანსური შუამავლობის განვითარება;

მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სწორი მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული არსებული ეკონომიკური განვითარების კონცეფციები, იქნეს მიმართული ეკონომიკის იმ სფეროზე, რომელიც განაპირობებს დამოუკიდებელ სახელწიფოს როგორც პოლიტიკურად ისე განვითარების მიმართულებით. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ქვეყნის

პრიორიტეტების დაფუძნება ერთი რომელიმე სფეროს განვითარების მიმართულებით. პანდემიამ ცხადყო, რომ მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე უდიდესი რესურსების მიმართვა გაუმართლებელია. მსოფლიოს ქვეყნების საყოველთაო ლოქდაუნების ფონზე დადგა ახალი რეალობა, ახალი გამოწვევები სადაც დღის შუქზე გამოვიდა ის პრობლემები, რომელიც საქართველოს ეკონომიკას გააჩნია. ნათელი გახდა, რომ აუცილებელია კომპლექსური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ და არსებული რესურსების განვითარებისა და მათი ოპტიმალური გამოყენებისაკენ.

ლიტერატურა

1. ბასილია, თ., სილაგაძე, ა., თ. ჩიკვაიძე, თ. 2001. პოსტსოციალური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
2. აბესაძე, რ. 2014. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
3. მუსერიძე ნ. - ჰანტინგტონი ს. 2001 ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა.
4. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia3.pdf
5. ბერიძე, თ. 1997. "შოკური თერაპია" და ევოლუციონისტური ტრანსფორმაცია: დეფინიციები და რეალობა. სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში (გვ. 42- 43). თბილისი: საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი.

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა და მათ განვითარებაზე ზრუნვაა, რომლის განხორციელება საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ამ გზაზე განსაკუთრებულად პრიორიტეტულია მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა. ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეალურ სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, სწორედ იგი იძლევა საფუძველს მდგრადი ზრდისთვის. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საწყის ეტაპზე საკმაოდ შეფერხდა საქართველოში, რასაც ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ქვეყანა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს. პერპექტივას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებს, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც მორგებული იქნება გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. არსებული მოცემულობის შესაბამისად დაისახება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის, ქვეყნის განვითარებას, მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად გამოკვეთილია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრიორიტეტები: კერძო სექტორის კონკურენტუნარიოანობის გაზრდა; ადამიანური რესურსების განვითარება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; ეკონომიკური ზრდა; საბაზრო ეკონომიკა; შოკური თერაპია

Maia Chania, Ana Tskvitaria

Economic Development - Characteristics and Conceptual Approaches
(On the example of Georgia)

Summary

The starting point of the country's economic development is to identify new opportunities and take care of their development, which can be implemented. Promoting the establishment and development of small and medium-sized businesses is a particularly important while going down this path. A real sector-oriented economic policy is vital for the sustainable development of the country, it is what gives us the basis for sustainable growth. The transition to market relations was initially delayed in Georgia, which was exaggerated the fact that the country met this process absolutely unprepared. The perspective that ensures Georgia's sustainable economic development is an economic development strategy, which will be tailored to the economic and social situation of the country. According to the available data, an action plan will be created, which will ensure the development of the economy, the country, microeconomic and macroeconomic stabilization, and the improvement of the economic environment. According to the socio-economic development plan created by the state, vital priorities have been identified: increasing the competitiveness of the private sector; Human resource development; Increase access to finance.

Keywords: sustainable development; Economic Growth; Market economy; Shock therapy.

ნესტან აკობია
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

ქართული და ინგლისური მოდალური ზმნების სპეციფიკა პოლიტიკურ დისკურსში და მათი თარგმანი

პოლიტიკური დისკურსი დღესდღეობით იმაზე უფრო მეტად ,,სოციალურია'', ვიდრე ოდესმე, წვდომა პოლიტიკურ ,,ტექსტებთან'' თანამედროვე სამყაროში უადვილესია. ენობრივი ბარიერი მასალებთან წვდომისას თარგმანის საშუალებით მოხსნილია, თუმცა ლობნერის აზრით, თუკი ყოველ ცალკეულ ენას მივიჩნევთ საკუთარი სისტემის მქონედ, მაშინ ლოგიკურია თუ ჩავთვლით, რომ ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მათ გააჩნიათ განსხვავებული სახელწოდებები სხვადასხვა ცნებებისათვის და სხვაგვარად ასახელებენ ერთსა და იმავე საგნებს, მსგავსს სიტუაციებს კი განსხვავებულად გადმოსცემენ. შესაბამისად, განსხვავებით უბრალო მკითხველისგან, ყოველი ლინგვისტი დაინტერესდება იმ ენობრივი განსხვავებებისა და თავისებურებების აღმოჩენით, რომლებიც თავს იჩენს თარგმანის დროს [1].

თარგმანი მასალის ხელმისაწვდომობისა და მანძილის ბარიერის მოხსნის საშუალებაა, თუმცა აღნიშნული დადებითი თვისების გარდა, თარგმანს შეუძლია დაახლოვების ნაცვლად დააშოროს კულტურები, კულტურათა შორის უნდობლობა გააჩინოს, ნაცვლად თანამშრომლური ურთიერთობისა. აღსანიშნავია ის, რომ თარგმნის პროცესი ძალიან ბევრ კითხვას ბადებს [2].

ენებს განსხვავებული ნორმებისა და წესების სისტემა გააჩნია. ქართული და ინგლისური მოდალური ზმნების ბუნება განსხვავებულია. პრეზიდენტ ობამას მიერ წარმოთქმული სიტყვის ერთ-ერთი ნაწილის ქართული თარგმანი ყურადღებას იპყრობს სიტყვა ,,უნდა''-ს ხშირი გამოყენებით. მოცემული ციტატის ქართული ვერსია არაფრით გასაკვირი არ იქნებოდა, რომ არა მისი ინგლისური ვერსია, რადგან ქართულ ვერსიაში ზმნა ,,უნდა'' ყურადღებას იპყრობს თავისი პოლისემიური ბუნებით. [3]

(1) Obviously, Georgia has made strides in creating an effective free market system and more progress needs to be made. The United States wants to help in that progress.
And so one of the most important things that we're doing in addition to things like the MCC and OPIC loans is also what we've agreed to is a high-level dialogue between our two countries about how we can continue to strengthen trade relations between our two
countries, including the possibility of a free trade agreement. Obviously, there's a lot of work to be done and there are going to be a lot of options that are going to be explored. The key point, though, is we think it's a win-win for the United States and for Georgia as we continue to find opportunities for businesses to invest in Georgia, for us to be able to sell Georgia our goods and services, and Georgia to be able to sell theirs as well' [4].

(2),,საქართველომ, უდაოდ, ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა ეფექტიანი,
თავისუფალი ბაზრის შექმნაში და, რა თქმა უნდა, პროგრესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. პროგრესის მიღწევაში კი, საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ათასწლეულის გამოწვევის

კორპორაციისა და ოპიკის კრედიტების გარდა არის ის, რომ შევთანხმდით მაღალი დონის დიალოგზე ჩვენ ორ ქვეყანას შორის. ჩვენ უნდა განვიხილოთ სამოქმედო გზები თუ როგორ გავაღრმავოთ სავაჭრო ურთიერთობა, მათ შორის, განვიხილეთ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი რამუნდა გაკეთდეს და ბევრ სხვადასხვა შესაძლებლობას განვიხილავთ ამ მიმართულებით. მთავარია, რომ ეს მომგებიანი და ურთიერთსასარგებლოა ორივე ქვეყნისთვის – როგორც საქართველოსთვის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიციები. ჩვენი პროდუქცია უნდა გაიყიდოს საქართველოში და ქართული პროდუქცია უნდა შემოვიდეს ჩვენს ბაზარზე''[4].

ფაქტია, რომ თარგმნის დროს სხვადასხვა ენაში ლინგვისტური ექვივალენტის არარსებობის დროს ლინგვისტს უწევს კონკრეტული ენის და კონტექსტის შესაბამისად შეარჩიოს სიტყვა თუ სიტყვათა კომბინაცია. მაგრამ რამდენად მართებულია სხვა ეკვივალენტების გამოყენება მაშინ, როდესაც ენაში არსებობს შესატყვისი სიტყვა ან სიტყვათა კომბინაცია? ან არსებობს კი მარეგულირებელი წესები ან კომისია? მოცემული მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ თითქმის ყველა ზმნა შესაძლოა ითარგმნოს ქართულში როგორც სიტყვა ,,უნდა''. ძალიან ბევრი უპასუხო კითხვა არსებობს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, პოლიტიკოსები მსგავს საშუალებას თავის სასარგებლოდ იყენებენ სასურველი, იმპლიცირებული მესიჯის გადასაცემად. more progress needs to be made - ნაცლად თარგმანისა საქართველო... მეტ პროგრესს საჭიროებს ითარგმნა პროგრესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. პირველი თარგმანი ქვეყანაში არსებულ პრობლემებს წევს წინ და გულისხმობს, რომ გაკეთებული საკმარისი არ არის, მაშინ როცა არსებული თარგმანი გულისხმობს, რომ პროგრესი აქტიურია, მაგრამ მეტი უნდა გაკეთდეს. მსგავსი მნიშვნელობის მატარებელია შემდეგი წინადადების თარგმანი:

Obviously, there's a lot of work to be done [4].

,,რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს'' ბარაკ ობამა თავის ნათქვამში მეტი სიცხადისათვის იყენებს ვნებითი გვარის მიმღეობიან ფორმას ,,არის ბევრი გასაკეთებელი'', რითაც სათქმელი წინა პლანზე იწევა, მაშინ როცა ქართულ თარგმანში უპირაესობა ზმნის პირიან ფორმას ენიჭება. შესაბამისად, უწყინარმა ცვლილებამ ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე გამიწვევია პრაგმატიკული ტრანსფორმაცია.

მომდევნო მაგალითში მოდალური ზმნა ,,can'' ითარგმნა როგორც ,,უნდა'': how we can continue to strengthen trade relations between our two countries [4]

,,ჩვენ უნდა განვიხილოთ სამოქმედო გზები, თუ როგორ გავაღრმავოთ სავაჭრო ურთიერთობა''[4].

ინგლისური ვერსია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაძლიერების შესაძლებლობას გულისხმობს, მაშინ როცა ქართული თარგმანი ,,შესაძლებლობას'' გამორიცხავს, იგი უფრო კატეგორიულია, არ განიხილავს შესაძლებლობას, არამედ მიუთითებს, რომ ეს ასე ,,უნდა'' იყოს და არა სხვაგვარად.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი:

we continue to find opportunities for businesses to invest in Georgia, for us to be able to sell Georgia our goods and services, and Georgia to be able to sell theirs as well [4]

,,ჩვენ უნდა ვიპოვოთ ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიციები. ჩვენი პროდუქცია უნდა გაიყიდოს საქართველოში და ქართული პროდუქცია უნდა შემოვიდეს ჩვენს ბაზარზე''. კვლავ გრძელდება ,,შესაძლებლობის''

„ვალდებულებით" შეცვლა. „ჩვენ ვაგრძელებთ ... რომ შევძლოთ გაყიდვა" თარგმნილია „ჩვენ უნდა ვიპოვოთ ... უნდა გაიყიდოს". ზემოთ მოყვანილი ციტატის თარგმანი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ის მთლიანად ცვლის აზრს, ინტენციას და მსენელამდე თუ მკითხველამდე სხვაგვარი, სახეცვლილი ინტენციით მიდის [5, 6, 7, 8].

თარგმნის დროს სუბიექტური და სასურველი იმპლიკაციის მსმენელამდე მისატანად ყველა არსებული ხერხია გამოყენებული. საინტერესოა, როგორ გამოიყენება მოდალური ზმნები პოლიტიკურ დისკურსში, რადგან მათი ხმარება ერთგვარ „ელფერს" და განსხვავებულ „მოდიფიკაციას" მატებს დისკურსს. ის პრაგმატიკის კვლევის საგანია და მოდალობის ტერმინით არის ცნობილი. როგორც მას ვერშუერენი განმარტავს: მოდალობა წმინდა პრაგმატიკული ფენომენია. ის სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ადამიანთა დამოკიდებულებას რეალობის მიმართ. მისი მიზანია მიუთითოს ფაქტიურობა, სანდოობის ხარისხი, გაურკვევლობა, შესაძლებლობა, აუცილებლობა, ნებართვა და მოვალეობაც კი. მოდალობის გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება მოდალური ზმნებია [5, 6, 7, 8].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოდალური ზმნების სხვაგვარი თარგმანი გამოიწვევს გამონათქვამის მოდალობის შეცვლას და შესაბამისად იმ დამოკიდებულებათა დაკარგვასა და ტრანსფორმაციას, რაც მოსაუბრემ იგულისხმა საუბრის ან წერის დროს.

ლიტერატურა

1. Fairclough 1998: Fairclough, N. Political Discourse in the Media: analytical framework. In: Bell, A., Garret, P. (Eds.) Approaches to Media Discourse. Blackwell. Oxford. pp. 142-162. 1998;
2. Baker 1992: Baker, M. (1992) In Other Words: A coursebook on translation. London: Routledge;
3. Brown, Levinson 1978: Brown, P. & Levinson, S. (1978) 'Universals in language usage: Politeness phenomena', in Goody, E. (ed.) Questions and Politeness: Strategies in Social Interaction, Cambridge, England: Cambridge University Press;
4. www.president.gov.ge /
5. Dijk 2002: Teun Van Dijk, "Political Discourse and Political Cognition", Politics as Text and Talk: Analytic Approaches to Political Discourse. Philadelphia: John Benjamins Pub. Co.;
6. Chilton 2002: Chilton, P. A. and Schäffner, C. , 'Politics as Text and Talk: Analytic Approaches to Political Discourse', Philadelphia, John Benjamins Pub. Co., 2002;
7. Chilton 2003: Chilton, P. A. "Analysing Political Discourse : Theory and Practice", London: Routledge, 2003;
8. Chilton 2004: Paul Anthony Chilton, " Analysing Political Discourse Theory and Practice". Routledge, London.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქართული და ინგლისური მოდალური ზმნების სპეციფიკა პოლიტიკურ დისკურსში და მათი თარგმანი. პოლიტიკური დისკურსი დღესდღეობით იმაზე უფრო მეტად „სოციალურია", ვიდრე ოდესმე. წვდომა პოლიტიკურ „ტექსტებთან" თანამედროვე სამყაროში უფრო ადვილი გახდა. ენობრივი ბარიერი მასალებთან წვდომისას თარგმანის საშუალებით მოხსნილია, თუმცა ლობნერის აზრით, თუკი ყოველ ცალკეულ ენას მივიჩნევთ საკუთარი სისტემის მქონედ, მაშინ ლოგიკურია თუ ჩავთვლით, რომ ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მათ გააჩნიათ ნომინაციის სხვადასხვა ფორმები და სხვაგვარად ასახელებენ ერთსა და იმავე საგნებს, მსგავსს სიტუაციებს კი განსხვავებულად გადმოსცემენ. შესაბამისად, განსხვავებით უბრალო მკითხველისგან, ყოველი ლინგვისტი

დაინტერესდება იმ ენობრივი განსხვავებებისა და თავისებურებების აღმოჩენით, რომლებიც თავს იჩენს თარგმანის დროს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი, მოდალური ზმნები, ლინგვისტური ექვივალენტი, იმპლიკაცია, ინტენცია

Nestan Akobia

Specifics of the Georgian and English Modal Verbs in the Political Discourse and Their Translation

Summary

The paper presents specifics of the Georgian and English modal verbs in the political discourse and their translation. Nowadays political discourse is much more "social" than ever before. The access to political texts in the modern world has become easier. Language barrier while accessing material is removed, however, Lobner thinks that if we consider each language as having their own system then it is logical to assume that languages differ from one another, that they have different forms of nomination and name the same subjects in other ways and represent the same situations differently. Accordingly, in contrast to ordinary readers, each of linguists is interested in the linguistic differences and peculiarities that occur during the translation.

Keywords: political discourse, modal verbs, linguistic equivalent, implication, intention.

გიგლა გობეჩია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

პრობლემა - პროფესიული გადაღლილობის სინდრომი და მისი აქტუალური საკითხები ჟურნალისტიკაში

2019 წელს ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა და პუბლიცისტმა დიკ ბეილიმ ინტერნეტმედიაში საინტერესო წერილი გამოაქვეყნა სათაურით - ,,ჟურნალისტებს როგორც არასდროს, ისე სჭირდებათ დახმარება პროფესიული ტრავმების მოშუშებაში!“ [1].

ბეილი პირდაპირ მიანიშნებდა იმ პოსტტრავმულ მომენტებზე, რაც მუდმივად თან ახლავს მუდმივად მძიმე თემებზე მომუშავე ჟურნალისტების თანამდევ განცდებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მათი ფსიქიკის დარღვევას. სწორედ ეს მომენტი გახდა იმის მიზეზი, რომ ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა და ცენტრმა - ,,დარტმა“ შექმნეს სპეციალური სახელმძღვანელო ამგვარ სიტუაციაში მყოფი ჟურნალისტებისთვის [2].

ფაქტია, ასეთი სისტემატური ფსიქოტრამვები მთლიანად ფიტავს ჟურნალისტს და ისინი ხშირად პროფესიიდან მიდიან. მათ მიაჩნიათ, რომ პროფესიიდან გაქცევა უფრო ადვილია, ვინემ პროფესიიდან მიღებული ემოციური გამოფიტვის სინდრომის დაძლევა.

პროფესიული, ემოციონალური გამოფიტვის, გადაქანცვის სინდრომი - Burnout - პირველად 1974 წელს ამერიკელმა ფსიქიატრმა ჰერბერტ ფრეიდენბერგერმა შემოიტანა სამეცნიერო ველში. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ადამიანების ჩივილს იმაზე, რომ სამსახურში სასტიკად იქანცებოდნენ და არაფრის ენერგია აღარ რჩებოდათ. ამ დროს მათ ეწყებოდათ საყვარელი პროფესიის მიუღებლობა და თვითქენჯნა ამ გზაზე შედგომის გამო [3].

პროფესიული გამოფიტვა ერთბაშად არ ჩნდება. პროცესუალურად ამ სინდრომს ახასიათებს ასეთნაირი განვითარება - ენერგიიის თანდათანობითი დაკარგვიდან შესრულებული სამუშაოს მიმართ კმაყოფილების შეგრძნების მკვეთრი შემცირება.

ეს ისეთი ვერაგი სინდრომია, რომ მისმა მიყურისძირებამ შესაძლოა მძაფრი შედეგები გამოიწვიოს ჟურნალისტისთვის ფიზიკური და მენტალური კუთხით.

პროფესორმა ჰერბერტ ფრეიდენბერგერმა ისიც შენიშნა, რომ ეს დაავადება ემართებოდათ ისეთი პროფესიების წარმომადგენლებს, რომლებსაც მუდმივად უწევდათ შეხვედრა და ურთიერთობა პრობლემების მქონე ადამიანებთან. იმათთან, რომელთაც რაღაც უჭირდათ, რაღაც პრობლემა ჰქონდათ, რაღაცაში დახმარება უნდოდათ, ეძებდნენ თანაგრძნობას საზოგადოების მხრიდან და სხვა. ყოველი ასეთი შეხვედრა ჟურნალისტებს მუდმივად თანაგანცდის რეჟიმში აცხოვრებთ. ეს შეგრძნება კიდევ უფრო ძლიერდება მასალაზე მუშაობისა და სარედაქციო სწორებისას, ან შემდეგ, როცა ეს მასალა საზოგადოების საკუთრება გახდება.

კომპანია რეგუსმა - (Regus) – 2016 წელს ჩაატარა გამოკითხვა და ასეთი შედეგი დადო: მთელ მსოფლიოში ოფისებში დასაქმებულთა 53 პროცენტი გადაქანცვის ზღვრამდეა მისული. ჟურნალისტს პუბლიკაციის შემდეგ მუდმივად უწევს პასუხი გასცეს მომხმარებელთა შეტყობინებებზე, საქმეში უკვე ინტერაქტივის ფენომენი ერთვება და ესეც აძლიერებს თანაგანცდის მომენტს. [4]

მეცნიერულად დადგენილია ემოციური გამოფიტვის საწყისი ნიშნები. ის იწყება ხანგრძლივი და ინტენსიური სტრესით, რომელსაც თან ახლავს მუდმივი თანაგანცდა და მთავრდება სამსახურის შეცვლით ან პროფესიიდან წამოსვლით. ემოციონალური გადაქანცვა არის თანამედროვეობის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი დაავადება. მისი მთავარი დამახასიათებელია ის, რომ წინასწარ ვერასოდეს ვერ დაიჭერ თადარიგს მის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ძირითადად ემართებათ ე.წ. ,,ჰელფერული," ანუ დამხმარე პროფესიის წარმომადგენლებს - ექიმებს, მასწავლებლებს, სოცმუშაკებს, ადვოკატებს, ჟურნალისტებს და სხვა.

2014 წელს ბელგიაში პირველად იქნა შემოიღებული დაზღვევა ემოციურ გადაქანცვაზე ჯერ კერძო სადაზღვევო სისტემაში. ხოლო ორი წლის შემდეგ კი ბელგიამ ოფიციალურად აღიარა ეს სინდრომი როგორც პროფესიული ტრამვა. მას მალე მიბაძეს ჰოლანდიამ, ესპანეთმა და გერმანიამ. დღეს უკვე ამ ქვეყნებში გადაქანცვის სინდრომის შემთხვევაში ჟურნალისტებს ბიულეტენი უნაზღაურდებათ.

2019 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ემოციონალური გადაქანცვის პროფესიული სინდრომი დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორში გაატარა. თუმცა იქვე მიანიშნა, რომ ესაა ფაქტორი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს [5].

სპეციალისტების თქმით, ემოციონალური გადაქანცვა 4 სტადიისაა.

პირველი - ესაა ე.წ. სუპერმენობის სტადია. ჟურნალისტს, რომელმაც ეს-ესაა დაიწყო მუშაობა, აქვს შემართება, უნდა რომ ყველას თავი მოაწონოს, სავსეა ენთუზიაზმით. დღე-ღამეს ასწორებს მუშაობაში. აქვს დიდი გეგმები. ბევრ რამეს იღებს თავზე. ეს ის შეგრძნებაა, როცა ჟურნალისტი მზადაა სადღეღამისოდ იმუშაოს. თუმცა ეს პერიოდი მალე მთავრდება. რადგან ჟურნალისტებიც ადამიანები არიან და მათაც შეიძლება უმტყუნოთ ნერვებმა.

მეორე - დაღლილი მაგრამ მომთმენი, ამტანი სუპერმენის სტადია. ამ ეტაპზე ჟურნალისტი უკვე ამჩნევს, რომ ნელ-ნელა იღლება, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს. ამასთან, ჩაფიქრებული გეგმებიდან რაღაც ვერ ხორციელდება ისე, როგორც ფიქრობდა. ვიღაცეებმა გულიც გაუტეხეს, რაღაც პროფესიული შურიც იწვნია და სხვა, მაგრამ არა უშავს, შეიძლება ატანა.

მესამე - მას ეძახიან ,,მეტი არ შემიძლიას" სტადია. ეს სტადია იმით გამოირჩევა, რომ სუპერმენს უკვე ძალები ღალატობს. მასზე ცუდად მოქმედებს მუდმივი სტრესი, მისი ორივე მხარეთი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. ჟურნალისტი საკუთარ თავს უკვე ღიად უტყდება იმაში, რომ თუ ადრე ხალისით ეკიდებოდა და დიდ დროსაც ახარჯავდა მასალაზე მუშაობას, ახლა ცდილობს, უკვე თავიდან მოიშოროს მასალა და დროზე მიუგდოს რედაქციას. იწყებს ინფორმაციის მოპოვებაზე გულისაცრუებას. უფრო მეტად ორიენტირებს რედაქტორატის დავალებებზე. ამ სტადიაზე ჟურნალისტს უქვეითდება თვითშეფასების კოეფიციენტი. ის მუდმივად იდანაშაულებს თავს. სტრესიდან და თითგვემიდან გამოსავალს ჟურნალისტი ყავით, თამბაქოთი ან სხვა სტიმულიატორებით ცდილობს.

მეოთხე - ეს სტადია უკვე ძალიან მძიმე გასასწორებელია. აქ უკვე პიროვნული და სულიერი დეფორმირება ხდება. ამას თან ერთვის ბრაზი კოლეგებზე, რესპონდენტებზე, მეკავშირეებზე, ინფორმატორებზე და სხვა. ამ სტადიიდან ისინი თავს ძალიან ძნელად აღწევენ. აქ უკვე თავად ჟურნალისტი ვერ გრძნობს მის პრობლემებს. მას უკვე მისი მდგომარეობა აღარც აწუხებს. ის უკვე სხვას უშრობს სისხლს თავისი უხეშობით, უხიაგო ხასიათით.

ემოციონალური გადაქანცვის სინდრომს ყველაზე გამორჩეულად ცნობილი ამერიკელი მკვლევარები კრისტინა მასლაჩი და სუზან ჯეკსონი იკვლევდნენ. მათ შენიშნეს, რომ პროფესიული გადაქანცვა სულაც არ ნიშნავს შემოქმედებითი პოტენციალის დაკარგვას. პირიქით, ეს უფრო რეაქციაა პროფესიული მოვალეობების მიმართ. [6]

ემოციონალურ გადაქანცვის დაავადებას ისევე ეფექტურად შეიძლება ებრძოლო, როგორც სხვა დაავადებებს. საჭიროა მისი დროული გამოვლენა. როგორც კი ჟურნალისტი თავს ამგვარ ნიშნებს შეატყობს, მაშინვე სათანადო ზომები უნდა მიიღოს. აუცილებელია სამსახურის დაწყებისთანავე, მკვეთრად გაიმიჯნოს სამსახურებრივი და პირადი დრო. თუმცა ჟურნალისტის პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამის გაკეთება ყოველთვის ვერ ხერხდება. მის დასაძლევად პროფესიონალი ფსიქოლოგები რეტრიტის მეთოდის გამოყენებას გვირჩევენ.

რეტრიტი - Retreat ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს განრიდებას, განმარტოებას, ,,საზოგადოებისაგან განშორებას" სულიერი პრაქტიკის გასავლელად. ეს ტერმინი ეზოთერული სივრციდან დამკვიდრდა აკადემიურ სივრცეში. ფაქტობრივად, ესაა ის შესაძლებლობა, რითაც ჟურნალისტმა თავის თავს რაღაც უნდა უშველოს. მსგავსი რამ შეემთხვა ჩემს მაგისტრანტს გ. ო-ს, რომელიც ერთ ცნობილ ტელეკომპანიაში მუშაობდა. მან ყოველდღიურ, მეტისმეტად დაძაბულ რეჟიმს ვერ გაუძლო, თანაც მიხვდა, რომ უკვე ძალიან ნაადრევად იფიტებოდა. მან ყურად იღო ჩემი რჩევაც და თავს რეტრიტით უშველა. სრული ერთი წელი გაერიდა ყოველგვარ ჟურნალისტიკას. გადადო სამაგისტრო დისერტაციის დაცვაც. მცირე ხნიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ჩვეული ფორმა აღიდგინა და მუშაობა გააგრძელა.

რეტრიტის მეთოდი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. ზოგ ჟურნალისტს რეაბილიტაციისთვის შესაძლოა ერთი თვეც ეყოს, ზოგს კი მეტი, ან ნაკლები. ზოგი შესაძლოა, არც კი მობრუნდეს პროფესიაში. ამის მაგალითები მსოფლიო და ქართული ჟურნალიზმის ისტორიაში უხვადაა.

ემოციონალური გადაქანცვა შესაძლოა, ნებისმიერ ჟურნალისტს დაემართოს. მისგან დაზღვეული არავინაა. რატომ ემართებათ მათ ეს სინდრომი?

ჟურნალისტური პროფესია მუდმივად სტრესთანაა დაკავშირებული. ის ხშირად დახმარების ხელს უწვდის საზოგადოების დაზარალებულ, დაჩაგრულ წევრს. რის გამოც მას ბევრ ვინმესთან და რამესთან უწევს დაპირისპირება. მით უფრო ჟურნალისტური გამოძიების დროს. ხანდახან ჟურნალისტის გულისაცრუებას პროფესიაზე სულ სხვ რამ განაპირობებს. ყოველთვის მოიძებნება ისეთი რაღაც, როცა ეს ხდება მიზეზი საბოლოო გადაწყვეტილებისა.
რუსმა ჟურნალისტმა ალა ბროსლავსკაიამ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება ახალგაზრდა კაცის მკვლელობაზე, რომელიც მისივე სახლის სადარბაზოში სასტიკად სცემეს. მას არავინ მიეშველა. თავის წერილში ჟურნალისტმა ივარაუდა, რომ ეს საქმე ბოლომდე არ მივიდოდა და პოლიცია მას უბედურ შემთხვევად გაასაღებდა. ასეც მოხდა და როცა ჟურნალისტმა ამაზე დაწერა, მან დედისგან საყვედური დაიმსახურა. ეს კი მისი პროფესიიდან წასვლის მიზეზი გახდა. მან მეტს ვერ გაუძლო. დახმარების ნაცვლად მიიღო უმადურობა იმ ადამიანისგან, ვისაც გამოესარჩლა. ეს კი მისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა [7].

ჟურნალისტთა პროფესიულ გამოფიტვაზე არა მარტო ჟურნალისტის შინაგანი მარაგი, არა მხოლოდ მძიმე, თანაგანცდიანი თემები, არამედ სხვა არაერთი ფაქტორიც მოქმედებს. ეს შეიძლება იყოს საკმაოდ დაბალი ანაზღაურება, რომელიც საკმაოდ მძიმე პრობლემაა ქართულ ჟურნალისტიკაში. ასევე, არასასურველი ატმოსფერო რედაქციაში, რედაქტორატის იქედნური დამოკიდებულება, შემოქმედებითი შრომისთვის მძიმე, მიუღებელი პირობები და სხვა.

როგორ უნდა განსაზღვროს ჟურნალისტმა, აქვს თუ არა მას პროფესიული გამოფიტვის სინდრომი, ან მისი შესაძლო ნიშნები. საამისოდ პროფესორმა კრისტინა მასლაჩმა შეიმუშავა ამ სინდრომის განმსაზღვრელი ტესტი. მთლიანობაში ეს მრავალ ასპექტიანი კითხვარია. სულ 22 შეკითხვისაგან შედგება. ამჟამად მთელ მსოფლიოში ამ სინდრომის შესწავლა ხდება სწორედ მასლაჩის მეთოდიკის მიხედვით, რომელსაც ასე ჰქვია - მასლაჩის გამოფიტვის ინვენტორი -

MBI-Maslach Bournout Inventory. ეს კითხვარიც, რომელსაც ქვემოთ მოვიშველიებ, ამ მეთოდიკის ნაწილია. [8] ასევე პრაქტიკაში ცნობილია სხვა ტესტებიც. ამიტომ პროფესორ მასლაჩის გახმაურებული მეთოდიკიდან მხოლოდ 10 შეკითხვით შემოვიფარგლოთ:

1. მე თავს ემოციურად დაცარიელებულად ვგრძნობ;
2. სამსახურის შემდეგ გამოწურული ლიმონივით ვარ;
3. დილაობით თავს დაღლილად ვგრძნობ და სამსახურში წასვლაც მეზარება;
4. მე ვგრძნობ, რომ თანამშრომლებს არაკეთილგანწყობით ვექცევი;
5. სამსახურის შემდეგ მინდა, ყველას და ყველაფერს გავერიდო;
6. თავს ვგრძნობ გარიყულად და აპათიურად;
7. ბოლო ხანებში უგრძნობელი გავხდი იმათ მიმართ, ვისთანაც ვმუშაობ;
8. მე ვამჩნევ, რომ ჩემი სამუშაო ქანცს მაცლის;
9. მე მინდა, გავეცალო და დავისვენო ყველასაგან;
10. ბოლო ხანებში მე მეჩვენება, რომ კოლეგები და თანამშრომელები თავიანთ პრობლემებს და მოვალეობებს თავს მახვევენ.

თუ ამ შეკითხვებიდან პროცენტულად მეტს დაუწერთ ,,დიახს," ,,ხშირად," ან ,,უფრო მეტად," შეგიძლიათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ ემოციონალური გამოფიტვის ერთ-ერთ სტადიაში ხართ. ამიტომ შესაფერისი ზომებიც ამის მიხედვით უნდა მიიღოთ.

სადაა გამოსავალი? სპეციალისტები პროფესიული გადაღლის, პროფესიული გამოფიტვის სინდრომის დასაძლევად არაერთ ხერხს გვთავაზობენ. პირველ ადგილზეა ასეთი გამოსავალი - თვითანალიზი. ამის გაკეთება ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია, რადგან მასზე უკეთ არავინ იცის, რისგანაა ყველაფერი ეს გამოწვეული? გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი მეთოდებიც:

გადაამისამართეთ არასაჭირო დავალებები სხვასთან. ამით თქვენ შეძლებთ მცირედით მაინც განიტვირთოთ თავი. სხვათა შორის, ეს მიდგომა გამოყენებულია ეიზენჰაუერის მატრიცაში.

შეეცადეთ, შეცვალოთ დამოკიდებულება სიტუაციისადმი. შესაძლოა ამან უფრო დაამძიმოს თქვენი მდგომარეობა, უფრო დაიტვირთოთ, მაგრამ ეს მეთოდი ცდად ნამდვილად ღირს.

იფიქრეთ თავი დაიტვირთოთ იმით, რაც ყველაზე მეტად გსიამოვნებთ. რასაც მხოლოდ დადებითი განწყობა და ენერგია მოაქვს თქვენთვის.

შეხედეთ ზემოდან იმ პრობლემებს, რაც თქვენი რესპონდენტების წყალობით შეიქმენით. დარწმუნდით, რომ თქვენ ყველას ვერ დაეხმარებით, ძალები არ გეყოფათ.

გადაავლეთ თვალი თქვენს დღის რეჟიმს და შეცვალეთ დამოკიდებულება თუნდაც თქვენი ელექტრონული ფოსტის მიმართ. საჭირო არაა მთელი უქმეები მოახმაროთ მათ დახარისხებას და პასუხების გაცემას.

შეხვდით კარგ ფსიქოთერაპევტს ან ფსიქოლოგს და გაეხსენით. მაშინ სასარგებლო რჩევაც არ დაახანებს.

მანამდე კი ჟურნალისტებს მუდმივად უნდა ახსოვდეთ ასეთი გამოთქმა - რითიც იწვებით, მისითვე გამოიწვებით.

ლიტერატურა

1. https://psy-journo.livejournal.com/tag/dart%20center
2. https://dartcenter.org/content/2011-academic-fellowship-program?
3. https://spssi.onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1540-4560.1974.tb00706.x
4. https://www.regus.com/work-russia/surprising-truth-working-home/
5. https://www.who.int/mental_health/evidence/burn-out/ru/

6. http://proforientator.info/?page_id=6335
7. https://sdelano.media/longs/burnout/
8. https://www.statisticssolutions.com/maslach-burnout-inventory-mbi/

რეზიუმე

თანამედროვე მედია პრაქტიკა აქცენტს უნივერსალურ ჟურნალისტზე აკეთებს. ინტერნეტის ეპოქის ჟურნალისტის დატვირთვა წინანდელთან შედარებით 500-600 პროცენტითაა გაზრდილი. დოტკომების ეპოქიდან მოყოლებული ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად ჟურნალისტთა დატვირთვის კოეფიციენტი ლამის ყოველდღიურად იზრდება. ეს მომენტი კი უნებლიედ ხელს უწყობს თანამედროვე ჟურნალისტთა პროფესიული გადაქანცვის, გადაღლილობის სინდრომის მკვეთრ ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ ჟურნალისტიკა, პროფესიული გადაღლილობის სინდრომი, რეტრიტი, ახალი მედია, უნივერსალური ჟურნალისტი.

Gigla Gobechia

Problem - Occupational Fatigue Syndrome and its Current Issues in Journalism

Summary

Modern media practice is focused on the universal journalist. The workload of the journalist of the Internet era has increased by 500-600 percent compared to the previous one. Due to the technological changes that have taken place since the dot-com era, the workload on journalists is increasing every day. This moment inadvertently contributes to a sharp exacerbation of the syndrome of professional exhaustion of modern journalists.

Keywords: Internet Journalism, Occupational Fatigue Syndrome, Retreat, New Media, Universal Journalism.

მაკა დოლიძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

მედია და დიასპორა

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნება „დიასპორა“ ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს აღნიშნავს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში. ერთ-ერთი ასეთი მიმღები ქვეყანაა საქართველო, რომელიც ოდითგანვე წარმოადგენდა ერთიან მონათესავე ტომებით დასახლებულ ქვეყანას.

ქართველებსა და სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლებს ყოველთვის ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. „...როცა სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთთან თანაცხოვრობენ და ერთმანეთს პატივს სცემენ, მთელს მსოფლიოში გამონაკლისი იშვიათობაა. საქართველომ კი ეს საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა.“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა[1]

ებრაული დიასპორა საქართველოში ერთ-ერთი უძველესია. იგი ძვ. წ. X–VIII საუკუნეში დასახლდა. „მე ძალიან მახარებს ქართველ და ებრაელ ხალხს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, რომელიც გასაფრთხილებელია“ - აღნიშნა თბილისის მერმა კახა კალაძემ[2]

სამწუხაროდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლები საინფორმაციო იზოლაციაში იმყოფებიან, რის შედეგადაც ინფორმირებულნი არ არიან საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. რუსულ, თურქულ, სომხურ, აზერბაიჯანულ საინფორმაციო საშუალებებზე დამოკიდებულების გამო ისინი

ფაქტობრივად სხვა ქვეყნის საინფორმაციო სივრცის ნაწილნი ხდებიან. ზოგჯერ უცხოური მედიის მიერ საქართველოში მიმდინარე პროცესების ტენდენციური გაშუქება ეროვნულ უმცირესობასა და სახელმწიფოს შორის პრობლემებს იწვევს „ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე ეთნიკური უმცირესობები უყურებენ სხვა ტელევიზიებს, ინფორმაციას ღებულობენ სხვა წყაროებიდან, სადაც აქტიურად მიმდინარეობს რუსული პროპაგანდა.“ - ვკითხულობთ „მედია ცენტრ მთავარში“[3]

იმისათვის რომ გაგვერკვია, თუ რა როლს უთმობს მედია ქართველებისა და სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთა ურთიერთობებს გადავწყვიტეთ გაგვეშუქებინა ქართულ მედიაშია გავრცელებული პუბლიკაციები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მედია ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ერების მეგობრულად ცხოვრების გამოცდილებაზე, ტოლერანტობაზე. ხშირად ამ თემებზე სხვადასხვა ჟანრის მასალები ქვეყნდება. ეთნიკური უმცირესობებისათვის განკუთვნილ საინფორმაციო პროგრამებს ამზადებს საზოგადოებრივი ტელევიზია, სადაც ეთნიკური უმცირესობის ენებზე გადაიცემა ინფორმაციები. სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებს ეხება „რუსთავი 2-სა” და „იმედის” ეთერით გადაცემული სიუჟეტები.

ეთნიკური უმცირესობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები ქვეყნდება აგრეთვე ქართულ პრესაში. ჯერ კიდევ გაზეთები „დროება”, „ივერია”, „საქართველო” და სხვ. თავის გვერდებზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს, მათ

ურთიერთობებს. პუბლიკაციებში საუბარია, როგორ დასახლდნენ სამცხე-ჯავახეთში სომხები, როგორ შეიფარა ისინი ქართველებმა, როგორი ურთიერთობა იყო მათ შორის. საქართველოში ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში რომ არიან მოსახლეთ ამას არც თვით სომხები უარყოფენ. ერთ-ერთი სომეხი დეპუტატი საღათულიანი აღნიშნავდა, მუსულმანთაგან დევნილ სომხებს საქართველოში უშოვიათ მეორე სამშობლო.[4]

ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება პუბლიკაციები სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთა ტრადიციების, რელიგიის შესახებ. ასეთი სახის პუბლიკაციები საყურადღებოა იმით, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ქართველებისაგან არაფრით გამოირჩევიან და ისინი ისეთივე პრივილეგიებით სარგებლობენ. ქართული ჟურნალ-გაზეთები წერენ რა ქართველებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობებზე საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან იმის შესახებ, რომ თბილისში ერთმანეთის გვერდით არის ქართული, რუსული და სომხური ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი. პუბლიცისტებს ამით იმის თქმა უნდა, რომ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მეგობრულად ცხოვრობენ. მათ არავითარი შეზღუდვა არა აქვთ და ისინი ზეწოლას არავისგან განიცდიან. ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ აზერბაიჯანელებს თბილისში აბანოთუბანის რაიონში ჯუმა მეჩეთი აქვთ, სადაც სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ. მართალია, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მუსულმანებს სუნიტებისა და შიიტების ერთად ლოცვა უკვირთ, მაგრამ ისე მოსწონთ ეს, რომ თავიანთი ახლობლებიც კი მოჰყავთ რომ ანახონ ეს „საოცრება". ამ ინფორმაციაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. როგორც ვხედავთ ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მესამე ძალა ყოველნაირად ცდილობს ისლამისტების დაყოფას და მათზე თავისი ძალაუფლების მოხვევას. მაგრამ თბილისში არსებული მეჩეთი მათ ამის საშუალებას არ აძლევს. „თბილისური ჯუმა ყველა მუსულმანისათვის საერთო იქნება"_ დასძენს პუბლიცისტი[5] როგორც ცნობილია საქართველოში ასობით მუსლიმანური სალოცავია და მის მოქმედებას არავინ კრძალავს. ქართველები მეჩეთების აშენების, სარწმუნოების წინააღმდეგ არასოდეს წასულან. ის კი არადა ხშირად ისინი აზერბაიჯანელთა ტრადიციულ დღესასწაულებშიც კი მონაწილეობენ.

პრესაში იბეჭდება პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ ქვემო ქართლის სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანელები ნოემბრის გიორგობას ეკლესიაში მიდიან, საკლავს სწირავენ, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ.

საინფორმაციო საშუალებები საუბრობენ რა ეროვნული უმცირესობების ერთად ცხოვრების გამოცდილებაზე, აქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ მესამე ძალის ჩარევით მათ შორის განხეთქილებაც კი ხდება და მაგალითისათვის მოჰყავთ აფხაზები და ოსები. როგორც ცნობილია, ქართველები და ოსები ქრისტიანები არიან. მათ ერთმორწმუნეობასა და ნათესავურ ურთიერთობას არავინ უარყოფს „ქართველ და ოს ხალხებს ნათესავური ურთიერთობები აკავშირებთ, ერთმორწმუნეები არიან და მეზობლად ცხოვრობენ.....”[6] როგორც ქართველები, ასევე ოსები ოსეთის ტერიტორიას თავიანთ ისტორიულ მიწა-წყლად მიიჩნევენ და მასზე საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ცდილობენ. არა და ეთნიკური ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაა.

XVII-XVIII საუკუნეებში ოსებმა დაიწყეს საქართველოში ჩამოსახლება, კერძოდ შიდა ქართლის ტერიტორიაზე. სოფრომ მგალობლიშვილი მოგვითხრობს იმ ოსების შესახებ, რომლებიც მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ. როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელი ქართლის მთა-ტყეებს, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ. ოსები მთელი ქართლის ტერიტორიაზე დათარეშობდნენ და

თავიანთი მიზნების მისაღწევად არაფერს ერიდებოდნენ. ხანდახან, როდესაც ქართველები მათ შემოტევას აშკარად იგრძნობდნენ, განრისხდებოდნენ. მაგრამ წყენა მალე ავიწყდებოდათ, მალე ისევ დაწყნარდებოდნენ და მეგობრულ ხელს უწვდიდნენ ოსებს. [7] „ქართველთა და ოსთა კავშირი ისე განმტკიცდა, ისე შეიყვარეს ერთმანეთი, რომ მას შემდეგ, ამდენი ხნის განმავლობაში, ერთი მაგალითი არ მომხდარა, რომ ოსებს ან ქართველებს ერთმანეთისათვის ეღალატნოთ და რამე ბოროტება ჩაედინოთ. ასეთი ბოროტება ძველად ოსთა და ქართველთა შორის ამბათაც არ გაგონილა, ნაცვლად მტრობის, ოსები ქართლში გადმოსახლების შემდეგ, ქართველებთან ყოველთვის ერთად იბრძოდნენ, ბრძოლის დროს არასოდეს უღალატნიათ, უკან არ გამდგარან" _ ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში"[8]

საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟანრის მასალები ოსებისა და ქართველების ურთიერთობების შესახებ. როგორც ქართული, ასევე ოსური პუბლიკაციებიდან კარგად ჩანს, რომ ოსები საქართველოში უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობდნენ. ჩვენ სულ სხვანაირი ცხოვრება გვქონდა: ვიღაცა სახლს აშენებდა, ვიღაცას მოსავალი მოჰყავდა, ვიღაცა თავის ეზოში თამაშობდა _ წერდა ოსური გაზეთი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ოსები თავიანთ ბედს არ ემდუროდნენ. გაზეთში „იუჟნაია ოსეტია" დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, თუ რა ბედნიერად ცხოვრობდნენ ოსები აგვისტოს ომამდე. თუ როგორ შრომობდნენ და როგორ ისვენებდნენ. ქართველებსა და ოსებს შორის მეგობრული და ნათესაური ურთიერთობებიც კი არსებობდა. ოსები სტუმრად ჩადიოდნენ ნათესავებთან თბილისში, თბილისელები კი ოსეთში. ალა გერგაულოვა მოგვითხრობს ორი ოსი ქალბატონის შესახებ, რომლებიც ომის პერიოდში თბილისში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ იქ არავითარი საფრთხე არ შეექმნათ. თუმცა ამ ფაქტს პუბლიცისტი ასე აშკარად არ ახმოვანებს. იგი წერს, თუ რა მოხდა და რატომ მოხდა. ე.ი. უბრალოდ ინფორმაციას გვაწვდის და ანალიზისგან თავს იკავებს. არა და უკეთესი იქნებოდა სწორედ ამაზე გაემახვილებინა ყურადღება, რადგანაც როგორც ქართული, ასევე ოსური პრესის მიზანი იმის ჩვენება უნდა ყოფილიყო, თუ მესამე ძალის ჩარევამდე როგორი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ.[9]

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები. „არა მგონია, რომელიმე კუთხე კავკასიისა ისე იყვეს ჭრელი, როგორც დღეს არის აფხაზეთი. ის წმინდა მოზაიკას წარმოადგენს ამ მხრივ და ყველა ვისაც მოსვლა არ დაზარებია, მოსულა და აქ დასახლებულა: რუსი, ებრაელი, ბოლგარიელი, ალბანელი, ესტონელი..."_წერდა ზაქარია ედილი[10] ქართული პრესა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების საკითხს, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს. საქარველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები „დროება", „კრებული" „ივერია", „კვალი" და სხვ. ყოველნაირად ცდილობდნენ მთელი სიმწვავით აესახათ აფხაზეთში არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა. ქართული საინფორმაციო საშუალებები გვაწვდიდნენ ინფორმაციებს აფხაზების გენოციდის შესახებ: XIXს-ში მუჰაჯირობა, XXს-ში მასობრივი დახვრეტები, ხოლო მოგვიანებით მასობრივმა საშუალებებმა გააჟღერეს ჟირინოვსკის განცხადება „აფახაზეთი რუსეთს „საგულაოდ" სჭირდება, ხოლო აფხაზები ხელზე მოსამსახურედ"[11].

რუსებისაგან განსხვავებით ქართველებს აფხაზები ხელზე მოსამსახურედ კი არ სჭირდებათ, არამედ მათთან ერთად ცხოვრება და ურთიერთობა უნდათ. „საქართველოს აფხაზეთის ტერიტორიაზე უპირველესად აფხაზები სჭირდება" _ წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა".[12]

აქვე ხაზი გვინდა გაუსვათ იმას, რომ მიუხედავად კონფლიქტური სიტუაციისა საქართველო და ქართველი ერი ყოველნაირად ცდილობს იყოს მიმტევებელი, შეინარჩუნოს ტოლერანტობა. საქართველოში დღეს სხვა მცირე ეთნიკურ წარმომადგენლებთან ერთად მრავალი რუსი ცხოვრობს. ისინი აქ თავს კარგად გრძნობენ და არავითარი საშიშროება ემუქრებათ. ის კი არადა, რუსეთ-საქართველოს ომის დროს ბევრი რუსი პიროვნება უცხადებდა თანაგრძნობას ქართველებს, ბევრს არ უნდოდა ქართველების წინააღმდეგ ყოფნა. მათ შორის რუსი ჯარისკაცებიც იყვნენ. მათ საქართველოში ახლობლები ჰყავდათ და ერთი ტყვიაც კი არ გაუსროლიათ. მშვიდობისმოყვარე ქართველები და რუსები ომის შესაჩერებლად თავს არ ზოგავდნენ. ისინი სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს ეძებდნენ ამ საშიშროებიდან გამოსასვლელად. „რაც მოხდა, აღარაფერი ეშველება, მაგრამ ახლა პოლიტიკური და არა სამხედრო გზები უნდა გამოვნახოთ ამ ყველაფრის შესაჩერებლად" – წერდა ჟურნალ „ოგონიოკის" მთავარი რედაქტორი. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აცხადებდა, რომ რუსეთში ყველა გონიერი ადამიანი შეშფოთებულია საქართველოს მდგომარეობით. ეს ინტერვიუ იმით არის საყურადღებო, რომ გვაწვდის რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას. პირველი – რუსებს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ; მეორე _ამ ინფორმაციებს ძირითადად იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა სატელევიზიო არხის მიერ; მესამე _ რუსი მოქალაქეები შეშფოთებულნი იყვნენ საქართველოს მდგომარეობით. [13] ეს ინფორმაციები რა თქმა უნდა ბევრისთვის უცხო არ იყო, მაგრამ კარგია, რომ ამ ფაქტმა სწორედ რუსი ჟურნალისტის მხრიდან გაიჟღერა.

როგორც ვხედავთ საინფორმაციო საშუალებები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ქართველი ხალხისა და სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთა ურთიერთობებს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პრესის ფურცლებზე უფრო მეტი მასალა უნდა იბეჭდებოდეს,სისტემატურად უნდა შუქდებოდეს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება. საინფორმაციო საშუალებებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ეთნიკური უმცირესობისათვის აქტუალურ საკითხებს, ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონების პრობლემებს.

ლიტერატურა

1. „მედია ცენტრი მთავარი". 2018 წლის 2 დეკემბერი;
2. „მედია ცენტრი მთავარი". 2018 წლის 17 ნოემბერი;
3. „მედია ცენტრი მთავარი" 2018 წლის 9 ოქტომბერი;
4. ჟურნ. „საქართველოს მოამბე", № 1, 1909 წელი;
5. "Кавказ Online", 2011წლის 21 თებერვალი http://kavkasia.net/
6. გაზ. „ახალი თაობა", 2009 წლის 25 აგვისტო;
7. ჟურნ. `ერი", № 2-3,1910 წელი;
8. ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ.296;
9. газ." южная Осетия", 6 сентября 2008 года;
10. გაზ. `საქართველო", № 35, 1917 წელი;
11. „presa. ge", 2009 წლის 20 აგისტო http://www.presa.ge/new/
12. გაზ. „კვირის პალიტრა", 2011 წლის 4-10 ივლისი;
13. გაზ. „კვირის პალიტრა", 2008 წლის 11-17 აგვისტო

რეზიუმე

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნება „დიასპორა“ ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს აღნიშნავს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში. ერთ-ერთი ასეთი მიმღები ქვეყანაა საქართველო, რომელიც ოდითგანვე წარმოადგენდა ერთიან მონათესავე ტომებით დასახლებულ ქვეყანას. ქართველებსა და სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლებს ყოველთვის ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. იმისათვის რომ გაგვერკვია, თუ რა როლს უთმობს მედია ქართველებისა და სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთა ურთიერთობებს გადავწყვიტეთ გაგვეშუქებინა ქართულ მედიაშია გავრცელებული პუბლიკაციები. ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება პუბლიკაციები სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთა ტრადიციების, რელიგიის შესახებ. საინფორმაციო საშუალებები საუბრობენ რა ეროვნული უმცირესობების ერთად ცხოვრების გამოცდილებაზე, აქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ მესამე ძალის ჩარევით მათ შორის განხეთქილებაც კი ხდება და მაგალითისათვის მოჰყავთ აფხაზები და ოსები.

საკვანძო სიტყვები: დიასპორა, საინფორმაციო საშუალებები, ეროვნული უმცირესობა, ტოლერანტობა, კონფლიქტური სიტუაცია

Maka Dolidze

Media and Diaspora

Summary

In Modern political science the concept of "Diaspora" means ethnic minority group, which migrated, lives and works in the recipient country. One of such recipient country is Georgia. As it Is known, Georgia is one of the multi-national countries in Caucasus. Georgians and other nations always had much in common. Despite the variety of religions and languages, they have united some interest. In order to determine, what kind of attention pays Media to their relationships we tried to discuss publications. From publications discussed above we can conclude that: It was very important that Georgian media information about mutual collaboration of Georgias and other nations. Mass Media has always paid great attention to Georgia events. This issue is printed publications of different genre. They say, that in Georgia Georgians and other nations have friendly relations, but also note, sometimes when third party involvement, the tension arises between them, as in Abkhazia and Ossetia.

Key words: Diaspora, Mass Media, Ethnic minority group, Tolerance, Conflict situation.

მაია თუნგია
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

თანამედროვე მედიასივრცისა და მედიატექნოლოგიათა ტრენდები

XX-XI საუკუნეთა მიჯნაზე საინფორმაციო ტექნოლოგიათა ხაზით მომხდარმა ტექნიკურმა რევოლუციამ მედიის მეტამორფოზა გამოიწვია. წარმოუდგენლად შეცვლილ მედიაპეიზაჟში ჟურნალისტიკის რამდენიმე ტრენდი გამოიკვეთა, რომელთაგან შედარებით აქტუალურს მედიაექსპერტები საგანგებოდ გამოყოფენ.

ერთ-ერთი მათგანია "glance journalism" – „ერთი შეხედვის ჟურნალისტიკა", როგორც მას ეძახიან.

პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ მედიური ტექსტის მოცულობის მიმართ ინტერნეტსივრცესა და ტრადიციულ მედიაში სხვადასხვა მიდგომებია. მაგალითად, ტექსტი, რომელიც სოციალური ქსელის პლატფორმით მიეწოდება მკითხველს, ითვლება, რომ თითქმის სამჯერ მოკლე უნდა იყოს, ვიდრე ბეჭდვითი მედიისათვის. პუბლიკატორმა უნდა გაითვალისწინოს ერთი გარემოება - ინტერნეტსივრცეში მედიამომხმარებლისათვის უფრო ადვილია ტექსტის სკანირება და არა კითხვის პროცესი. ამიტომაც ამგვარ კონტენტში ძირითადი სათქმელი ლაკონურად და ოსტატურად გადმოიცემა, რასაც ,,ერთი შეხედვის ჟურნალისტიკას" ეძახიან.

ამერიკული ტელერადიოკომპანიის CBS-ის ახალი ამბების სააგენტოს - CBS News-ის ყოფილმა პრეზიდენტის, ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების სფეროში წამყვანი ამერიკელი ექსპერტის - ენდრიუ ჰეივორდის, თქმით, დღეისათვის შეერთებული შტატების მედიურ ექსპერტებს შორის პოპულარულია ტერმინი „So-lo-mo", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „სოციალური, ადგილობრივი, მობილური" (social-local-mobile). ჰეივორდის თქმით, ეს ყველაზე თანამედროვე ტრენდად ითვლება, მაგრამ თავად მას თავისი შესწორება შეაქვს დასახელებაში: ჰეივორდის ვერსიაა „So-lo-mo-glo", ანუ გლობალური [1].

ცნობილი ექსპერტის აზრით, მომავალი ეკუთვნით ინტერესებისა და გატაცებების საფუძველზე გაერთიანებულ ადამიანთა გლობალურ ქსელებს, სადაც თავის სიტყვას იტყვის „So-lo-mo" ჟურნალისტიკა.

თანამედროვე მედიასივრცეში საკმაოდ აქტუალური პრობლემაა კონტენტის ვერიფიკაცია - მედიასაშუალებები ციფრულ გარემოში ხშირად ხდებიან Fake news- „ფეიკ-ნიუსების" (ანუ ცრუ ინფორმაციის) მსხვერპლნი. ამ თვალსაზრისით მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ტრენდი watchdog journalism, ანუ „მოდარაჯე ჟურნალისტიკაა" [2].

მომავლის ტრენდია „ჟურნალისტიკა, როგორც სერვისი" (Journalism as a Service). ამ შემთხვევაში, კონტენტის მიწოდებაში მომხმარებელი ფულს იხდის.

სავარაუდოდ, მომავალში მედიაჰოლდინგები თავიანთ მოპოვებულ ინფორმაციას აუდიტორიაზე უფასოდ აღარ გასცემენ. ეს, განსაკუთრებით, ამა თუ იმ სფეროს სპეციალიზირებულ კონტენტს, დარგობრივ მედიასა და ანალიტიკურ კონტენტს შეეხება.

მიუხედავად იმისა, რომ მედიასივრცეში, ტრანსფორმაციის ამ გარდამავალ პერიოდში, ინფორმაციული ქაოსია, შედარებით ხარისხიანი კონტენტის ნაკრებს მედიამომხმარებელს მაინც სწორედ პროფესიონალური მედია სთავაზობს. მედიამკვლევართა ნაწილის აზრით,

პროფესიონალური და არაპროფესიონალური მედია მომავალში ნამდვილი კონკურენტები ვერ იქნებიან. ექსპერტის აზრით, ეს შეხედულება უკვე აქტუალური აღარც კი არის - ამას ადასტურებს „იუთუბზე“ განთავსებული ვიდეოკონტენტი – მისი დიდი ნაწილი სწორედ პროფესიონალური სატელევიზიო არხების მიერ არის ფორმირებული. სავარაუდოდ, ორივე მიმართულება პარალელურ რეჟიმში განვითარდება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის თავისუფლება და ფართო შესაძლებლობანი, რაც ინტერნეტსივრცემ მიანიჭა უნიჭიერეს ადამიანებს საკუთარი კონტენტის შექმნისა და გავრცელების თვალსაზრისით, ტრადიციულ მედიასთან მათი ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე. შედეგად კი ისინი სამოყვარულო კონტენტს შექმნიან, თუ პროფესიონალურს, მნიშვნელობა არა აქვს.

მომავლის ერთ-ერთი ტრენდია „მონაცემთა ჟურნალისტიკის“ განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები, სტატისტიკა, ძალიან მოსაწყენად და რიცხვების გროვად აღიქმება, სინამდვილეში ციფრული ინფორმაციის საშუალებით მოვლენათა ძალიან საინტერესო გაშუქება შეიძლება. ამ მიმართულებით მომუშავე ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ უნარი, ინფორმაციის უსასრულო ნაკადიდან გარკვეული მიმართულებით საინტერესო ფაქტები გამოარჩიონ, გააანალიზონ და მათი ისეთი ვიზუალიზაცია შესძლონ, რომ იგი მედიამომხმარებელმა ადეკვატურად აღიქვას.

ბელა ჰარედი, BBC News-ის ვიზუალური ჟურნალისტიკის განყოფილების რედაქტორი თვლის, რომ დიდ აუდიტორიაზე გათვლილმა გამოცემებმა, მონაცემთა ჟურნალისტიკის მიმართულებით, ისეთი პროდუქტი უნდა შექმნან, რაც მათ თითოეულ მედიამომხმარებელს აინტერესებს.

„არსებითად, ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ ის ვაშლი, რომელიც გემოთი ყველას მოეწონება“, - განაცხადა ჰარედმა მომავლის მედიის საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

მომავლის ერთ-ერთი ტრენდია რობოჟურნალისტიკაც, რომელიც გულისხმობს კონტენტის გარკვეული პროცენტის მომზადებას რობოტების მიერ. ცნობილია, რომ Associated Press და Yahoo News ამგვარი სამუშაოსათვის უკვე იყენებენ რობოტებს. ისინი გამოიყენებიან იმ შემთხვევაში, როცა ნიუსის დასაწერად დიდი რაოდენობის ინფორმაციის გადამუშავებაა საჭირო.

მიუხედავად ამისა, მკვლევართა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ მომავალში მოსალოდნელი კიდევ უფრო დიდი განვითარების მიუხედავად, ხელოვნური ინტელექტი ცოცხალ, შემოქმედებითად მოაზროვნე ჟურნალისტს ვერასდროს ვერ შესცვლის. დღესდღეობით ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყავს ისეთი უნიკალური რობოტები, არ არსებობს ისეთი ხელოვნური ინტელექტი, რომელიც არა მხოლოდ ჩასწვდებოდა თანამედროვე საზოგადოების საინფორმაციო მოთხოვნათა მთელ სირთულეს, არამედ „დაიჭერდა“ იმ კითხვებსა და იდეებს, ჰაერში რომ ლივლივებენ“, - ასეთია ცნობილი რუსი მედიამკვლევარის ე. ვართანოვას აზრი.

მომავლის ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ტრენდია ვიწრო სპეციალიზირებული მედიის განვითარებაც. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დროთა განმავლობაში დარგობრივი მედიის მიმართ ინტერესი გაიზრდება. ეს იმიტომ, რომ გაიზრდება მოთხოვნა სანდო და მაღალი ხარისხის კონტენტის მიმართ. სწორედ ამ თვალსაზრისით, პერსპექტიულია ექსპერტული ჟურნალისტიკა, რომელიც კონტენტის უმეტესი ნაწილის მომზადებაში დაეყრდნობა არა ჟურნალისტებს, არამედ ამა თუ იმ დარგის ღრმად მცოდნე ადამიანებს, ეგრეთ წოდებულ, ექსპერტებს.

როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, მომავალში ამგვარი სპეციალიზირებული და ვერიფიცირებული კონტენტი უფასო აღარ იქნება.

მომავლის ერთ-ერთ ტრენდად მოიაზრებენ ქსელურ ჟურნალისტიკასაც - როცა კონტენტის შექმნაზე მუშაობს არა ერთი ჟურნალისტი, არამედ რამდენიმე ადამიანი. თანამედროვე პირობებში არის იმის ტექნიკური შესაძლებლობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ერთ თემაზე მომუშავე პირები მყისიერად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მოპოვებული ინფორმაცია გაცვალონ. ქსელური ჟურნალისტიკის პირობებში კონტენტის მომზადების პროცესში შესაძლებელია სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ჩართვა.

რამდენადაც ჩვენ განვიხილავთ ციფრულ ეპოქაში მედიის მეტამორფოზას, საჭიროდ მივიჩნევთ, შევეხოთ მომავლის მედიატექნოლოგიურ პლატფორმებსაც. ეს იმიტომ, რომ, როგორც ამერიკელი ჟურნალისტი კრის ანდერსონი სამართლიანად მიიჩნევს, თანამედროვე მედიის სახეს სწორედ ტექნოლოგიური ტრენდები განსაზღვრავენ. ისტორიულად უმოკლეს პერიოდში მათ, ფაქტიურად, ძირეულად შეცვალეს მედია. როგორც ვარაუდობენ, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

ბოლო პერიოდის მედიის ბიზნეს-მოდელებზე, უპირველეს ყოვლისა, პლანშეტების გამოჩენამ მოახდინა გავლენა: როგორც ვიცით, ინტერნეტქსელი უფასოა, რადგან მასში არ არის რაიმე გადახდის მექანიზმი ინტეგრირებული, ხოლო „აიპად“-ში ეს მომენტი თავიდანვე გაითვალისწინეს და ჩანერგეს. ასე რომ, პლანშეტი უახლოეს მომავალში მედიასაშუალებებს ხელმომწერებთან ურთიერთობაში ახალ შესაძლებლობებს უქადის.

ზოგადად, მედიაში მობილური ბუმია: მომხმარებელთა დიდი ნაწილი უკვე სწორედ მობილური მოწყობილობიდან ეცნობა მედიას.

პლანშეტური კომპიუტერები უფროსი თაობისათვის წასაკითხად ძალიან მოსახერხებელნი არიან. ფრანგული გამოცემა „Le Monde“ იუწყება, რომ ხელმომწერთა რიცხვი გაზეთის რიდერებისათვის განკუთვნილ ციფრულ ვერსიებზე უფრო დიდია, ვიდრე ქაღალდზე ნაბეჭდ ვერსიაზე. „გერმანელი მკვლევარების დასკვნით, ხანდაზმული ადამიანები „iPad“-ზე უფრო სწრაფად კითხულობენ ტექსტს, ვიდრე ქაღალდის ფორმატზე“. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც - ძალიან ბევრ საიტს რთული ნავიგაცია და დიზაინი აქვს, რაც, განსაკუთრებით, უფროსი ასაკის მედიამომხმარებელს უქმნის დისკომფორტს . [3]

ერთ-ერთი ტრენდი, რომელიც „მომავლის მედიის“ მესამე საერთაშორისო ფორუმზე დასახელდა, არის ის, რომ ადამიანები მედიურ კონტენტს ეცნობიან არა უშუალოდ მედიის საიტიდან, არამედ თავიანთი ნაცნობ-მეგობრების მიერ სოცქსელების საშუალებით გაზიარებული რეკომენდაციებით.

ამ მიზნით ინტერნეტსაიტების მომხმარებელთა თითქმის 40% იყენებს სოციალურ ქსელ „ფეისბუკს“, ან „ტვიტერს“, რადგან ამ პლატფორმებზე ახალი ამბების გაგება საკმაოდ ადვილია. [4]

ტენდენცია, რომ კონტენტი პლატფორმების მეშვეობით მოიხმარონ, დღითიდღე იზრდება, თუმცა ამას მედიის ხელმძღვანელობისათვის ერთი ნაკლი აქვს - „ბევრი გამომცემელი და რედაქტორი ხედავს, რომ პლატფორმები აუდიტორიას ართმევენ, მაგრამ პლატფორმათა რიცხვი გაიზრდება. ისინი განვითარდებიან და გამოიყოფიან ბიზნესის ცალკეულ მიმართულებათა სახით... მასმედია შეეცდება, თავიდან მოიშოროს სოციალური ქსელებისა და „Google“-ს ტიპის პლატფორმათა დომინანტი. თავის მხრივ, ისინი შეეცდებიან, პოზიციები შეინარჩუნონ, მაგრამ შეიცვლებიან – უფრო მოსახერხებელ პირობებს შექმნიან მედიისა და ჟურნალისტებისათვის, დაეხმარებიან მათ მონეტიზაციასა და კონტენტის გავრცელებაში“.

როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, მომავალში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები კონტენტის წარმოებისა და დისტრიბუციის თვალსაზრისით მოხდება.

აქ თავიანთ სიტყვას, პირველ რიგში, ტექნოლოგიები იტყვიან. უკვე ამჟამად სახეზეა „ჭკვიანი სვეტები“, ხოლო ადამიანი მობილურ და სტაციონარულ მოწყობილობებში გარკვეულ პროგრამებს საკუთარი ხმით შეჰყავთ. როგორც ვარაუდობენ, მალე ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა აგრეგატორები და ასევე სერვისები, რომლებიც ადამიანებისათვის „ხმაზე“ და ასევე ე.წ. „ჭკვიანი სვეტებით“ იმუშავებენ.

ადამიანები სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებენ ტელევიზორის ეკრანთან, რადგან უკვე ვიდეოკონტენტზე წვდომისათვის ალტერნატიულ ვარიანტებს იყენებენ. ამ თვალსაზრისით, ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს ინტერნეტთან მიერთებულ „ჭკვიან ტელევიზორებს“.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე მედიის სახის შეცვლა მოწინავე ტექნოლოგიურმა ბრენდებმა განაპირობეს. მოსალოდნელია მობილურ მოწყობილობასთან ადაპტირებული ახალი ნავიგაციის მეგაფორმატები, რომელთა გამოსახულება სრულიად განსაკუთრებული და განსხვავებული იქნება კომპიუტერის გამოსახულებისაგან.

მედია რომ წარმოუდგენლად შეიცვლა და მომავალშიც კიდევ უფრო შეიცვლება, ამაზე უკვე დღევანდელი ფაქტები მეტყველებენ - მეცნიერებმა მიაგნეს საშუალებას, ადამიანის რეცეპტორებზე გარკვეული ზემოქმედების შედეგად მას ვირტუალურ სივრცეში სურნელი აგრძნობინონ. მულტიმედიის განვითარება იქამდე მიგვიყვანს, რომ ქსელში შესაძლებელი გახდება სურნელებისა და ტაქტილურ შეგრძნებათა (უკვე მიმდინარეობს ამაზე მუშაობა) გადაცემა. ხოლო ჰოლოგრაფიული პროექცია, ტაქტილურობის სიმულაციასთან ერთად, სივრცეში ჩვენს თვალწინ სამგანზომილებიან ინფორმაციულ ობიექტებთან ოპერირების საშუალებას მოგვცემს. სხვა სიტყვებით, აღქმის მხოლოდ ერთი მეთოდის - მხედველობითის - მაგივრად, რომელიც ტექსტის წაკითხვისთვისაა აუცილებელი, ადრე თუ გვიან, გრძნობათა ხუთივე ორგანო იქნება ამოქმედებული. და პლიუს ინტერაქტიულობა. ... ტექსტი ადგილს დაუთმობს ახალ, აზრების გამოხატვის კომპლექსურ ფორმატს და, საერთოდ, ეს სემანტიკური რევოლუციაა, - ითქვა მედიის მესამე საერთაშორისო ფორუმზე.

პრაქტიკულად ეს ყველაფერი იმას გვიქადის, რომ მარწყვზე მომზადებული კონტენტის ყურებისას მედიამომხმარებელი მარწყვის გემოს შეიგრძნობს, ანდა ბუნებაზე სიუჟეტის შეხედვისას - ყვავილების სურნელს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვირტუალური რეალობის შესაძლებლობანი კიდევ უფრო გაფართოვდება, რაც კონტენტის ვიზუალიზაციის ფორმებს კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის.

როგორ შეცვლის ეს ყველაფერი მედიას, როგორი იქნება ტრანსფორმაციის შედეგები? - ამაზე პასუხი ჯერჯერობით არავის არა აქვს.

ლიტერატურა

1. https://www.infox.ru/news/84/economy/finance/92461-endru-hejvord-centr-vliania-smi-smestilsa-ot-provajdera-k-polzovatelu, Andrew Heyward “The center of media influence has shifted from provider to user”;
2. https://vc.ru/future/41537-cifrovaya-transformaciya-media-kakim-budet-rynok-proizvodstvo-i-distribuciya-kontenta;
3. https://ria.ru/20120606/666563031.html, Jim Chisholm, Traditional media are wasting time on social media;
4. https://newreporter.org/2016/10/06/evgenij-kulakov-ob-osobennostyax-raboty-onlajn-media/, Кулаков Е., об особенностях работы онлайн-медиа.

რეზიუმე

მე-20-21-ე საუკუნის მიჯნაზე მომხდარმა ტექნიკურმა რევოლუციამ, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიათა ხაზით, წარმოუდგენლად შეცვალა არსებული მედიალანდშაფტი. ძირეულად შეიცვალა ინფორმაციისადმი დამოკიდებულება, პარალელურად გაჩნდა ახალი მოთხოვნები და ახალი პრობლემები ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის, მიწოდების ფორმისა და გავრცელების გზაზე. ცვლილებების შესაბამისად, ტრანსფორმირებულ მედიასივრცეში გამოიკვეთა რამდენიმე ტრენდი, რომელთაგან შედარებით აქტუალურს მედიაექსპერტები საგანგებოდ გამოყოფენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიათა სამომავლო პლატფორმებიც, რადგან მედიაპეიზაჟის ძირეულად შეცვლა სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიურმა ტრენდებმა განსაზღვრეს და, როგორც დარგის ექსპერტები ვარაუდობენ, ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

საკვანძო სიტყვები: ტრენდი; მეტამორფოზა; ჭკვიანი სვეტი; რობოჟურნალისტიკა; ტრანსფორმაცია; კონტენტის ვიზუალიზაცია.

Maya Tungia

Trends in modern media space and media technologies

Summary

The technical revolution that took place at the turn of the 20th and 21st centuries, especially in the field of information technology, fundamentally changed the existing media landscape. The attitude towards information has fundamentally changed, new requirements and new problems have arisen on the way of creating a journalistic product, forms of delivery and distribution. In line with the changes in the transformed media space, several trends have emerged, some of which are relatively relevant for media experts. Future information technology platforms also deserve special attention, because a fundamental change in the media landscape has been determined by current technological trends, and as experts in the field suggest, this trend will continue in the future.

Key words: Trend; Metamorphoses; Smart column; RoboJournalism; Transformation; Content visualization.

ნარგიზა კანკია,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Gori State Teaching University

საქართველო უცხოურ დოკუმენტურ ფილმებში

უცხოელების მიერ საქართველოს შესახებ გადაღებული არის მრავალი ფილმი, ამას აქვს თავისი ახსნა და ეს, პირველ რიგში, არის ის, რომ მოსწონთ ჩენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება და ინტერესდებიან მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიითაც. ამ ფილმების გადაღება მნიშვნელოვანია, რადგან მათი მეშვეობით საზღვარგარეთ ეცნობიან საქართველოს ისტორიის, ყოფა-ცხოვრების, კულტურის, ბუნების და ა. შ. ამბებს.

ვფიქრობთ, საინტერესოა, მაინც რა აინტერესებთ საზღვარგარეთელ დოკუმენტალისტებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, რაზე ამახვილებენ ისინი ყურადღებას, რა დონის და ხარისხის არის ეს ფილმები და რა მიზნით იღებენ ძირითადად მათ.

იმის შესახებ, თუ ვინ და რატომ დაინტერესდა საქართველოს ისტორიის, კულტურის, ბუნების და სხვა საკითხებით, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სხვადასხვა დროს გადაცემული საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები. ერთ-ერთი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ავტორიტეტული ტელეკომპანია BBC-ს ეთერში გავიდოდა 4 ფილმი საქართველოს შესახებ (ტელეკომპანია „იმედი“ საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკა“, 2016წ აგვისტო). სიუჟეტიდან გავიგეთ, რომ ერთ-ერთი გადამღები ჯგუფი - „ედმუნდ ფრომოუშენი“ საქართველოშია, ისინი უკვე იყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მომავალი ფილმებისთვის საჭირო მასალაც მოაგროვეს. თითო ფილმის ხანგრძლივობა ერთი საათია და ისინი მიეძღვნება საქართველოს კულტურას, ისტორიას, რელიგიას და ტურისტულ ღონისძიებებს. შეგვატყობინეს ისიც, რომ „ედმუნდ ფრომოუშენი“ საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩამოვიდა. ფილმის შექმნის მიზეზებზე და მიზნებზე კი ისაუბრა თვითონ მთავარმა პროდიუსერმა - ლიდია კონვეიმ, კერძოდ, მან თქვა: „ალისა და ნინოს შესახებ წიგნი წავიკითხე და მივხვდი, რომ საქართველოსა და ზოგადად კავკასიის შესახებ, არაფერი ვიცოდი, ამ რეგიონის გამოკვლევა დავიწყე და აღმოვაჩინე, რომ თქვენს ქვეყანას ძალიან დიდი ისტორია და ტურისტული პოტენციალი აქვს. ევროპაში ბევრმა ადამიანმა არ იცის საქართველოს შესახებ, ამიტომ დოკუმენტურ ფილმს მოვამზადებ. მე ვცდილობ ისეთი კუთხე ვიპოვნო, რომელითაც ბრიტანელ ხალხს საქართველოს ღირსშესანიშნაობებს გავაცნობ“

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ BBC -ის დოკუმენტური ფილმების თემატიკა მრავალფეროვანია - ისტორიები, თავგადასავლები, ბუნება და სხვა, რომელებიც გამოირჩევიან როგორც მაღალი ვიზუალური მხარით, ისე ღრმა, კომპეტენტური კომენტარებით. ამ ფილმებში ხშირად ვხვდებით ხარისხიანად, პროფესიონალურად შესრულებულ დადგმით სცენებს, კომპიუტერულ გრაფიკას და ა. შ.

ასევე ძალიან ცნობილი და პოპულარულია “Discovery Channel” ის დოკუმენტური ფილმები და ამ ტელეკომპანიის ინტერესის სფეროში რამდენჯერმე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა. საქართველოში „Discovery“ ის ფილმების დემონსტრირება, ისევე როგორც ეს იყო BBC-ს

ფილმების დროს, მოხდა „„რუსთავი-2“-ზე (1999 წელს). ამ მნიშვნელოვან ფაქტს ტელეკომპანია მაყურებელს ატყობინებდა ფრაზით: „აღმოაჩინე „Discovery“ „რუსთავი 2-ზე“

რაც შეეხება უცხოელების მიერ საქართველოს შესახებ გადაღებულ ფილმებს, ერთი-ერთი მათგანია ფილმი „საქართველო და დიადი კავკასია“ Georgia &The Great Caucasus“ (Planet Doc). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მაყურებელი საქართველოში მოგზაურობს უცხოელ ტურისთან ერთად, რომელსაც სმენია საქართველოს შესახებ და სურს მეტი გაიგოს ამ ქვეყანაზე. ფილმში ძალიან კარგად ჩანს საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება, რისთვისაც ავტორი მიმართავს ახლო და შორი ხედების მონაცვლეობას, სხვადასხვა რაკურსებს...

ფილმი იწყება რუკის ჩვენებით, საიდანაც მაყურებელი იგებს, რომ საქართველო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. დასაწყისშივე ვხედავთ ქართულ ცეკვას, რომელსაც მონაცვლეობით ავსებენ კადრები, სადაც ჩანს ყურძნის გაწურვა, გაშლილი სუფრა, თბილისის ღირსშესანიშნაობები (სამების ეკლესია, ოპერის თეატრი...), ვარძია, ბათუმის ერას მოედანი (ახლო ხედით მედეას ძეგლი), საქართველოს მაღალი მთები, სწრაფი მდინარეები, ვენახები... ავტორი თავიდანვე გვამცნობს, რომ ამ ქვეყანაში იმოგზაურა ალექსანდრე დიუმამ, რომელზეც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საქართველოს. კადრსგარეთ ტექსტი ხაზს უსვამს ვენახის და ღვინის კულტს ჩვენს ქვეყანაში. ამ უძველეს სასმელზე საუბარი გრძელდება ახალგაზრდების ქეიფის ფონზე. ფილმში ისმის, როგორ წარმოთქვამს ავტორი ქართულ სიტყვებს: ღვინო, მარანი, თამადა, რასაც მოჰყვება კიდეც თამადის ომახიანი სიტყვები: პირველი დავლიოთ სადღეგრძელო, რომელიც დღეს საქართველოს და, საერთოდ, მთელს ქვეყანას ძალიან სჭირდება - მშვიდობას გაუმარჯოს!... ისმის სიმღერაც (აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ...) კადრსგარეთ ტექსტი კი ეხება ქართულ სტუმართმოყვარეობას, ტრადიციებს, სუფრას, ღვინოს (ჩამოთვლის კიდეც ცნობილი ღვინოების მარკებს- „წინანდალი“, „მუკუზანი“, „თელიანი“, „საფერავი“) და ლოგიკურად გადავდივართ კახეთში-ვხედავთ რთველს, ყურძნის წურვას, ქვევრს... ხოლო როცა ახალგაზრდების სუფრაზე წარმოითქმება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის სადღეგრძელო, მას ბუნებრივად მოჰყვება ისტორია თბილისის დაარსების შესახებ, რომლის ბუნებრივი გაგრძელებაა აბანოთუბანი (თავისი აბანოებითა და მექისეებით)...

ამ ფილმში ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ თბილისი მრავალეროვანი ქალაქია - აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებულა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი

დოკუმენტური ფილმიდან „საქართველო და დიადი კავკასია“ მაყურებელი გაიგებს ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს შესახებ. მაგალითად, საუბარია წმინდა ნინოს შემოსვლაზე, დავით აღმაშენებლის როლზე საქართველოს ისტორიაში, მირიან და ნანას ცხოვრებაზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მასში ნახსენებია სტალინი და ის ადგილებიც სადაც მას უყვარდა დასვენება (მაგალითად, ბორჯომის და მისი მინერალური წყლების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას).

ფილმში - „საქართველო და დიადი კავკასია“- ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეზეა საინტერესო ამბები მოთხრობილი - ვხედავთ სამეგრელოს და დადიანების მშვენიერ სასახლეს, აჭარის მაღალმთიან სოფელს და თანამედროვე ბათუმის ღამის ხედებს, მესტიას და სვანურ კოშკებს, თუშეთის სოფელს და ხინკლის მზადების პროცესს, კახეთის ვენახებს და სიღნაღის კედელს, ყაზბეგის გერგეთის სამებას, გუდაურსა და ბაკურიანში მოთხილამურე ახალგაზრდებს... ფილმში არც რუსეთის მიერ უკუპირებული ტერიტორიების- აფხაზეთის და სამაჩაბლოს- ხსენება დავიწყებიათ...

ამ ფილმის ბოლოსკენ კამერა ისევ თბილისისს უბრუნდება (თავისუფლების მოედანი, ბარათაშვილის ქუჩა, პარლამენტის შენობა). ავტორი ახსენებს შოთა რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს“, ფიროსმანზე საუბარისას კი რამდენიმე ნახატსაც ნახავს მაყურებელი. ფინალურ კადრებში გადამღები კამერა აფიქსირებს ნაციონალური სუვენირებით მოვაჭრე ადამიანებს, ღამის კლუბებს, ჯაზის მოყვარულ ადამიანებს (მაია ბარათაშვილს უსმენენ), რესტორნებს და ისევ იმ მოქეიფე ახალგაზრდებს...

საქართველოს მშვენიერება - მისი მრავალფეროვანი ბუნება, მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლები, ტრადიციები საინტერესოდ არის გადმოცემული ფილმში „საქართველოს შესახებ” (Planet Doc). ის დასაწყისშივე იპყრობს მაყურებელს -თვალსაჩინოებისთვის იწყება ინფოგრაფიკით, სადაც რუკაზე ვხედავთ მის ადგილმდებარეობას, რომელსაც მოჰყვება აჩქარებული კადრებით შემოვლილი საქართველო - სვანეთის კოშკები, უფლისციხე და ვარძია, ვხედავთ როგორ ახვევენ ხინკლებს, როგორ ავლებენ ჩურჩხელას, როგორ ცეკვავენ, ჯირითობენ, ამის შემდეგ ავტორი გვაცნობს საქართველოს ისტორიას, მას ყურადღება გამახვილებული აქვს ქართული სუფრის ტრადიციებზე, რთველზე. ავტორს მრავლად აქვს მოპოვებული ინფორმაციები ქვევრის და ღვინის შესახებ. მაგალითად, აქ საუბარია იმაზე, რომ ქართული ღვინო და მისი ქვევრში შენახვის ტრადიცია მრავალ საუკუნეს ითვლის, საქართველოში ყურძენი ოდითგანვე ფეხით იწურებოდა და სხვ.

ფილმში - „საქართველოს შესახებ“- მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თბილისის აწმყოსა და წარსულის (ასევე სხვა ქალაქების შესახებაც არის ინფორმაცია) მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების აღწერას. მაგალითად, მასში საკმაოდ დეტალურადაა გადმოცემული ისტორია თბილისის დაარსების შესახებ. რაც შეეხება თანამედროვე თბილისს, საინტერესოა, რომ ავტორმა ჩვენი დედაქალაქის გაცნობისას, მოახერხა და აჩვენა თითქმის ყველა ის ღირსშესანიშნაობა, რაც შეუდარებელ იერს აძლევს მას: სამების ტაძარი, ოპერა, აბანოები... განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ ფილმში საქართველოს ფლორასა და ფაუნაზე საუბარს დიდი ადგილი ეთმობა.

ფილმიდან „საქართველოს შესახებ“ მრავალ საინტერესო ინფორმაციას გაიგებს აუდიტორია არა მარტო ავტორის კადრსგარეთა ტექსტით, არამედ იმ საუბრებითაც, რასაც ადგილობრივი სპეციალისტები გვაწვდიან (მაგალითად, ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები), ცხადია, ამას ავტორი იმისთვის მიმართავს, რომ ფაქტები უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი იყოს.

ეს ფილმი, ვფიქრობთ, აუცილებლად დააინტერესებს უცხოელებს, რაშიც (გარდა იმისა, რომ მასში არის მრავალი ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და ქალაქზე), მნიშვნელოვანი როლი უნდა მივაკუთვნოთ გამომსახველობით საშუალებებსაც - ის ვიზუალურად საოცრად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი, მაგალითად, აქ გამოყენებულია აჩქარებული კადრები, სხვადასხვა ხედითა და რაკურსით გადაღებული ადგილები, კომპიუტერული გრაფიკა... და ბოლოს მუსიკა - იგი ჰარმონიულად ერწყმის კადრებს, პერიოდულად ისმის ქართული ხალხური სიმღერაც, რომელიც კიდევ უფრო მეტად აკეთილშობილებს და დაუვიწყარს ხდის ამ კადრებს.

ვფიქრობთ, მაყურებლის ყურადღებას მიიქცევდა ამ ფილმის ფინალიც, რადგან მასში მოკლედ შეჯამებულია ყველაფერი ის, რაზეც ავტორმა გაამახვილა ყურადღება- ისევ გაილვებს კადრები, რომელზეც აღბეჭდილია მისი შესანიშნავი ბუნება, ტრადიციები, კულტურული მემკვიდრეობა და ცხადია, თანამედროვე ცხოვრება...

კითხვას თემაზე, თუ რატომ უნდა იმოგზაუროს ადამიანმა საქართველოში, პასუხს მოკლედ, მაგრამ მაინც საინტერესოდ სცემს ფილმი „ 14 რამ, რაც საქართველოში უნდა ნახოთ“ (Aaron Explores). როგორც სათაურიდანაც ჩანს, ფილმის შემქმნელების მიზანი არ არის ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანი და სიღრმისეული კვლევა, მაგრამ ის, რომ ამ ქვეყნის ნახვა შტამბეჭდავი იქნება, ამაზე თვითონ კადრები მეტყველებენ. ამის დასტურია ყველა ის ფაქტი და მოვლენა, რაზეც ყურადღებაა გამახვილებული. დასაწყისში მაყურებლი მოგზაურობს თბილისისა და ბათუმის ქუჩებში... ეცნობა ტრადიციულ კერძებსაც. ამას მოჰყვება ორიგინალურად გადაღებული საქართველოს ღირსშესანიშნაობები. საუბარია ჯუთაზე, პრომეთეს მღვიმეზე, კაცხის სვეტზე. ამ საოცარი ადგილების მოკლე აღწერის შემდეგ, ფილმის ავტორი კვლავ უბრუნდება დედაქალაქს - საუბრობს თბილისის მნიშვნელოვან ადგილებზე. სხვადასხვა ხედითა და რაკურსით გადაღებული კადრები, რომლებსაც თან ახლავს მოკლე ინფორმაციები, ნამდვილად ეფექტური და შთამბეჭდავია, მაგრამ ამით არ მთავრდება ფილმი. დგება საქართველოს სხვა ღირსშესანიშნაობების ჯერიც, კერძოდ, ესაა მცხეთა თავისი სვეტიცხოვლითა და ჯვრის მონასტრით, ვარძია, მესტია, რაბათის ციხე, ოკაცეს კანიონი...

როგორც თავიდან აღვნიშნეთ, ფილმის „14 რამ, რაც საქართველოში უნდა ნახოთ“- მიზანია ტურისტებს გააცნოს ქვეყანა, რომელიც საინტერესოა თანამედროვე და ძველი კულტურის ძეგლებით, ტრადიციული კერძებით... თუ ამას დავამატებთ ფილმის აუდიო-ვიზუალურ მხარეს - კარგად შერწყმულ შორ და ახლო ხედებს, მრავალფეროვან, ზოგჯერ უჩვეულო რაკურსით გადაღებულ კადრებს, გემოვნებით შერჩეულ მუსიკას და, ბოლოს, ზუსტად მორგებულ კადრსგარეთ ტექსტს, ვფიქრობთ, ის კარგი გზამკვლევი იქნება იმ მოგზაურებისთვის, ვინც არაფერი იცოდა ამ ქვეყანაზე, ან ცოტა რამ სმენოდა მის შესახებ.

დოკუმენტურ ფილმში „ეს საქართველოა“ (გადაღებულია 2012 წელს.) დასაწყისშივე კომპიუტერული გრაფიკის მეშვეობით რუკაზე მაყურებელი ხედავს ამ ქვეყნის ადგილმდებარეობას. ასევე თავიდანვე ჩანს საქართველოს სხვადასხვა კუთხის კადრები, მაგრამ ამ ფილმის ავტორის ყურადღების ძირითადი საგანი ხდება აჭარის სოფელი. აქ საუბარია მოსახლეობის წეს-ჩვეულეებებზე. ის ინტერესდება ამ ხალხის საქმიანობით - ვხედავთ მინდვრებში მომუშავე გლეხებს, საქონლის მოვლით დაკავებულ ადამიანებს, რომლებსაც ეკითხება კიდეც მათი ცხოვრების შესახებ. ფილმის შემქმნელები ინტერესდებიან სწავლა-განათლების საკითხებითაც, ამიტომ მათი კამერა საკლასო ოთახებშიც შეიხედავს. ცხადია, ფილმში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტრადიციულ საჭმელებს და ქართულ სუფრას, მეტიც, მასში მაყურებელი იმასაც მოჰრავს თვალს, როგორი ჩხუბით მთავრდება ერთ- ერთი ქეიფი...

მიუხედავად იმისა, რომ ფილმი - „ეს საქართველოა“- გარკვეულწილად ქნის წარმოდგენას საქართველოზე - მასში არის ინფორმაციები ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, ისმის ქართული ხალხური მუსიკა, ვხედავთ ქართული ცეკვის ილეთებს... ვფიქრობთ, რომ ის მაინც ზედაპირულია - ვერ ასახავს იმ სიმშვენიერეს და მრავალფეროვნებას, რაც ამ ქვეყანას გააჩნია, მეტიც, მიგვაჩნია, რომ რამდენიმე სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ასახვა ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ განაცხადო -„ ეს საქართველოა.“

გამოვყოფდით ფილმების სერიებსაც, რომელებიც ევროპული ქალაქების ისტორიას ეხება. მასში ჩვენთვის საინტერესო იყო „ევროპული ქალაქები-თბილისი, საქართველო“ (გადაღებულია 2012 წელს).

ამ ფილმის ავტორი თხრობას იწყებს სწორედ თბილისიდან. შესავალ ნაწილში გადმოცემულია თბილისის დაარსების ისტორია, შემდეგ კი დედაქალაქის უძველეს ტრადიციებსა და მდიდარ კულტურული მემკვიდრეობაზე არის ყურადღება გამახვილებული. ფილმში ძირითადად ნაჩვენებია თბილისის ძველი უბნები, მაგრამ ამ ქალაქის თანამედროვე ცხოვრებაც არ დარჩენია უყურადღებოდ გადამღები კამერის ობიექტივს.

გარდა დედაქალაქისა, საზღვარგარეთელი დოკუმენტალისტები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს ცალკეული კუთხეების მიმართ. ამის დასტურად გამოდგება რამდენიმე წლის წინ ტელეკომპანია „ მაესტროს ეთერში გასული ინფორმაციაც (2015 წ.მაისი), რომლიდანაც გავიგეთ, რომ თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომპანის- CNN Turc- გადამღები ჯგუფი (საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სტამბულის საქართველოს საკონსულოს ორგანიზებით) იანვარში იმყოფებოდა საქართველოში, ამ ტელეკომპანიის წამყვანმა - ბუნიამინ სურმელმა საქართველოს ბუნების, კლიმატის, კულტურისა და ისტორიის შესახებ გადაიღო სამი 30 წუთიანი ფილმი, რომელთაგან მესამე მთლიანად აჭარას ეთმობა. ჩვენ ვნახეთ ერთ-ერთი ფილმი (Sürmeli Güney Kafkasya,da). ეს დოკუმენტური ფილმი მიმოხილვითი ხასიათისაა და უფრო მეტად, გათვალისწინებულია ტურისტებისთვის. ამ ფილმის დასაწყისში ავტორი აჩქარებული კადრებით წარმოგვიდგენს იმ ადგილებს, რასაც შემდეგ იხილავს მაყურებელი - კერძოდ, ნაჩვენებია თბილისში, ვარძიაიაში, ბორჯომში, სათაფლიაში, ბათუმში გადაღებული ვიდეომასალის ფრაგმენტები, რის შემდეგ ვხედავთ, როგორ მოგზაურობს ბუნიამინ სურმელი საქართველოს ქალაქებში - თავდაპირველად ის გამოჩნდება გორგასლის ძეგლთან და ახსენებს ამ მეფეს და მიგვითითებს მდინარე მტკვარზე, სავარაუდოდ, ყვება თბილისის დაარსების ისტორიას (ფილმი თურქულ ენაზეა, მაგრამ მაინც გასაგებია), გადის რუსთაველის პროსპექტზე და ამიტომ მაყურებელს საშუალება აქვს თვალი შეავლოს ამ მიდამოებში არსებულ ღირსშესანიშნაობებს (ოპერისა და რუსთაველის თეატრები, თავისუფლების მოედანი, იუსტიციის სახლი), ახსენებს ამ ქვეყნის რელიგიასაც და შედის კიდეც სამების ტაძარში...

დედაქალაქის შემდეგ, რამდენიმე წუთი ეთმობა გორს, სადაც ის სტალინის სახლმუზეუმს დაათვალიერებს, ბორჯომში კი მინერალური წყლის ღირსებებს აღნიშნავს და თვითონაც დალევს მას. ვარძიის მონახულებისას, ფილმის ავტორი თამარ მეფეს ახსენებს და აქ შენახულ ღვინოსაც მიირთმევს, სათაფლიაში კი მის ყურადღებას იქცევს დინოზავრის ნაკვალევი.

ამ ფილმის მეორე ნახევარი ეთმობა ბათუმს და ბათუმელებს - ერას მოედანითან მდგარი მოგზაური ყვება მედეაზე, არგონავტებზე, შემდეგ მაყურებელი დაინახავს დრონით გადაღებულ თანამედროვე ბათუმს - დედაენის ძეგლს, ეშმაკის ბორბალს, ფეშენებელურ სასტუმროებს... ამ ქალაქის გაცნობისას, ყველაზე მეტი ადგილი ეთმობა ბოტანიკურ ბაღს- ავტორი ყვება აქ არსებულ უნიკალურ ხეებსა და მცენარეებზე. ცხადია, ფილმის ავტორი არ ივიწყებს იმასაც, რომ ამ მხარის ნაციონალური საჭმელია აჭარული ხაჭაპური და თვითონაც სიამოვნებით მიირთმევს მას.

ბუნიამინ სურმელი ფილმის ბოლოში ისევ მოგვატარებს აჩქარებული კადრებით ყველა იმ მნიშვნელოვან ადგილს, რომელებშიც თვითონ იმყოფებოდა. როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ეს ფილმი არ არის სიღრმისეული და მისი მიზანი, ალბათ, ეს არც იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ცხადია, საზღვარგარეთელები იღებენ ფილმებს ჩვენი ქვეყნის პრობლემებზეც, მათში გაანალიზებული და გაკრიტიკებულიც არის ზოგიერთი ფაქტი და მოვლენა (ამ ფილმებზე ჩვენ სხვა სტატიაში ვისაუბრებთ), მაგრამ რაც შეეხება ამ

სტატიაში ჩვენს მიერ განხილულ ფილმებს, დავინახეთ, რომ ყველა მათგანი არ არის ერთნაირად საინტერესო - ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც თემის სიღრმისეულობით, ისე გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების ეფექტურობითაც. თუმცა, ის მაინც აშკარად ჩანს, რომ მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მათგანში არის საუბარი საქართველოს ბუნებაზე, ისტორიაზე, ტრადიციებზე, კურორტებზე და, ცხადია, ტრადიციულ საჭმელებზე... რითაც, ვფიქრობთ, გარკვეული წვლილი შეაქვთ უცხოელებისთვის ჩვენი ქვეყნის გაცნობის საქმეში.

ლიტერატურა

1. Марк Тангейт, МЕДИАГИГАНТЫ, 2006
2. ჟურნალისტიკა (იდეის ავტორები მარინე ვეკუა, ჟილ რუე), 2016
3. https://www.youtube.com/watch?v=l5-yO0iNVA
4. https://www.youtube.com/watch?v=NLXWC4enm_I (Full Documentary/ Georgia &The Great Caucasus
5. https://www.youtube.com/watch?v=edtPQ0SBGc8 Bünyamin Sürmeli Güney Kafkasya Belgeseli | 7. Bölüm
6. https://www.facebook.com/GeorgianNationalTourismAdministration/posts/836781363038514/

რეზიუმე

სტატია ეხება იმას, თუ რა როლი აქვს უცხოელების მიერ საქართველოს შესახებ გადაღებულ ფილმებს - კერძოდ, საინტერესოა, რას იღებენ ისინი, რა თემები აინტერესებთ მათ და როგორ არის ეს ფილმები შესრულებული. ამ სტატიაში განხილულია რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, საიდანაც მაყურებელი გაიგებს ბევრ საინტერესო ინფორმაციას საქართველოს ბუნების, ისტორიის, კულტურის, ტრადიციების შესახებ. ცხადია, ყველა ეს ფილმი ერთი და იგივე დონის არ არის, მაგრამ მათი უმრავლესობა ვიზუალური თვალსაზრისითაც ძალიან კარგად არის შესრულებული - მათში გამოყენებულია შორი და ახლო ხედების მონაცვლეობა, მრავალფეროვანი, ზოგჯერ უცნაური რაკურსით გადაღებული კადრები და ასევე, გემოვნებით შერჩეული მუსიკა. აქედან გამომდინარე, ეს ფილმები უცხოელი მაყურებლის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობენ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ტელევიზია, დოკუნტური ფილმი, ბუნება, ტრადიციები, კადრები, ხედები

Nargiza Kankia

Georgia In Foreign Documentary Films

Summary

The article is about the importance of foreign movies that are about Georgia – it is particularly interesting what the movies are about, which subjects interest foreigners and how well those movies are shot. In this article, we will be discussing some Documentary Films. These films introduce many interesting facts about Georgian nature, history, culture and traditions. Clearly, not all of these movies are on the same level, but most of them are visually very well shot, you can see different angles and unique camera shots, a great soundtrack, including sophisticated music. Therefore, these movies will definitely attract foreign viewers.

Keywords: Georgia, Television, Documentary, Nature, Traditions, Footage, Views.

Rusudan Kavtiashvili
David Aghmashenebeli University of Georgia
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

One of the Characteristics of Author's Individuality in Scientific Prose

As it is known *writing* brings a human as well as a language in general, to consciousness from syntactic peculiarities to lexical specificity. Written form of a language according to Halliday M. " …. is corpuscular and gains power by its density, whereas spoken language is wave-like and gains power by its intricacy". (M.A Halliday , J.R Martin). Writing process in science puts a language in chains. In the written form a language is somehow frozen, contrary to spoken one that is able to change the ways that language is used for meaning with.

Writing science is a hard but fruitful process, it helps us to explore contradictions in many different directions in order to present author's experience and determination, newly fanged ideas, basic principles, obvious and sometimes obscure views , hypotheses and so on. Besides, this sphere teaches us to structure the gained information, categorize and demonstrate it.

The purpose of the article is to discuss and show how the scientific writing expresses author's individuality with the help of "I" (personal pronoun, I-st person, singular) which certainly considers creativity in the writing process.

To my mind, scientific prose should generally be characterized by novelty in the analysis with high lexical density and packed grammatical metaphors, patterns expressing interest in: new and fresh ideas, new directions or beginnings, discoveries, experiments, investigations etc., that give rise to fresh insights and angles on the discussed and defined material. It's worth to mention that writing scientific prose as any other forms of prose - is the result of a creative process: it requires us to act, to make sense of the fact that we want to state or express; to structure the obtained material, to analyze and support it with examples/data and to summarize them in the end of the analysis. All the requirements imply creativity that certainly accompanies the process of academic writing.

It is of common knowledge, that the analyzed prose contrary to literary, lacks much of various stylistic means, though some still are observable. It is often said and written, that scientific prose is dry while stating factual material or carrying out the experiment, in the analysis or discussions; so it frequently paves the way for putting questions like: Do we see the loss of "personal/author's voice" in scientific works? Does the loss of "**personal voice**" appear from the fear of being overwhelmed by the authority of publish writing? - and if so- why does it happen? Maybe beginner writers think that there is no room for them in science, or do they have the fear to be failed by other scientists? I'm certain that the existence and comprehension of the notion of "**personal voice"** in academic writing, generally speaking, will help the researchers to become more distinct, intellectual and confident; it will also help to find the right way for the personal and private place in the sphere of the interest. The acute question that refers to most beginner writers is the fear- to be criticized and this feeling they have to overcome. The fear of identity loss may take a person further, particularly in the style discussion. Scientific writing is the sphere which covers science in its broad meaning and requires: to state, demonstrate, express out

views on the analyzed issues and reveal out contribution to it. If we manage to realize the above mentioned, then it will express our "personal voice" in carried out researches.

The language obtains and covers enumerable forms, ways, structures, means, models to express author's "**personal voice**" in texts. I want to analyze one of them in scientific prose- particularly the use of "**I**" in it. In many cases the author's "**personal voice**" that stresses his/her individuality is caused by the use of "I" instead of "we". Nowadays, to express or to prove the private/personal viewpoint is frequently expressed by "I", that can be seen in articles, manuals and so on. To my mind, "I" gives the effect of writer's existence in texts, the feeling of his/her presence in researches or investigations. Perhaps we all must agree in one, that identification of the doer of the research work is important in science; so, the tendency of using "I" is increasing in academic writing at present. (team work is excluded here.) The mentioned pronoun underlines the author's activity and joins the content with the expressing form. The use of "I" provides to move up author's individuality in the forefront of the research work that is observable especially in statements, arguments, discussions and so on.

e.g. – I shall offer a very partial grammatical analysis of the paragraph ….
- I have reason to believe that ……
- I want to begin with the argument that ….
- My aim is not to make a justification of the new form but ….
- I shall take it that what constitutes the "main point" of the discourse as any motif regularly as new; etc.

In scientific prose it is also observable that the judgment of the problem often refers to spoken language forms (the forms given below and the like are often heard at scientific conferences, lectures..) :

e.g. – There is no need to explain that I have stated …..
- I want to assure you that …..
- I mean, I shall return to that extraordinary question.
- I'd like to hear once again some of the ideas about…..

More categorical tone is given in the expressions below, where the author's statement or personal viewpoint is expressed:

e.g. – I want to decline the idea about ….
- I think this fully unsatisfied.
- I doubt about this argument; etc.

The expressions like: in my opinion, to my mind, I doubt , I mean , in my viewpoint , I assure you and so on, lead the author of the research to his /her rights and identity. Using "I" in scientific prose shows personal manner of the gained data expression/ presentation and doesn't contradict already accepted information, result or comment.

Some semantic groups of using "I" can be distinguished from various contents when:

a) the author cites, quotes or refers to what is/was already said:

e.g. - as I said before ….; I am the follower of the accepted statement ….. ;

b) the carried out work is characterized and independent, personal judgment on the discussed question is obvious:

e.g. - I have added the existed data to my …..
- I set now some of the reasons why it is different from ….
- I guess the idea that grabbed me the most was ….

c) the author's argumentation, analytical as well as evaluative skills are revealed in the presented judgment :

e.g. - Now I proceed to those issues that were analyzed before.

- Now I will demonstrate some of the facts common to many of us and …..

d) the purpose, main idea of the work is manifested and the use of "I" encourages the author to act, besides it shows confidence in the gained results:

e.g. – In conclusion I want to present ….

- The result I got ….

- I have not a single doubt about the result that I got from ….. etc.

So, the use of "I" in scientific prose expresses researcher's "personal voice", reveals his/her individuality, distinctiveness and confidence in the analysis though incorporates many challenges as well. The use of "I" in writing gives motivation to sustain oneself even if under fire and gives the feeling of self-assuredness. It promotes author's analytical, creative engagement with the complexities of scientific discourse. The use of "I" helps to demonstrate open-mindedness and attempts at independent judgment, at the same time it encourages and provides to demonstrate professionally the obtained scientific data and the gained results.

Literature

1. Halliday M.A. and Martin J.R. – Writing Science: Literacy and Discursive Power; The Falmer Press , 1996.
2. Littlefair A. – Reading All Types of Writing ; Open University Press NY, 1999.
3. Murray R. and Moors S. – The Handbook of Academic Writing; Open University Press USA, 2006.

Summary

Scientific prose somehow puts a language in chains. Researcher's "personal voice", expressed by personal pronoun "I", causes the effect of writer's existence in the scientific prose. The use of "I" in the analysis gives the firm ground to sustain oneself in case being criticized, though it strengthens author's confidence, motivation as well as self-assuredness. Some semantic groups are distinguished in the article according to the content. The use of "I" stresses and demonstrates researcher's individual judgment and promotes his/her analytical thinking and creativeness.

Key words: "personal voice", motivation, confidence, personal pronoun - "I".

რუსუდან კავთიაშვილი

ავტორის ინდივიდუალურობის ერთ-ერთი მახასიათებელი სამეცნიერო პროზაში

რეზიუმე

ენა- სამეცნიერო პროზაში გარკვეულ წილად "ბორკილებშია" მოქცეული. მკვლევარის „ინდივიდუალური ხმა" გამოხატული „მე" (პირის ნაცვალსახელით), ავტორის ყოფნის რეალურ ეფექტს იძლევს ტექსტებში. „მე"-ს გამოყენება აძლიერებს თავდაცვის საფუძველს კრიტიკის შემთხვევაში, თუმცა ის ასევე ამყარებს ავტორისეულ თვითრწმენას, მოტივაციას და თავდაჯერებულობას. შინაარსიდან გამომდინარე, გამოყოფილია და განხილული რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი სამეცნიერო პროზიდან "I" (მე) ნაცვალსახელის გამოყენებით. მისი გამოყენება ხაზს უსვავს მკვლევარის ინდივიდუალურობას მსჯელობისას და ავითარებს ავტორის ანალიტიკურ აზროვნებას და კრეატიულობას.

საკვანძო სიტყვები: „ინდივიდუალური ხმა", მოტივაცია, თავდაჯერებულობა, პირის ნაცვალსახელი -„მე".

Tinatin Kurdghelashvili
David Aghmashenebeli University of Georgia
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

Exclusions of young people of 11-16 year olds with Social, Emotional and Behavioral Difficulties in England context

Introduction

This paper will look at the relationship between the pastoral provision for 11-16 year olds who experience Social, Emotional and Behavioural Difficulties (SEBD) and school exclusion in the UK context. Besides, it will also present the perceptions of the process from children's perspectives to vividly document the exclusion outcomes.

The study will try to answer the following research questions:

- To what extent does the Government support the young people with SEBD at schools in England?
- What are the perceptions of parents and children about school exclusion?

The paper first will refer to the schools' role and school-based services in support of the pupils with SEBD in England, followed by the section on pupils' attitudes towards the exclusion. The conclusion part will summarize the main points and present some suggestions and recommendations.

Understanding adolescence and challenging behavior: Social, emotional and mental health is one of the four areas of Special Educational Needs that require support and care according to Special Educational Needs and Disability Code of Practice 0-25 [1]. It is widely acknowledged that the existence of the SENs increases the chances of mental health problems. For instance, in case of autism or learning difficulties, a child is more likely to have anxiety as well [2].

According to Coleman adolescence is rather challenging period in pupils' lives for several reasons. Besides unsteady emotional states caused by the physical changes of the pubertal processes, pupils have to cope with certain difficulties associated with the transition from primary to secondary school. New environments, new relationships, new teachers with more expectations from the pupils, increased homework can affect on pupils' well-being and emotional state. Although most young people manage to cope with the difficulties quite easily, still there is certain number of students for whom the process is stressful and anxious. Pupils with Special Educational Needs appear to be most vulnerable in the process. The author especially focuses on the importance of healthy pupil-teacher relationship as a determinant of better academic achievement, increased self-esteem, and self-confidence. Nevertheless, the importance of emotional intelligence and promoting well-being by schools are underlined as well [3].

Due to the abovementioned factors, early adolescence (years 11-12) is supposed to be tough and challenging for pupils that can lead to poor regulations of emotions. However, pupils may continue to have emotional misbalance later on as well because of the pressure on them to do well in different subjects, especially in maths and science [3]. The author believes that small amount of stress is beneficial as it increases the motivation but if the level of stress is high, it can harm pupils' well-being.

As we see, young people, aged 11-16 can experience some emotional or behavioral difficulties caused by certain circumstances. In many cases, this is acceptable. However, according to DfE [2], when

these problems become intense and go beyond the normal range, mental health problems or disorders can develop. They can include emotional disorders, conduct disorders, attachment disorders, trauma disorders, eating disorder, habit disorder, etc. Therefore, we can conclude that drastic changes in behavior patters or emotional state can lead to identification of the certain mental health problems. For instance, having low self-esteem, being aggressive or oppositional, failure to understand other's emotions can be the signs, to which schools should pay attention.

Schools' role and school-based services in support of the pupils with SEBD. The role of schools in the lives of young people with mental health problems is significant in according to Department for education [2]. The document 'Mental health and behavior in schools' issued by the Department for Education is a non-statutory guidance for schools to support the pupils with mental health problems. DfE [1] and DfE [2] suggest that schools should have clear guidance and support for students with disruptive behavior. The government advocates for the equality and inclusion of students with SENs in the mainstream schools [1] and, although schools are advised to use every single resource under their capacity to support young people with social, emotional and health problems, they must not forget the rights of other students as well. It means that in cases where schools are unable to ensure proper discipline at schools, the exclusion of the child with disruptive behavior becomes unavoidable [2]; [4].

It would be interesting first to look at what kind of services and support the schools have to offer young people with SENs and precisely students with Social, emotional and behavior difficulties in England.

Close inspection of the document 'Mental Health and behavior in Schools' [2] reveals that schools do not have rights to diagnose a child's conditions. However, they should have clear procedures, guidelines and support systems to help identify possible mental health issues. The early interventions can include the four-step procedure, according to the document: Prevention, Identification, early support and access to specialist support. One of the essential advice schools are given in terms of promoting positive mental health is to increase a child's reliance towards the problems. The schools should identify the possible risk factors on the child level, in the family, in the school and in the community, and consequently should introduce possible protective factors. For example, if the risk factor is inconsistent discipline in a family, the corresponding protective factor may be provision of the clear and consistent discipline. The document introduces pastoral systems as an effective way for identifying children at risk. It means that members of the school staff are trained so that they are able to notice the changes and act accordingly by introducing the provision, which includes **assessment** of the child, a support **plan,** followed by the **action** in accordance with the plan, and **reviews** to measure the effectiveness of the whole arrangements. Besides, schools should work with external agencies or provide additional in-school support if needed. School-based provision may include supporting teachers in the classrooms, providing one-to-one support for students at the lessons, creating individual health care plans, providing individual therapeutic work and supporting families. Often schools also work with other schools as well.

As we can see, the processes, which should take place in support of the children with Social, emotional and mental health difficulties at schools is versatile focusing on different issues for the provision to be thorough. We can assume that the role of the teachers in the process is crucial because they are the first source of support so that they have the obligations and mission to identify the problem on spot as early as possible. Consequently, their continuous professional development is urgent and important. DfE [2] identifies the importance of proper teacher trainings, under the sections 2.7 and 2.8.

Exclusions as a last resort

Exclusions are used as a sanction against pupils when they show poor behavior. If the child has SENs, additional requirements are needed. Exclusions are used to secure the rights of other children as well [2]. *Exclusion from maintained schools, academies and pupil referral units in England* [4] is a statutory guidance on excluding pupils. According to the document, only the head teacher is entitled to issue the exclusion on the disciplinary base, when a pupil continuously breaches the school's behavior policy and is a possible harm to other students. However, it will be unlawful to exclude a child because he/she has additional needs and disability, which the school thinks they cannot cope with. Therefore, we can assume that schools are required to take any necessary step to provide proper support for students with SENs for their conditions not to become the causes for exclusions. In case of exclusions, parents must be notified, the process has to be lawful and the head teacher has to take into consideration a number of contributing factors.

There are two types of exclusions: fixed period exclusions and permanent exclusions. According to DfE [4] a pupil can be excluded maximum 45 days in one academic year using fixed period exclusion(s) or permanently. In the present assignment, the focus will be made on permanent exclusions because I believe that permanent exclusions may have longer lasting effects on pupils rather that fixed period exclusions.

In 2018 Department for Education published the statistics of fixed period and permanent exclusions [5]. According to the document, the number of permanently excluded pupils with SEN support was six times higher than of those without SENs. We can assume that although the schools are advised to consider every contributing factor before exclusion, it seems that pupils with additional support still comprise the majority of excluded pupils.

As it seems, schools have a wide range of services for the young people with Special Educational Needs. The government also advocates for equality and inclusion, and tries to support schools on different levels to meet the needs of all students including students with SENs. However, the question why some schools still have to use exclusion as a sanction against young people with social, emotional and behavioral difficulties, remains active. One possible answer to the question may lie in the government's statement itself that 'disruptive behaviour can be an indication of unmet needs' [4, page 6] The topic is definitely complex and requires further research to identify reasons why there is need for exclusion after all. However, one thing that can be assumed is that the existence of exclusions from mainstream settings may automatically mean the failure of inclusion.

Pupils' attitudes towards the exclusion

The process of Exclusions from mainstream schools has the direct affect on the children themselves. Accordingly, it would be reasonable to hear what young people think about it. How do they perceive the process, do they think that exclusion is necessary, why/why not? The present section is dedicated to analyse the process of exclusions from pupils' perspectives.

The discussions presented in paper to cover the questions are based on the empirical data from the research done by Coram [6], Caslin [7], Michael and Frederickson [8]. I acknowledge the drawback of the study as it lacks the generalizability, which does not enable me to make judgements for the whole England. However, I believe the analysis will provide certain valuable appraisal of the chosen topic to some extent.

The research done by Coram [6] based on the total surveys of 318 and 9 interviews with the pupils from five mainstream primary and secondary schools from England proposes that in general

pupils are not well aware of the process of exclusion unless it refers to them personally. Although the participants were from the primary school as well, more than two thirds (85%) of them were from secondary schools. Therefore, the findings in the Coram research can be regarded valid for my targeted age group.

From the data we can understand that almost every surveyed pupil (94%) have heard about the exclusions. However, their experiences and attitudes are not homogenous. Although schools are required to have clear guidelines on the process, more than the half of the participants admit that they have not seen anything written down in connection to the process. This may give us the reason to think that in general, schools may not provide sufficient information for the pupils about the issues connected to exclusions. Lacking of information itself can lead to the increased number of instances accordingly.

The surveyed pupils' opinions whether exclusions are the right thing or not differ to some extent as well. Some pupils do not agree with exclusion stating that skipping schools will have negative effects on the pupils academically. Besides, labeling them may have negative consequences and can lead to the deterioration of the behavior after all. Some of the participants also consider exclusions unfair because in some cases there were misunderstandings that made exclusions even more severe form of punishment. Moreover, around 40 % of the excluded pupils felt that exclusions were usually or always unfair, as the schools did not take their side of the story into account. On the other hand, nearly 31% acknowledged their fault and considered the sanction usually or always fair as they gave them the chance to learn from their mistakes. For some of the participants who experienced exclusions, the process was not beneficial as teacher-pupil relationships got even worse. However, some pupils reported positive influence of exclusion in terms of behavioral improvements.

One more thing that can be worth noting connected to (un)justice of exclusions is the fact the participants of the study felt that pupils should not get excluded for something they do outside schools. The sanctions should be made by the police and not by the schools themselves.

As we see from Coram [6] research findings, the perceptions and attitudes of the pupils towards exclusions from mainstream settings is not homogenous. While for some of the pupils the process seems fair and beneficial, others consider it as severe form of punishment with a number of negative consequences. Marie Caslin [7] highlights almost the same negative aspects of exclusions within a participatory research of 13 in-depth case studies of young people aged 14-16 who experienced exclusions from mainstream schools for their behavior.

According to the research, Caslin [7] argues that 'young people are often viewed by educators as being the problem, rather than having a problem' (p.168). The labels, which are attached to them often encourage the process of exclusion. Teachers have central part in the process. For many pupils poor teacher-pupil relationship or changes in the families or bereavementsbecame the reason for misbehavior.

The issue of labeling seems rather complex because when the system attach certain labels to young people, they start to perceive themselves as 'stupid' or 'dead thick' as well and try to look for the answers in blaming themselves. They start accepting the labels, then they are diagnosed according to those labels, followed by medications and treatments. Caslin (2019) argues that within the current educational system in England, the focus is still made on adjustment of the undesirable behavior from the medical model perspective, which considers medication as reasonable despite the young people's wills in some cases. The research data describes the emotions of one of the participants who did not want to take the pills but her mum made her get them.

From the abovementioned research data, we can assume that removing children from the mainstream settings is often triggered by the pupil-teacher poor interactions or unsteady situations in the families. Giving labels can have devastating effects on young people as it can make them blame themselves and think they are 'different' that can lead them to decrease self-esteem and confidence. Neverthless, medication and treatment still remain active weapons while fighting against young people's social, emotional and behavior difficulties.

The third article, which will be further referred connected to the research topic, focuses on the alternative provision. Although the theme may not seem to be directly connected to the research questions, I believe that a brief overview of the perceptions of pupils after exclusions will be beneficial to understand the failure or success of the mainstream schooling and accordingly the conception of exclusion.

Michail and Frederickson [8] in their article *Improving Pupil Referral Unit Outcomes: Pupil Perspectives* introduce the opinions of 14 – 16 year old pupils through the semi-structured interviews. The thirteen participants, all excluded from the mainstream settings, continue their education in the alternative provision (AP). Therefore, their attitudes towards their current educational experience and comparisons to their mainstream schools will be interesting and reasonable to understand the benefits of the exclusion process better.

According to the data, pupils identify some enabling factors and barriers of the alternative provision and give certain recommendation how to improve referral provision. It is interesting to note that although some pupils acknowledge the positive effects of the provision in terms of more interesting curriculum in comparison to mainstream settings, yet some participants feel that alternative provision does not provide a wide range of subjects to prepare for GCSE such as History or science. To some extent alternative provisions are useful for the pupils who are excluded from the mainstream settings. Because of small class sizes, they manage to concentrate more on academic studies. However, for some participants, alternative provision is not effective as they still experience problems in teacher-pupil relationships, struggle academically and emotionally and are in need for more attention and support from the teachers, let alone they worry about safety and future careers. This can mean that excluded children may still struggle and that exclusions should not be seen as reasonable solution to the pupils' behavioral problems.

Conclusion:

Adolescent is a challenging time for young people. They may experience social, emotional and behavioural difficulties that can lead them to complications at school ending up with school exclusions. Schools in England should have certain services in support for the pupils with SEBD including trained staff who are responsible to identify the possible behavioural difficulties in the pupils and act our respectively.However, in some cases schools have to exclude pupils to secure the rights of other pupils too. The necessity of exclusions can mean that school support to prevent exclusions is not enough. The rising trend of secondary school exclusions since 2012/13 potentially indicates that the needs of all pupils are not met properly at schools, especially of those with SEBD. According to the Department of Education, exclusions must be agreed with the parents and must be fair and lawful. However, a number of pupils and parents report the inconsistency and unfairness of the process.

Although exclusions can be beneficial for some pupils in terms of behavioral improvements, for the majority of them the experience have negative effects. In precise, according to the pupils' perceptions, exclusions might deteriorate pupils' behavior, cause stress, trigger anger, lower self-

confidence, worsen teacher-pupil relationships, affect on friendship, social activities or academic attainment. Moreover, in many cases the experiences in alternative provision are not very different either that indirectly implies that exclusions do not seem reasonable to adjust disruptive behavior.

The suggestions to decrease the exclusion rates can include having active communication with pupils and parents before exclusion. Their voices should be heard and their side of story should be listened to more carefully. Besides, teachers should try to deescalate the tension between pupils with behavioral problems and to do so they should be properly trained. It will be challenging for schools to control disruptive behavior without exclusions but they should ensure that the rising trend will be descending in the near future and the number of excluded children will fall if not vanish at all.

References

1. Department for Education., and Department of Health (2015) *Special educational needs and disability code of practice: 0 to 25 years: Statutory guidance for organisations , which work with and support children and young people who have special educational* need or disability. Available at: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/398815/SEND_Code_of_Practice_January_2015.pdf Accessed: 05 April, 2020

2. DfE (2018a) *Mental Health and behavior in schools*. Available at: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/755135/Mental_health_and_behaviour_in_schools__.pdf (Accessed: 05 April, 2020)

3. Coleman, J.C. (2011) *The Nature of Adolescence,* London: Routledge

4. DfE (2017*) Exclusion from maintained schools, academies and pupil referral units in England: Statutory guidance for those with legal responsibilities in relation to exclusion*. Available at: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/641418/20170831_Exclusion_Stat_guidance_Web_version.pdf (Accessed: 05 April, 2020).

5. DfE (2018b) *Permanent and Fixed Period Exclusions in England: 2016 to 2017*. Availableat:https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/726741/text_exc1617.pdf. (Accessed: 03 March, 2020)

6. Coram (2019) *Unfair results: Pupil and parent views on school exclusion.* Available at:https://www.coram.org.uk/sites/default/files/resource_files/School%20exclusions_full%20report_final_0.pdf (Accessed: 08 March, 2020)

7. Caslin, M. (2019) ''I have got too much stuff wrong with me' – an exploration of how young people experience the Social, Emotional and Behavioural Difficulties (SEBD) label within the confines of the UK education system', *Emotional and Behavioral Difficulties,* 24(2), pp.167-180

8. Michael, S. and Frederikson, N. (2013) 'Improving Pupil Referral Unit Outcomes: Pupil Perspectives', *Emotional and Behavioral Difficulties,* 18(4), pp. 407-422.

Summary

School is very important in the life of an adolescent. However, in some cases they have to be excluded from school settings on the basis of the current legislation that can be explicitly associated with the failure of inclusion. The present paper investigates the exclusion of pupils with social, emotional and behavioural difficulties in England based on the present regulations and the pupils' attitudes towards the process. Although schools have full responsibility to use exclusions only when absolutely necessary, the number of excluded pupils from mainstream settings is increasing that becomes even more sensitive especially when the pupils themselves assess the negative aspects of the process.

Key words: Pupils with Social, Emotional and Behaviour Difficulties (SEBD), school exclusions, pupils' attitudes towards school exclusions.

თინათინ კურდღელაშვილი

სოციალური, ემოციური და ქცევითი სირთულეების მქონე 11-16 წლის ახალგაზრდების სკოლიდან გარიცხვა ინგლისის კონტექტსში

რეზიუმე

სასკოლო პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდის ცხოვრებაში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ უწევთ სკოლის დატოვება არსებული კანონმდებლობის ფონზე, რაც ცალსახად ინკლუზიური პრაქტიკის წარუმატებლობასთან ასოცირდება. მოცემული სტატია ეხება სოციალური და ემოციური სირთულლების მქონე მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვის პრობლემას ინგლისის კონტექსტში სასკოლო რეგულაციებისა და მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმის, რომ სკოლას აქვს მაქსიმალური პასუხისმგებლობა აღებული გარიცხვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებოდეს, საჯარო სკოლებიდან გარიცხულ მოსწავლეთა რიცხვი მაინც დიდია და ეს ფაქტი განსაკუთრებით მწვავეა, როდესაც თავად მოსწავლეები აფასებენ გარიცხვის მიერ გამოწვეულ უარყოფით მხარეებს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური-ემოციური და ქცევითი სირთულეების მოსწავლეები, სკოლიდან გარიცხვა, მოსწავლეთა დამოკიდებულება სასკოლო გარიცვებთან დაკავშირებით.

ჟანეტა კილასონია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარი რესურსი ადამიანური კაპიტალია. სწორედ ამიტომ განათლება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული სფეროა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარება მათ ეფექტურობაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ უზურნველყოფილ იქნას დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, უნდა იყოს დაცული ადამიანის ფუნდამენტური უფლება - განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის და ახალგაზრდისთვის, განურჩევლად მათი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებისა, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი მიკუთვნებულობისა.

წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ინკლუზიური, თანასწორი მოდელის დასანერგად მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემებში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები ჩვიდმეტი მიზნისა და ასსამოდაცხრა ინდიკატორისგან შედგება, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. ეს მიზნები ეხება ჩვენ წინაშე დღეს არსებულ გლობალურ გამოწვევებს: კეთილდღეობის, მშვიდობის, სიღარიბის, უთანასწორობის, სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს და.ა.შ.

ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისთვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული ეს მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს. მდგრადი განვითარების მე-4 მიზანია ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის, რომელსაც 2030 წლისთვის უნდა მიაღწიონ ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომ.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმისას, ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტად იქნა აღიარებული. თუმცა დღესდღეობით უამრავი პრობლემა არსებობს საგანმანათლებლოს დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების სრულფასოვანი უზრუნველყოფის კუთხით.

სხვადასხვა წელს ჩატარებული ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული კვლევების შედეგებიდან ირკვევა, რომ ამ საკთხის გარშემო არსებულ პრობლემათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონეა.

მაგ: 2007 წლის "ინკლუზიური განათლებისადმი საზოგადოების განწყობა-დამოკიდებულების კვლევა"-ში ვკითხულობთ: კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ინკლუზიური განათლებისადმი უარყოფთი განწყობის უკან საზოგადოების არაინფორმირებულობა დგას. რეალურად, ფოკუს-გჯუფებზე გამოკვეთილი ძირითადი უარყოფითი ასპექტები საზოგადოების არაინფორმირებულობაზე დაიყვანება. ზოგ შემთხვევაში

არაინფორმირებულობა წარმოადგენს ინკლუზიური განათლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენის მიზეზს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში-ინკლუზიური განათლების დანერგვის უარყოფით შედეგს. [1] [6] [7] [8]

2014 წელს ჩატარებული "სენსიტიური ჯგუფის ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორთა კვლევა"-ში ვკითხულობთ, რომ აუცილებელია დაიგეგმოს სკოლის გაძლიერება პირველ რიგში პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების გათვითცნობიერების კუთხით. [2]

2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების წინადადებით, სადაც აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის ოფისში ჩატარებული შემთხვევების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ინკლუზიური განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე არასათანადო რეაგირება განპირობებულია პროცესში ჩართული მხარეების დაბალი ცნობიერებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, აგრეთვე მათი საკუთარი მოვალეობების შესახებ.

ასევე დადგინდა, რომ მშობლები და ინკლუზიური განათლებით დაინტერესებული პირები არ არიან სათანადოდ მომზადებული; არ არის მიღებული ზომები ამ მიმართულებით მათი ინფორმირებულობის ასამაღლებლად.

სახალხო დამცველმა მიმართა რეკომენდაციით მათ, რომ უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების სფეროში ცნობიერების ამაღლების კამპანიები და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების მაქსიმალური ჩართულობა. [3]

2019 წლის კვლევ(აში)ის "ინკლუზიური განათლების მხარდამჭერის სერვისების გაუმჯობესება" (კვლევის) შედეგებიდან გამომდინრე რეკომენდაციებში ვკითხულობთ, რომ მშობლებთან მუშაობას უნდა ჰქონდეს სისტემური და მიზანმიმართული ხასიათი მათი ინფორმირებულობის გასაზრდელად და ცნობიერების ასამაღლებლად. [4]

მოცემული კვლევებით ირკვევა, რომ მშობლები და მასწავლებლები და ზოგადად საზოგადოება ამ საკითხს ბოლომდე არ იცნობენ, არ ფლობენ სრულფასოვან ინფორმაციას მათი უფლებების და ვალდებულებების შესახებ, რის გამოც ხშირად მოქმედებენ არასწორად, რაც აფერხებს ინკლუზიური განათლების სრულფასოვან დანერგვას საქართველოში.

იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნას არაინფორმირებულობა, შეიცვალოს სტერეოტიპები და ცრურწმენები, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ხალხს, რომ იყვნენ ინფორმირებულები, რათა მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთ განათლებაზე, სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს ფოკუსირება სწორი სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელსაც შეუძლია პოზიტიური გავლენა მოახდინოს განათლებაზე და გახადოს იგი უფრო ხარისხიანი.

ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც უნდა იყოს მიმართული ცნობიერების ამაღლებისკენ საზოგადოების მხრიდან პოზიტიური და სასურველი აღქმის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია ჩატარდეს მაღალი ხილვადობის კამპანიები ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად და მისი დამატებითი ღირებულების ხაზგასასმელად განათლების სისტემებისთვის, მოსწავლეებისთვის და ზოგადად საზოგადოებისათვის. ინფორმირების მთავარი მიზანი უარყოფითი დამოკიდებულების, სტერეოტიპებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაა, რაც ხელს უშლის კულტურათშორის დიალოგს და ინკლუზიურ მიდგომებს განათლებაში.

საინფორმაციო სტრატეგიის მიზანი უნდა იყოს მარგინალიზებულ და გაბატონებულ თემებთან დაკავშირებით ახალგაზრდებისთვის პოზიტიური შეტყობინებების მიწოდება, რაც ხელს უწყობს აქტიურ სამოქალაქო მონაწილეობას, ტოლერანტობას, ურთიერთგაგებას.

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ფარგლებში, სტრატეგია მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ თავად უმცირესობათა ჯგუფების, არამედ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმრავლესობის ჯგუფებს: მშობლები, მედია, საჯარო მოხელეები, მოსწავლეები, სტუდენტები, გადაწყვეტილების მიმღები პირები, მასწავლებლები, პროფესიული ასოციაციები და ა შ. სენსიტიზაციას. სტრატეგიის ფარგლებში უნდა გადაეცეს ფართო საზოგადოებას ტოლერანტობის, მიღების, ღიაობის, თანაგრძნობისა და პატივისცემის გზავნილები.

ეს კომპონენტი უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო საქმიანობასაც, კერძოდ, სტუდენტებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის, ჟურნალისტებისთვის, საჯარო მოხელეებისა და ფართო საზოგადოების სხვა წევრებისთვის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებს, დისკუსიებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით.

აღნიშნული ღონისძიებები განხორციელებისთვის ცნობიერების ამაღლებისთვის და ინფორმაციის სწორად მისაწოდებლად ეფექტურია საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) ტექნოლოგიების გამოყენება.

საზოგადოებასთან ურთიერთობები ისე თამაშობს მნიშვნელოვან როლს თქვენს განათლებაში და თქვენი შეხედულებების ფორმირებაში, რომ თქვენ ვერც კი ამჩნევთ ამას. იცოდით თუ არა, რომ იმის ნახევარი ან ნახევარზე მეტი, რაც წაგიკითხავთ, გინახავთ ან გსმენიათ მედიაში, იქ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს მცდელობის შედეგად მოხვდა? საზოგადოებასთან ურთიერთობა ახდენს უზარმაზარ გავლენას ინფორმაციაზე, რომელსაც იგებთ ყოველდღიურად." ერიკ იავერბაუმი, რობერტ ბლაი, ილისე ბენუნი. [5]

საზოგადოებრივი ურთიერთობების უმთავრესი როლი გაგებისა და კეთილგანწყობის დამკვიდრებაა ორგანიზაციას, სახელმწიფოს, ხალხის ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის, საინფორმაციო მასალების გავრცელების, ორმხრივი ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოების რეაქციის შესწავლის და შემდეგ სწორი ინფორმირების გზით. მისი ფუნქციაა საზოგადოების დამოკიდებულების შეფასება, კერძო პირის ან ორგანიზაციის პოლიტიკის და მოქმედების იდენტიფიცირება საზოგადოების ინტერესებთან მიმართებაში და მოქმედების პროგრამის შესრულება, რომელიც მიმართული იქნება ურთიერთგაგების, სწორი აღქმის მისაღწევად და ცნობიერების ასამაღლებლად. ის კომუნიკაციას ახდენს სხვადასხვა ფორმით, როგორებიცაა: ტრადიციული მედია, სოციალური მედია, პრეზენტაციები, პრესრელიზები და.ა.შ ის ქმნის უკეთეს გამოსახულებას და კეთილგანწყობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობამ წლების მანძილზე დიდი როლი ითამაშა ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში როგორიცაა: პოლიტიკა, მედია, სპორტი, კულტურა, განათლება და სხვა სფეროები, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიებმა პოზიტიური გავლენა მოახდინა განათლების სექტორზე, ის ეხმარება საგანმანათლებლო სისტემას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და განათლების ხელმისაწვდომობის მიღწევაში ინფორმირების გზით. საზოგადოებასთან ურთიერთობას შეუძლია, დაგაკავშიროთ ადამიანებთან, რომლებიც კითხულობენ პობლიკაციებს, უსმენენ რადიოს, უყურებენ ტელევიზორს ან სარგებლობენ ინტერნეტით. არ აქვს მნიშვნელობა ქვეყნის განვითრების დონეს, ამ საკომუნიკაციო საშუალებების ზემოქმედებას ყველა განიცდის.

თითქმის ყველა კითხულობს ჟურნალებს, ან უყურებს ტელევიზორს, ან იმყოფება ონლაინ სივრცეში, რომლის შესაძლებლობები შეუზღუდავია. სწორედ ამიტომ არის საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიების გამოყენება ეფექტიანი, რომელსაც აუდიტორიამდე საუკეთესო საინფორმაციო მასალები მომხმრებლამდე ტელევიზიის, რადიოს, გაზეთის, ონლაინ და სამომხმარებლო ჟურნალების წყალობით მიაქვს.

საზოგადოებასთან ურთიერთობები კომპლექსურად უდგება საკითხს და დასახული მიზნების მისაღწევად იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა:

- კვლევა: სიღრმისეული გამოკვლევა იმ საკითხის, რომელთან მიმართებითაც უნდა შეიცვალოს აღქმა და სამიზნე აუდიტორიის ღირებულებების, დამოკიდებულებების და საჭიროებების შესწავლა;
- სტრატეგიული დაგეგმვა: სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა და მათთვის გზავნილების სწორად შერჩევა;
- გაშუქება: სანდო ტრადიციული არხების და ინტერნეტ გამოცემების მეშვეობით კომუნიკაცია სამიზნე აუდიტორიასთან;
- ურთიერთობები სამიზნე აუდიტორიასთან, მოსახლეობასთან: კომუნიკაცია და ჩართვა მოსახლეობის პრობლემების მოგვარების პროცესში;
- ურთიერთობები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან: მოსახლეობასთან ურთიერთობა ხშირად მოიცავს, როგორც ცენტრალურ ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობებსაც. იმისათვის, რომ შედეგი იყოს მიღწეული მნიშვნელოვანია კარგი ურიერთობების ჩამოყალიბება ადგილობრივ, ცენტრალურ, რეგიონულ ხელისუფლებებთან;
- ურთიერთობები დონორებთან: სოციალური პროექტების დიდი ნაწილი, რომელიც მოიცავს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ფინანსდება უცხოელი დონორებისგან, რომელთანაც სწორი და მყარი ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები უმნიშვნელოვანესია;
- ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებს შორის: დაინტერესებული მხარეა აღნიშნულ პროექტთან თუ კამპანიასთან, ან სამიზნე ჯგუფთან, ან თემატიკასთან დაკავშირებული ნებიმისერი პირი, რომელიც გავლენას ახდენს თავის მხრივ აღნიშნული მიმარათულებით წარმატების მიღწევაზე;
- კომუნიკაციის დაუფლება: საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებს შეუძლიათ დიდ დრო დაუთმონ საკითხის შესწავლას და ზოგადად სწავლის პროცესს, მედიასთან მუშობას, და საკომუნიკაციო არხებთან დაკავშირებულ სხვა თემებს. მათ ასევე შეუძლიათ ხელმძღვანელებისათვის კონსულტაციის გაწევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიებისა და კრიზისების საკითხებზე.

სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებით მიიღებს ინფორმაციას სამიზნე ჯგუფი იმის შესახებ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება გთავაზობთ უფასო პროგრამებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ან შეიმუშავა ახალი პროგრამა სპეციალური საჭიროებების მქონე და შეზღუდეული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის, ხდება ცნობიერების ამაღლება საზოგადოების ყველა დონეზე გაბატონებული სტერეოტიპების გასაქარწყლებლად ინკლუზიურ განთლებასთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და რაც ხელს უშლის პროცესის წინსვლას.

უნდა ავღნიშნოთ რომ საზოგადოებასთან ურთიერთობების სწორი სტრატეგია დამყარებულია ბალანსზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება საზოგადოების

ინფორმირებას, აუცილებლია რომ მოიცავდეს მოსმენას, გაღებას, პატივისცემას, და სწორად შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის სწორ გზავნილებს, რომელიც ეხება მათ საჭიროებებს.

ლიტერატურა

1. რევაზ აფხაზავა, ნინო ფრუიძე, ნატალია მაჩაბელი; "ინკლუზიური განათლებისადმი საზოგადოების განწყობა - დამოკიდებულების კვლევის ანგარიში"; განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი - ეროვნულ სასწავლო გეგმებისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი - ეროვნული სასწავლო გეგმებია და შეფასების ცენტრი; თბილისი 2007;
2. სენსიტიური ჯგუფის ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორთა კვლევა;
   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო, 2014 წელი;
3. Public Defender's Proposal on Raising Awareness about Inclusive Education (ombudsman.ge) (გადამოწმებულია 19.03.2021);
4. თამარ მახარაძე, თამარ აბაშიძე, ანასტასია ქიტიაშვილი, ურსულა მარკოვსკა, მანიტა საბინე, ლაუბერ-პოლი; ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესდება 2019; ივანე ჯავხიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2019;
5. პიარი მარტივად - ერიკ იავერბაუმი, რობერტ ბლაი, ილისე ბენუნი;
6. კანონი ზოგადი განათლების შესახებ; იხ. ვებგვერდი: http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=171 (24.03.14);
7. კანონი პროფესიული განათლების შესახებ; იხ. ვებგვერდი: http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=171 (24.03.14);
8. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; იხ. ვებგვერდი: http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=171 (24.03.14).

რეზიუმე

ყველას აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები განურჩევლად მათი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებისა, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი მიკუთვნებულობისა, რათა მოხდეს ჯანსაღი საზოგადოების მშენებლობა, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. მიუხედავად იმისა რომ წლებია ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტად არის აღიარებული, თუმცა, საქართველოში ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან ირკვევა, რომ ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის ხელისშემშელელ ფაქტორთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოების არაინფრომირებულობაა. სწორედ აქედან გამომდინარე იკვეთება ერთიანი ეფექტური საინფორმაციო, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების აუცილობლობა სახელმწიფო დონეზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების მაქსიმალური ჩართულობით. საზოგადოებასთან ურთიერთობის

უმნიშნელოვანესი როლია შეუქმნას საგანმანათლებლო დაწესებულებებს პოზიტიური იმიჯი და დაარწმუნოს მშობლები და სპეციალური საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და ახალგაზრდები გარემოს კეთილსაიმედოობაში. საზოგადოებასთან ურთიერთობებმა უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და საჯაროობა, ინფორმაციის თავმოყრა და მარგინალიზებულ და გაბატონებულ თემებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის პოზიტიური შეტყობინებების მიწოდება, რომელიც გულისხმობს ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ხელს უშლის კულტურათშორის დიალოგს და ინკლუზიურ მიდგომებს განათლებაში. საზოგადოებასთან ურთიერთობას აქვს დამსახურებები და საკუთარი როლი განათლებაში. ის ეხმარება წარადგინოს ახალი ინსტიტუტები და ხელი შეუწყოს განათლების სისტემის გაუმჯობესებას, გამოსახულების გაზრდის, ეფექტური კომუნიკაციის, სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით, რომელიც ეხმარება როგორც ინდივიდებს ისე საზოგადოებას. ინფორმირებული და გათვითცნობიერებული მოქალაქე, დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი და ქვეყნის მდგრადი განვითარების წინაპირობაა.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, განათლება, ინკლუზია, ინკლუზიური განათლება, მდგრადი განვითარება, მდგრადი განვითარების მიზნები, ინდიკატორი, ცნობიერების ამაღლება

Zhaneta Kilasonia

The role of public relations on raising awareness about inclusive education

Summary

Everyone has the right to education, in order to ensure the fundamental human right, regardless of their physical or mental abilities, ethnicity, religion, or race, to build a healthy society, which is an important determinant of the sustainable economic and social development of the country. The implementation and development of inclusive education is a state priority, even though, the results of studies conducted on the provision of inclusive and equal education in Georgia show that one of the important obstacles to the provision of inclusive education is the lack of public awareness. Therefore, it is necessary to develop and implement a unified effective information and public relations strategy at the state level with maximum involvement of people with disabilities, organizations working on this issues, and parents of children with disabilities. The most important role of PR is to create a positive image of educational institutions and to convince the children with special needs and disabilities and their parents of the trustworthiness of the environment. PR should ensure transparency and publicity, gathering information and delivering positive messages to the public on marginalized and dominant issues, which implies the fight against superstition and hinders intercultural dialogue and inclusive approaches in education. Public relations has its merits and its role in education. It helps to introduce new institutions and contribute to the improvement of the education system through image enhancement, effective communication, implementation of various projects that helps both individuals and the community. Well-informed and self-aware citizen is the basis of a democratic society and a precondition for the sustainable development of the country.

Keywords: Public Relations, Education, Inclusion, Inclusive Education, Sustainable Development, SDG, Indicator, Awareness raising.

მარინე ლომიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებულის ძირითადი თემატიკა

ლიტერატურის მოყვარულებს თავიანთი ოთარ ჭილაძე ჰყავთ: ზოგისთვის პოეტია, ზოგისთვის – რომანისტი ან სულაც ორივე ერთად, როგორც ჩემთვის, და ამაზე ხშირად მიფიქრია. როდესაც მწერლის წიგნად შეკრულ საუბრებსა და სიტყვებს [4] გავეცანი, მაშინვე გამიელვა აზრმა, რომ მხოლოდ ეს პუბლიცისტური ნააზრევიც იკმარებდა მისი მაღალნიჭიერებისა და მოქალაქეობის განმსაზღვრელად. ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გამიმყარდა ოთარ ჭილაძის სხვადასხვა დროის ჩანაწერების წაკითხვის შემდეგ. [3] სულ რამდენჯერმე გამჩენია ასეთი განცდა: პირველად სტუდენტობისას, ილიას „ქვათა ღაღადი“ რომ წავიკითხე (მანამდე ილია ჭავჭავაძე ვიცოდი, როგორც პოეტი და მწერალი – სკოლაში მის პუბლიცისტიკას არ გვასწავლიდნენ), მოგვიანებით უილიამ ფოლკნერის საუბრებმა და გაბრიელ მარკესის პუბლიცისტურმა წერილებმა მოახდინეს წარუშლელი შთაბეჭდილება.

განსაკუთრებულს არაფერს ვამბობ – დიდი მწერლები ჩინებული პუბლიცისტებიც არიან. ბევრი ასეთი მაგალითი იცის კაცობრიობის ისტორიამ. ოთარ ჭილაძე ამ მხრივაც სანიმუშოა და მჯერა, ასეთად დარჩება ქართველთა შემდგომი თაობებისათვის.

ოთარ ჭილაძე დიდი მწერალია, კლასიკოსია – ეს აღიარებული ფაქტია. ჩვენი დროის ლიტერატორები მას საუკეთესო ქართველ კლასიკოს მწერალთა ხუთეულშიც კი ასახელებენ. ოთარ ჭილაძე ფლობს წერის ისეთ ხელოვნებას, რომელიც თავისი მაგიით ზემოქმედებს მკითხველზე და რომელსაც არ ეთმობა მწერლის სამყაროდან გამოსვლა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: ოთარ ჭილაძეს ახალი კალაპოტი რომ არ გაეჭრა, თვითდინებით ჩვენი მწერლობა თანამედროვეობის მსოფლიო ოკეანემდე გზას ვერ გაიკვალავდა. *„...(ადამიანს – **მ.ლ.**) აუცილებლად უნდა ჰყავდეს გვერდით ვიღაცა, ვისაც კალთაში ჩაუდებს ათასნაირი საფიქრალითა და საზრუნავით გაოგნებულ თავს. ვინ იცის, გარკვეული თვალსაზრისით, იქნებ სწორედ მწერლობაა ის „ვიღაცა?!“* [3, 11] „საფიქრალითა და საზრუნავით გაოგნებული თავების“ ყურადღების მისაპყრობად, დასაყუჩებლად და დასაუნჯებლად იქმნებოდა ოთარ ჭილაძის შემოქმედება. სწორედ ამისათვისაა მოწოდებული მისი პოეზია, პროზა და მწერლის შემოქმედების არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი – პუბლიცისტიკა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავტორის შემოქმედებითი საწყისების ამოსაცნობად უმჯობესია მასვე (ავტორს) მიმართო. მან სხვებზე უკეთ იცის, რომელი მასწავლებლები აღაფრთოვანებდნენ, ვინ დაეხმარა საკუთარი თავის ძიებაში, ვისთან გრძნობდა სულიერ ნათესაობას, ვინ იყვნენ ისინი, ვისთანაც სწავლა და სწავლის სიხარული ახალგაზრდობიდან მოყოლებული ცხოვრების ბილიკებს უკვალავდა... ანუ, როგორც თავად გვეუბნება: *„...მწერლობა არა მარტო ძებნა, არამედ განუწყვეტელი სწავლაცაა. მწერალი ყველაფრისგან სწავლობს, უბედურებისგანაც, სიკვდილისგანაც... ამავე დროს, ყველა წინამორბედი თუ თანამედროვე მწერალიც პირადად მისი მასწავლებელია, კარგიც და ცუდიც, რადგან ეშმაკმა იცის, რისი სწავლაა უფრო ძნელი – „როგორ წერო“, თუ „როგორ არ წერო“.* [2, 194]

პასუხს თითოეულ მათგანზე ვიპოვით დიალოგების კრებულში „ღრუბელი“, რომელშიც თავმოყრილია ოცი ინტერვიუ – ათი ქართული და ათიც უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. უფრო კონკრეტულად ტექსტების დრო-სივრცული ჩარჩო ასეთია:

ქართული პერიოდული გამოცემები:

- *„წინ მარადისობაა!“ – საუბარი ლელა ჯიყაშვილთან, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2008 წელი;*
- *„მედროვეები და დრო“– საუბარი ლელა ოჩიაურთან, ჟურნალი „მნათობი“, 2006 წელი;*
- *„ვარაუდი“– საუბარი ლელა ჯიყაშვილთან, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2006 წელი;*
- *„კლდეს უკვე უთქვამს ჩემი სათქმელი“ – ინტერვიუ გაზეთ „ქართული უნივერსიტეტისთვის“, 2002 წელი;*
- *„ღრუბელი“– საუბარი ქეთევან სადღობელაშვილთან, გაზეთი „24 საათი“, 2002 წელი;*
- *„გაურკვევლობის ბურუსიდან მშობლიურ წიაღში“ – საერთო პასუხი გაზეთ „ქომაგის“ კორესპონდენტ ივანე ამირხანაშვილის შეკითხვებზე, 1999 წელი;*
- *„დავიწყოთ თავიდან“ – საერთო პასუხი გაზეთ „კავკასიონის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე, 1996 წელი;*
- *„ნეტარ არიან მორწმუნენი!“ – საერთო პასუხი გაზეთ „კავკასიონის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე, 1995 წელი;*
- *„მხოლოდ სძინავს...“– ინტერვიუ გაზეთ „თბილისისთვის“, 1993 წელი;*
- *„მონოლოგი დიალოგიდან“– საერთო პასუხი ჟურნალ „მნათობის“ ანკეტაზე, 1988 წელი.*

უცხოური მედიასაშუალებები:

- *„ხალხი ივიწყებს, ადამიანი – არა“ – საუბარი ავსტრიული გაზეთის – „დი პრესეს“ კორესპონდენტ ედუარდ შტაინერთან, 2008 წელი;*
- *„ერთხელ კიდევ“ – საერთო პასუხი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი გაზეთის – „ივერიის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე, 2004 წელი;*
- *„თავისუფლება ადამიანით იწყება“ – საუბარი ქრისტიანე ლიხტენფელდთან ჟურნალ „დი ჰორენისთვის“, 1998 წელი;*
- *„ორ სიმართლეს შუა, ანუ მითიდან ფაქტამდე“ – საერთო პასუხი „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტის შეკითხვებზე, 1996 წელი;*
- *„წარმავალის მარადიულობას აღვწერ“ – საუბარი ქრისტიანე ლიხტენფელდთან გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდისთვის“, 1995 წელი;*
- *„გაურკვევლობის მარწუხებში“ – საერთო პასუხი „ლიტერატურნაია გაზეტას“ შეკითხვებზე, 1991 წელი;*
- *„შობა და გამოჩეკვა“ – საერთო პასუხი მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტის შეკითხვებზე, 1986 წელი;*
- *„ნოეს კიდობანი“ – საერთო პასუხი „ლიტერატურნაია გაზეტას“ შეკითხვებზე, 1986 წელი;*
- *„კერიის კვამლის ფთილა“ – საერთო პასუხი „ლატინსკაია ამერიკას“ ანკეტაზე, 1983 წელი;*
- *ადამიანი დროისა და სივრცის უსასრულობაში“ – საერთო პასუხი ჟურნალ „ვოპროსი ლიტერატურის“ ანკეტაზე, 1980 წელი.*

ეს ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ ოთარ ჭილაძით – როგორც პიროვნებით და როგორც შემოქმედით – მუდმივად ინტერესდებოდნენ ეროვნული თუ გავლენიანი უცხოური მედიასაშუალებები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „საერთო პასუხებად“ ქცეულ ტექსტებში კორესპონდენტთა კითხვები არ ჩანს, მაგრამ მწერლის პასუხები იმდენად ვრცელი და სრულყოფილია, რომ კითხვების შინაარსის გაგება არ ჭირს.

ნებისმიერი მედიაპროდუქტის შექმნის პროცესში ჟურნალისტი არჩევანის წინაშე დგება – უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა დოზით (მოცულობით) და როგორ წარმოაჩინოს პიროვნება, როგორც ინფორმაციის წყარო.

ამ დილემის გადაჭრას არსებითად საკუთრივ ჟანრი განაპირობებს. სათქმელი თვითონ ითხოვს სათანადო ფორმას. ინტერვიუსათვის რესპონდენტის შერჩევის კრიტერიუმს განსაზღვრავს როგორც მკითხველთა ინტერესები, ისე ავტორის პოზიცია.

ოთარ ჭილაძის პერსონა გამოჩენისთანავე „მომგებიანი“ იყო ჟურნალისტებისათვის – მწერალი გამორჩეულად საინტერესო მოსაუბრეც აღმოჩნდა. ამდენად, ამ დიალოგებს არ სჭირდებოდა ჟანრისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სიახლის შემცველი ინფორმაციული საბაბი, რომლის არარსებობით ზოგადად შესაძლოა დაიჩრდილოს ჟურნალისტური პროდუქტის თავისებურება. წარმოდგენილ ინტერვიუებში საგრძნობია ჟურნალისტის მოტივაცია, რომელიც ერთნაირად გასაგებია მკვლევრისა და რიგითი მკითხველისათვის.

დიალოგის მიზანია ინფორმაციის გაცვლა და შინაარსის გააზრება. ამავდროულად, ინტერვიუს ეს ტიპი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიმუშია, რომლითაც ცხადდება ფასეულობითი სისტემა, გარკვეულწილად ხდება მისი განზოგადებაც, რაც ორივე მხარისათვის (კორესპონდენტისა და რესპონდენტისათვის) პრინციპულია.

„ღრუბელში“ წარმოდგენილი დიალოგები გამოხატულებაა პერსონიფიცირებული ურთიერთობებისა, რომლებსაც თან ახლავს დიდი სოციალური ენერგია და სათანადო გავლენას ახდენს მკითხველის ცნობიერებაზე. საკითხების სიმრავლე და მოცულობა (ინტერვიუების პერიოდულობა, დროში განფენილობა 1980-იდან 2008 წლის ჩათვლით) განაპირობებს დიალოგის მონაწილეთა ურთიერთობის ვარიანტებს – წინასწარ შედგენილ კითხვარზე პასუხიდან ინტერვიუ-იმპროვიზაციამდე. ამ ურთიერთობაში თანამოსაუბრეები თანაბრად ქმნიან დინამიკას კონკრეტული ინფორმაციით, უპირატესად – საზოგადოებისათვის საინტერესო თემატიკის განხილვით.

თითოეულ ინტერვიუს განუმეორებელი სახე ეძლევა. სხვაგვარად ვერც იქნება. ყოველი დიალოგის მიღმა განსხვავებული მიზნით/მოტივაციით „შეპყრობილი“ ინდივიდი – ჟურნალისტი ან სულაც სარედაქციო პოლიტიკა იგულისხმება, მაგრამ ამ დიალოგებს ასაზრდოებს დიდი მწერლის (რესპონდენტის) გამორჩეულობის ფაქტორი და, ცხადია, განსაკუთრებული გამომსახველობითი შტრიხებიც იკვეთება.

ინტერვიუებში წამოჭრილია თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი თუ პრობლემა, რომლებიც ბოლო ათწლეულებია ასე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. მათ შორისაა: მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რეალობის განმაპირობებელი ფაქტორები; ქართველი საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე; ქვეყნის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ლიტერატურის, როგორც სულიერი აღორძინების მთავარი იმპულსის, სოციალური დანიშნულება; ახალგაზრდობის განათლებისა და მიგრაციის ტენდენციები...

ოთარ ჭილაძეს ყველაფერი აწუხებს, რაც მნიშვნელოვანია (უფრო მეტადაც, უნდა იყოს მნიშვნელოვანი) ქართველი კაცისათვის: მშობლიური მიწა, ენა, წიგნი, დაკარგული ტერიტორიები, მოქალაქეობრივი შეგნება, მედია, პასუხისმგებლობა, ხვალინდელი დღის რაობა. მას ყველაფერზე აქვს თავისი მოსაზრება, ყველა კითხვაზე - პასუხი.

დიალოგების ტექსტები გამოხატავს მწერლის დროით ორიენტაციას; ნაკარნახევია საზოგადოებაში წარსულის, აწმყოსა და მომავლის მარადიული ფასეულობების დამკვიდრების სურვილით, მოწოდებულია შეახსენოს თანამედროვეებს ისინი, რათა გაუღვიძოს მოქმედების ინსტინქტი. ოთარ ჭილაძე, როგორც ქართული კულტურის ტრადიციების სისხლხორცეული მემკვიდრე, ჭეშმარიტი სულიერი სიმდიდრის შეუვალი დამცველი, მოქალაქე და მწერალი, დროით განზომილებას განიხილავს ფასეულობათა ერთიან კონცეპტუალურ სისტემასა და მოდელის ფარგლებში, მაგრამ მეტწილად იკვეთება პრიორიტეტთა ერთობლიობა, რომელსაც იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს არის: წესიერება, უსაფრთხოება, წარმატება, სოლიდარობა, დამოუკიდებლობა, რომლებსაც სპეციალისტები ე.წ. ზოგად ფასეულობებს უწოდებენ. [1,98] ოთარ ჭილაძისეული დროისა და ფასეულობების ურთიერთმიმართება განსაზღვრავს ამ დიალოგების აქტუალობას და სწორედ ეს განაპირობებს ამ ჭრილში საკითხების განხილვის აუცილებლობას.

ლიტერატურა

1. ლალი სურმანიძე. კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010.
2. ოთარ ჭილაძე. ღრუბელი. დიალოგები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2014.
3. ოთარ ჭილაძე. ცა მიწიდან იწყება. სხვადასხვა დროის ჩანაწერები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2015.
4. ოთარ ჭილაძე. წინ მარადისობაა! გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2009.

რეზიუმე

დიდი მწერლები ჩინებული პუბლიცისტებიც არიან. ბევრი ასეთი მაგალითი იცის კაცობრიობის ისტორიამ. ოთარ ჭილაძე ამ მხრივაც სანიმუშოა და მჯერა, ასეთად დარჩება ქართველთა შემდგომი თაობებისათვის. ოთარ ჭილაძე დიდი მწერალია, კლასიკოსია – ეს აღიარებული ფაქტია. ჩვენი დროის ლიტერატორები მას საუკეთესო ქართველ კლასიკოს მწერალთა ხუთეულშიც კი ასახელებენ. ოთარ ჭილაძე ფლობს წერის ისეთ ხელოვნებას, რომელიც თავისი მაგიით ზემოქმედებს მკითხველზე და რომელსაც არ ეთმობა მწერლის სამყაროდან გამოსვლა. „საფიქრალითა და საზრუნავით გაოგნებული თავების“ ყურადღების მისაპყრობად, დასაყუჩებლად და დასაუნჯებლად იქმნებოდა ოთარ ჭილაძის შემოქმედება. სწორედ ამისათვისაა მოწოდებული მისი პოეზია, პროზა და მწერლის შემოქმედების არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი – პუბლიცისტიკა, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული „ღრუბელი“. მასში თავმოყრილია ოცი ინტერვიუ – ათი ქართული და ათიც უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. ინტერვიუებში წამოჭრილია თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი თუ პრობლემა, რომლებიც ბოლო ათწლეულებია ასე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. მათ შორისაა: მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რეალობის განმაპირობებელი ფაქტორები; ქართველი საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე; ქვეყნის

განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ლიტერატურის, როგორც სულიერი აღორძინების მთავარი იმპულსის, სოციალური დანიშნულება; ახალგაზრდობის განათლებისა და მიგრაციის ტენდენციები...

საკვანძო სიტყვები: ინტერვიუ, ჟურნალისტი, მწერალი, კორესპონდენტი, რესპონდენტი, დიალოგი.

Marine Lomidze

Basic themes of collection of Otar Chiladze's dialogues

Summary

Significant writers are excellent publicists at the same time. This has been proven along the human history. Otar Chiladze is valuable also for this reason and I believe he will remain this feature for future generations. Otar Chiladze is an exceptional writer, establishing a higher layer of classics which has been widely acknowledged. He was named among five top classic Georgian writers by our contemporary writers. Otar Chiladze possesses such a mastery of writing which influences the readers in a significant way and makes it impossible for them to abandon the reading. Otar Chiladze's art was created to attract and sooth minds overwhelmed with thought and care. This is a specific mission of his poetry, prose and an equally important piece of his publicist writing which is exhibited in the collection of dialogues "Grubeli." This collection contains twenty interviews – half of which has been published by Georgian media channels and half by international media channels since the 80-ies of previous century. The last interview is dated by 2008. These interviews reflect almost all existential issues and problems which have remained their significance in the last decades of our country and people, namely: the factors shaping our contemporary socio-political and socio-economic realities; morality of Georgian society; current stage of country's development and its perspectives; social function of literature as of a major impulse for country's spiritual restoration; the tendencies of youth education and migration…

Keywords: Interview, journalist, writer, correspondent, respondent, dialogue.